

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-  
პრაქტიკული ჟურნალი

International Scientific-Practical Referenced Journal

Международный Реферированный Научно-  
Практический

Журнал - „Юрист“

ISSN 2449-2701

# იურისტი – Lawyer №5

თბილისი – Tbilisi

2018

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ დაფუძნებულია ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად პროფესორ შოთა ფაფიაშვილის მიერ.

International Scientific-Practical Referenced Journal “Lawyer” is based with Academy of Legal Sciences of Georgia By Shota Papiashvili.



**ჟურნალი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით**

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ  
იურიდიული მისამართი: თბილისი,  
ვაჟა-ფშაველას გამზირი №75,  
ფაქტობრივი მისამართი: კოსტავას №77  
სტუმ მე-6 კორპუსი. ოთახი 903 ა, ტ.: +995 99940 114  
ელ-ფოსტა: [Law.academy@mail.ru](mailto:Law.academy@mail.ru)

The journal is published four times in a year.  
Address: Tbilisi, Vazha-Pshavela Avenue, №75  
Actusi Address: Tbilisi, Kostava street, №77, STU,  
6 block Room 903 a, T., 599 940 114  
E-mail: [Law.academy@mail.ru](mailto:Law.academy@mail.ru)

**ISSN 9772449270009**

© შ.ფაფიაშვილი

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2018

ჟურნალ „იურისტი“-ს მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შოთა ფაფიაშვილი**.

რედაქტორის მოადგილე პროფესორი -**ჯემალ გაბელია**.

### სარედაქციო კოლეგია

1. **ლევან ალექსიძე** - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
2. **ჯონი ხეცურიანი** - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
3. **არჩილ ფრანგიშვილი** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
4. **შოთა ფაფიაშვილი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თავმჯდომარე);
5. **ჯემალ გაბოკიძე** - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერი;
6. **ირაკლი გაბისონია** - პროფესორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი;
7. **ლადო ქანტურია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე;
8. **ზაზა რუხაძე** - პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დეკანი;
9. **ჯემალ გაბელია** - პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
10. **გენადი ხოხრიაკოვი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – მოსკოვი;
11. **მიხეილ მამნიაშვილი** – პროფესორი;
12. **ნიკოლა ბელიაევი** - პროფესორი, სანკტ-პეტერბურგი;
13. **იანეს გრანცი** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლუბლიანას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (სლოვენია). საპატიო დოქტორი (პუატიე, საფრანგეთი)
14. **ჰანს იორგ ალბრეხტი** - გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
15. **პეტერ იურგენ გრაფი** - გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი;
16. **რომან შენგელია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
17. **ვეფხვია გვარამია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
18. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
19. **გივი ლობჟანიძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
20. **შენგელი ფიცხელაური** – პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.
21. **ლალი ფაფიაშვილი** – პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
22. **ელიკო ნიკლაური-ლამიხი** – პროფესორი – გერმანია.

კორექტორი – დავით სოლომნიშვილი – ისტორიის დოქტორი.  
კომპიუტერული უზრუნველყოფა – თამარ ბარამია, ეკა რუსიეშვილი.

Executive Managing Editor, Doctor of Law Science, Professor – **Shota Papiashvili**

Managing Editor. Professor – **Jemal Gabelia**

### **EDITORIAL BOARD**

1. **Levan Aleksidze** – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia
2. **Joni Khetsuriani** – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia
3. **Archil Prangishvili** – Professor, Rector of GTU, Academiein of National Science of Georgia;
4. **Shota Papiashvili**- Doctor of Law Science, Professor. (Chairman)
5. **Jemal Gakhokidze** – Professor, Speaker of Georgian Technical University, General;
6. **Irakli Gabisonia** – Professor, Dean of Law and International Relations Faculty in Georgian Technical University;
7. **Lado Tchanturia** – Professor, Tbilisi State University, Ambassador of Georgia in Germany;
8. **Zaza Rukhadze** – Professor, Dean of Georgian-American University;
9. **Genadi Khokhriakov** – Professor, PhD of cLaw - Moscow
10. **Mikheil Mamniashvili** – Professor;
11. **Jemal gabelia**- Professor, Deputy Dean of Law and International Relations in Faculty Georgian Technical University;
12. **Nikola Believi** – Professor. St. Petersburg;
13. **Janez kranjc** - Doctor of legal Sciences, dr.h.c.)(polotiers, France)Full Professor of The University of Ljubljana Faculty of law;
14. **Hans Jorg Albrekht** - Director of the Max Planck Institute of German Criminal Law, Professor;
15. **Peter Jurgen Graf**-German Supreme Court Deputy Chairperson of the Senate, Professor;
16. **Roman Shengelia**- Doctor of Law Science, Professor;
17. **Vepkhvia Gvaramia** – Professor, Sokhumi State University, Dean of Juridical Faculty
18. **Ivane Jagodnishvili** – Dean of Engineering economy, Media an social Sciences Faculty, Doctor of Philology, Professor;
19. **Givi Lobzhanidze** – Doctor of Law Science, Professor;
20. **Shengeli Pitskhelauri** – Professor, Guram Tavartkiladze’s University, Dean of Juridical Faculty;
21. **Lali Papiashvili** – Professor, Deputy Chairman of Georgian Constitutional Court;
22. **Eliko Tsiklauri-Lamikhi** - Professor, Germany.

**Corrector–Davit Solomnishvili - Doctor of History.**

**Computer Software –Tamar Baramia, Eka Rusieshvili**

## სარჩევი

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში:

### „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობა“

- 1.ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი-სამართლიანობის არსის გარკვევისათვის.....7
- 2.ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი- სამართლიანობა, როგორც ანტიკური ეპოქის ზნეობრივ-სამართლებრივი პარადიგმა..... 14
- 3.ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი-ჯონ როულსის ფილოსოფია.....34

### „საინჟინრო სამართალი“ სამშენებლო სამართალი

- 1.ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია- სამშენებლო დავებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ანალიზი.....40
- 2.კობა ყალიჩავა, უჩა ზაქაშვილი-თანამედროვე ქართული სამშენებლო სამართლის განვითარების ტენდენციები.....47

### ენერგეტიკის სამართალი

- 1.ირაკლი გაბისონია, ოთარ პავლიაშვილი- თანამედროვე საერთაშორისო სამართლის როლი საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის ფორმირებაში.....63
- 2.ოთარ პავლიაშვილი- საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორც ენერგეტიკის სამართლის მნიშვნელოვანი წყარო.....78

### კონსტიტუციური სამართალი

- 1.ნინო ხარატი- საკონსტიტუციო კონტროლის როლი ხელისუფლების შეკავებისა და ურთიერთგანონასწორების მექანიზმში.....93
- 2.სოფო დემეტრაშვილი- საქართველოს პარლამენტის ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში..... 109

### საერთაშორისო სამართალი

- 1.ირაკლი გაბისონია-ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი და მასშტაბები..... 121
- 2.სალომე ხიზანიშვილი- XXI საუკუნის საქართველო და „გარე ფაქტორების გავლენები“..... 130

### სისხლის სამართალი

- 1.ჯემალ გახოკიძე, მიხეილ მამნიაშვილი, თემურ მონიავა - საგამოძიებო სამართლის ცნება, საგანი და რეგულირების მეთოდები..... 135
2. გივი აბაშიძე - პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე(დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ქართული მოდელი)..... 143
- 3.კობა ჩიხლაძე- მარიხუანა - ჯანდაცვის სამართლის თუ სისხლის სამართლის პოლიტიკის პრობლემა?..... 153

## Contents

### Within the framework of on going scientific-research projects at the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University “Philosophy of Justice and Modernity”

1. Irakli Gabisonia, Aleksandre Taliashvili, Salome Khizanishvili- For the determination of the legality sense.....7
2. Irakli Gabisonia, Aleksandre Taliashvili, Salome Khizanishvili- Justice as a moral-legal paradigm of the ancient epoch.....14
3. Irakli Gabisonia, Aleksandre Taliashvili, Salome Khizanishvili- John Roulis - Theory of Justice.....34

### “Engineering Law”

#### Construction Law

1. Irakli Gabisonia, Jemal Gabelia - Analysis of some decisions of the Supreme Court of Georgia on the construction disputes .....40
2. Koba Kalichava, Ucha Zakashvili- Modern Development Tendencies of Georgian Construction Law.....47

#### Energy Law

1. Irakli Gabisonia, Otar Pavliashvili- The Role of Modern international law in the formation of international energy law.....63
2. Otar Pavliashvili- International treaties as an important source of energy law.....78

### Constitutional Law

1. Nino Kharati- The constitutional role of the government in the mechanism of retention and mutual adjustment .....93
2. Sopho Demetrashvili- Place of the Parliament of Georgia in the system of distribution of power.....109

### International Law

1. Irakli Gabisonia- Character and Scope of International terrorism.....121
2. Salome Khizanishvili - Georgia of XXI Century and “ Influence of External Factors”.....130

### Criminal Law

1. Jemal Gakhokidze, Mikheil Mamniashvili, Temur Moniava- The essence, subject and regulation methods of the investigatory law.....135
2. Givi Abashidze- Prosecutor’s Discretionary Power on Carrying out Criminal Prosecution (Georgian Model of Discretionary Criminal Prosecution).....143
3. Koba Chikhladze- Marijuana - Health Law or Policy problem of Criminal Justice?.....153

# 1. სამართლიანობის არსის გარკვევისათვის

**პროფესორები:  
ირაკლი გაბისონია,  
ალექსანდრე ტალიაშვილი,  
სალომე ხიზანიშვილი**

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის“ ფარგლებში და მიზნად ისახავს სამართლიანობის, როგორც მორალურ-სამართლებრივი ფენომენის შესწავლას-ცნობის, იდეისა და ღირებულების მნიშვნელობით. შესაბამისად, ლოგიკურია საკითხის განხილვა ერთი მხრივ, ფილოსოფიური აზროვნების განვითარების, ხოლო მეორე მხრივ, სამართალმცოდნეობის, როგორც პრაქტიკული სოციალური დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების კონტექსტში; განსაკუთრებით, თანამედროვე ფილოსოფიურ და სამართლებრივ აზროვნებასთან მიმართებაში. ორივე შემთხვევაში, საქმე ეხება სამართლიანობის საკითხის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების წინა პლანზე წამოწევას, სამართლებრივ კანონებში მისი ონტოლოგიური საზრისის „შეტანისა“ და გამოხატვის შესაძლებლობა-შეუძლებლობის საკითხის გარკვევას; და ზოგადად, რეალურ ადამიანურ ცხოვრებაში მისი განხორციელების სიძნელეების ჩვენებას.

სამართლიანობის საკითხის გარკვევა განსაკუთრებით აქტუალურია დღესდღეობით, ქართული სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბების პროცესში; ქვეყნის შიგნით და მის გარეთ არსებული გარემოებების გამო. საქართველოს ტერიტორიის 20% მიტაცებულია „ფიზიკურად დიდი და ძლიერი მეზობლისაგან“, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყნის მიმართ, საერთაშორისო სამართლის პრინციპები განუწყვეტლივ ირღვევა.

წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობის წარმოჩენასა და გაზრდას; მის განხილვას „საერთო ზნეობრივი სანქციის“ უპირატესობით, ადამიანთა თანაცხოვრების ნებისმიერ გამოვლინებაში, (პიროვნებათაშორისი ურთიერთობებიდან საერთაშორისო ურთიერთობამდე) - მათი სურვილების, ინტერესების, მოვალეობების დაპირისპირებისა და შეჯერების ფონზე.

ბუნებრივია, ნებისმიერ ისტორიულ ეტაპზე, ზოგადად, კაცობრიობის ან კონკრეტულად, ამა თუ იმ საზოგადოების პროგრესული განვითარება იზომება, ერთის მხრივ, ადამიანური იდეალების ცხოვრებაში განხორციელებისა და მათი დაცვის მაჩვენებლებით, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრებითა და მათი ფუნქციონირების ხარისხით; სამართლიანობისა და თავისუფლების კატეგორია მათ შორის, ფუნდამენტურია, რომელთა საბაზისო მნიშვნელობის დადგენა, მათი აქტუალობიდან გამომდინარე, თანამედროვე რეალობის ფონზე ისეთივე საჭირო და აუცილებელია, როგორც ეს იყო ადამიანური ისტორიის ნებისმიერ პერიოდში.

ცნობილი თვალსაზრისით, იდეის გაჩენიდან მის განხორციელებამდე ისტორიული გზა საუკუნეს ითვლის. ხოლო, თუ ამას დაემატება განსხვავებულ კულტურებში ამა თუ იმ ღირებულების გაჩენისა და მოქმედების კონკრეტულ-ისტორიული პირობები-ეროვნული, კლასობრივი, რელიგიური თუ სხვა, ცხადი ხდება ეს გზა რამდენად ხანგრძლივია.

ადამიანურ ცხოვრებაში სამართლიანობის იდეის „შემოტანა“ ყველაზე არ-

ქაულია. მიუხედავად ამისა, კაცობრიობის სამართლებრივ ცნობიერებაში მისი საზრისის განხორციელების ნიშნული, შეიძლება ითქვას, ისეთივე ხანისაა, როგორც სამყაროში ადამიანის ცნობიერი სიცოცხლე.

სამართლიანობის ფენომენის მეცნიერულ ახსნასა და შესწავლას ემსახურება არა ერთი დისციპლინა: სამართალი, (მისი არა ერთი ფორმა, მაგ., სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი და სხვ.), სამართლის ფილოსოფია, ეთიკა. მათ დიდი ხნის ისტორია აქვთ.

ადამიანი, როგორც შემეცნებელი სუბიექტი, ისტორიულად საკმაოდ გამოცდილია სამართლიანობის ცნების, როგორც სამართლებრივი აზროვნების ძირითადი კატეგორიის თეორიული ახსნის, დადგენისა და მით უფრო, მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, თუმცა, ეთიკაში ან სამართლის მეცნიერებებში პარადოქსები იკვეთება.

პარადოქსების არსებობას თავისი მიზეზები აქვს. უმთავრესია 1. სამართლიანობის არსის ლოგიკური გამოხატვის სირთულე; 2. სამართლიანობის კრიტერიუმებისა და პრინციპების დადგენის სირთულე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სირთულეები თავს იჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ ასპექტებში; მაგალითად: ა) პროფესიულ საქმიანობაში, როცა სამართალი ასოცირდება სამართლიანობასთან, კანონი კანონიერებასთან; არასამართლიანი იურიდიული ნორმა მოქალაქის, კერძო პირისა თუ სახელმწიფოსთვის ხდება თავსმოხვეული, ან სულაც სავალდებულო; ბ) ამა თუ იმ ქვეყნის ან ერის წარმომადგენელთა განსხვავებული იდეალების არსებობაში, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ სამართლიანობის, თუნდაც როგორც ზოგადადამიანური ღირებულების აღქმის ნიშნული სხვადასხვა რეალობაში, განსხვავებული და არც თუ იშვიათად, ურთიერთსაპირისპიროა. გ) ეპოქალური წინააღმდეგობების გამწვავებაში, განსაკუთრებით, დღესდღეობით, როცა ქვეყნებისა და ერების წინაშე, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლიანობის გაყალბება ხდება და სამართლიანობის ღირებულების გაუფასურების შედეგები ცხოვრებაში უსამართლობის სახით ვლინდება. განსაკუთრებით, უთანაბროდ განვითარებული ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებების დროს, რელიგიური, რასობრივი განსხვავებულობის, ტერორიზმის ვითარებებში და ა.შ.

ამისი შედეგია მსოფლიო ბაზარზე მავანთა გაბატონებული როლის გაზრდა, მსოფლიო პოლიტიკის მართვა ძლიერთა ხელით და ამ ფონზე მცირერიცხოვანი ერების უფლებამოსილების შეზღუდვა, ბუნებრივი რესურსების მდიდართა ხელში მოქცევა და მათ მიერ, გავლენის სფეროების უპრეცედენტო გადანაწილება-გაძლიერება და ა.შ.

სიძნელეები სხვა ასპექტითაც იკვეთება. მაგალითად, რთულდება: 1. სამართლიანობაზე, როგორც სამართლებრივ-ზნეობრივ კატეგორიაზე ფილოსოფიური და სამართლებრივი სისტემური ცოდნის შემუშავება; განსხვავებულ ფილოსოფიურ და სამართლებრივ კულტურებში სამართლიანობის არსის, მისი პრინციპების დადგენა და შეფასება; 2. სამართალთან სამართლიანობის ექსისტენციალური კავშირის არსებობის დასაბუთება; 3. პოზიტიურ სამართლებრივ ნორმებში სამართლიანობის ობიექტური მნიშვნელობის წვდომა და გამოხატვა; 4. ისტორიული ცვლილებების ფონზე, ქვეყნების საზომით სამართლიანობის განხორციელების ფორმების შეფასება; 5. სამართალში ან მორალში სამართლიანობა-უსამართლობის კრიტერიუმების (როგორც საყოველთაო მნიშვნელობის საზომის) არსებობისა და ფუნქციონირებისათვის სივრცის გამოკვეთა; 6. სამართლიანობის სახელით, კანონის შექმნისა და მით უფრო, მისი განხორციელებისას, ადამიანური თავისუფლებისა და ძალაუფლების გავრცელების საზღვრების დადგენა; 6. კანონის მორალთან შეუსაბამობის გამო,



მაინც კანონად არსებობის უფლების „მოპოვება“ და აღიარება; 7. პოზიტიურ სამართალში „მორალურად ბოროტი კანონების არსებობა“ და საერთოდაც, „კანონების განუკურნებლად არასრულყოფილება“; 8. ზოგადად, სამართლისა და მორალის სტანდარტებსა და სამართლიანობის პრინციპებს შორის კავშირის დაუსაბუთებლობა და „სავალდებულობა“ და ა.შ. წარმოდგენილი საკითხების თუნდაც ეს „მცირე“ ჩამონათვალი, ცხადად აჩვენებს, რომ სამართლიანობის კვლევაზე მიმართული ნებისმიერი დისციპლინის- ფილოსოფიური ან სამართლის მეცნიერებების გზა უჩვეულოდ რთულია, თუმცა, მაინც შედეგიანი. წარმოდგენილ ნაშრომში, ამ გზების გამოკვეთასაც ვცდილობთ.

მით უფრო რთული, და არც თუ იშვიათად, შეუძლებელია სამართალში, კერძოდ, ნორმატიულ კანონებში ზნეობრივი ღირებულებების, მათ შორის, (უპირველესად და უმთავრესად), სამართლიანობის ღირებულების „ჩაშენება“, ვინაიდან, კანონის შექმნისა და მოქმედების საზღვრებში ის ხშირად კარგავს საკუთარ ძალასა და დანიშნულებას, თითქოს და „მორალთან მისი არა ვალდებულების გამო“. ამ აზრს იზიარებენ მაგალითად, თანამედროვე უტილიტარიზმის ფუძემდებელი, ინგლისელი ფილოსოფოსი და იურისტი, ჯერემი ბენტამი (1748-1832), იურიდიული პოზიტივიზმის დამაარსებელი, ჯონ ოსტინი (1790—1859). ბენტამისეული უტილიტარიზმის მიხედვით, მოქმედების მიზანი, სამართლის სისტემაში, საერთო სარგებლიანობაა, (ინგლისელი ფილოსოფოსი, ჯონ სტიუარტ მილი, პრიორიტეტს პიროვნების თავისუფლებას ანიჭებს). ხოლო, კანონები, (როგორც ბენტამის, ასევე ოსტინის აზრით), მორალთან შეუსაბამობის მიუხედავად, მაინც კანონებად რჩებიან. „არჩევანის თეორიაში“ განსხვავებულ პოზიციას იკავებს ჰ. ჰარტი (1907-1992). თავდაპირველად, ის ოსტინისა და კელზენის დიდ გავლენას განიცდის, მაგრამ, შემდეგში მისი თეორია სარგებლის თეორიებს შორდება. თავის გვიანდელ ნაშრომში ავტორი უარყოფს „არჩევანის თეორიას“, მორალური უფლებების სასარგებლოდ. მორალურ საკითხზე მსჯელობისას ის აცხადებს, რომ „შესაძლოა, მოხდეს უფლების კონცეფციის გამოყენება უფრო ინდივიდების მოთხოვნილებებზე ყურადღების გასამახვილებლად, ვიდრე მათ არჩევანზე. ამგვარად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სისხლის სამართლის კანონი მკვლელობის და შეურაცხყოფის წინააღმდეგ უზრუნველყოფს სიცოცხლის და პიროვნების უსაფრთხოების მორალურ უფლებას“<sup>1</sup>. ანუ, ჰარტი უშვებს სისხლის სამართლის კანონის შესაძლებლობას, რათა დაიცვას პიროვნების მორალური უფლებები, თუმცა, ლეგალურ უფლებებთან დაკავშირებით, იგი აზრს არ იცვლის. არსებული თეორიული სიძნელეების მიუხედავად, ჰ. კელზენის<sup>2</sup> მტკიცებით, „ეს აუცილებლობით იმას არ გულისხმობს, რომ კითხვაზე, რა არის სამართლიანობა, შეუძლებელია მეცნიერულად და ასე ვთქვათ, ობიექტურად ვუპასუხოთ“<sup>3</sup>, იმ აზრზე დაყრდნობით, რომ „სამართლიანობის იდეა თუ რაიმე ფუნქციას ფლობს, ისაა, რომ იყოს კარგი სამართლის მოდელი და კარგი სამართლის ცუდისაგან განსხვავების კრიტერიუმი“<sup>4</sup>

წარმოდგენილ სტატიაში, ჩვენი კვლევის მიზანი ორმხრივია: 1. ისტორიულ-სამართლებრივ და ისტორიულ-ფილოსოფიურ დოქტრინებში ზემოაღნიშნული პრობლემატიკის აქტუალობის წარმოჩენა და სათანადო შესწავლა; 2. „კარგი სამარ-

1 <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library>

2 ჰანს კელზენი, გამოჩენილი ავსტრიელი მქადაგებელი, „სამართლის წმინდა თეორიის“ დამაარსებელი, ვენის, კიოლნის, ჟენევის, კალიფორნიის უნივერსიტეტების პროფესორი. სტატია (State and Justice in the Pure Theory of Law // The Yale Law Journal. Vol. 57. N 3. 1948. P. 377-390. სტატია დაწერილია სწავლულის აშშ-ში გადასვლის შემდეგ. თავისთავად იგი წარმოადგენს პასუხისმგებელი. ბერგმანის სტატიაზე. The Communal Concept of Law // The Yale Law Journal. Vol. 57. 1947. P. 55. <https://iphlib.ru/greenstone3/library/collection/newphilenc/document>

3 ИСТОРИЯ ПРАВОВОЙ МЫСЛИ. ПРАВО И СПРАВЕДЛИВОСТЬ. ПРАВО, ГОСУДАРСТВО И СПРАВЕДЛИВОСТЬ. В ЧИСТОМ УЧЕНИИ О ПРАВЕ\* Г. КЕЛЬЗЕН. Правоведение, 2013, № 2, 231

4 იქვე

თლის“ მოდელების შექმნისა და მათი რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის სამართლიანობის, როგორც შეფასებითი კატეგორიის ეთიკურ-სამართლებრივი საფუძვლებისა და კრიტერიუმების გამოკვეთა.

რასაკვირველია, სტატიაში წარმოდგენილი თემატიკა, თვისობრივი კვლევის თვალსაზრისით, თანაბრად, მით უფრო სრულყოფილად, (თუნდაც უნაკლოდ), ვერ იქნება წარმოდგენილი; მით უმეტეს, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნაშრომი პირველ მცდელობას წარმოადგენს, კონკრეტულად სამართლიანობის ცნების, როგორც სამართლის მეცნიერებისათვის ფუნდამენტური ფილოსოფიური საფუძვლის კვლევის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ ქართულ სამართლებრივ კულტურაში, სამართლიანობასთან დაკავშირებული ფილოსოფიური და სამართლებრივი ტრადიციების თავმოყრა, განსხვავებულ ეპოქებში მისი შინაარსობრივად წინააღმდეგობრივი ასპექტების გამოკვეთა, ჰუმანური კანონშემოქმედებისა და კანონმდებლობის საფუძვლად მისი რაგვარობის განსაზღვრა და მისი კომპლექსური შესწავლა, მეტ სივრცესა და შესაძლებლობას იძლევა სამართლიანობის არსის გასაგებად. ეს კი წინაპირობაა იმისა, რომ ეთიკურ-სამართლებრივი ღირებულებების „სიცოცხლისუნარიანობის“ მიზნით, ყოფით ცხოვრებაში (კონკრეტულად, საქართველოს სახელმწიფოს მაგალითზე), სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ნიადაგი განოყიერდეს.

რეალობაა, ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში, მით უფრო, გლობალური სამყაროს ჩამოყალიბების პირისპირ, ზნეობრივ-სამართლებრივი, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური სამართლიანობის დამყარების კუთხით, საზღვრები რამდენადაც ფართოვდება, იმდენად ვიწროვდება. შესაბამისად, მეტი სიმწვავეთ იკვეთება ადამიანური პრობლემები, რომელთა დაძლევაზე ორიენტირებულია ნებისმიერი სამართლებრივი თუ ფილოსოფიური დოქტრინა, ადრეული თუ თანამედროვე. ნაშრომში სამართლიანობის საკითხის კვლევა წარმოდგენილია ამ ხაზით-ანტიკური ბერძნული აზროვნებიდან (პირველად, სახელმწიფოებრივი კულტურის ფორმით, სამართლის ფილოსოფიური ტრადიცია ბერძნულ ცნობიერებაში ჩამოყალიბდა), თანამედროვეობამდე. ძირითადი სამართლებრივი და ფილოსოფიური მიმართულებების გამოკვეთის ფონზე.

მიგვაჩნია, რომ სამართლიანობის საკითხის განხილვა წარმოდგენილი პარალელებით მკაფიოს გახდის იმ რეკომენდაციებს, რომელითაც სამართლის, სამართლის ფილოსოფიითა და ზოგადად, ფილოსოფიური საკითხებით დაინტერესებულმა ნებისმიერმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს, თეორიული თუ პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. და კიდევ იმ მოტივით, რომ სამართლიანობის მაძიებელ ადამიანს გაუღვიძებს ინტერესს არა მხოლოდ გაცნოს და ჩაუღრმავდეს პრობლემატიკას, არამედ სამართლიანობის ღირებულების ცხოვრებაში გატარება და დაცვა პიროვნულ, ეროვნულ, სახელმწიფოებრივ მოვალეობად აქციოს. თუნდაც იმ არგუმენტის „უფლებამოსილების“ მიუხედავად, რომ „სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს და ერთი და იმავე საზოგადოების წევრებს სამართლიანობა განსხვავებულად ესმის<sup>5</sup>“; და კიდევ იმ აზრის სამართლიანი მტკიცებით, რომ ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში, ამა თუ იმ საკაცობრიო ღირებულების, მით უმეტეს, სამართლიანობის განხორციელება მაინც იდეალად რჩება.

ისმის კითხვა: ადამიანურ ცხოვრებაში პიროვნულ-მოქალაქეობრივ, მოქალაქეობრივ-სახელმწიფოებრივ, ან განსხვავებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დონეებზე, რამდენად, ან, რა შემთხვევაში და რა წილით არის შესაძლებელი სამართლიანობის იდეალის განხორციელება? ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია, სახელწოდებით- „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობა“, ფაქტობრივად, ამ არსებით კითხვაზე პასუხის გაცემას ემსახურება.

5 <https://mimomxilveli.wordpress.com/tag/სამართლიანობა/>

ალტერნატიული პასუხის სახით, გთავაზობთ მორალისა და პოლიტიკის ლიბერალური ტრადიციების წარმომადგენლის, ამერიკელი ფილოსოფოსის, ჯ. როულსის (1921-2002) მიერ ჩამოყალიბებული „სამართლიანობის თეორიის“ ძირითად იდეას: „ის საზოგადოება, რომელიც აკმაყოფილებს სამართლიანობის, როგორც პატიოსნების პრინციპებს, უახლოვდება საზოგადოების იდეალს, რომელიც იმდენად ეფუძნება ნებაყოფლობით სქემას, რამდენადაც შესაძლებელია ეს, საერთოდ, რადგან ის დაფუძნებულია იმ პრინციპებზე, რომლებიც სამართლიანი გარემოებების დროს, თავისუფალმა და თანასწორმა პიროვნებებმა უნდა მიიღონ. ამ თვალსაზრისით, მისი წევრები დამოუკიდებელი არიან და ნებაყოფლობით კისრულობენ მათ მიერვე გააზრებულ ვალდებულებებს“<sup>6</sup>. ჯ. როულსის თვალსაზრისის ერთგვარ დაზუსტებას ჩვენს ერამდე, პლატონიც გთავაზობს: „სამართლიანიც იმდენადვე იქნება კერძო პირი, რა-ნაირადაც ვლინდება სამართლიანობა სახელმწიფოში“<sup>7</sup>

გამოდის, რომ სამართლის არსი და ნორმატიული სამართლებრივი აქტის ბაზისი სამართლიანობა; ის არის მტკიცებულება სამართლიანი კანონისა, რომელიც, ორიენტირებულია პიროვნებათაშორისი, პიროვნებასა და სახელმწიფოს, სახელმწიფოთა და საზოგადოებებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის მიღწევაზე; ისტორიულად ხანიერ და „უნყვეტ სამართლიან დავაში“ მონაწილე სუბიექტების მიერ, (ამ სიტყვის ფართო გაგებით), ერთმანეთის წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებითა და დაცვით.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომი, სახელწოდებით- „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობა“, რომელიც ორიენტირებულია სამართლიანობის არსის სიღრმისეულ კვლევაზე და აქედან გამომდინარე, აღნიშნული „დავის“ გარკვევაზე, თავის წვლილს შეიტანს სამართლიანობის საკითხთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემატიკის კვლევაშიც.

## რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის“ ფარგლებში.

სამართლიანობის ცნება შინაარსისა და ფორმის მიხედვით, არაერთგვაროვანია. მის შინაარსობრივ მხარეს განსხვავებული კულტურები და ეპოქალური ცვლილებები განაპირობებს. ფორმის სხვადასხვაობას-მისი „გავლენის სფეროები“, როგორიცაა: მორალი, სამართალი, სოციალური გარემო, ეკონომიკა, პოლიტიკა. ჩვენი მიზანი მორალური და სამართლებრივი სამართლიანობის ურთიერთდამოკიდებულების კვლევაა.

სამართლიანობის მიღწევის გზები და საშუალებებიც განსხვავებულია. ისტორია მათ კანონზომიერად, საკუთარი ლოგიკით აწესებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის კანონიერად.

სამართლიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელიც ადამიანის სამართლიანი ცხოვრების გარანტს წარმოადგენს. იგი ორიენტირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, როგორც სამართლიანობის იდეური საყრდენების დაცვაზე.

სახელმწიფოში სამართლიანობა ხორციელდება ნორმატიული კანონის საფუძ-

6 Ролз Джон. Теория справедливости. НОВОСИБИРСК, ИЗДАТЕЛЬСТВО НОВОСИБИРСКОГО УНИВЕРСИТЕТА, 1995. 27 [https://baumands.files.wordpress.com/2011/02/24\\_rawls\\_theory\\_of\\_justice.pdf](https://baumands.files.wordpress.com/2011/02/24_rawls_theory_of_justice.pdf)

7 პლატონი. სახელმწიფო. წიგნიდან: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. | წიგნი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009, გვ: 82

ველზე, იძულებით, ან ნებაყოფლობით. სამართლიანობის, როგორც საკაცობრიო იდეალის განხორციელებაში მონაწილეობს მთელი ცივილიზებული კაცობრიობა, თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. მაგრამ, ისტორიული სამართლიანობის განხორციელებაში განსხვავებული კულტურები მეტ-ნაკლები შესაძლებლობებითა და მიდრეკილებებით მონაწილეობენ. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი სამართლიანობის განხორციელებაში მიღებული წვლილითა და ნიშნულით იზომება.

მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მსოფლიო ისტორიაში დღემდე საკუთარი არსებობის საფუძვლებს ინარჩუნებს, სამართლებრივი სახელმწიფოს მონყოფის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი.

წარმოდგენილი სტატია ორ მიზანს ემსახურება: 1. სამართლიანობის ცნების სირთულის სპეციფიკის გარკვევასა და 2. გლობალური მსოფლიო ცივილიზაციის პირობებში, ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბისათვის ხელშეწყობას.

## Resume

The article is prepared in the framework of the scientific-research project “Philosophy of Justice and Modernity” of Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

The sense of legality regarding its content and form is absolutely differentiated. Its content is decided by different cultures and epic changes. The difference of its form is reflected in “fields of influence” such as: moral, law, social environment, economics, policy. Our goal is to provide study in moral and legal justice interdependence.

The ways of approach the justice are also different. The human history establishes them regularly, with its own logic, but it does not mean that it is always legitimately.

To exercise of justice is possible only in legal State, which guardant the legal being of human. It is oriented to protect the human rights and independence as the ideological axis of justice.

In each state exercise of justice is based on the statutory law forcibly or voluntarily. All civilized humanity participates in the implementation of justice as a universal ideal with its past and present and future. However, different cultures are involved with more or less possibilities and inclinations in implementation of the historical justice. Consequently, the degree of justice of various countries is measured regarding their contribution.

We consider that despite the fact that Georgia in the world history, till today reserves the basis of its own existence, in terms of the legal state arraignment still has a lot to do. The foregoing serves to two scopes:

1. Determining the difficulty of the specificity of the justice sense and
2. In the terms of the world global civilization, assist in forming of Georgian legal state.

## Резюме

Статья подготовлена в рамках исследовательского проекта «Философия правосудия и современность» на факультета юридического и международных отношений Грузинского технического университета.

Понятие справедливости, права по форме и содержанию неоднозначно. По ее содержанию определяется разносторонность культур и определяет эпохальные

изменения, а «Разнообразие форм» определяет сферу и воздействует на мораль, на социальные обстоятельства, на экономику, на политику.

Наша цель - исследовать эту мораль в соотношении с правовой справедливостью. Достигнуть справедливость право, а главное ее историческую закономерность, с собственной логикой, хотя это еще не значит, что оно всегда справедливо или законно. Справедливость осуществляется только и возможно в правовом государстве, которое представляется гарантом прав человека.

Оно ориентировано на право человека и его свободе, как опора идей справедливости. В государстве право осуществляется на основе нормативных законов, а также насильственным, или по доброй волей.

Право, как воплощение общечеловеческого идеала принимает участие в цивилизованном мире, своим прошлым, реальностью и будущим; Но в осуществлении этого исторического правосудия принимает участие разными возможностями и свойствами. Исходя с этого, то или иное демократическое государство измеряется непосредственным участием или по мере значимостью. Считаем, несмотря на то что Грузия в мировой истории до сегодняшнего дня сохраняет свои корни, по мере устройства правового государства, ей еще многое предстоит.

Представленная ее цель: 1.Понятие и специфика трудностей права;2.В условиях всемирной цивилизации становление Грузинского правового государства.

## გამოყენებული ლიტერატურა

- 1.არისტოტელე. ნიკომაქეს ეთიკა. თბილისი, 2003
- 2.არისტოტელე. ევდემოსის ეთიკა. თბილისი, 2016
- 3.ბურჯალიანი ა. სამართლის ფილოსოფია. თბ., 2012
- 4.ლობჯანიძე გ. სამართლის ფილოსოფია. I-II ტ. თბ., 2014
- 5.პლატონი. სახელმწიფო. წიგნიდან: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I წიგნი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009
- 6.ჰარტი ჰ.ლ.ა. პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა. წიგნიდან: სამართლის ფილოსოფია. რ.მ. დვორკინის რედაქციით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010
- 7.ИСТОРИЯ ПРАВОВОЙ МЫСЛИ. ПРАВО И СПРАВЕДЛИВОСТЬ. ПРАВО, ГОСУДАРСТВО И СПРАВЕДЛИВОСТЬ. В ЧИСТОМ УЧЕНИИ О ПРАВЕ\* Г. КЕЛЬЗЕН. Правоведение, 2013, № 2 (Никитич Л. А. Этика. М. ЮНИТИ-Дана, 2012
- 8.Ролз Джон. Теория справедливости. НОВОСИБИРСК, ИЗДАТЕЛЬСТВО НОВОСИБИРСКОГО УНИВЕРСИТЕТА, 1995. [https://baumands.files.wordpress.com/2011/02/24\\_rawls\\_theory\\_of\\_justice.pdf](https://baumands.files.wordpress.com/2011/02/24_rawls_theory_of_justice.pdf)
- 9.Электронная библиотека Института философии РАН «Новая философская энциклопедия» СПРАВЕДЛИВОСТЬ. <https://iphlib.ru/greenstone3/library/collection/newphilenc/document/>
- 10.<https://mimomxilveli.wordpress.com/>
- 11.<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library>

## 2. სამართლიანობა, როგორც ანტიკური ეპოქის ზნეობრივ-სამართლებრივი პარადიგმა

**პროფესორები:  
ირაკლი გაბისონია,  
ალექსანდრე ტალიაშვილი,  
სალომე ხიზანიშვილი**

ათასწლეულებით ადრე, ჩვენს ერამდე, სამართლიანობის საკითხი მტკივნეულ ცხოვრებისეულ საკითხთა შორის, უმთავრესად ითვლებოდა, ასეა დღესაც. აქედან გამომდინარე, სამართლიანობის არსის დადგენა ერთნაირად ღირებულება ნებისმიერი ტიპის ფილოსოფიური და სამართლებრივი დისციპლინისათვის. საქმე ეხება სამართლიან საწყისებზე საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობას, რაც კაცობრიობის განვითარების უწყვეტ პროცესში, ყველა დროის საერთო იდეალს წარმოადგენს.

სამართლიანობის, როგორც სოციალური ფილოსოფიისა და პოლიტიკური თეორიების ძირითადი ცნების კვლევით დაინტერესებულია ნებისმიერი პერიოდის ისტორიული აზროვნება - ანტიკური, შუასაუკუნეების, ახალი დროის, მოდერნისა თუ პოსტმოდერნის ეპოქები.

სამართლიანობა, როგორც აზროვნების მთავარი პარადიგმა, განმსაზღვრელი აღმოჩნდა ანტიკური სამყაროსათვის. ადამიანური არსებობის „ეთიკური საზრისი, გახსნილი ბუნებრივი, სამართლებრივი კანონის უნივერსალიზმში, წარმოდგენილი „ზოგადი ღირებულების მნიშვნელით“, სამართლიანობის ცნებით გახმოვანდა<sup>8</sup>.

ანტიკურ<sup>9</sup> სამყაროში სამართლიანობის კონცეფციის განვითარება ძველბერძნული და ძველრომაული საზოგადოების ფილოსოფიაზე და ეთიკაზე გავლით მიმდინარეობდა“. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულია სამი დიდი მოაზროვნის - პლატონის, არისტოტელესა და ციცირონის ფილოსოფიურ-სამართლებრივი მემკვიდრეობა. სამართლიანობა, როგორც ანტიკური სამყაროს ზნეობრივ-სამართლებრივი აზროვნების პარადიგმა, (განსაკუთრებით ეს ძველბერძნულზე ითქმის), კლასიკური აზროვნების ნიშნულით, მათ ეთიკურ-სამართლებრივ და პოლიტიკურ-სამართლებრივ დოქტრინებში გამოიკვეთა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ მოძღვრებებში ერთგვარად შეჯამდა ან, უფრო ზუსტად, მეცნიერული, არგუმენტირებული ახსნა მიეცა სამართლიანობის კვლევასთან დაკავშირებულ იმ რაციონალურ „მონაპოვარს“, რაც ზოგადად, ძველბერძნულ აზროვნებას მანამდეც ახასიათებდა და რაც მას არსობრივად გამოარჩევდა წინა პერიოდის საკაცობრიო აზროვნებიდან; კერძოდ, ძველბერძნულ-რომაული - რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან; მხედველობაში გვაქვს ინდური და ჩინური ფილოსოფია. (ეს ცალკე განხილვის საგანია).

ბუნებრივია, ჭეშმარიტებების ძიება ნებისმიერი დროის ადამიანური გონის არსობრივი მახასიათებელია. მაგრამ, წარმოდგენებზე დაფუძნებული ცოდნიდან საყოველთაო მნიშვნელობის ცოდნამდე შემეცნებელი გონის ამაღლება, საყოველთაო მნიშვნელობის კატეგორიებისა და ცოდნის უნივერსალური კრიტერიუმების დადგენისადმი მისწრაფება, ამა თუ იმ დიდ მოაზროვნეს, ფართო აზრით - ეპოქას, საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს. ამ აზრით, განსაკუთრებულია ანტიკური აზროვნების როლი თანამედროვე სოციალური ფილოსოფიის, ეთიკისა და სამართალმცოდნეობისათვის; პირველ რიგში, ეს სამართლიანობის არსის კვლევას ეხება.

8 Прокофьев А. В. Справедливость или преодоление человеческой природы// Этическая Мысль. М., 2003. С.23. Вып.4

9 ანტიკური ფ-ია ძველი ბერძნული, ელინისტური და რომაული ფილოსოფიური აზრის აღმნიშვნელი კრებისთი ტერმინია. იგი მოიცავს დასავლეთის მონათმფლობელურ საზ-ში ფ-იის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და კრიზისის ეპოქებს.

სამართლიანობის საკითხთან დაკავშირებული თემატიკის განხილვა-შეფასებას ვახდენთ სამი დიდი მოაზროვნის-სოკრატე-პლატონი-არისტოტელესი, ხოლო, რომაულიდან- ციცირონის შეხედულებებზე დაყრდნობით. თუმცა, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, (როგორც ამას ისტორიულ აზრთა მსვლელობა ითხოვს), სამართლიანობაზე დიადი ანტიკური აზროვნების სხვა წარმომადგენელთა შეხედულებები, რითაც მცირედ თუ მეტად, ასე თუ ისე, „დავალეულია“ როგორც პლატონისა და არისტოტელეს, ასევე, ციცირონის მოძღვრებები. მხედველობაში გვაქვს ბერძნებიდან სოკრატემდელები, ხოლო, რომაელებიდან - ისტორიკოსები.

რასაკვირველია, სამართლიანობის ცნების ფილოსოფიურ ინტერპრეტირებას ძველბერძნულ აზროვნებაში თავისი ღრმა მიზეზი აქვს; პროცესი უკავშირდება მითოსური წარმოდგენებიდან ადამიანური აზროვნების ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე გადასვლას; ადამიანის წინაშე იკვეთება სამყაროს რაციონალური ახსნის საჭიროება; რაც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობების ძიებას, საკუთარ მატერიალურ და სულიერ საწყისებზე „მე“-ს დაფუძნებას. ამ პერიოდში „ადამიანი გამოდის საკუთარი მე-დან, როგორც გრძნობად სინამდვილეში არსებულ-იდან და სამყაროს გავლით, ე.ი. მისი მთლიანობის გააზრებით, უბრუნდება საკუთარ თავს, როგორც გარკვეული ადგილის მქონეს სამყაროში“<sup>10</sup>. თუმცა, ეს გზა არაერთგვაროვანია. ადამიანი, ზოგჯერ, საკუთარ არსებობას ტრანსცენდენტურის არსებობას უქვემდებარებს, ზოგჯერ, დაეჭვებული და სასონარკვეთილი უსაზრისო ყოფნით, სამყაროსთან პირისპირ დგება და საკუთარ მოქმედებაზე პასუხისმგებლობას თავად კისრულობს;<sup>11</sup> თუმცა, საბოლოოდ, გონითი ქეშმარიტებების ძიების უწყვეტ გზაზე, ადამიანს ჰყოფნის პასუხისმგებლობა საკუთარი მოქმედებისათვის თანხმობაში მოვიდეს ყოფიერების მორალური წესრიგის რწმენასთან, რაც სიკეთის საბოლოო გამარჯვების იმედს იძლევა. ჩვენს მიერ, სამართლიანობის არსის კვლევა ამ აზრით მიმდინარეობს. კლასიკური ბერძნულ-რომაული კულტურა ადამიანისა და სამყაროს ამ უჩვეულოდ ღრმა, საინტერესო და მყარ ერთიანობაზეა განაცხადი. მისი სიდიადე ამ ერთიანობის უნივერსალური კავშირების არსებობის მტკიცებას ემსახურება. ადამიანის ზნეობრივ-სამართლებრივი ცხოვრებაც ამ საფუძველზე - სამყაროს წესრიგთან ადამიანის მორალური კავშირით იზომება.

ჩვენს მიერ, სამართლიანობის, როგორც ანტიკური ეპოქის ზნეობრივ-სამართლებრივი პარადიგმის ახსნა და გაგება, „ადამიანი-სამყაროს“ ერთიანობის დაცვის ანტიკურ იდეას უკავშირდება. უდავოა, ცივილიზაციის ნებისმიერ პერიოდში, სულიერი ღირებულებებისადმი, კერძოდ, სამართლიანობის იდეისადმი სამსახური კაცობრიობას ყოველთვის მოუწევს. სამართლიანობა შინაგანი, თანამდევნი „გრძნობა-მოთხოვნა“, ბუნებასთან ადამიანის კოსმიური კავშირების გამოხატულების ნიშნით. თუმცა, ბირთვული შეიარაღების, კონფორმიზმისა და უკიდურესი პრაგმატიზმის თანამედროვე ეპოქაში მისი დაცვის გარანტიების ცხოველმყოფელობაზე, უტყუარად ვერაფერს ვამტკიცებთ!

საინტერესოა, სამართლიანობის კვლევის თვალსაზრისით, რა ზნეობრივ-სამართლებრივი ტრადიციები დაუტოვა ანტიკურმა ეპოქამ ცივილიზებულ სამყაროს? ან, აღიარებული მოთხოვნებიდან, რა პრინციპების დაცვაზეა ორიენტირებული თანამედროვე ეთიკურ-სამართლებრივი აზროვნება? ნაშრომში აღნიშნულის განხილვას ვისახავთ მიზნად. სამართლიანობის ბუნების, მისი არსის, სამართლიანობის ცნების, მისი შინაარსისა და საგნის კვლევით, ვცდილობთ ვაჩვენოთ ანტიკური სამყაროს ის დიდი როლი, რითაც ამ ეპოქამ, თანამედროვეობამდე ათასწლეულებით ადრე, (კაცობრიობის ზნეობრივ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტით), ცივილიზებული სამყაროს ჩამოყალიბების პროცესში გარდატეხა შეიტანა.

სამართლიანობის ცნება, არსობრივ დატვირთვას ბერძნულ კულტურაში იძენს, აქ კონსტრუირდება როგორც ფილოსოფიური რეფლექსიის საგანი. მაგრამ, ვიდრე

10 Гуревич Б. С. Этика. М., 2006. С. 37

11 გურამ თევზაძე. ანტიკური ფილოსოფია. გამომცემლობა ჩარბე დიემ, თბილისი, 2015, გვ.6

საკითხს ახლოდან განვიხილავთ, სამართლიანობის ტერმინის ეტიმოლოგიაზე ვაკეთებთ გარკვეულ აქცენტს.

სამართლიანობის მნიშვნელობა გამოიყენება ისეთ ცნებებთან კავშირში, როგორცაა: სიმართლე, სამართლიანი, სწორი, სამართალი. მათ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაზე ნატალია კუდინსკაია საუბრობს თავის დისერტაციაში. მისი გადმოცემით, „სამართალს“ ინდოევროპული ძირი აქვს, რომლისგანაც წარმოიშვა ლათინური პრობუს-კეთილი, პატიოსანი, წესრიგიანი; ძველინდურად prabhus- ჩინებული (ძალით), წარმოსადეგი; ანგლოსაქსურად fram-ძლიერი, მოქმედი, მამაცი; ძველ ისლანდიურად framr-წინ მდგომი, წინ მსწრაფი. (ნათელია, რომ ზოგიერთ წარმოდგენილ კულტურაში, „სიმართლის“ ცნების საწყისი გაგება უკავშირდება განსაზღვრული ძალის, სიძლიერის და მისი მფლობელის უპირატეს არსებობას. თანამედროვე სასამართლო სისტემა იუსტიციად იწოდება (ინგლისურიდან- justice - პატიოსანი, მიუკერძოებელი); კიევის რუსეთის ეპოქაში, სიმართლე კანონის რანგში აღიოდა. ქართულად - „სამართალი (+ 118, 102 fsal. ZA) არის შჯა, მართლად გამყოფელობა ღირსებისაებრ თითოეულებასა (თითოეულებათა , თითოეულობად ). ZAB<sup>12</sup>

ძველ დროში, სამართლიანობა სამართალთან კავშირში განიხილება, ხოლო, ს-ობის განსხვავებული მნიშვნელობა სხადასხვა ენაში, ამა თუ იმ ხალხის კულტურისათვის<sup>13</sup> ტიპიურ შინაარსს ამჟღავნებს. კერძოდ, „თუ დასავლურ კულტურაში, სამართლიანობის ცნების აღნიშნული ინტერპრეტაციები იურიდიულ-სამართლებრივი აზრის ირგვლივ კონცენტრირდებიან, (ლათინურად, Justitia- სამართლიანობა), აღმოსავლურ და სლავურ ენებში იურიდიული კონტექსტის საწინააღმდეგოდ ხდება მათი მნიშვნელობის დაფიქსირება“<sup>14</sup>. მაგალითად, დასავლეთევროპული მნიშვნელობით, ს-ობა „წესებით ცხოვრებას“ ნიშნავს, არაბულ-მუსლიმანურით-„ჭეშმარიტებას“,სლავურ-რუსულით-„სიმართლეს, სამართლიანობას“. ხოლო, რაც შეეხება ს-ობის მნიშვნელობას, საკუთრივ ტერმინის ხარისხით, მხოლოდ ანტიკურ საბერძნეთში, გვაროვნული საზოგადოების პერიოდში, იწყებს იგი გამოყენებას. და რაც უფრო, „საინტერესოა, ანტიკურობაში სამართალი და ს-ობა ერთი მთლიანობაა, ვინაიდან, ორივე მათგანს ერთი და იგივე ღვთაება- თემიდა ემსახურება“<sup>15</sup> მისგან სასწორზე გადმოღვრილი მატერიალური სიუხვე კი „ყველა მოქალაქის მიმართ თანაბარი დამოკიდებულების გამოსატყულება“<sup>16</sup>

სიტყვა სიმართლე, სამართლიანობა, საჭიროს სინონიმით, ანუ, პირველადი ზნეობრივი მნიშვნელობით, ჰომეროსოს (ძვ. ბერძნ. ποιός; ძვ.წ VIII საუკუნე) - ლეგენდარული ბერძენი პოეტის (ილიადისა (Ιλιάς) და ოდისეის (Ὀδυσσεια) ავტორი) „ოდისეაში“ გვხვდება: „უკანონოთა საქმეები მაინც არ უყვართ ნეტარ ღმერთებს; სიმართლე ერთია და მათთვის მისაღები ადამიანთა კეთილი ქმედებებია“<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, ტერმინი „სამართლიანობა ჰომეროსთან იღებს პირველად „თავის ჭეშმარიტად მორალურ მნიშვნელობას“<sup>18</sup> მისი ეპოსის გმირებისათვის, უპირველესი მნიშვნელობა „ყოფიერება-ბედის“ კანონებს აქვს და არა მორალის კანონებს; ძველბერძენი გმირი

12 სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1993, გვ.37

13 Кудинская Н. И. Справедливость как социальный феномен и философская категория. Санкт-Петербург, 2013; <http://www.dslib.net/soc-filosofia/spravedlivost-kak-socialnyj-fenomen-i-filosofskaja-kategorija>.

14 Кудинская Н. И. Справедливость как социальный феномен и философская категория. Санкт-Петербург, 2013; <http://www.dslib.net/soc-filosofia/spravedlivost-kak-socialnyj-fenomen-i-filosofskaja-kategorija>

15. Канарш Г. Ю. СОЦИАЛЬНАЯ СПРАВЕДЛИВОСТЬ:ФИЛОСОФСКИЕ КОНЦЕПЦИИ И РОССИЙСКАЯ СИТУАЦИЯ. Издательство Московского гуманитарного университета. 2011, 22

16 Становление и развитие представлений о праве и справедливости Главная>Становление и развитие представлений о праве и справедливости. Просмотр Сюда ссылаются Номер журнала: 4/2012 Автор: Торгашев Г.А. <http://49e.ru/ru/2012/4/5>.

17 КОНЦЕПЦИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ В АНТИЧНОМ И ЕВРОПЕЙСКОМ СОЗНАНИИ. Архимандрит Платон (Игумнов)]. <https://cyberleninka.ru/article/v/kontseptsiya-spravedlivosti-v-antichnom-i-evropeyskom-soznanii>-Вопросы культурологии и философии.

18 Тренчени-Вальдапфель И. Гомер и Гесиод. М., Издательство иностранной литературы, 1956, С. 86



„სიმართლის, სამართლიანობისათვის მებრძოლია“, ბნელ ძალებზე გამარჯვებული;<sup>19</sup> „უმაღლესი ს-ობის გარანტიად“ კი ღმერთები გამოდიან. ტროას ომში გამარჯვების მოქმედება ღმერთების მონაწილეობით მიმდინარეობს. ომი ღვთის ნების გამოხატულებაა, მისი რეალიზაციაა. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰომეროსთან პასუხისმგებლობა კეთილ ან ბოროტ, სამართლიან ან უსამართლო ქცევაზე, საბოლოოდ მაინც ადამიანს ეკისრება. „ოდისეაში“ ჰომეროსი თვით ზევს ათქმევინებს: „ვაგლახ! როგორ გვამტყუნებენ კაცნი, თითქოს ჩვენ ვიყოთ ყოველგვარი ბოროტების სათავე! ნამდვილად ხომ თავიანთი უმეცრების გამო ატყდებათ თავს ხვედრით არმიგებულ უბედურება“.<sup>20</sup> ეს ამონარიდიც საკმარისია იმისათვის, რომ გავიზიაროთ ეჭვი იმის შესახებ, რომ: „ანტიკური ხანიდან მოყოლებული ჯერაც გაურკვეველია.

სწამს თუ არა ჰომეროსს ქვეყნობა? ბერძნული ღმერთის არსებობა?<sup>21</sup> მაგრამ, საკითხს თუ კომპლექსურად მივუდგებით, შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსის პანთეონში ერთმანეთთან არის შერწყმული სამყაროს ერთიანობისადმი ადამიანის დამოკიდებულების რელიგიური, რაციონალური და მითოლოგიური ასპექტები. ანუ, ჰომეროსს სწამს ღმერთის არსებობა („ადამიანთა ვედრება სწვდება ღმერთებს!“), მაგრამ, მის ეპოსში ღმერთებისადმი რაციონალური მიდგომის კვალიც ჩნდება. რაც თავის მხრივ, ანტიკურ ეპოსში ფილოსოფიური აზროვნების საწყისების არსებობაზე მიუთითებს. ანტიკური ტრადიცია ჰომეროსს ამიტომ მიიჩნევს არა მხოლოდ დიდებულ მგოსნად, არამედ ასევე, ფილოსოფოსად.

ანტიკური პოეზიის მეორე ქურუმი, - ჰესიოდე (ძვ. ბერძნ. Ὡϊόδοϛ; დაახლ. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა ემოღვანევა) -ევროპული კულტურის ისტორიაში პირველი მორალისტი. მისი პოემა „სამუშაოები და დღეები“ გაუფლენთილია მორალურ-დიდაქტიკური მოტივით, ის დამრიგებლური, მორალიზებული ხასიათისაა. (თუმცა, პოეტი ტრადიციასაც არ ღალატობს. მისი მეორე პოემა „თეოგონია“, მოგვითხრობს ძველი ბერძნული პანთეონის ნევრთა სხვადასხვა მითოლოგიურ არსებათა წარმოშობის შესახებ,<sup>22</sup> რომელთა შორის მრავალი მათგანი ბუნების ამა თუ იმ მოვლენის უბრალო პერსონიფიკაციაა). ჰესიოდესთან საგმირო ეპოსის „ღვთაებრივ-ობიექტურ“ საფუძველს (ანტიკურობის ადრეულ პერიოდში), უცხო ნაკადი-პიროვნული ანაცვლებს. ბერძნულ ლიტერატურაში ამ ვითარებას სამართლიანობის გაგებასთან დაკავშირებით, ცვლილებები შეაქვს. ჰესიოდე გვასწავლის: „ადამიანმა სხვის სიკეთეზე შურის, მცონარობისადმი მიდრეკილებების, სიყალბისა და უსინდისობის გადალახვით, შრომის მორალურ იმპერატივზე დაქვემდებარებითა და თავის ცხოვრებაში სამართლიანობის იდეალის დამყარებით, ბედნიერებას უნდა მიაღწიოს“<sup>23</sup>.

ჰესიოდეს მსოფლმხედველობის შეფასებისას, (კონკრეტულად, სამართლიანობის ცნების გაგებასთან დაკავშირებით), უნდა გავითვალისწინოთ თანადროული ისტორიული ვითარებისადმი მისი დამოკიდებულება. ის „იდეურ ცვლილებას“ განიცდის, რაც უკავშირდება საბერძნეთში დიდ გარდატეხას - იწყება ელინთა დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა. ჰესიოდე კრიტიკულადაა განწყობილი თავისი ეპოქის სოციალური რეალობისადმი;

ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში, სამართლიანობის ცნება ახლებურ შინაარსს იძენს. ფილოსოფოსი „ჰომეროსს (და არა ჰესიოდეს!) გასამათრახებლად მიიჩნევს, თუმცა აღიარებს, რომ ის ყველა ბრძენზე, ერთად აღებულზე ჭკვიანი იყო“<sup>24</sup>. იგი „ჭკვიანი“ გენიოსის მიმართ სიმკაცრეს მითოსისადმი მისი დამოკიდებულების გამო იჩენს.

19 Разин А. В. Этика. М., 2004. С. 97

20 რომან მიმინოშვილი.საოცარი შემოქმედი. საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია. <http://www.webmix.ge/vvi/doc.php?doc=1892>

21 ჰომეროსი. ოდისეა. თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979, გვ.66

22 ჰომეროსი. ოდისეა. თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979, გვ.66

23 Гусейнов А. Иррлиц Г. Краткая история этики. М., 1987, С.25

24 Kranz W., Vorsokratische Denker Berlin, 1959, გვ 78

ჰერაკლიტესთან („ბნელ ფილოსოფოსად“ წოდებული), ადამიანი და მისი სულიერი სამყარო კვლევის მთავარი ობიექტია. ხოლო, სულის მთავარი დანიშნულება და მიზანი ანუ, ფართო გაგებით, ადამიანური შემეცნების მიზანი, თვითკმარ და ჰარმონიულ კოსმოსში საკუთარი ადგილის მონახვაა, რაც ლოგოსთან იგივეობის დადგენით მიიღწევა. მაგრამ, ბუნებრივია, ადამიანის ასეთი „თამამი ნაბიჯი“ მას მეტი პასუხისმგებლობის წინაშეც აყენებს. ლოგოსის აუცილებელი და საყოველთაო ბუნების ამოცნობა, მისი კანონის გაგება პიროვნულის დაძლევიტ უნდა მოხდეს. ამას გულისხმობს ფილოსოფოსის ცნობილი გამოთქმა: „მე კი ნუ მისმენთ, არამედ ლოგოსის მოსმენით თქვით სიბრძნე, რომ ყველაფერი ერთია“.<sup>25</sup> „ღრმად მტირალმა“ მოაზროვნემ იცის, რომ თვით „უბრძნესი ადამიანი მაიმუნად ჩანს ღმერთთან შედარებით“, ნებისმიერი აზრით; იგი „ჩივის“ ადამიანური სისუსტეების გამო, იმის გამო, რომ „ღმერთის ხმას ყურს არავინ უგდებს, სამყაროს კანონს არავინ მისდევს, ღვთაებრივ სიტყვას ვერავინ სცნობს“.<sup>26</sup> მაგრამ, ფილოსოფოსისთვის ისიც ცხადზე ცხადია, რომ მხოლოდ ადამიანს შეუძლია „ჭეშმარიტების გამოთქმა“ („ალეთეია ლეგეინ“), რაც იგივეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია ლოგოსისაკენ სვლა, მისი კანონის შეცნობა, რაც ბუნების შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობასაც იძლევა; უფრო მეტიც, ეს ადამიანური მოვალეობაა. ჰერაკლიტე ამ არგუმენტზე დაყრდნობით საუბრობს კანონისა და სამართლიანობის იგივეობაზე: „აზრი ბევრია - კანონი ერთი, და ყველა დადებითი ადამიანური კანონი თავის ძალასა და სიმართლეს, თავის საყოველთაობას მისგან იღებს, საზოგადოება დაფუძნებულია კანონზე, ადამიანები მის საფუძველზე იმეცნებენ სამართლიანობა რა არის“<sup>27</sup>. ამიტომ, „ხალხმა კანონისა და სამართლიანობის გამარჯვება ისევე გმირულად უნდა დაიცვას, როგორც თავისი ქალაქის კედლებს დაიცავდა“<sup>28</sup>. ჰერაკლიტე პირველია ჰეგელის თანახმად, ვინც აღიარებს დიალექტიკას, როგორც პრინციპს; „ყველაფერი მიმდინარეობს“ მუდმივი ბრძოლის საფუძველზე, ეს ბრძოლა ყველა არსებულს მოიცავს. ჰერაკლიტეს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: „ბრძოლა ყველაფრის მამაა, ყველაფრის მეფე და ერთნი მან ღმერთებად (გმირებად) განაწესა, მეორენი - ადამიანებად, ერთნი მონებად შექმნა, სხვები-თავისუფლებად“<sup>29</sup>.

სამართლიანობის ცნების გაგებაში რადიკალური ცვლილებები სოფისტებს შეაქვთ. თუმცა, მანამდე დემოკრიტეს შეხედულებებს განვიხილავთ. დემოკრიტეს სოფისტების მსგავსად, სოკრატემდელებს აკუთვნებენ. მაგრამ, დემოკრიტე „არც ქრონოლოგიურად და არც ლოგიკურად არ ეკუთვნის სოკრატემდელებს“;<sup>30</sup> კონკრეტული გაგებით, ის წინამორბედთა შემრიგებლური თვალსაზრისებისა და სოფისტიკის მატერიალისტური მხარეების გადალახვას ცდილობს; (სოკრატესი და პლატონის ფილოსოფიაში ეს პროცესი რადიკალურ შეფასებებს იღებს). ამ აზრით, დემოკრიტე კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის წარმომადგენელია; ისტორიულად ეს პერიოდი - (სოკრატედან არისტოტელემდე), იწყება ათენის დემოკრატიული მმართველობის აყვავებით და მთავრდება ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში პოლისის, - ავტონომიური ქალაქ-სახელმწიფოს როლისა და ფუნქციის დაკარგვით, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის შინაგანი კავშირის რღვევით. დემოკრიტე, თანამედროვეებთან ერთად, ორიენტირებულია კოსმოსისა და ადამიანური არსებობის ერთიანობის განმტკიცებზე, მის დაცვაზე. ამ პოზიციით ჩვენ ვარღვევთ გარკვეულ თანმიმდევრობას და დემოკრიტეს შეხედულებებს სოფისტების სოციალური თვალსაზრისების გადმოცემამდე წარმოვადგენთ.

დემოკრიტეს მტკიცებით, ცხოვრების ნებისმიერ ვითარებაში აუცილებელია „ზომის“ დაცვა, რაც, თავის მხრივ, იძლევა შესაძლებლობას „მოიქცე ბუნების შესა-

25 Kranz W., Vorsokratische Denker Berlin, 1959, . 68

26 Трубецкой С. Н. Метафизика в Древней Греции. М., 1910, С.239;

27 Трубецкой С. Н. Метафизика в Древней Греции. М., 1910, С.236

28 იქვე, 237

29 Kranz W., Vorsokratische Denker Berlin, 1959, გვ. 71

30 გურამ თევზაძე. ანტიკური ფილოსოფია. გამომცემლობა Carpe diem, თბილისი, 2015, გვ.6

ბამისად, რადგან ის, რაც ბუნების შესაბამისია -სამართლიანია“. <sup>31</sup> დემოკრიტეს ეთიკურ განაზრებებში, ბედნიერებაც სამართლიანობის საფუძველზე მიიღწევა. „მოცინარე ფილოსოფოსი“ ამ ვითარებას ასეთნაირად გვიხსნის: „იმას, ვისაც სულის კეთილი მდგომარეობა აქვს, ყოველთვის სამართლიანობისა და კანონიერი საქმეებისაკენ ისწრაფვის, ამიტომ, ცხადშიც და სიზმარშიც გახარებული, ჯანმრთელი და უსაფრთხოა. ხოლო, ის, ვინც სამართლიანობას ვერ ფლობს და თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, მოგონებები, თავის სულელურ საქციელებზე, ზიანს აყენებს და მუდმივი შიშისა და თვითგანსჯის მდგომარეობაშია“<sup>32</sup>.

დემოკრიტეს აზრით, სამართლიანობა როგორც სათნოება ადამიანის სულის ბუნებასთან თანაშენწობას და არა მის წინაშე შიშს ან იმედს უკავშირდება; ის განსაზღვრულია ბუნებრივი ანუ, სულიერი მისწრაფებით და არა გარეშე მიზეზებით. ხოლო, რამდენადაც სამართლიანობის მოთხოვნა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა, ის თავის ექსისტენციურ საყრდენს ყოველთვის „შეგულიანებული“ ესწრაფვის; ის ადამიანური სიკეთეების წყაროა, დაფუძნებული არა გარეგანზე, არამედ მისთვის არსობრივზე -სულიერ სიკეთეებზე; „ს-ობის გვირგვინი სულის სიმამაცე და აზრის უშიშრობაა, უსამართლობის საზღვარი კი-უბედურების მუქარის შიში“. სამართლიანობა პიროვნების ზნეობრივი სრულყოფილების საზომია.

სამართლიანობის ცნება სოფისტებთან სხვა დატვირთვას იღებს. ის ერთგვარად იცლება „არა ობიექტური“, „არა ბუნებრივი შინაარსისაგან“ და ადამიანური მოცემულობა ხდება. იმ გაგებით, რომ სამართლის, სამართლიანობის, ზნეობრივი წესების მართვის სადავეებს ცხოვრებისეული ადამიანი იღებს, საკუთარი მისწრაფებებითა და წარმოდგენებით, საკუთარი არგუმენტაციით.

სოფისტები ბერძნული კლასიკის ანთროპოლოგიურ პერიოდს განეკუთვნებიან. საუბრობენ სოფისტების ორ თაობაზე: უფროსი თაობის (პროტაგორა, გორგია, ჰიპიასი და სხვ.) წარმომადგენლები ე.წ. „განმანათლებლები“, ხოლო, უმცროსი თაობის წარმომადგენლები არიან ალკიდამანტი, ანტიფონი. სიტყვა „სოფისტი“ („სიბრძნის მასწავლებელი“), არასახარბიელოდ ითვლებოდა. სამართლიანად შენიშნავს აკად. გ. თევზაძე, მათი სახელის გატეხვაში სოკრატეს, პლატონსა და არისტოტელეს მიუძღვით ბრალი. თუმცა, ამ სამი დიდი გენიოსი კრიტიკოსის მათ მიმართ დიდი ყურადღება სოფისტების დიდ გავლენებზეც მიუთითებს.

სოფისტები მოღვაწეობენ იმ პერიოდში, როცა ადამიანის სულში „კოსმოსის უჩვეულო მუსიკა ნავლდება“; როცა ადამიანი საკუთარ წარმავლობას ზომიერად მტკივნეული, თამამი განცდით აცნობიერებს და ამქვეყნიური სამართლიანობის, სამართლის, ზნეობის, მორალის საკითხების გარკვევას თავად კისრულობს, თავად ცდილობს საკუთარი ცხოვრებისათვის თამაშის წესების შემუშავებას. ცნობილია პროტაგორას დებულება: „ყველა საგანთა საზომი ადამიანია („პანტონ ხრემატონ მეტრონ ესტინ ანთროპოს“), არსებულთათვის, როგორც არსებულთა და არარსებულთათვის, როგორც არარსებულთა“<sup>33</sup>.

სოფისტების განმანათლებლური მისწრაფებები ეფუძნება ძირითადად, ორ ფაქტორს, რომელიც მათი მოღვაწეობის ხელისშემწეობად იქცა; 1. ფილოსოფიურ მოძღვრებათა (მილეტელი ფიზიკოსებისა და ელვატელი მეტაფიზიკოსების) დაპირისპირება, რაც გამოიხატება შეუთანხმებლობით მათ მიერ წამოჭრილი „მოუგვარებელი საკითხების“ გამო; წინამორბედთა ნააზრევში სამყაროს, ბუნების შემეცნება შეუძლებლად ჩაითვადა. ეს გახდა წინაპირობა იმისა, რომ სოფისტებთან კვლევის ვექტორი ადამიანზე გაჩერდა. 2. ისტორიული ვითარება,-ძვ.წ.V ს. შუა წლებში საბერძნეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაძლიერებულია, პოლისური დემოკრატია ყვავის, ცხოვრების შუაგულში ერთვება თავისუფალი მოქალაქე მაღალი ცხოვრებისეული მოთხოვნებით, სამართლებრივი და ზნეობრივი პრობლემების გადაწყვეტილებ-

31Иванов В. Г. История этики Древнего мира. СПб., 1997. С. 147

32 Материалисты Древней Греции: собр. текстов Демокрита, Гераклита, Эпикура. М., 1955. С. 155-156

33 Kranz W., Vorsokratische Denker Berlin, 1959, გვ. 212

ბების ინდივიდუალისტური კრიტიკიუმებით, ქეშმარიტებაზე, მორალზე, სამართალზე და ა.შ. საკუთარი პოზიციების დაცვით.

სამართლიანობის ცნება, ცენტრალურია სოფისტების ეპოქიდან მთელი ელინისტური პერიოდის მანძილზე, და შემდეგ, უფრო ფართო დატვირთვით, ელინიზმის პერიოდში. ს.ს. ავერინცევის სამართლიანი თქმით, პროტაგორადან და მისი გარემოცვიდან დაწყებული პერიოდი ეს არის „ე.წ. ათენური ინტელექტუალური რევოლუციის ხანა“;<sup>34</sup> „ბერძნული კულტურის ავტორეფლექსიით, რეალიზებული რიტორიკის გამოვლინებით, საზოგადოებათმცოდნეობითა და ჩამოყალიბებული ფილოსოფიური სასკოლო განათლებით“.<sup>34</sup>

ეს არის დრო, როცა ფილოსოფიური რეფლექსიის საგანი (ურთიერთმეფარდების პრინციპით), ხდება ბუნება, კანონი და ს-ობის ცნება. სოფისტები სამართლიანობის ანთროპოლოგიურ თვისებაზე ამახვილებენ ყურადღებას; მის საყოველთაო და ზოგად ხასიათზე უარს აცხადებენ; ახდენენ სამართლიანობის რელატივიზაციას. შესაბამისად, მორალურ საკითხებში ადამიანის დამოუკიდებლობას აღიარებენ და მორალურ ღირებულებებსაც სუბიექტურად, შეფარებითად აცხადებენ; სამართლიანობას ორად ყოფენ-„ბუნებით სამართლიანობად“ და „კანონით სამართლიანობად“, ხოლო, კანონებს- დანერვილ, ხელოვნურ, ანუ ადამიანურ, პოზიტიურ კანონებად და ბუნებრივ, დაუნერვილ კანონებად; დანერვილ კანონებს ბუნებრივი სამართლიანობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევენ. „ამაში ისინი ერთსულოვანნი არიან. თუმცა, აზრები იმასთან დაკავშირებით იყოფა თუ რა არის ბუნებრივი სამართლიანობა“.<sup>35</sup>

გორგია, ანტიფონი უარყოფენ შთამომავლობით უპირატესობებს, აღიარებენ ადამიანის ბუნებითი თანასწორობის იდეას, ალკიდამანტი უარყოფს მონობის სამართლიანობას; მამინ, როდესაც, თრასიმაქეს მტკიცებით, სამართლიანი ყველაზე მეტად უსამართლოსთან აგებს; ამ აზრს იმით აძლიერებს, რომ რეალურად, უსამართლობა სამართლიანობაზე ძლიერია, ვინაიდან, მასში უფრო მეტია ძალა, თავისუფლება და ძალაუფლება; სამართლიანობა ისაა, რაც ძლიერისათვის მისაღებია, სამართლიანობა ძლიერისათვის სარგებლიანობით იზომება; სამართლიანობა სუბიექტურია, პიროვნულია, ის არ ატარებს უნივერსალურ შინაარსს, ამდენად მას უნივერსალური მნიშვნელობა ვერ ექნება.

სოფისტების ინტელექტუალური სიმამაცე თითოეული ადამიანის მოთხოვნების დაცვას ითვალისწინებს; მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების უპირატესობის აღიარებას ემსახურება; მაგრამ, რამდენადაც სოფისტებთან პიროვნული უნარების განხორციელების შედეგები სარგებლიანობის მოპოვებით იზომება, სახელმწიფოს არსებობაც ადამიანთა პრაგმატულ მოსაზრებებს ეფუძნება. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოშობის ღვთაებრივი იდეა ქრება, რაც ძველი ელინის ცნობიერებაში ბუნების მიხედვით ცხოვრების იმპერატიული საფუძველის ჩამოშლას გულისხმობს. ბუნების ღვთაებრივი კულტის გაქრობის გამო, მასში შემავალი კანონები ძალას კარგავენ, რომელიც ადამიანური სამყაროს უმაღლეს ნორმებად არაინ წარმოდგენილნი; სამოქალაქო ცნობიერებაში ბატონდება სარგებელზე დამყარებული სუბიექტური მორალი და გაყალბებული სამართლის პრინციპები; სამართლის, სამართლიანობის, ზნეობის საფუძველების ობიექტურობას სუბიექტური სარგებლიანობის მოთხოვნა ანაცვლებს. ქეშმარიტებაც სარგებლიანობით იზომება. (აზროვნებაში რადიკალური ცვლილებები, ისტორიულად, ემთხვევა პერიოდს, როცა ბერძნები პელოპონესთან ოცნლიან წარუმატებელ ომში არაინ ჩაბმულები. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში რელატივისტური მიდგომები პოლისის ძლიერებას არყვეს!); ამ დაშვებებიდან გამომდინარე, სოფისტების ჩანაფიქრი, რომელიც თავდაპირველად

34 Шохин В. К. Философия ценностей и ранняя аксиологическая мысль. М., 2006. С. 103

35 <http://49e.ru/ru/2012/4/5/>; Становление и развитие представлений о праве и справедливости Главная › Становление и развитие представлений о праве и справедливости; Просмотр Сюда ссылаются Номер журнала: 4/2012 Автор: Торгаше Г.А. Краткая информация об авторе (ах): Учёная степень: доктор философских наук Учёное звание: профессор

ორიენტირებულია მიწიერი სამართლიანობის დამყარებაზე, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოქალაქის თავისუფლების მაღალი ხარისხით, მარცხით მთავრდება. სოციალურ საკითხებში უკიდურესი რეალტივიზმით, სოფისტების მსოფლმხედველობა და პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელიც ბუნების, სამართლისა და კანონის ერთიანობას ეჭვქვეშ აყენებს, ბუნებრივია, სერიოზული კრიტიკის ობიექტიც ხდება. მისი „დემონსტრაციული ტოტალური ნეგატივიზმის პოზიცია, საყოველთაოდ აღიარებული სოციალურ-კულტურული ნორმებისა და ფასეულობების მიმართ“ ადამიანის სულიერ სამყაროს უპირისპირდება და როგორც შინაგანი განხეთქილების მატარებელი, მიუღებლად ცხადდება.<sup>36</sup>

ძველი და ახალი თვალსაზრისების გადაკვეთის წერტილზე, ერთ მხარეს, სოფისტები არიან, დაძლეული და დაუძლეველი წინააღმდეგობებით, მეორე მხარეს -სამი გენიოსი-სოკრატე, პლატონი და არისტოტელე. ამ უკანასკნელთა შეხედულებები საკაცობრიო აზროვნებაში დიდ ცვლილებებს განაპირობებს; იგივე ითქმის სამართლიანობის ცნებასთან დაკავშირებით. სამივე მოაზროვნესთან სამართლიანობის ცნება სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. ეს ანტიკური სამყაროს დიდი მონაპოვრია.

ძვ.წ.აღ-ის V საუკუნის მეორე ნახევრიდან, ძვ.წ.აღ-ით IV საუკუნის ბოლომდე კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის პერიოდია, გარდამტეხი ეტაპი ანტიკური ფილოსოფიური და სამართლებრივ-ზნეობრივი აზრის ისტორიაში. როცა ათენურ სახელმწიფოში, ადამიანური ურთიერთობების დიდსა და მრავალფეროვან სივრცეში, საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ-პოლიტიკური მოწყობის საკითხი ცენტრალური ხდება. სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებებში სამართლიანობის არსის გარკვევა ფილოსოფიურ საკითხთა შორის უმთავრეს ადგილს იკავებს. პლატონმა ამ თემას მიუძღვნა „სახელმწიფო“ და „კანონები“. არისტოტელემ - „პოლიტიკა“. სოკრატეს წერილობითი შრომები არ შეუქმნია. ის, საკუთარ მისიას მხოლოდ ჭეშმარიტების მუდმივ ძიებაში ხედავს, საბოლოო ჭეშმარიტების „მოუხელთებლობის“, მისი მიუკვლეველი და შეუცნობადი ბუნების გამო.

ეპოქალური შემობრუნების სათავეში სოკრატე დგას. მის წინაშეა აზროვნების ორი ტრადიცია და შესაბამისად, ორი მოთხოვნა: მან ელინურ კულტურაში კოსმოსის დომინანტური მნიშვნელობა უნდა დაიცვას, ხოლო, მასთან შესაბამისობა-დაქვემდებარებით, ადამიანის ბუნების სიღიადე უნდა წარმოაჩინოს.

სამივე მოაზროვნის მოძღვრებაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ისტორიული ვითარება. მათი მოღვაწეობა ემთხვევა ბერძნული პოლისური დემოკრატიის აყვავების ხანას, როცა ადამიანის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის პოზიტიური შედეგები ცხოვრებაში მყარად იკიდებს ფეხს, როცა მოქალაქის ინტერესები სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებსა და ინტერესებს უიგივდება, როცა ადამიანური სამართლიანობა ბუნებრივ სამართლიანობასთან თანაზიარობის განცდით ღებულობს ძალას, როცა ინდივიდის ზნეობრივი ცხოვრება ეფუძნება ზომიერებას-სათნოებათაგან (ძველი ელინისათვის) ერთ-ერთ უძირითადესს.

სოკრატე, (პლატონთან და არისტოტელესთან ერთად), ელინური კულტურის მწვერვალზეა. ის ორიენტირებულია (ეს უფრო პლატონს ეხება), საყოველთაო და მარადიული, უძლეველი, ბუნებრივი, ანუ ღვთაებრივი კანონის დაცვაზე, სამართლიანობის ღვთაებრივი პრინციპების აღიარებითა და რეალურ ადამიანურ ცხოვრებაში მათი განხორციელების აუცილებლობის მოთხოვნით. და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მასთან წინა პლანზე წამოწეულია სამართლიანი, ზნეობრივი ადამიანური ცხოვრების დამკვიდრების საქმეში შემეცნებელი სუბიექტის როლი, ხოლო, სახელმწიფოებრივი ცხოვრების საყრდენების გაძლიერებაში, უმთავრეს პირობად აღიარებულია მოქალაქის მიერ ცოდნის საფუძვლების დაუფლება. (სოკრატეს მოთხოვნები როგორ ეხმიანება თანამედროვეობას!) სოფისტებმა ცოდნა ვერ დააფუძნეს და ზნეობისათვის ზიანის

36 მარინა გარიშვილი. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში. ლექციების კურსი. თბილისი, 2010. გვ.36

მომტანნი აღმოჩნდნენ. დიოგენე ლაერტი სოკრატეს მორალური ფილოსოფიის მამამთავრად ასახელებს. (თალესს-ნატურფილოსოფიის, ხოლო, პლატონს-დიალექტიკის მამამთავრად). რუსი ფილოსოფოსი ბ.ა. კანკე მას რაციონალური ეთიკის დამფუძნებლად მიიჩნევს. მისი მტკიცებით, სოკრატე „პირველი იყო, რომელმაც სამართლიანობის დაფუძნება მოქმედი ეთიკური კანონებით მოითხოვა“.<sup>37</sup> სოკრატესთან, სამართლიანობა კანონთან მიმართებით მიიღწევა, რომელიც ცოდნას ეფუძნება, სიკეთის პრინციპების ცოდნას; ხოლო, უსამართლობა გაიგება როგორც ბოროტება, ცოდნის არქონის გამო.

უდავოა, სოკრატესთან ეთიკური რაციონალიზმის აუცილებლობა იკვეთება. ამ ვითარებას არა ერთი ფაქტორი განაპირობებს. იმდროინდელ საბერძნეთში მონათმფლობელური დემოკრატიის დასუსტების ტენდენციები შეიმჩნევა, რასაც გარკვეულწილად სოფისტების მოღვაწეობამ შეუწყო ხელი. მართალია, ბერძნული პოლისის სიძლიერის საფუძვლების რყევას სოკრატესაც აბრალებენ, მაგრამ სინამდვილეში, სოკრატე სოფისტების სკეპტიციზმის გადალახვას ცდილობს (ამაზე ნაწილობრივ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ). და ამას, აკეთებს უპირველესად, მოქალაქის ზნეობრივი დაცულობის მოტივით. გენიოსი მოსწავლის-პლატონის მსგავსად, იდეალური სახელმწიფოს შექმნის იდეასაც ამ მიზნით გვთავაზობს.

სოკრატე, საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად სოფისტებისაგან განსხვავებულ მიმართულებას ირჩევს. ადამიანურ სამყაროში სათნოების დასამკვიდრებლად, ფილოსოფოსი გზების მოძებნას თავად ადამიანს აკისრებს, ის მოკვდავს ყოფიერებასთან ერთგვარ საუბარს აიძულებს, აჩვენებს, თვითჩაღრმავების, თვითცნობიერებამდე მისვლის გზით; ამის წინაპირობად კი ცოდნას ასახელებს, გონების ძალისხმევაზე დაფუძნებულ ცოდნას -სიბრძნის მოპოვების იმედით, რომელიც მარადიული სამყაროს კანონზომიერებასთან ზიარებით მიიღწევა, მიზანი ადამიანური სამყაროს გაკეთილშობილებაა, თავად ადამიანის ზნეობრივ-სამართლებრივი ღვაწლმოსილებით. „ქრისტემდე ქრისტეანი“ ამ მოტივით ცდილობს (საკუთარი სიცოცხლის ფასად!), სამართლიანი, ზნეობრივი სამყაროს ჩამოყალიბების დაუსრულებელ საქმიანობაში ადამიანის პრაქტიკულ ჩართვას, იმის მტკიცებით, რომ შემეცნებელი ადამიანის გზა, ამავე დროს, არის სამართალცნობიერი სუბიექტის გზა. როცა სამყაროსეულ წონასწორობასთან მუდმივი თანაზიარობით ის ვალდებულებას იღებს საკუთარ ყოფიერებას მყარი საფუძვლები მოუძებნოს და კანონისადმი ზიარებით, სამართლიანი კანონმორჩილების პრინციპებისადმი დაქვემდებარებით საკუთარი ცხოვრება მართოს.

დიდი წინამორბედი, სამართლიანი ცხოვრებისათვის უტყუარ ჭეშმარიტებად სთვლიდა პრინციპის დაცვას — „უმჯობესია უსამართლოდ დაისაჯო, ვიდრე უსამართლოდ მოიქცე“. ხოლო, ის ფაქტი, რის გამოც მან საკუთარ თავს აუკრძალა უსამართლობაზე უსამართლობით არ ეპასუხა, (სიკვდილზე სასჯელი უაპელაციოდ მიიღო!), სამართლიანობაზე მის წარმოდგენებს საბოლოოდ ამტკიცებს. (საკუთარი იდეალების ღალატი ბრძენს სიკვდილზე საშიშად მიაჩნდა).

მაგრამ, არსებობს სხვა მხარეც. სოკრატეს ტრაგიკულმა ხვედრმა დემოკრატიული ათენის მკვიდრნი და მით უფრო, კაცობრიობა, უსამართლობის ძალმოსილებაშიც დაარწმუნა, რომელიც უკავშირდება ადამიანური კანონის არსებობის არასრულყოფილებას, მის უმართებულობას და ზოგადად, ამ ქვეყნად ადამიანური სამართლიანობის დამკვიდრების სიძნელეებს. ადამიანური სამართლიანობა-უსამართლობის აღსრულების მკაცრი პირობები სიკვდილმისჯილმა ბრძენმა პრაქტიკულად თავად გაიარა. თუმცა, მას „უღირდა“ ასეთი თავგანწირვა! დემოკრატიული პოლისის მოქალაქემ, საკუთარი სიკვდილით სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებისადმი პატივისცემა დაადასტურა, მათ დაცვას მნიშვნელობა და ძალა შესძინა. თუმცა, ისიც ამხილა, რომ ადამიანური კანონი, თუ იგი მორალს ღალატობს და მხოლოდ ძალას

37 Канке В. А. Этика ответственности. Теория морали будущего. Науч. изд.-М., Логос, 2003. С. 322

ემორჩილება, (სოფისტები პოლიტიკაში ძალის გამართლებამდე მიდიან!) არასამართლიანია და ე.ი. ადამიანისათვის დამღუპველია. რაც ბუნების მართლწესრიგს არღვევს.

პლატონისა და არისტოტელეს მსოფლმხედველობა, მათ მიერ სამართლიანობის არსობრივი საფუძვლების ძიება, ეს არის ადამიანური გონის მორიგი დიდ მცდელობა სამყაროსეული წესრიგის მტკიცებით, ბუნებითი სამართლის ცნობითა და მისი „ძალის ხელშეუხებლობის“ აღიარებით; ხოლო, კონკრეტულ შემთხვევაში, იგი დიდი წინამორბედისა და მასწავლებლის- სოკრატეს უსამართლო დასჯის „სადავო პროცესის“ გაშუქებას უკავშირდება; პროცესს, რომელიც სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის პირობებშიც კი სამართლიანობის დადგენის სიძნელეებს ცხადყოფს. როცა კანონის სამართლიანობის დაცვა ჯანსაღი აზრის, გონიერების, სიბრძნის, სამართლიანობის დაცვის სანაღმდეგოდ მიმდინარეობს, როცა კანონის სიმართლის დადგენა ადამიანური ღირსების შელახვის სანაცვლოდ ხდება. (პლატონმა სოკრატეს გასამართლების პროცესის აღწერა დიალოგში- „სოკრატეს აპოლოგია“). პროცესის მსვლელობისას, დემოკრატიული სამართლის ნაკლოვანებები მკვეთრად იკვეთება-უსამართლო განაჩენი ბრძენის სიკვდილით ძალაში შედის, მაგრამ სასჯელი მაინც ძალაში შედის.

ფილოსოფოსის სიკვდილით იწყება სხვა რეალობა-ტარდციების დასასრული. სოკრატე საკუთარ თავთან თანხმობაშია. „ასეთი შინაგანი თანხმობა ანამდვილებს სიკეთის იდეას. და აი, ამით პლატონი თავის თემას მიუახლოვდა“.<sup>38</sup> აზროვნების ფონი ასეთია-„სოკრატე, სიცოცხლეს ადამიანის თვითშემეცნებად, თვითშეგნებად, ადამიანურ ლოგიკად გარდაქმნის და ანტიკური სამყაროც მიჰყვება სოკრატეს“<sup>39</sup>.

პლატონი მისი ყველაზე დიდი სულიერი მეგობარი და თანამგზავრია. დიდებული მოსწავლე დიდებულ მოძღვარს ემონაფება, მათ შემდეგ კი ელინური სამყაროს ბუმბერაზი-არისტოტელე.

ბუმბერაზი-არისტოტელე დგას. სამივეს აერთიანებს ერთი იდეა- სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარების მიზნით, (უპ.ყ.დემოკრატიული ათენის სიმტკიცისათვის!), პოლისის მოქალაქისათვის, ცოდნის შეძენის საფუძველზე-სათნობათა განხორციელების გზით, ზნეობრივ-სამართლებრივი ქცევის საფუძვლებისა და კრიტერიუმების დადგენა; იმის მტკიცებით, რომ მოქალაქის მორალური ცხოვრება სახელმწიფოებრივი ძლიერების უტყუარი და უმთავრესი ფაქტორია, რომელიც ეფუძნება სათნობათა შორის უმთავრეს იდეას-სიკეთეს, ადამიანურ ცხოვრებაში სამართლიანობის განხორციელების საბოლოო მიზნით.

ძველი ბერძენისათვის, ადამიანურ ცხოვრებაში სამართლიანობის დამყარების წინაპირობა სამყაროსეული კანონზომიერების, როგორც უზენაესი სამართალსაფუძვლის შეცნობაა. აზროვნების ეს თავისებურება (ზემოთაც აღვნიშნეთ), ელინური ფილოსოფიის ნებისმიერი თაობის წარმომადგენლის ნააზრევს წითელ ხაზად გასდევს; თუმცა, სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებებში სამართლიანობის საკითხის გაგებას განსხვავებული თავისებურებებიც ახლავს. სამართლიანობის ონტოლოგიური ასპექტების კვლევას ანაცვლებს და ემატება სამართლიანობის ცნების განხილვა გნოსეოლოგიური პოზიციიდან. კეძოდ, მარადიული სამყაროს საფუძვლად მდებარე სამართლიანობის მნიშვნელობისა და მისი ობიექტური საფუძვლის სიდიადის წვდომა, შემეცნებელი გონის მიერ, ადამიანურ სამყაროში სამართლიანობის დამკვიდრებით იწონება. კაცობრიობის ისტორიაში, სოკრატე-პლატონი-არისტოტელეს ნააზრევი აღნიშნული აზრით იძენს განსაკუთრებულ დატვირთვას. აქ პირველად ხდება შემობრუნება გარეგანი აუცილებლობიდან ადამიანის პიროვნული თავისუფლებისაკენ, გარეგანი მორჩილებიდან საკუთრივ მორალისაკენ; ანუ, მათ მიერ, ეს იმ გზის უტყუარობის აღიარებაა, როცა საყოველთაოს გაცნობიერებით ადამიანი საკუთრივ

38 რიუდგერ საფრანსკი. ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015, გვ.22

39 [http://magdalene-jesus.blogspot.com/2010/04/blog-post\\_3217.html](http://magdalene-jesus.blogspot.com/2010/04/blog-post_3217.html)

არსს უნდა ეზიაროს, როცა ცხოვრების საზრისი, — ადამიანურ სამყაროში სიკეთის, როგორც ღვთაებრივი იდეის განხორციელებით უნდა მოიპოვოს, როცა ობიექტურ სამყაროსთან უწყვეტი კავშირი სუბიექტის ცნობიერ ცხოვრებას უნდა დაეფუძნოს. ანუ, სუბიექტური სამართლიანობა ობიექტური სამართლიანობისადმი „მსახურებით“ უნდა აღსრულდეს, რაც სამყაროში ადამიანის მოვალეობის აღსრულების ტოლფასია, უმაღლესი დონით.

ანტიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში სუბიექტის როლის განსხვავებული ინტერპრეტაცია, სამართლიანობის ცნების შინაარსზე და საგანზე მკვეთრ ხაზებს ავლებს. ამჯერად საკითხს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებების ფონზე განვიხილავთ. მათი ფილოსოფიური შემოქმედება ბერძნული კულტურის მიღწევების ერთგვარი შეჯამება-განახლებაა.

პლატონის ფილოსოფიაში, მის მიერ წარმოდგენილ საკითხთა შორის, (ასეთია: ცოდნის თეორია, იდეათა თეორია, სათნოების თეორია, სახელმწიფოს თეორია, სულის შესახებ მოძღვრება, ხელოვნების შესახებ მოძღვრება), სამართლიანობის ცნების შინაარსისა და საგნის კვლევა, ცენტრალურია. ევროპული აზროვნების ისტორიაში, პლატონს, სოკრატესთან და არისტოტელესთან ერთად, სამართლიანობის კონცეფცია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აჰყავს. არისტოტელე მიჰყვება დიდი მასწავლებლის პოლიტიკურ-ეთიკურ ხაზს-ისიც პოლისის ინტერესების გამომხატველია, თუმცა, სამართლიანი საზოგადოების მოწყობის თვალსაზრისით, ის მეტად თავისებურ გზას გვთავაზობს.

სამართლიანობის ცნების საგანთან და შინაარსთან დაკავშირებით, ვიდრე პლატონისა და არისტოტელეს (მოსწავლე-მასწავლებლის) თვალსაზრისს კონკრეტულად წარმოვადგენთ, (და მათ პოზიციათა შორის მსგავსება-განსხვავებები გამოიკვეთება), საჭიროდ მიგვაჩნია, რომაულ კულტურაზე ბერძნული კულტურის გავლენებზე მივუთითოთ. მხედველობაში გვაქვს მათთან ელინიზმის ეპოქის დიდი წარმომადგენლის-ციცერონის (როგორც ანტიკური ეპოქის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნის), მსოფლმხედველობრივი კავშირი. ციცერონს სამართლის ფილოსოფიის ტრადიციების ჩამოყალიბებაში გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამდენად, მათი მსოფლმხედველობრივი გაერთიანება და საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა მეტ სიცხადეს შეიტანს სამართლიანობის ცნების ანტიკურ გაგებაში. საქმე ეხება, ერთი მხრივ, ისტორიული ცვლილებების გავლენების საფუძველზე სამართლიანობის ცნების ირგვლივ განსხვავებული ინტერპრეტაციების გამოკვეთის აუცილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ნებისმიერი ეპოქისა და კულტურისათვის სამართლიანობის, როგორც უმთავრესი ზნეობრივ-სამართლებრივი პარადიგმის სახით წარმოჩენას.

ცნობილია, რომ ელინისტურ პერიოდს- ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან ახ.წ. V ს-მდე, ელინიზმი ანაცვლებს, ელინისტურ-რომაული ფილოსოფიის ტრადიციების გაერთიანებით. ძვ.წ. V საუკუნიდან ძვ.წ. IV ს-ის ბოლომდე, კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის პერიოდია. ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან, ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი ბერძნული სახელმწიფოს სიდიადეს მოსდევს ჯერ მისი დაქვეითება, ხოლო, შემდეგ, რომის მიერ მისი დაპყრობა. რომის იმპერიის გაძლიერება ახ.წ. V საუკუნემდე, მისი დაცემით მთავრდება.

ისტორიული ცვლილებების შესაბამისად, რომაული ფილოსოფია ბერძნულთან კავშირში იკრებს ძალას. დიდია მასზე ელინური ეპოქის გავლენები, თუმცა, სიახლეებიც ჩნდება. ეს, უპ.ყ. სამართლიანობის ცნების გაგებას უკავშირდება, რომელიც რომაულ ფილოსოფიაში მთავარი განხილვის საგანია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულ კულტურასთან სიახლოვისა და ამავდროულად, მისგან დისტანცირების აზრით, რომაულ კულტურაში ციცერონი უმთავრეს ადგილს იკავებს. (მასზე დიდია რომაელი ისტორიკოსების გავლენები). ციცერონის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები საშუალებას იძლევა მასზე როგორც კოსმოპოლიტური სამართლიანობის თეორეტიკოსზე ვისაუბროთ. ამ აზ-



რის მტკიცების არგუმენტს აძლიერებს მის მიერ, სამყაროში ადამიანის ადგილისა და როლის პრინციპულად ახალი გაგება, აზროვნების განსხვავებული წესით. ციციერონის სამყაროში ადამიანი უმაღლესი წესრიგის მხოლოდ გონივრულად მჭვრეტელი და სახელმწიფოს „მხოლოდ მორჩილი წევრი“ როდია! ღვთაებრივი წესრიგიდან ის დამოუკიდებელი აზროვნებითა და თვითღირებულების მაღალი განცდით ახდენს იზოლირებას; თუ შეიძლება ითქვას, ის გადის ბერძნული „პოლისური აზროვნებიდან“, დროსა და სივრცეში ლოკალიზებული, საზოგადოებრივი რეალობის ერთგვარად ჩაკეტილი სივრციდან და გარესამყაროსთან მიმართებაში, დამოუკიდებელი მოთამაშის როლს ირგებს, სუბიექტის თვითშეფასების ჯანსაღი განცდით. ასეთია ეპოქალური მოთხოვნა! ელინიზმის ეპოქაში პოლისის საზღვრები კოსმოპოლისის მასშტაბამდე ვრცელდება; ქალაქ-სახელმწიფოს ინტერესებთან, (როგორც სამართლიანობის ნოყიერ ნიადაგთან!), მოქალაქის ინტერესების სავალდებულო ერთობის მყარ ელინურ იდეას, რომის იმპერიის გიგანტურ სინამდვილეში, ადამიანური ბუნების თანასწორობის იდეა ანაცვლებს, ცალკეული ადამიანის თვითშეფასების, საკუთარი ღირებულების გაცნობიერების მოთხოვნით. და ეს ხდება მაშინ, როდესაც, კლასიკური ბერძნული ფილოსოფიიდან რომაულმა კულტურამ სუბიექტის როლთან დაკავშირებით, განსხვავებული შეფასებები მიიღო.

აზრის დაზუსტების მიზნით, ვაფიქსირებთ ა. ლოსევის თვალსაზრისს: „სოფისტები, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, თვით დემოკრიტეც კი ეხებოდნენ ადამიანის როგორც სუბიექტის საკითხს, მაგრამ მხოლოდ ზოგადად ადამიანურის თვალსაზრისით. ამ პერიოდის ფილოსოფიისათვის არსებით ნიშნად დარჩა „ობიექტური ცნობიერების ფიქსაცია, ცნობიერების, როგორც გარე-ადამიანის და წინარე-ადამიანის მოცემულობა, ფიქსაცია კოსმოსური გონებისა და ცნობიერებისა“, — შენიშნავს იგი.<sup>40</sup>

ბუნებრივია, სუბიექტის კოსმიური წარმოშობაზე ანტიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში გატარებული ზოგადი აზრი, სამართლიანობის ცნების შინაარსზე და საგანზე მკვეთრ ხაზებს ავლებს; (ამის თაობაზე, ნაწილობრივ, უკვე ვისაუბრეთ). გამოიკვეთა, რომ „ელინელების“ ცნობიერებაში, ადამიანური სამართლიანობა სამყაროსეული სამართლიანობის პირდაპირპროპორციულად აღიქმება და ადამიანურ ცხოვრებაში მოქალაქის ზნეობრივ-სამართლებრივი ქცევაში პოულობს გამოხატულებას, პირველია მეორის გარანტი. ხოლო, ციციერონთან, მისი ფილოსოფიური და სამართლებრივ-პოლიტიკური კონცეფცია, როგორც ეთიკური რეფლექსიის ნათელი მაგალითი, ორმაგ - უნივერსალიზაცია-ინდივიდუალიზაციის ტენდენციას ემსახურება, საზოგადოებრივზე სუბიექტის პიროვნული ინტერესების დაცვის უპირატესობის აღიარებით. ციციერონი ანტიკურ სამყაროში ამ აზრით, ახალ სიტყვას ამბობს.

ორ განსხვავებულ კულტურას შორის საერთო ფონიც იკვეთება. ანტიკური აზროვნების ორივე ფორმისათვის (როგორც ბერძნული, ასევე, რომაულისათვის), ნიშანდობლივია მთავარი ხაზი: ზნეობრივ-სამართლებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების განვითარება „უნივერსალიზაციის ზოგადი ტენდენციის ჩარჩოებში“ მიმდინარეობს; ორივე შემთხვევაში, ყოფიერების უნივერსალური ერთიანობის იდეა დაცულია. რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს უნივერსუმთან ანტიკური აზროვნების დამოკიდებულების განუმეორებელ, ჰუმანურ თავისებურებაზე-ზოგად ყოფიერებასთან მიმართებაში, მისი სიმტკიცის დაცვის სახელით, ადამიანური ყოფნის ერთიანობის მტკიცებაც უნდა მოხდეს. ეს ანტიკური გონის უპირველესი და მთავარი მოთხოვნაა. ანტიკური ეპოქის ზნეობრივ-სამართლებრივი პარადიგმა ამ აუცილებლობის შემცველია.

წარმოდგენილი ნაშრომის მოცემულ ნაწილში, სამართლიანობის ცნების შინაარსისა და საგნის ცვლილებების ტენდენციებს, აღნიშნული აზრით, ორივე კულტურასთან თანაზიარებაში განვიხილავთ. ანტიკურ ფილოსოფიაში არსებული

40 ციტ. წიგნიდან: მ.ჭელიძე. ელინიზმის ფილოსოფია. თსუ-ს გამომცემლობა., 1992. თბ., გვ. 19

სამართლებრივ-პოლიტიკური ელემენტების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, სამი მოაზროვნის შემოქმედების საფუძველზე, თანამედროვე სამყაროსთან მიმართებაში ვაფასებთ. ცხადი ხდება, რომ მათ მიერ გამოკვეთილი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ზნეობრივ-სამართლებრივი შეხედულებები, აქტუალურობას დღესაც არ კარგავს.

კაცობრიობის სამართლებრივი პრინციპებით მოწყობის პრობლემური საკითხები, საერთაშორისო სამართლის არსებობის პირობებშიც კი, სხვადასხვა მასშტაბითა და დროის ინტერვალთ, დღესაც პირველ ადგილს იკავებს. და შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო გაზრდილი მოთხოვნებით; (მაგ., სახელმწიფოებრივი, პიროვნული, რელიგიური, რასობრივი და ა.შ.). აღნიშნული ვითარება უკავშირდება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს, სადაც უაღრესად მკვეთრად იკვეთება „დიდ კაცთან პატარა კაცის“ მიერ სამართლიანობის მიღწევის „შეუძლებლობები“. ამის მკაფიო დასტურია თუნდაც, საქართველოს (როგორც მცირერიცხოვანი ქვეყნის!) საერთაშორისო სამართალსუბიექტად ყოფნის ბუნებრივ მოთხოვნაზე, მეზობელი დიდი ქვეყნის-რუსეთის მკაცრი განაჩენი. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის სამართლიან მოთხოვნაზე „საპასუხოდ“, „ძლიერი ძალის მქონე“ სახელმწიფომ ჩვენი ტერიტორიის ისტორიული ნაწილი უსამართლოდ მიიტაცა. საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენის მოთხოვნა, სამართლიანობის დაცვის მოთხოვნაზე გადის. ასეა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის - მრავალრიცხოვანია ის თუ მცირერიცხოვანი, მისთვის სამართლიანობის სამართლიანი მოთხოვნა ექსისტენციალური მნიშვნელობისაა.

სამართლიანობის საკითხები პლატონთან. სამართლიანობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების სიუხვის გაცნობისა და მათი შესწავლის მოტივით, „აკადემიური ელინელებიდან“, დიდ ინტერესს უპირველესად, პლატონი იწვევს. „სამართლიანობის ფილოსოფიის“ უმთავრესი ასპექტები, აზროვნების სხვადასხვა ვარიაციებით, პლატონის შემოქმედებაშია თავმოყრილი; აქ ფიქსირდება სამართლიანობა, ზნეობრივ-სამართლებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი კატეგორიის მნიშვნელობით; აქ ეყრება მყარი საფუძველი ზნეობრივი, სამართლებრივი და პოლიტიკური აზროვნების მომავალ ტრადიციებს.

სამართლიანობის არსის გარკვევას პლატონმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა-„სახელმწიფო“. ვიდრე კონკრეტულად შევხებით თხზულებაში წარმოდგენილ (სამართლიანობასთან დაკავშირებულ) თემატიკას, უნდა ითქვას, რომ სამართლიანობის არსის დადგენა სოკრატეს ნამონაფარ პლატონს ძნელ საქმედ მიაჩნია; ფილოსოფოსმა იცის, რომ „მისი მიკვლევა ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება“. მაგრამ, იგი საკუთარ ლოგიკას მიჰყვება. დიდი მოაზროვნე დარწმუნებულია, რომ თუ სამართლიანობის ბუნებისა და არსის კვლევას, ანუ, სამართლიანობაზე ადამიანური ცოდნის მოპოვების აუცილებლობას ცხოვრების წესად ვაქცევთ, ძალისხმევა შედეგს მოიტანს, - „რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა უფრო ღირსეულად ეცხოვრა კაცს“.<sup>41</sup> სამართლიანობის საკითხების რაციონალიზაციას პლატონთან ეს დატვირთვა აქვს. ზნეობრივი მოქმედების საფუძველად ცოდნის უპირობო აღიარება, რომელიც სოკრატესთან იღებს თავწყაროს, პლატონის რაციონალისტურ ფილოსოფიაში დისკუსის მთავარი ხაზია. აქ საუბარია ფილოსოფიურ ცოდნაზე.

ადამიანის ზნეობრივ-სამართლებრივი აზროვნების უმთავრეს პრიორიტეტად სამართლიანობის გამოცხადება, სამართლიანობის არსის შეცნობა და ცხოვრებაში მის განსახორციელებლად, ცოდნის საფუძველზე, ადამიანის მზაობა, ნებისმიერი განზომილებით-სახელმწიფოებრივ თუ ინდივიდუალურ დონეზე, პლატონს ადამიანური სამყაროს ღირსეული მოწყობის იმედს აძლევს. მასთან (როგორც ეს ზოგადად, კლასიკური ბერძნული გონისათვის არის დამახასიათებელი), სამყაროს რაციონალურ შემეცნების გზა ადამიანურ სამყაროში ზნეობრივი ცხოვრების დამკვიდრების

41 პლატონი. სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I წიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ. 19

ნიშნით მიმდინარეობს. იმისათვის, რომ პლატონის მოძღვრება სამართლიანობაზე სრულად წარმოვადგინოთ, წინამორბედთა „დანატოვარზე“ კიდევ ერთხელ უნდა გავაკეთოთ აქცენტი. საქმე სოფისტებს ეხება. როგორც ცნობილია, ცოდნის საყოველთაობის უარყოფის მოტივით, მათ სამართლიანობის საყოველთაობა და ზოგადობაც შეუძლებლად ჩათვალეს; ცოდნის რეალტიურობიდან სამართლიანობის რეალტიურობა ამტკიცეს; სამართლიანობის ანთროპოლოგიური თვისების გამო, მორალურ საკითხებში ადამიანის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მორალური ღირებულებები,<sup>42</sup> სუბიექტურად და შეფარდებითად მიიჩნიეს; კანონით სამართლიანობის პრინციპები ბუნებითი სამართლიანობის პრინციპებზე დაიყვანეს და მათი ეფექტურობა სარგებლიანობის საზომით შეაფასეს.

სოფისტების ნაკლის დაძლევა, პლატონამდე სოკრატე შეეცადა, (რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ). უსამართლობა, მან გაუთვითცნობიერებელი გონების ცდომილებად ჩათვალა. ხოლო, სამართლიანობის მიღწევის გზად, როგორც ადამიანის სრულყოფილი ცხოვრების წინაპირობად, ცოდნა გამოაცხადა. ფილოსოფოსმა ამ გზით სოფისტების რელატივიზმისა და სკეპტიციზმის გადალახვა სცადა.

პლატონი, (უახლესი წარსულიდან), მემკვიდრეობით იღებს აზროვნების ორ ტრადიციას: ერთია, სოფისტების რელატივიზმი და მეორეა, სოკრატეს რაციონალურობა. სოფისტების ნაკლოვანებების დაძლევა, ის სოკრატეს გზის გაგრძელებით ცდილობს.

სამართლიანობაზე პლატონის მთავარი აზრი ასე უღერს: „სამართლიანობა უდიდესი სიკეთეა, უსამართლობა - უდიდესი ბოროტება, რომელსაც შესაძლებელია სული თავის თავში შეიცავდეს“; სამართლიანობა სუფთა სულის მდგომარეობაა, სულის ღირსებაა, ის უზენაესი სათნოებიდან- სიკეთიდან იღებს სათავეს; იმ სიქველადან, რომლის წყალობით სასარგებლო და ვარგისია ყველა დანარჩენი. უსამართლობა სულის ნაკლია.

სიკეთის სანინააღმდეგო არის ამბოხი, შერყეული წესრიგი, სამოქალაქო ომი - როგორც ერთეულში, ასევე ერთობაში. პლატონის ფილოსოფია ეძღვნება პრობლემას, როგორ უნდა მოხდეს ამ წესრიგის შენარჩუნება და მისი დანგრევის შემთხვევაში პლატონისათვის,<sup>43</sup> ისევე როგორც მისი სხვა თანამედროვეებისათვის, ადამიანური ქმნადობის უმაღლესი შედეგი პიროვნული სრულყოფილების პარალელურად, (ცოდნის საფუძველზე), ადამიანთა ერთობის დიდი რგოლი -სახელმწიფოა.

პლატონი, სამართლიანობის ბუნების ამოცნობასა და მის შესწავლას მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებისა და მათი ურთიერთკავშირის ფარგლებში მიიჩნევს მხოლოდ შესაძლებლად. თუმცა, ფილოსოფოსის ინტერესი იხრება, პირველ რიგში, „სამართლიანობის ბუნების კვლევაზე სახელმწიფოში“, შემდეგ „საკუთრივ ადამიანის სულში“. „დიდთან მსგავსებით შევიცნოთ მცირე“<sup>44</sup> - ეს შემეცნების პლატონისეული (დედუქციური) მეთოდია. „პოლიტიკურ სამართლიანობაზე პლატონის მსჯელობა, თეორიული აზრით, განპირობებულია კოსმოლოგიური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით“.<sup>45</sup>

მთელის ნაწილთან- სახელმწიფო-მოქალაქის ურთიერთმიმართების გარკვევას ფილოსოფოსი ყოფიერების ერთიანობის მტკიცების საფუძველზე ცდილობს, იმის ღრმა განცდით, რომ სამართლიანობის არსი ყველაზე მეტი სისავსითა და სიცხადით, ამ კავშირებში ვლინდება. მაღალი არისტოკრატიის ჩამომავალი პლატონი, იდეალური სახელმწიფოს მოდელსაც ამავე არგუმენტის გათვალისწინებით ქმნის. სახელმწიფო,

42 იქვე, გვ. 19

43 რიუდიგერ საფრანსკი. ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა. ფილოსოფიური ბიბლიოთეკა 5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015 გვ.22

44 რიუდიგერ საფრანსკი. ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა. ფილოსოფიური ბიბლიოთეკა 5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015 გვ.50

45 Г. Ю. Канарш. СОЦИАЛЬНАЯ СПРАВЕДЛИВОСТЬ: ФИЛОСОФСКИЕ КОНЦЕПЦИИ И РОССИЙСКАЯ СИТУАЦИЯ. Издательство Московского гуманитарного университета 2011, ст.16

როგორც მყარი, გენერირებული სოციალური სისტემა, ადამიანური ცხოვრების უნივერსალური მოცემულობაა, ღვთაებრივად მონესრიგებული სამყაროს ხატი; ამიტომ, ფილოსოფოსი, რეალურად მის ისეთნაირად მოწყობას ისახავს მიზნად, რომელიც თვითონ იქნება სამართლიანობის ნიმუში, და ამ მოტივით, ცალკეული ადამიანისათვის სამართლიანობის საფუძველი. სამართლიანობის პრინციპებით უზრუნველყოფილი პლატონის იდეალური სახელმწიფო, (ბერძნული პოლისის მოდელით), რომელიც სრულყოფილი ადამიანური ცხოვრების ყველა ატრიბუტს ატარებს და მის ნებისმიერ გამონწევას პასუხობს (საშინაო და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით), მოქალაქეს გარეგანი საფრთხეებისგანაც იცავს და სრული განვითარებისათვის პირობებსაც სთავაზობს-როგორც სოციალური, ასევე, პოლიტიკური მოღვაწეობის თვალსაზრისით.

პლატონი საკუთარი ლოგიკას მიჰყვება და პოლიტიკური სამართლიანობის თეორიულ საფუძვლებს უნივერსუმის სტრუქტურულ აღნაგობაში ეძებს; მისთვის უნივერსუმი სამსახოვანია: იდეების უმაღლესი სამყარო, სულის სამყარო და გრძობად საგანთა სამყარო. მათი ერთიანობა ქმნის სამყაროს წესრიგს, რაც, თავისთავად, სამყაროსეული სამართლიანობის გამოხატულებაა. მის მოძღვრებაში სამართლიანობის კოსმოლოგიური ხედვა სათნოების თეორიასთან სრულ შესაბამისობაშია. იგი ადამიანის სულის სამ ნაწილზე საუბრობს. ესენია: გონება, ნება და სურვილი; (სხეულის ნაწილებიც სამია: თავი, მკერდი და მუცელი). „სული ფრთიანი ეტლის მსგავსია, რომლის სამი ნაწილიდან მეეტლე გონებაა, ხოლო ურჩი ცხენები: ნება და სურვილი“<sup>46</sup>. გონება-განსჯის უნარის მატარებელი, ორივეს მებატონეა, ორივეს იქვემდებარებდეს და განაგებს. მაგრამ, არსებობს მისადმი ვნება მეტოქეობაც; ამ მხრივ, მესამე განსაკუთრებით სახიფათოა; გულისთქმას ადამიანში სულის დიდი ნაწილი უკავია, თავისი ბუნებით სხეულებრივ ვნებებზეა მიდრეკილი და პირველი ორის დასუსტების ან მოდუნების შემთხვევაში, ორივეს იმონებს. და ეს მაშინ, როდესაც სამართლიან ადამიანში „გონივრული სანყისი უნდა მბრძანებლობდეს, რაკილა მისთვის მიჩნეულია სიბრძნე, და მასვე მართებს მთელ სულზე ზრუნვაც, ხოლო, სულის ბობოქარი ნაწილი მისი მორჩილი და თანამდგომი უნდა იყოს“.<sup>47</sup> ხოლო, „სამართლიანობის დამკვიდრება იმას ნიშნავს, გვასწავლის დიდი მოაზროვნე, რომ მბრძანებლობისა და ურთიერთდაქვემდებარების ბუნებრივი დამოკიდებულება დაამყარო სულიერ სანყისთა შორის, უსამართლობის დამკვიდრება კი-იმას, რომ მბრძანებლობისა და ურთიერთდაქვემდებარების იმნაირი დამოკიდებულება დაამყარო იმავე სანყისთა შორის, რაც ეწინააღმდეგება ბუნებას“.<sup>48</sup> პლატონთან (ისევე, როგორც სოკრატესთან), სამართლიანობის კოსმოლოგიურ-ანთროპოლოგიური გაგება იკვეთება, რაც მათი წინამორბედებისთვისაც მეტ-ნაკლებად, ნიშნეულია.

პლატონთან დიდი ასოებით იკვეთება რაციონალურობაზე მიდრეკილი ბერძნული კულტურის განსაკუთრებული თავისებურებაც - გონების პრიმატი. (ზემოთ, ნაწილობრივ ამაზეც ვისაუბრეთ). ფილოსოფოსი, ადამიანური სრულყოფილების მიღწევის უწყვეტ გზაზე, ბუნებრივ სანყისთაგან, მხოლოდ გონებას, (როგორც ბრძნულ სანყისს), აკუთვნებს ვინაიდან, მხოლოდ განსწავლულ გონებას შეუძლია სამყაროს ყველმარტი საფუძვლების ყვრეტა, საგანთა დაფარული არსის წვდომა; მიზანი კეთილშობილურია! სამყაროს წესრიგისა და მარადიული ჰარმონიულობის მცნობმა გონებამ ადამიანური სამყაროს სამართლიან მოწყობაზე უნდა გააჩეროს ვექტორი; გარდა ამისა, მან, სიკეთის იდეის, როგორც სუბსტანციური სანყისის „ქვეყანაში“ დასამკვიდრებლად, სამართლიანობის საფუძველზე, ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაში

46 ფედროსი, 246. ციტ. წიგნიდან: გურამ თევზაძე. ანტიკური ფილოსოფია. გამომცემლობა ჩარპე დიემ, თბილისი, 2015, გვ.107

47 პლატონი. სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. | წიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ.93

48 პლატონი. სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. | წიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ.93

სხვა უნივერსალური ღირებულებებიც უნდა შემოიტანოს და დაამკვიდროს.

ფართო აზრით ეს იმას ნიშნავს, რომ პლატონის მოძღვრებაში ყოფნის შემეცნების შესაძლებლობა დიალექტური ცოდნის საშუალებით ხდება. გარდა ამისა, ტანდოდაქტიკურ-ზნეობრივი კონტექსტი მეტაფიზიკისაგან დამოუკიდებელი კი არ არის, არამედ ეს უკანასკნელი სწორედ პირველის საფუძველი, ხოლო პირველი, თავის მხრივ, მეორის შინაარსის განმსაზღვრელია.<sup>49</sup>

გონება ცოდნას ემყარება, რომელიც თავის საგნად მოიცავს ოთხ სათნოებას, ესენია: სიბრძნე („სოფია“) - გონების სათნოება, სიმამაცე („ანდრეია“),-ნების, ზომიერება („სოფრონუსე“),-სურვილის და სამართლიანობა („დიკაიოსინე“),-მათი გამაერთიანებელი. ოთხივეს ფლობა ერთნაირად აუცილებელია როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე ინდივიდისათვის; ერთი მეორისათვის სრულყოფილების საზომი და გარანტია; რასაკვირველია, პლატონი არ გამოირიცხავს, რომ სათნოებების მნიშვნელობის სიღრმის წვდომის უნართა და ნიშნით, საზოგადოების ზოგიერთი სოციალური ფენების წარმომადგენლებში, შესაძლებელია სულის უკმარისობები არსებობდეს და არსებობს კიდევც. ამაზე ცოტა ქვემოთ. რა ადგილი უკავია სამართლიანობას სიქველეთა შორის?

კითხვაზე პასუხის გასაცემად, (ჩვენი თვალსაზრისის სრულად გამოხატვისათვის), ჰეგელს ვეყრდნობით. გერმანელი ფილოსოფოსი „სახელმწიფო“-ზე მსჯელობისას სამართლიანად შენიშნავს, რომ მასში „... იზომორფულად სრულადაა მოცემული პლატონის ეპისტემოლოგიაში არსებული სტრუქტურა მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებისა. ეს ნიშნავს, რომ სამართლიანობის ცნება არის საფუძველი, როგორც მთელის იდეა, ხოლო დანარჩენი სათნოებები და, მათ შორის, სამართლიანობაც, როგორც ცალკეული, ექსისტირებენ, როგორც მთელის ნაწილები, თავის მხრივ, მთელი, როგორც სამართლიანობა და საფუძველი, ექსისტირებს ამ სათნოებათა განხორციელებისა და არსებობის შედეგად. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მთელი, როგორც სამართლიანობა, არის საყოველთაო, რომელიც ყოველ ცალკეულს, როგორც სათნოებას და, შესაბამისად, მოცემული სათნოების მატარებელ ფენას განმსჭვალავს, განაპირობებს და აძლევს თითოეულ ამ სათნოებასა და ფენას, როგორც ცალკეული, დამოუკიდებელი, ღირებული არსებობის შესაძლებლობას“.<sup>50</sup>

ჰეგელის თვალსაზრისის საუკეთესო დადასტურებაა პლატონის ღია განაცხადი: „... ადამიანის სულში იმდენი და იმნაირივე სანყისია, რამდენი წოდებაცაა სახელმწიფოში“, 2 ეს რეალურად ნიშნავს შემდეგს:<sup>51</sup> „...რანაირად და რითაც ბრძენია სახელმწიფო, იმნაირად და იმითივე უნდა იყოს ბრძენი ადამიანიც“.<sup>52</sup>

ფართო გაგებით, სამყაროში, ხოლო, ვინრო გაგებით, სახელმწიფოში ადამიანის ბრძნული ყოფნის უზენაესი გამოხატულება სამართლიანი ცხოვრებაა; მაგრამ, ამ „შამბნარით გარშემორტყმულ“ რეალობაში ადამიანის ცხოვრება არც თუ ისე იოლია, მას მძიმე და მეტად რთული საქმიანობა ელის. მაგრამ, მედალს მეორე მხარეც აქვს; არსებობის საზრისის განსახორციელებლად, სამართლიანობის იდეის სამსახური და მისთვის ღვანღმოსილება, ადამიანისათვის უზენაესი მოვალეობაა. თუმცა, პლატონი, ამ სარისკო საქმიანობაში, განსხვავებულ სოციალურ ფენებს, ტვირთს სხვადასხვა წონით ადებს; გამომდინარე მათი გონითი შესაძლებლობებიდან, მიდრეკილებებიდან, მისწრაფებებიდან, მოთხოვნილებებიდან.

49 Platon, Philebos (Timaios, Kritias, Philebos. Band 7 , B earbeitet v on K laus W iddra. Griechischer Text von A. Rivaud, August Dies, Deutsche Uebersetzung von Hieronymus Müller, Friedrich Schleiermacher, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1990), 27-28. ციტ. გზა სამართლიანობისაკენ. მაკა ლაშხია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2012, გვ.67

50 Hegel, Vorlesungen über die Geschichte der Philosophie, 118-119. ციტ. საიტიდან: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1451.pdf>

51 პლატონი. სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I ნიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ.89

52 იქვე

პლატონის მიერ ეთიკური სამართლიანობის ასეთი გაგება, სახელმწიფოებრივი მონყოლის პროვოცირებასაც ახდენს<sup>53</sup> პლატონისეული სახელმწიფოს სტრუქტურა, იერარქიული საზოგადოებრივი ფენებით, ასე გამოიყურება: ფილოსოფოსი-მმართველები, მეომრები-მცველები და საქმოსნები-ხელოსნები და მინათმოქმედები. ისინი საკუთარ სფეროებში მოქმედებენ. სამართლიანობის საკითხიც ამ სიბრტყეზე განიხილება. თუმცა, მეტად თავისებურად. აი, რას წერს იგი: „მართალია დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დავძლიეთ ყველა დაბრკოლება და საკმაოდ დამაჯერებლად მივალნიეთ თანხმობას იმის თაობაზე, რომ ადამიანის სულში იმდენი და იმნაირივე საწყისია, რამდენი ნოდებაცაა სახელმწიფოში“.<sup>54</sup>

პლატონი, სამართლიანობის ქმედითობის შეფასებისას, სოციალური ფენების საქმიანობის გარეგანი გამოვლინებებით იმდენად არ ინტერესდება, რამდენადაც მისი გავლენით ადამიანის სულზე. ფილოსოფოსის შეფასებით, სამყაროს საწყისებთან ადამიანის სულის შერწყმა სამყაროს არსის ერთიანობას აგვირგვინებს, ამ ერთიანობის თავწყარო სიკეთეა, საბოლოო მიზანი - სამართლიანობა. და სწორედ იმის გამო, რომ „სამართლიანობა უდიდესი სიკეთეა სულისათვის“, ის „გამუდმებით უნდა ცდილობდეს აღასრულოს სამართლიანობა“. ეს ყველას ერთნაირად ეხება, ვის სულშიც ამ ერთობით ჰარმონიულობა მიღწეულია; თავის მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ, სამართლიანობა დაცულია, როცა თითოეული ფენის წარმომადგენელი იქნება იქ, სადაც მისი ადგილია და იმას გააკეთებს, რაც მას ევალება, ანუ, რისი შესაძლებლობაც აქვს მას სულის უნარის მიხედვით, თანაცხოვრების ასეთი პირობები სამართლიანობისათვის მეტ გარანტიებს ქმნის.

ფილოსოფოსი „სამართლიანს უნოდებს ყოველნაირ ქმედებას, რომელიც სულში ამგვარ განწყობას ამკვიდრებს, სიბრძნედ კი ამ ქმედების წარმმართველ უნარს ასახავს“. შესაბამისად, უსამართლობად თვლის უმეცრებაზე დამყარებულ ქმედებას, რაც ერთნაირად საზიანოა როგორც მთელის, ასევე ნაწილისათვის. უსამართლობის დასაძლევად ადამიანის სულიერი აღზრდა აუცილებელია, რაც სწავლით მიიღწევა. „აღზრდა, როგორც ზნეობრივი ნებსებისა და ჩვევების გამომუშავებელი და მარეგულირებელი საშუალება, პლატონის პრაქტიკულ ფილოსოფიაში იმავე მნიშვნელობას იძენს, რაც მის ეპისტემოლოგიაში სწავლებას (დამოძღვრას) ენიჭება“.<sup>55</sup>

პლატონის მოძღვრებას სამართლიანობაზე, გარდა წარმოდგენილი თემატიკისა, -მისი არსის, ბუნების, საგნის კვლევას, სამართლიანობის, როგორც ცნების მნიშვნელობით დადგენას, კიდევ არა ერთი და ვფიქრობთ, უმთავრესი აზრით აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. რასაკვირველია, ამაზე პლატონი თავადაც საუბრობს. საქმე ეხება, ცხოვრებაში სამართლიანობის დამკვიდრების სიძნელების ჩვენებას; ამას პლატონი სოფისტების ლოგიკით გადმოგვცემს. პრობლემები შემდეგია: ძალაუფლებაზე დამყარებული უსამართლობის სამართლიანობად აღიარება, უსამართლობის ძალმოსილებისადმი შიში და ამის გამო, სამართლიანი ქცევის უსამართლოდ გამოცხადება, უსამართლო ადამიანის პრიორიტეტული ცხოვრება, უსამართლო ადამიანისთვის მეტი წილის მიღება სამართლიანზე, ზოგადად, მოკვდავისათვის უსამართლობის ხელსაყრელობა და სარგებლიანობა, უსამართლობის „ბატონკაცური“ ძალა, მის წინაშე ქედის მოხრის „ვალდებულება“, სამართლიანობის ბინიერებად, ხოლო, უსამართლობის სიქველედ გამოცხადება, უსამართლო ადამიანის მბრძანებლად მოვლინება და მის წინაშე სამართლიანი ადამიანის „ღირსების სისუსტედ“ ჩათვლა, უსამართლო რეალობაში სამართლიანობის უძალობისა და არაეფექტურობის

53 Г. Ю. Канарш. СОЦИАЛЬНАЯ СПРАВЕДЛИВОСТЬ: ФИЛОСОФСКИЕ КОНЦЕПЦИИ И РОССИЙСКАЯ СИТУАЦИЯ. Издательство Московского гуманитарного университета, 2011, ст.17

54 პლატონი. სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. | ნიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ.89

55 Platon, Sophistes, (Theaitetos, Der Sophist, Der Staatsmann, Band 6, Bearbeitet von Peter Staudacher, Griechischer Text von Auguste Dier, Deutsche Uebersetzung von Friedrich Schleiermacher, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1990, 228. ციტ. საიტოიდან: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1451.pdf>

ჩვენება, უსამართლოს სვებედნიერად მოხსენიება და მისთვის „საჭიროებისამებრ“ ქება-დიდება შესხმა; ასევე, უსამართლო კანონის სამართლიანად ცნობა; მავანთა (ძლიერთა და ხელისუფალთა), ინტერესებიდან გამომდინარე, უსამართლო ზნეობრივ-სამართლებრივი ნორმების შემუშავება, უსამართლო, უკანონო გადანყვეტილებების მიღება; გარდა ამისა, ძლიერი და უსამართლო სახელმწიფოს მიერ, მეტი ხალხის დამონება და ა.შ. წარმოდგენილი კითხვების სპეციფიკა და აქტუალობა, ბუნებრივია, აჩენს მთავარ კითხვას: რას გვაძლევს სამართლიანობაზე მსჯელობა? გონის რომელ საზღვართან წყდება სამართლიანობა-უსამართლობის მარადიული დავა?!

პლატონი პირველობას ჩემულობს მათ შორის, ვინც მთელი ძალმოსილებით საუბრობს სამართლიანობა-უსამართლობაზე; რასაკვირველია, ის არ ჩრდილავს წინამორბედთა ღვაწლს, განსაკუთრებით, თავისი დიდი მასწავლებლის, სოკრატეს ან თუნდაც სოფისტების მცდელობებს, სამართლიანობის საკითხის კვლევის თვალსაზრისით. ასეთი მიდგომა გულუბრყვილო იქნებოდა! ფილოსოფოსის მიზანი სამართლიანობის საკითხის სიღრმისეული მხარეების წარმოჩენაა, იმ მიზნით, რომ აზროვნებისათვის მისი კვლევის აუცილებლობა გაააქტიუროს, (ამის გამო სოკრატე სიკვდილით დასაჯეს!) ხოლო, რეალურ ცხოვრებაში მის დასამკვიდრებლად გზები განმინდოს და ამით მისადმი წვდომა უფრო მეტად შესაძლებელი გახადოს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. საბოლოოდ, მის მიერ სამართლიანობის ცნების თეორიულ-ლოგიკური შესწავლა, ეს არის „ოქროს წესებით“ მონიშნული გზა იმისათვის, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების იდეალური მოწყობის შესაძლებლობა დასაშვები გახადოს. ფილოსოფოსი უპირველესად, თეორიულ გზას გადის. ის, ასეთნაირად ცდილობს ჰარმონიული ადამიანური სამყაროს არსებობის აუცილებლობა აჩვენოს. თუმცა, რასაკვირველია, ჩნდება წინააღმდეგობებიც. სახელმწიფოს ასეთ მოდელში, ინდივიდის აქტიურობისათვის, რეალურ ცხოვრებაში სამართლიანობის დასამკვიდრებლად, პირობები იმდენადვე „რეალური და მისაღებია“, რამდენადაც „არარეალური და მიუღებელია“. მოქალაქისა და სისტემის ურთიერთობის ვექტორი სტრუქტურის მხარეს იხრება, მისი ინტერესების დაცვის უპირობო მოთხოვნით. რაც მოსალოდნელიც იყო. გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელი პოლისური წყობის შენარჩუნების აუცილებლობამ პლატონთან (ისევე, როგორც სოკრატესთან და არისტოტელესთან) აზროვნების მსგავსი დამოკიდებულება გააჩინა; თითოეული მათგანი ისტორიის ამ მოთხოვნას მიჰყვება. ერთი (სოკრატე) საკუთარი სიცოცხლის ფასად, მეორე (პლატონი) - თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „იდეოლოგიზირებული აზროვნების“ ფასად. ამაშია (თუმცა, მხოლოდ გარკვეული აზრით), სოკრატე-პლატონის აზროვნების თავისებურება.

არისტოტელე, სამართლიანობაზე მსჯელობისას, დიდი მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას აგრძელებს. მათ ფილოსოფიურ მოძღვრებებში ზნეობასა და სამართალს შორის მკვეთრი ზღვარი არ იკვეთება; სამართლიანობა სუბიექტურ ზნეობრიობად ცხადდება, როგორც ეს ზოგადად, ძველი ბერძნული აზროვნებისათვის არის დამახასიათებელი; თუმცა, მოსწავლე-მასწავლებლის თვალსაზრისებში არსებობს გადაკვეთის წერტილებიც, რის შემდეგადაც ანტიკურობის ორი დიდი მოაზროვნე სხვადასხვა გზით მიდის. შესაბამისად, იკვეთება ცვლილებები.

სამართლიანობის ცნების ანტიკური გაგება, თითქმის ყველა მახასიათებლით, არისტოტელეს ფილოსოფიურ შემოქმედებაში იყრის თავს. მსჯელობას მათი არგუმენტირებული ანალიზის საფუძველზე გავაგრძელებთ.

## რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის“ ფარგლებში.

საინტერესოა, სამართლიანობის კვლევის თვალსაზრისით, რა ზნეობრივ-სამართლებრივი ტრადიციები დაუტოვა ანტიკურმა ეპოქამ ცივილიზებულ სამყაროს? ან, აღიარებული მოთხოვნებიდან, რა პრინციპების დაცვაზე აორიენტირებული თანამედროვე ეთიკურ-სამართლებრივი აზროვნება? ნაშრომი სწორედ აღნიშნულის განხილვას ისახავს მიზნად. სამართლიანობის ბუნების, მისი არსის, სამართლიანობის ცნების, მისი შინაარსისა და საგნის კვლევით, ვცდილობთ ვაჩვენოთ ანტიკური სამყაროს ის დიდი როლი, რითაც ამ ეპოქამ, თანამედროვეობამდე ათასწლეულებით ადრე, (კაცობრიობის ზნეობრივ-სამართლებრივი განვითარების კონტექსტით), ცივილიზებული სამყაროს ჩამოყალიბების პროცესში გარდატეხა შეიტანა. ანტიკურმა სამყარომ, მისი უჩვეულო მრავალფეროვნების მიუხედავად, კაცობრიობას დაუტოვა სამართლიანობის კლასიკური იდეა, რომლის თანახმად, სამართლიანი ადამიანური ცხოვრების მოწყობა სამყაროს ბუნებრივ წესრიგთან შესაბამისობაშია შესაძლებელი.

## Resume

The article is prepared in the framework of the scientific-research project “Philosophy of Justice and Modernity” of Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

Interestingly, in terms of fair research, what moral-legal traditions left the antiquity epoch of civilized world? Or, what are the principles that are based on the adherence to the principles of modern ethical-legal reasoning? The essence of justice, the concept of justice, its contents and objective is to demonstrate the great role of the ancient world, which has transformed this epoch into the process of the civilized world by the millennium before the modernity (with the context of the moral development of humanity). The antiquity world, despite its unusual diversity, has left the classical idea of justice for mankind, in which a fair human life is possible in harmony with the natural order of the universe.

## резюме

Статья подготовлена в рамках исследовательского проекта «Философия правосудия и современность» юридического факультета и международных отношений Грузинского технического университета.

Интересно, что с точки зрения справедливого исследования, какие морально-правовые традиции покинули античную эпоху цивилизованного мира? Или, каковы принципы, основанные на соблюдении принципов современных этико-правовых рассуждений? Цель работы - обсудить это. Суть справедливости, ее сущности, концепции справедливости, ее содержания и цели заключается в том, чтобы продемонстрировать большую роль древнего мира, который эта эпоха превратилась в процесс цивилизованного мира к тысячелетию до современности (с учетом нравственного развития человечества). Мир античности, несмотря на свое необычное разнообразие, оставил классическую идею справедливости для человечества, в которой справедливая человеческая жизнь возможна в гармонии с естественным порядком вселенной.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. თევზაძე გურამ. ანტიკური ფილოსოფია. გამომცემლობა Carpe diem, თბილისი, 2015
2. მარინა გარიშვილი. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში. ლექციების კურსი. თბილისი, 2010
3. რომან მიმინოშვილი. საოცარი შემოქმედი. საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია. <http://www.webmix.ge/vvi/doc.php?doc=1892>
4. ჰომეროსი. ოდისეა. თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979
5. რიუდგერ საფრანსკი. ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2015
6. ჭელიძე მ., ელინიზმის ფილოსოფია. თსუ-ს გამომცემლობა, 1992
7. პლატონი. სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I ნიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
8. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1993,
9. Гуревич Б. С. Этика. М., 2006
10. Гусейнов А. Иррлитц Г. Краткая история этики. М., 1987
11. Г. Ю. Канарш. СОЦИАЛЬНАЯ СПРАВЕДЛИВОСТЬ: ФИЛОСОФСКИЕ КОНЦЕПЦИИ И РОССИЙСКАЯ СИТУАЦИЯ. Издательство Московского гуманитарного университета, 2011
12. Канке В. А. Этика ответственности. Теория морали будущего. Науч. изд.-М., Логос, 2003
13. КОНЦЕПЦИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ В АНТИЧНОМ И ЕВРОПЕЙСКОМ СОЗНАНИИ. Архимандрит Платон (Игумнов)]. . <https://cyberleninka.ru/article/v/kontseptsiya-spravedlivosti-v-antichnom-i-evropeyskom-soznanii>-Вопросы культурологии и философии.
14. Кудинская Н. И. Справедливость как социальный феномен и философская категория. Санкт-Петербург, 2013; <http://www.dslib.net/soc-filosofia/spravedlivost-kak-socialnyj-fenomen-i-filosofskaja-kategorija>.
15. Иванов В. Г. История этики Древнего мира. СПб., 1997
16. Материалисты Древней Греции: собр. текстов Демокрита, Гераклита, Эпикура. М., 1955
17. Становление и развитие представлений о праве и справедливости Главная>Становление и развитие представлений о праве и справедливости. Просмотр Сюда ссылаются Номер журнала: 4/2012 Автор: Торгашев Г.А. <http://49e.ru/ru/2012/4/5>.
20. Тренчени-Вальдапфель И. Гомер и Гесиод. М., Издательство иностранной литературы, 1956
21. Трубецкой С. Н. Метафизика в Древней Греции. М., 1910
22. Шохин В. К. Философия ценностей и ранняя аксиологическая мысль. М., 2006
23. Kranz W., Vorsokratische Denker. Berlin, 1959
24. Platon, Sophistes, (Theaitetos, Der Sophist, Der Staatsmann, Band 6, Bearbeitet von Peter Staudacher, Griechischer Text von Auguste Dies, Deutsche Uebersetzung von Friedrich Schleiermacher, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1990
25. Platon, Philebos (Timaios, Kritias, Philebos. Band 7 , Bearbeitet von Klaus Widdra. Griechischer Text von A. Rivaud, August Dies, Deutsche Uebersetzung von Hieronymus Müller, Friedrich Schleiermacher, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1990). <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1451.pdf>
26. Hegel, Georg Wilhelm Friedrich. Vorlesungen über die Geschichte der Philosophie, Werke in zwanzig Banden, B. 19, Frankfurt am Main, 1993

### 3. ჯონ როულსის სამართლიანობის თეორია

**პროფესორები:  
ირაკლი გაბისონია,  
ალექსანდრე ტალიაშვილი,  
სალომე ხიზანიშვილი**

სამართალი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, თავის თავში მოიცავს ისეთ სანქციებს, როგორცაა თავისუფლება, კანონიერება, სამართლიანობა.

ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსების ნაწერებში ჩვენ ვხვდებით სამართლიანობის, როგორც მსოფლიო კოსმოსური კანონზომიერების განმარტებას. მათი გაგებით, სამართლიანობა განხილულ უნდა იქნას, როგორც სახელმწიფოს მონყობისა და პიროვნების აღზრდის ქვაკუთხედი. პლატონი, მაგალითად, სამართლიანობას მიიჩნევდა ღვთისაგან მონიჭებულ სიკეთედ, რომელიც საფუძველია იდეალური სახელმწიფოსი და არსებული კანონებისა.

არისტოტელე ერთმანეთთან აახლოებს სამართალსა და სამართლიანობას. მისი აზრით, სამართლიანია ყველაფერი ის, რაც შეესაბამება კანონებს, ხოლო უსამართლოა, რაც მას არღვევს. ბერძენი ფილოსოფოსების აზრს ავითარებს ციცერონი, რომლის აზრითაც, თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები ეწინააღმდეგება სამართლიანობას, მაშინ ისინი არ წარმოადგენენ კანონებს.

ახალი დროის სამართლებრივ, ეთიკურ აზროვნებას გარკვეული ცვლილებები შეაქვს სამართლიანობისა და კანონიერების ცნებებში, კერძოდ: უარყოფილ იქნა სამართლიანობის ღვთიური წარმოშობა. სამართლიანობის ეთიკური შემადგენლობის ნაცვლად, წინ წამოიწია მისმა იურიდიულმა მხარემ, კერძოდ, სამართლიანობის კავშირმა სახელმწიფოს პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან, სამართლიანობის შინაარსის გაიგივებამ სამართალთან.

მე-19 საუკუნეში მოღვაწე ფილოსოფოსების აზრით, სამართლიანობა, პირველ რიგში, მდგომარეობს ადამიანების მიერ დადებული ხელშეკრულების დაცვაში, რაც, თავისთავად, უნდა წარმოადგენდეს კანონიერების საფუძველს. ამასთან, დამკვიდრდა აზრი, რომ სამართლიანობა მდგომარეობს სარგებლობის მიღებაში, გონიერ ქცევებში, კერძო საკუთრების დაცვაში, ადამიანების თანასწორობისა და თავისუფლების აღიარებაში.

იმავე და სხვა მსგავს მოსაზრებებს ჩვენ ვხვდებით კანტის, ჰეგელის, მილის, პრუდონის და სხვა სამართალმცოდნეთა და ნეოკანტიანელთა შრომებში.

მე-20 საუკუნეში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ გავლენა იქონია ფილოსოფიურ-სამართლებრივ შეხედულებებზე. 1971 წელს გამოჩენილმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯონ როულსმა (1921-2002წწ.) გამოაქვეყნა ნაშრომი – „სამართლიანობის თეორია“, რომელშიც განხილულია საზოგადოების სამართლიანი მონყობის ძირითადი პრინციპები და ამავე დროს მოცემულია სოციალურ სამართლიანობასა და კანონიერებას შორის არსებული ურთიერთობის ფუნდამენტური ანალიზი. სოციოლოგიის, ეთიკის, ფილოსოფიის გარდა, იგი ეხება ეკონომიკურ, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებს.

ჯონ როულსი გვთავაზობს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების რთული საკითხების გადაწყვეტის გზას. მისმა შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონია თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაზე, გამოიწვია არსებული ტრადიციული ლიბერალური ღირებულებების გადაფასება. ჯონ როულსის როგორც მიმდევრები, ისე კრიტიკოსები თანხმდებიან, რომ პოლიტიკური ფილოსოფია იყოფა „როულსამდე“ და „როულსის“ შემდგომ ეპოქად.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი რეიმონდ უექსი აღნიშნავს: „ჯონ როულსის სამართლის თეორია საყოველთაოდ აღიარებულია გმირობად, მასში გადმოცემული მართლმსაჯულების, სამართლის კონცეფცია თანამედროვე დისკუსიებისათვის სამართლიანად იქცა ამოსავალ წერტილად“.<sup>56</sup>

თავის ნაშრომში „სამართლიანობის თეორია“ ჯონ როულსმა სცადა ლოკის, რუსოსა და კანტის საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია გაემდიდრებინა და იგი წარმოედგინა, როგორც აბსტრაქცია. სამართლიანობის სუბიექტებად ჯონ როულსი განიხილავს კანონებს, ინსტიტუტებს, სოციალურ სისტემებს, კონკრეტულ მოქმედებებს, გადანყვეტილებებს, ადამიანთა განწყობებსა და თვითონ ადამიანებს. განსაზღვრავს რა საზოგადოებაში სამართლიანობის როლს, ჯონ როულსი ამტკიცებს, რომ სამართლიანობა არის ადამიანის მოღვაწეობის ყველაზე დადებითი თვისება: მისი აზრით, საზოგადოებრივი ინსტიტუტები უნდა ზრუნავდნენ ადამიანთა შორის სანყის შეთანხმებაზე.

ჯონ როულსი თვლის, რომ „პატიოსანი და სამართლიანი“ საზოგადოების შესაქმნელად ადამიანები უნდა შეთანხმდნენ მთავარზე: ეს არის არჩევანი პრინციპებისა, რომელთა მეშვეობითაც შემდგომში რეფორმირდება სოციალური ინსტიტუტები.

ჯონ როულსის პირველი პრინციპის თანახმად, თითოეულ ინდივიდს თანაბარი უფლებები უნდა მიეცეს. აქ იგულისხმება ხმის მიცემისა და თანამდებობის დაკავების უფლება, სინდისისა და სიტყვის თავისუფლება, პიროვნების დაცვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, კერძო საკუთრების დაცვა და ა.შ. ეს უფლებები, პირველი პრინციპის თანახმად, თანაბარი უნდა იყოს ყველა ინდივიდისთვის.

მეორე პრინციპი: სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა ისე უნდა დარეგულირდეს, რომ ნაკლებად წარმატებულთათვის უზრუნველყოფილი იყოს ყველაზე მეტი სარგებელი; საზოგადოებაში შესაბამისი მდგომარეობის დასაკავებლად ყველასთვის თანაბარი პირობები უნდა შეიქმნას.

ჯონ როულსის სამართლიანობის პრინციპები ეფუძნება იერარქიულ თანმიმდევრობას, ანუ, პირველი პრინციპის დაკმაყოფილების გარეშე, მეორე პრინციპის დაცვა შეუძლებელი ხდება, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ თანაბარი თავისუფლების პრინციპი პრიორიტეტულია ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის მარეგულირებელ პრინციპებთან შედარებით.<sup>57</sup>

უფრო რომ დავაზუსტოთ, საზოგადოების ძირითადმა სტრუქტურებმა სიმდიდრე და ძალაუფლება ისე უნდა გადაანაწილონ, რომ იგი შესაბამისობაში იყოს ყველასთვის თანაბარი თავისუფლების პრინციპთან.

გასაგებია, რომ ადამიანები დაჯილდოებული არიან სხვადასხვა შესაძლებლობით, ღებულობენ განსხვავებულ განათლებას, აღზრდას, მემკვიდრეობას, აქვთ სხვადასხვა მიზანი, მოთხოვნილებები. შესაბამისად, სამართლიანობა უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს სანყის მდგომარეობაში ყველასთვის ერთნაირი შანსის მიცემას.

ჯონ როულსის აზრით, სამართლიანობის დამყარების მცდელობისას, პირველ რიგში, უნდა მოისპოს უთანასწორობა, რომელიც არსებობს ცხოვრებისეული სიკეთების დაუფლებისას. იგი თვლის, რომ „სამართლიანობა“ უნდა განისაზღვროს, როგორც მოთხოვნილების მიხედვით ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთის მიღების შესაძლებლობის უფლება. შესაბამისად, საზოგადოებრივი წყობილება არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად, თუ ის არ აძლევს გარანტიას ყველა მოქალაქეს დაიკმაყოფილოს თავისი ძირითადი მოთხოვნილებები.

ჯონ როულსს მიაჩნია, რომ ადამიანებმა ჯერ უნდა აირჩიონ სოციალური სამართლიანობის პრინციპები და შემდეგ მის საფუძველზე შექმნან ეკონომიკური და სოციალური წესრიგი. იგი თვლის, რომ ადამიანს, მისი ბუნებიდან გამომდინარე,

56 რეიმონდ უექსი. სამართლის ფილოსოფია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012წ. გვ. 9  
57ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი. სამართლიანობა და სამართალმემოქმედება, ჟურნალი „იურისტი“, 2017წ., გვ. 26.

ურჩევნია მოიქცეს სამართლიანად და, შესაბამისად, მხარი დაუჭიროს სამართლიანი ინსტიტუტების არსებობას. ასეთ შემთხვევაში მოქალაქის მიერ კეთდება შეფასება: 1. საზოგადოებაში ტარდება თუ არა სამართლიანი პოლიტიკა და არის თუ არა სამართლიანი კანონმდებლობა. გასათვალისწინებელია, რომ ადამიანთა შეფასებები განსხვავებულია, როდესაც საკითხი მათ ინტერესებს ეხება. 2. მოქალაქემ უნდა გადანყვიტოს, წარმოშობილი უთანხმოების მოსაწესრიგებლად, საზოგადოების კონსტიტუციური მოწყობის რომელი სისტემა იქნება უფრო სამართლიანი.

მოქალაქე შეიძლება სამართლიანად თვლიდეს კონსტიტუციას, მაგრამ პოლიტიკური პროცესი იყოს სამართლიანობის თვალსაზრისით არასრულყოფილი. მოქალაქემ უნდა გადანყვიტოს, როდის დაეთანხმოს დადგენილ წესებს, ე.ი. მან უნდა განსაზღვროს თავისი პოლიტიკური ვალდებულებებისა და მოვალეობების საზღვრები. საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს მოთხოვნისა და მიწოდების საბაზრო სისტემა, მაგრამ ბაზარი ყველა პრობლემას ვერ წყვეტს. შესაბამისად, დგება აუცილებლობა ახალი ინსტიტუტების შექმნისა, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფენ სამართლიანობის დაცვას.

ჯონ როულსს, ეხება რა ეკონომიკურ სისტემებს, მიაჩნია, რომ, როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური სისტემები შეესაბამება ამ პრინციპს, მთავარია, მთავრობა ეცადოს სოციალურ შეღავათებთან ერთად დამატებითი ასიგნებები განახორციელოს სასკოლო განათლების სისტემაში, ეკონომიკურ საქმიანობაში ნაახალისოს თანაბარი შესაძლებლობები, შეზღუდოს ეკონომიკის მონოპოლიზაცია, უზრუნველყოს მინიმალური შემოსავალი.

ჯონ როულსის აზრით, სამართლიანი ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს ოთხი დამატებითი მიმართულება.

1. მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს ფასების წარმოქმნის სისტემის გამართულ მუშაობას და თავიდან აიცილებს ბაზრის ზედმეტ გავლენას.
2. მიმართულება, რომელიც მხარს უჭერს დასაქმების პრობლემის გადაჭრას და პირველ მიმართულებასთან ერთად უზრუნველყოფს ბაზრის ეფექტურ საქმიანობას.
3. სოციალური მიმართულება, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური დახმარების მინიმუმის გარანტირებულ მიღებაზე.
4. მიმართულება, რომელიც გადასახადებისა და საკუთრების სწორი რეგულაციით უზრუნველყოფს დოვლათის სამართლიან განაწილებას.

ჯონ როულსის აზრით, ყველას უნდა ჰქონდეს არჩევის თანაბარი შესაძლებლობა; სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ ერთიანი მოტივაციის ადამიანებისათვის განათლებისა და კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა; მთავრობამ სოციალური რესურსები ისე უნდა განკარგოს, რომ უზრუნველყოს სოციალური დახმარებისა და სიკეთის განაწილება დასახელებული პრინციპის მიხედვით<sup>58</sup>. ჯონ როულსს სამართლიანი განაწილების თეორიის ძირითად ამოცანად მიაჩნია შექმნილი სიკეთის განაწილების დადებითი და უარყოფითი მხარეების მორალურ-ეთიკური კუთხით შეფასება.

სამართლიანი განაწილების თეორია დიდ წილად გამომდინარეობს უტილიტარიზმის დოქტრინიდან. ამ თეორიის კლასიკური წარმომადგენლები მორალის ძირითად საფუძვლად მიიჩნევენ სარგებლიანობას. მათი აზრით, სარგებელი უნდა განაწილდეს შემდეგი წესით: „მეტი სარგებელი მეტი ადამიანისთვის“. სარგებლიანობის პრინციპს ისინი იყენებენ ადამიანთა სამართლიანი თუ უსამართლო მოქმედების შეფასების კრიტერიუმად და ავრცელებენ არა მარტო შექმნილ სიკეთეზე, არამედ ადამიანთა ქმედებებზეც.

ჯონ როულსის სამართლიანობის თეორია წარმოადგენს უტილიტარიზმის თეორიის იმ ალტერნატივას, რომელიც არ ღებულობს პიროვნებებს შორის განსხვავებებს და უარყოფს მათ ინდივიდუალურ უფლებებს.

58 Дж. Ролз. Теория справедливости. Москва, 2017, стр. 248.

ჯონ როულსი თვლის, რომ განაწილების სამართლიანობა არის სოციალური სისტემის არჩევა. სოციალურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი განაწილება. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სოციალური და ეკონომიკური პროცესების სწორად წარმართვით, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების არსებობით.

ჯონ როულსი, ადარებს რა სრულყოფილ და არასრულყოფილ პროცედურულ სამართლიანობას, მიუთითებს, რომ სრულყოფილი პროცედურული სამართლიანობა უზრუნველყოფს ნათელ და დამაჯერებელ სამართლიან შედეგს. არასრული პროცედურული სამართლიანობის დროს, მართალია, ვიცით, თუ რა კრიტერიუმებია საჭირო სამართლიანი შედეგისათვის, მაგრამ არ გვაქვს პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ამ შედეგის დადგომას.

არასრულყოფილი სამართლიანობის პროცედურის მაგალითად ჯონ როულსს მოჰყავს სისხლის სამართლის განმხილველი სასამართლო: „ჩვენ ვიცით, რომ სასამართლოს განხილვის შედეგი უნდა იყოს დამნაშავის დასჯა და უდანაშაულოს გამართლება, მაგრამ ეს შედეგი არაა გარანტირებული და, შესაბამისად, სამართლიანობა არის არასრულყოფილი“.<sup>59</sup>

ჯონ როულსის მიხედვით, სამართლიანი განაწილება უნდა განვიხილოთ, როგორც პროცედურული სამართლიანობა, რომლის დაცვის შემთხვევაში შედეგი, დიდი ალბათობით, იქნება პატიოსანი და სამართლიანი. მისი აზრით, კანონები და პოლიტიკა სამართლიანია, როდესაც კანონმდებლობა ეყრდნობა სამართლიან კონსტიტუციას. საწყის მდგომარეობაში საზოგადოებამ ხელშეკრულება ისე უნდა ჩამოაყალიბოს, რომ საბაზისო სტრუქტურის არჩევა მოხდეს სამართლიანი პროცედურის ჩარჩოში.

სოციალური სამართლიანობის პირველად სუბიექტად ჯონ როულსს მიაჩნია საზოგადოების საბაზისო სტრუქტურა, ე.ი. საზოგადოების შიგნით არსებული ძირითადი სოციალური ინსტიტუტები.

ძირითად ინსტიტუტებში იგულისხმება კონსტიტუცია და სოციალური მონყობა; სოციალური სქემის სამართლიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის განერილი საზოგადოების სხვადასხვა ფენის ეკონომიკური შესაძლებლობები, სოციალური პირობები და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები. ჯონ როულსი ცდილობს საბაზისო სტრუქტურისათვის (სახელმწიფოსათვის) ჩამოაყალიბოს გონიერი სამართლიანობის კონცეფცია, მისი აზრით, უნდა შედგეს შეთანხმება, რა დროსაც ადამიანები აცნობიერებენ სავალდებულო ქცევის წესებს და იქცევიან ამ წესების შესაბამისად. ეს წესები შეადგენენ სისტემას, რომელიც სასიკეთოა შეთანხმების ყველა მონაწილისათვის.<sup>60</sup>

ჯონ როულსს მიაჩნია, რომ საზოგადოებისათვის დამახასიათებელია როგორც ინტერესთა კონფლიქტი, ისე ინტერესთა თანხვედრა, სოციალური კოოპერაცია იძლევა უკეთესი ცხოვრების საშუალებას. მაგრამ კონფლიქტს ქმნის ის გარემოება, რომ სარგებლის განაწილებისას ადამიანები ცდილობენ მიიღონ თავისთვის მეტი, ხოლო სხვებს გაუნაწილონ ნაკლები.

იმისათვის, რომ მოხდეს შეთანხმება სიკეთის განაწილების წესებში, ჯონ როულსის აზრით, საჭიროა გვექონდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპები, რომელთა შესრულებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტები.

ჯონ როულსის აზრით, მოწესრიგებული საზოგადოება არის საზოგადოება, რომელიც ზრუნავს მიღებული წესების დაცვაზე და იმართება სამართლიანობის კონცეფციის შესაბამისად. ასეთ საზოგადოებაში ყველა ეთანხმება სამართლიანობის პრინციპებს, ხოლო ძირითადი სოციალური ინსტიტუტები მოქმედებენ ამ პრინციპების შესაბამისად. სამართლიანობის კონცეფცია საზოგადოების წევრებში იწვევს სამართლიანობის გრძნობას და სურვილს, მოიქცეს ამ წესების შესაბამისად.

ჯონ როულსი „პირველადი სიკეთის“ განაწილების ახსნისას იყენებს არისტოტელეს სამართლიანობის კონცეფციას (საზოგადოებაში არსებული სიკეთე უნდა განაწი-

59 Дж. Ролз. Теория справедливости. Москва, 2017, стр. 248.

60 იქვე:

ილდეს მოთხოვნების მაქსიმალურად თანასწორობის დაცვით). „პირველადი სიკეთის“ ცნებაში ჯონ როულსი, პირველ რიგში, გულისხმობს თავისუფლებასა და ადამიანთა თანაბარ შესაძლებლობებს. მისი აზრით, „პირველადი სიკეთე“ უზრუნველყოფს ადამიანის დამოუკიდებლობასა და სიკეთის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობას.

ჯონ როულსის თეორიის ანალიზი ბადებს კითხვას: შეიძლება თუ არა მისი პრაქტიკული განხორციელება? თვითონ ავტორი კითხვას შემდეგნაირად პასუხობს: ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში ყოველთვის იქნება უთანასწორობა. მთავარია, საწყის მდგომარეობასთან შედარებით გაუმჯობესდეს საზოგადოების ყველა წევრის მდგომარეობა, კონსტიტუცია იყოს სამართლიანი და სახელმწიფო ინსტიტუტებმა ეცადონ განახორციელონ სამართლიანობის პრინციპები.

ჯონ როულსის მიზანია თანამედროვე პირობებში აღადგინოს ადამიანების მორალური არჩევანისა და გონიერი მმართველობის შესაძლებლობის რწმენა. ჯონ როულსის სამართლიანობის თეორიის ირგვლივ გამოთქმულია მრავალი კრიტიკული შენიშვნა და მოსაზრება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ამერიკელი მეცნიერის რ. ნოზიკის ნაშრომი „ანარქია, სახელმწიფო, უტოპია“. რ. ნოზიკი, პირველ რიგში, მიუთითებს ჯონ როულსის სამართლიანობის კონცეფციის ანტიისტორიულობაზე. რ. ნოზიკი თვლის, რომ არ შეიძლება მატერიალური სიკეთის გაგება ისე, თითქოს იგი არასოდეს არავის არ ეკუთვნოდ. მატერიალური სიკეთის ჯონ როულსის გადანაწილების მეთოდი რ. ნოზიკს მიაჩნია „არასამართლიანად და ამორალურად“.<sup>61</sup>

ცნობილი გერმანელი სამართალმცოდნე ო. ხეფფე, ერთმანეთს ადარებს რა ჯონ როულსის და რ. ნოზიკის კონცეფციას მატერიალური სიკეთის განაწილების შესახებ, ეთანხმება ჯონ როულსის მოსაზრებას და თვლის, რომ დედამინაზე არსებული სიკეთე დასაბამიდან კაცობრიობი

ს საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მისი შემდგომი მიტაცებითა და გადამუშავებით, საკუთრება არა პირველადი, არამედ მეორეული გახდა. ო. ხეფფეს აზრით, ბუნების სიკეთის გამოყენების უპირატესი უფლება კაცობრიობას არა ინდივიდუალურად, არამედ მეტწილად კოლექტიურად უნდა ჰქონდეს.<sup>62</sup>

ო. ხეფფეს კრიტიკული შენიშვნები ჯონ როულსის თეორიის მიმართ უფრო მეთოდოლოგიური ხასიათისაა. იგი თვლის, რომ ჯონ როულსი იძიებს სამართლიანობის ემპირიულ თეორიას, მაგრამ ამავე დროს სამართალუნარიანობის საკითხს არ ეხება და მას ღიად ტოვებს. ო. ხეფფე კონცეფციის ნაკლად თვლის სოციალური ვალდებულებების უგულვებლყოფას, რის გარეშეც გაძნელებულია სამართლიანობის დაკავშირება ვალდებულებებთან.

მიუხედავად კონსტრუქციული კრიტიკისა, რ. ნოზიკი, ო. ხეფფე და ასევე სხვა სამართლის ფილოსოფიის მკვლევრები ჯონ როულსის შეხედულებების მიმართ ძირითადად სოლიდარულები არიან.

მეცნიერთა აზრით, ჯონ როულსი, პირველ რიგში, ცდილობდა ჩამოეყალიბებინა დისკუსიის ველი, სადაც დამუშავდებოდა სამართლიანობის საერთო ლეგიტიმური პრინციპები. უნდა ითქვას, რომ ჯონ როულსმა ეს შეძლო. მისმა შრომებმა ცხოველი ინტერესი და დისკუსიები გამოიწვია სამართლის ფილოსოფიის მკვლევართა შორის, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამედროვე პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების დონეს.

### რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის“ ფარგლებში.

ჯონ როულსის ნაშრომში გადმოცემულია სოციალურ სამართლიანობასა

61 Nozick. Anarchy, State and Utopia. New York, 1974, p. 46.

62 Хёффе О. Политика, право, справедливость. Основы положений критической философии права и государства. М., 1994, с. 23-24.

და კანონიერებას შორის არსებული ურთიერთობის ფუნდამენტური ანალიზი. სოციოლოგიის, ეთიკის, ფილოსოფიის გარდა, მისი ნაშრომი ეხება ეკონომიკურ, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებს.

ჯონ როულსს მიაჩნია, რომ „პატიოსანი და სამართლიანი“ საზოგადოების შესაქმნელად ადამიანები უნდა შეთანხმდნენ პრინციპებზე, რომელთა მეშვეობითაც შემდგომში რეფორმირდება სოციალური ინსტიტუტები.

ჯონ როულსი გვთავაზობს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების რთული საკითხების გადაწყვეტის გზას. მისმა შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონია თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაზე, გამოიწვია არსებული ტრადიციული ლიბერალური ღირებულებების გადაფასება.

## Resume

The article is prepared within the framework of the research project “Justice Philosophy and Modernity” of the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University.

Fundamental analysis of relations between social justice and legitimacy is represented in J. Rawls's work. Except sociology, ethics, philosophy, his work deals with economic, legal and political sciences.

John Rawls supposes that in order to create “fair and just” society humans have to come to agreement on those principles, with the help of which social institutions will be reformed afterwards.

John Rawls offers us the solution approach to complicated issues of political and social life. His views had massive impact on modern political philosophy and caused reevaluation of existing traditional liberal values.

## Резюме

Статья подготовлена в рамках исследовательского проекта «Философия правосудия и современность» на факультета юридического и международных отношений Грузинского технического университета.

В работе Дж. Ролза представлен фундаментальный анализ взаимоотношений, существующих между социальной справедливостью и законностью. Помимо социологии, этики, философии, его работа также затрагивает экономические, юридические и политические науки.

Джон Ролз полагает, что для создания «честного и справедливого» общества люди должны договориться о тех принципах, с помощью которых впоследствии будут реформированы социальные институты.

Джон Ролз предлагает нам путь решения сложных вопросов политической и социальной жизни. Его взгляды оказали большое влияние на современную политическую философию, вызвали переоценку существующих традиционных либеральных ценностей.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. რეიმონდ უექსი. სამართლის ფილოსოფია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012წ.
2. Кельзен Г. Право, государство и справедливость в чистом учении о праве. Правоведение, 2012г., №2.
3. Идеи справедливости в традициях постклассической философии права. Монография под общ. ред. В.П. Сальникова, Санкт-Петербург, 2012г.
4. Дж. Ролз. Теория справедливости. Москва, 2017.
5. О. Хёффе. Политика, право, справедливость. Основы критической философии права и государства. М., 1994г.
6. Nozick. Anarchy, State and Utopia. New York, 1974.

# 1.სამშენებლო დავებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ანალიზი

პროფესორები:  
ირაკლი გაბისონია,  
ჯემალ გაბელია

ბოლო პერიოდში საქართველოს ცენტრალურ ქალაქებსა და ტურისტულ ცენტრებში მიმდინარე სამშენებლო ბუმმა, სამშენებლო სამართლის სფერო ყველა მიმართულებით ძალიან აქტიურად გახდა. ამის დადასტურებაა როგორც საკანონმდებლო რეფორმის მიმდინარეობა,<sup>63</sup> ისე სამეცნიერო პუბლიკაციების აქტიურად გამოქვეყნება<sup>64</sup>. ამ სფეროში სასამართლოში დავების რიცხვმა მოიმატა.<sup>65</sup> თუმცა უცნაურია, რომ მცირედი გამონაკლისის გარდა,<sup>66</sup> სასამართლო პრაქტიკის ანალიზი არ კეთდება და ამ მხრივ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მწირია. წინამდებარე სტატიის მიზანია სწორედ უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მოკლე ანალიზი, რაც ძირითადად გაკეთდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შემსწავლელი და განზოგადების განყოფილების მიერ გამოცემული კვლევის საფუძველზე - „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამშენებლო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებზე (2012-2017 წლები)“.<sup>67</sup> სტატია გამოცემულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის“ ფარგლებში, სადაც უმეტესად გაკეთდა სამეცნიერო ხასიათის დასკვნები. პასუხი გაეცა კითხვას, რამდენად შინაარსზე და ამ მხრივ ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენაზეა ორიენტირებული საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული სამართლის დაყოფა ზოგად და განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ სამართლად არის კონტინენტური სამართლის ერთ-ერთი სისტემური მიდგომა. ზოგად ადმინისტრაციულ სამართალს განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ სამართალთან აქვს მიმართებები როგორც დოგმატური, ისე იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით. დოგმატური თვალსაზრისით, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი და განსაკუთრებული ადმინისტრაციული სამართალი იმყოფებიან ფუნქციურ ურთიერთმიმართებაში. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი განსაკუთრებული

63 განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით შემუშავებული მშენებლობის კოდექსის პროექტი, რომელიც დღეს 2 მოსმენითაა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ამ და სხვა საკითხებზე დანვრლებით იხ. კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი საქართველოში (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები), ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2016, 2, გვ. 93-104.

64 კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი საქართველოში (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები), ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2016, 2, გვ. 93-დან; კობა ყალიჩავა, სამშენებლო სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, გვ. 252-დან; კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები), ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2/2016, გვ. 99-დან; Ucha Zakashvili, Koba Kalichava, Modern Development Tendencies of Georgian Construction Law, in: Studia Prawa Publicznego, 2018, NR 1 (21), pg. 53-70

65 ლიანა ლომიძე, თამაზ ხუხუნაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამშენებლო დავებზე, თბ. 2018, გვ. 17-დან.

66 Ucha Zakashvili, Koba Kalichava, Modern Development Tendencies of Georgian Construction Law, in: Studia Prawa Publicznego, 2018, NR 1 (21), pg. 53

67 ლიანა ლომიძე, თამაზ ხუხუნაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამშენებლო დავებზე, თბ. 2018, გვ. 17-დან.



ადმინისტრაციული სამართლისაგან იღებს მაგალითებს. განსაკუთრებული ადმინისტრაციული სამართალი ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში არსებული წესების, პრინციპებისა და ცნებების მეშვეობით ინარჩუნებს სტაბილურობას და მთლიან სტრუქტურას, რაც განსაკუთრებული ადმინისტრაციული სამართლის სეკრეციას გვაცხადებს თავიდან.<sup>68</sup> იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით კი განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კანონმდებლობაში (გარემოს დაცვის, სამშენებლო, საპოლიციო და ა.შ.) არ სჭირდება ისეთი ინსტიტუტების განმეორება რომელიც საერთოა - ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები, ადმინისტრაციული წარმოება, აქტის გაუქმება და სხვა. განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ სამართალს შეუძლია მხოლოდ გარკვეული გამონაკლისები დაუშვას, რაც გათვალისწინებულია ზოგად კანონმდებლობაში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც უკავშირდებოდა სზაკ-ის გამოყენებას სამშენებლო საკითხებზე გადანიშნულებების მიღებისას. უზენაესი სასამართლოს პირველი გადანიშნულება ეხებოდა სზაკ-ის 53-ე მუხლის გამოყენების ვალდებულებას.<sup>69</sup> ამ საქმეში საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ „დავის საგანი მშენებლობის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, სადაც ამ დარგის კანონმდებლობით არის განერილი აქტის მომზადებისა და გამოცემის საკითხები,..“ საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა მიიჩნია სრული კანონშეუსაბამოდ და იმ საფუძველით გააუქმა ის, რომ „ვინაიდან სამშენებლო სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ (კერძო) ნაწილს, შესაბამისად, სამშენებლო სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ სრულად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემისათვის დადგენილი სამართლებრივი პროცედურები. მათ შორის, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისა და წარმოების ამ სახისათვის განსაზღვრული საპროცესო მოქმედებათა ჩატარების ვალდებულება, კერძოდ, მტკიცებულებათა მოპოვება, შეფასება, მესამე პირების ჩაბმა, მხარეთა მოსმენა და სხვა.

ამდენად, სამშენებლო სამართლის (ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის ყველა სხვა სფეროს) ნორმატიული აქტები ამომწურავად არ განსაზღვრავს აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემის წესებს, რადგან ეს საერთო წესი, დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სავალდებულოა ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მმართველობითი ღონისძიებების ყველა სამართლებრივი ფორმის განხორციელების მომენტში.“<sup>70</sup>

მეორე საქმეშიც საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის განჩინებას რომლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ახალციხის რაიონული სასამართლოს გადანიშნულება.<sup>71</sup> გადანიშნულებით სწორედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევის გამო ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები, კერძოდ, სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე 2014 წლის 13 თებერვლის ბრძანება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის უფლება დაირღვა იმით, რომ სადავო აქტის გამოცემა მოხდა წარმოების წესების სრული იგნორირებით. როგორც საქმის მასალებიდან დასტურდებოდა, ობიექტის შემოწმება, სხდომის შესახებ შეტყობინების ჩაბარება, სხდომაზე საკითხის განხილვა, გადანიშნულების მიღება მოხდა ერთ დღეს, რაც თავისთავად ნათელს ხდიდა აქტის გამოცემისთვის დადგენილი პროცე-

68 Hartmut Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 18. Aufl. 2011, § 3, Rdnr. 4

69 #ბს-435-430(კ-12).

70 #ბს-435-430(კ-12).

71#ბს-512-499(კ-14).

დურების დარღვევას.<sup>72</sup> მნიშვნელოვანია ასევე საკასაციო სასამართლოს განმარტება კანონიერი ნდობის<sup>73</sup> არსებობისას აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობის საკითხთან დაკავშირებით<sup>74</sup>. საქმეში სადავო იყო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 93,5 კვ.მ-ის დემონტაჟის აქტი, რომელიც გამოცემული იყო იმ საფუძველით, რომ ამ ფართის 8 კვ.მ-ის მიმართ პრეტენზია ჰქონდა სხვა პირს, რამეთუ ის მის ნაკვეთზე გადადიოდა. ამიტომ, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მხარეთა შორის სადავოს მხოლოდ 8 კვ.მ. ფართი წარმოადგენს, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 14 ივნისის №18 ბრძანებაც სწორედ 8 კვ.მ. ფართის ნაწილში გახდა სადავო ... მიერ, შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება მხოლოდ 8 კვ.მ. ფართის ნაწილში შეეხო მესამე პირთა ინტერესებს, ხოლო დანარჩენი 85.5 კვ.მ. ფართის (93.5 კვ.მ - 8 კვ.მ.) კანონიერება სადავოდ არ გამხდარა; ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 14 ივნისის №18 ბრძანებას 85.5 კვ.მ. ფართის ნაწილში არ დაურღვევია სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებები ან ინტერესები. ადმინისტრაციულმა ორგანომ კი თავისი ქმედებით ფაქტობრივად წაართვა ... საკუთრება 85.5 კვ.მ. ფართზე, როდესაც ამის ინტერესი არავის ქონდა<sup>75</sup>“ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შეფასებისას, ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მხედველობაში უნდა მიეღო ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის საერთო პრინციპი - კანონიერი ნდობის პრინციპი და გამოერკვია, განსახილველ შემთხვევაში უფლებამოსილი იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანო ბათილად ეცნო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის მიმართაც მოსარჩელეს გააჩნდა კანონიერი ნდობა და რომლის ბათილად ცნობითაც მას მიაღდა ზიანი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 18 აგვისტოს ბრძანება და ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაავალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრების გადამეტება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც იმავდროულად აქვს გეგმარებით-სამართლებრივი ბუნებაც. ეს არის ე.წ. „სპეციალური ზონალური შეთანხმების“ ინსტიტუტი, „რომელიც, მართალია, არ არის პირდაპირ კავშირში გეგმის გამოცემასთან, თუმცა მისი, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, დამტკიცება ცალკეულ შემთხვევაში ახლებურად განსაზღვრავს გეგმის შინაარსს (პარამეტრებს და გამოყენების სახეობას).“<sup>76</sup> ასეთი შეთანხმების მატერიალურ წინაპირობებს ამომწურავად ადგენს კანონმდებელი (სქსკ-ის 31-ე მუხლი), რაც ახდენს მართლმსაჯულებითი კონტროლის რაციონალიზაციას.<sup>77</sup> ეს პროცესი კი უნდა ეფუძნებოდეს ინტერესთა შეჯერების პრინციპს, რომელიც ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპია სამშენებლო სამართალში.<sup>78</sup>

სწორედ ამ უკანასკნელი მუხლის ანალიზს ეხება საქართველოს უზენაესი სა-

72 #ბს-512-499(კ-14).

73 სამშენებლო სამართალში საკუთრების როგორც ინსტიტუტის გარანტიისა და გეგმარებით და სანებართვო გადაწყვეტილებებში მისი დაცვის თაობაზე დანვრ. იხ. კობა ყალიჩავა, მშენებლობის სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, ვ.ნ. 601.

74 #ბს-435-430(კ-12).

75 იქვე

76 კობა ყალიჩავა, მშენებლობის სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, ვ.ნ. 748.

77 იქვე

78 კობა ყალიჩავა, მშენებლობის სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, ვ.ნ. 685

სამართლოს გადაწყვეტილება.<sup>79</sup> ამ საქმეში მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის ბრძანებისა (თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ) და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის განკარგულების (განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის შესახებ) ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაშვებია კოეფიციენტების მაქსიმალური მაჩვენებლების გადამეტება მხოლოდ შესაბამისი პირობების არსებობისას და ეს პირობები კონკრეტულადაა ჩამოთვლილი ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებში.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი განსაზღვრავს შენობა-ნაგებობების პარამეტრების გადამეტების წინაპირობებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „განაშენიანების რეგულირების წესებით“ დადგენილი იმ ძირითადი პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია აღნიშნული კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტში ან დადგენილია იმავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მიხედვით, შეიცვლება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ან სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, თუ: ა) ამას მოითხოვს დასახლების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და არქიტექტურული, აგრეთვე ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა განსაკუთრებული მიზეზები; ბ) ცვლილება კომპენსირდება სხვა ღონისძიებებით; გ) ამას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა შეაფასოს, გადანონის თუ არა კანონიერი ნდობის პრინციპი კანონიერების/კანონიერი მმართველობითი საქმიანობის პრინციპს. სასამართლო მხოლოდ მაშინ შეძლებს ზემოაღნიშნულ პრინციპთა კონკურენციის საკითხის არსებითად გადაწყვეტას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო სათანადოდ გამოიკვლევს საქმის გარემოებებს და გამოკვეთს დაინტერესებულ პირთა, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს გასაჩივრებული აქტების მიმართ და სასამართლოს შესაძლებლობა ექნება, შეუპირისპიროს ერთმანეთს ზემოაღნიშნული ინტერესები (აქტის ადრესატისა და სხვა დაინტერესებულ პირთა, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები) და გადაწყვიტოს, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომელს მიანიჭოს უპირატესობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებები და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

მართალია სასამართლომ არსებითად არ გადაწყვიტა დავა, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას ხაზი გაუსვა საკუთრების სოციალურ ბოჭვას. დოგმატიკაშიც აღიარებულია, რომ საკუთრება „დატვირთულია სოციალური ვალდებულებებით. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილია მიწის შემთხვევაში, რასაც ის რეალობა განაპირობებს, რომ მიწა არის მწირი ბუნებრივი რესურსი. მის მიმართ საჯარო ინტერესი უფრო მაღალია, ვიდრე საკუთრების სხვა ობიექტების მიმართ, ამიტომ უძრავი ნივთების საკუთრების შინაარსის განსაზღვრისას ხელისუფლება იბოჭება სო-

79 ბს-930-922(23-16).

ციალური სამართლიანობისა და საზოგადოებრივი ინტერესების იდეით. საკუთრების უფლებაში ჩარევა, რომელიც ემყარება ამ საფუძვლებს, ყოველთვის ლეგიტიმურია და პროპორციულობის შემთხვევაში ის გამართლებულია<sup>80</sup>

მეორე საქმეში საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ქალაქგეგმარებით პირობებთან და განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამო ნაკვეთების განვითარების საკითხებზე.<sup>81</sup> უპირველესად, სასამართლო ამოდის იმ პოზიციიდან, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, დასახლებათა მინათსარგებლობის დაგეგმვის არსია დასახლების ტერიტორიისათვის უძრავი ქონების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების პარამეტრების დადგენა. ამ პარამეტრების მიხედვით, გამოყოფილია გარკვეული ზონები, სადაც მშენებლობა საერთოდ დაუშვებელია, ხოლო თითოეული იმ ზონის ფარგლებში, სადაც ნორმატიულად მშენებლობა დაიშვება, შესაძლებელია არსებობდეს ტერიტორია, რომელიც თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მშენებლობისათვის ვერ იქნება გამოყენებული, მაგალითად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებისა და წესების, აგრეთვე მინათსარგებლობის გეგმების მოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც თავისი მახასიათებლებით (ფართობი, კონფიგურაცია) არ შეესაბამება ზონის განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, იქნეს განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სტატუსს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა სწორად გამოიყენა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ არქიტექტურის სამსახური ყველა შემთხვევაში ვალდებულია, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო ტერიტორიებისათვის დაადგინოს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ინდივიდუალური პარამეტრები. ამგვარი პარამეტრების დადგენის საშუალებას მიწის ნაკვეთი უნდა იძლეოდეს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ უფლებამოსილი ორგანო მოთხოვნის განხილვის ფარგლებში ამონმებს კონკრეტულ ნაკვეთზე არა ზოგადად პარამეტრების დადგენის შესაძლებლობას, არამედ აფასებს მხარის მიერ განცხადებაში მითითებული სამშენებლო პირობების განსაზღვრის შესაძლებლობას. ისეთ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არ იძლევა მშენებლობის საშუალებას, ადმინისტრაციული ორგანო უარს ეუბნება განმცხადებელს პირობების დადგენაზე. რასაკვირველია, ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, ზუსტი მითითებით, ამ ნაკვეთზე საერთოდ მშენებლობა შეუძლებელია, თუ კონკრეტული სამშენებლო პროექტის განხორციელება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა სწორად გამოიყენა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი.<sup>82</sup>

ამ გადაწყვეტილებაშიც საკასაციო სასამართლომ, მართალია, დავა არ გადანყვიტა არსებითად, თუმცა ხაზი გაუსვა საკუთრების უფლების მნიშვნელობას. სამშენებლო სამართალში „საკუთრების ძირითადი უფლება, უპირველესად, არის საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და გულისხმობს საკუთრების ექსისტენციის, მისი ობიექტური ღირებულების დაცვას. საკუთრება, როგორც ინსტიტუტის გარანტია, მშენებლობის სამართლის სფეროში მუნიციპალურ ხელისუფლებას ართმევს ისეთი ქალაქმშენებლობითი გეგმის შემუშავების ან სანებართვო გადაწყვეტილების მიღების უფლებას, რომელიც საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს, ეჭვქვეშ დააყ-

80 კობა ყალიჩავა, მშენებლობის სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, ვ.ნ. 603.

81 #ბს-289- 287(2კ-16).

82 #ბს-289- 287(2კ-16).

ენებდა.<sup>83</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ განხილული ქეისები მონიშნავენ, რომ სამშენებლო სფეროში წარმოქმნილი დავების ოდენობა დიდია. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს განმარტებებს, მართალია, ისინი ეფუძნება ადამიანის ძირითად უფლებებს და განსაკუთრებით საკუთრების კონსტიტუციური უფლების შინაარსს, თუმცა სასამართლო ძირითადად იყენებს უფლებას, რომ გადანყვეტილება მიიღოს დავის არსებითად გადანყვეტის გარეშე და ხელახალი განხილვისთვის უკან დაუბრუნოს სასამართლოს. სასამართლოს ასეთი მიდგომა ჩანს თითქმის უმეტეს გადანყვეტილებაში.<sup>84</sup> ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც სასამართლოს ზედმეტად თავშეკავებული მიდგომები, ისე მოქმედი კანონმდებლობის სისუსტე, რომელიც ნათლად არ განსაზღვრავს სხვადასხვა მხარეების ინტერესების საჯარო-სამართლებრივი დაცვის მატერიალურ შინაარსს.<sup>85</sup> ამავე დროს, მშენებლობის ნებართვა არის პრევენციული ხასიათის ნებართვა და ამ სფეროში ბევრი დისკრეციები და განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები დაუშვებელია.<sup>86</sup> ამ პრობლემების გამოსწორების პერსპექტივები კი უნდა ვეძებოთ როგორც სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში უფრო მეტად შინაარსში ორიენტირების თვალსაზრისით, ისე კანონმდებლობის დახვეწაში.

## რეზიუმე

სტატია გამოცემულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის“ ფარგლებში.

ნაშრომში განხილულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამშენებლო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებზე.

სტატიის ფარგლებში გაკეთდა სამეცნიერო ხასიათის დასკვნები. პასუხი გაეცა კითხვას, რამდენად შინაარსზე და ამ მხრივ ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენაზეა ორიენტირებული საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილებები.

## Resume

The article is published in the framework of GTU, Faculty of Law and International Relations Research Project “Engineering Law”. The work deals with the uniform practice of the Supreme Court of Georgia on disputes arising from construction relations.

The scientific conclusions were made within the scope of the article. Responding to questions on how content and cassation court decisions are focused on establishing homogeneous practice in this regard.

83 კობა ყალიჩავა, მშენებლობის სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, ვ.ნ. 601.

84 დანვრილებით იხ. ლიანა ლომიძე, თამაზ ხუხუნაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამშენებლო დავებზე, თბ. 2018, გვ. 17-დან.

85 კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი საქართველოში (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები), ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2/2016, გვ. 96-97.

86 იქვე

## Резюме

Статья опубликована в рамках проекта ГТУ и факультета право и международных отношений «Инженерное право» Работа посвящена единообразной практике Верховного суда Грузии по спорам, связанным с строительными отношениями.

Научные выводы были сделаны в рамках статьи. Отвечая на вопросы о том, как решения в отношении контента и кассационной инстанции сосредоточены на установлении однородной практики в этом отношении.

## გამოყენებული ლიტერატურა

- 1.ლიანა ლომიძე, თამაზ ხუხუნაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამშენებლო დავებზე, თბ. 2018,
- 2.კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი საქართველოში (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები), ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2016, 2,
- 3.კობა ყალიჩავა, სამშენებლო სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, გვ.
- 4.Ucha Zakashvili, Koba Kalichava, Modern Development Tendencies of Georgian Construction Law, in: Studia Prawa Publicznego, 2018, NR 1 (21),
- 5.Hartmut Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 18. Aufl. 2011, § 3

## 2. თანამედროვე ქართული სამშენებლო სამართლის განვითარების ტენდენციები

პროფესორი  
კობა ყალიჩავა  
სამართლის დოქტორი  
ურჩა ზაქაშვილი

### 1. შესავალი<sup>87</sup>

უკანასკნელ წლებში საქართველოს დედაქალაქი თბილისი სამშენებლო პოლიგონად არის ქცეული. 2013 წლიდან წლიურად ახალ მშენებლობაზე დაახლოებით 2500 ნებართვა, ხოლო რეკონსტრუქციებზე წლიურად 1000 ნებართვა გაიცემა<sup>88</sup>. მშენებლობის ასეთი ტემპი, ერთი შეხედვით, თითქოს მოკლევადიან პერსპექტივაში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, თუმცა ქვეყნის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, ცხადია, ის საცხოვრებელი გარემოს გაუარესების, ე.წ. „ურბანული სუიციდის“, სამეზობლო ინტერესების შელახვის (მაგ., შენობის დაზიანება/დანგრევა, ინსოლაციის ნორმების დარღვევა, ქონების გაუფასურება) და სხვა მსგავსი ტენდენციების საპირწონე ვერ იქნება. ეს პრობლემები არ არის მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის შედეგი, არამედ ამ ყველაფერს ხელს უწყობს სფეროს მარეგულირებელი ლიბერალური კანონმდებლობა. სწორედ ამიტომაც საქართველოში სამშენებლო კანონმდებლობის რეფორმის თაობაზე დისკუსიები ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიური გახდა.<sup>89</sup> რეფორმის საკვანძო საკითხები არის სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის ინსტიტუტის გაძლიერება, სპეციალური ზონალური შეთანხმების, როგორც გეგმარებითი კონცეფციის საწინააღმდეგო მოვლენის, გაუქმება, ძირითადი ხარისხობრივი მოთხოვნების განსაზღვრა შენობანაგებობისა და სამშენებლო მასალის მიმართ, სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე ძირითადი პროფესიების რეგულირება და სხვა. წინამდებარე სტატიის მიზანია ზემოთ გამოკვეთილი ასპექტების გაანალიზება როგორც წარსული გამოცდილების, ისე მიმდინარე და სამომავლო რეფორმის ქრილში.

## 2. მოკლედ ქართული სამშენებლო სამართლის გენეზისის შესახებ

### 2.1. საბჭოთა პერიოდი

საბჭოთა პერიოდში მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის თავისებურებას უმთავრესად მაშინდელი ეკონომიკური სისტემა განაპირობებდა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ეკონომიკური სისტემა ეფუძნებოდა „სოციალისტური საკუთრების“ პრინციპს. სახელმწიფო თავად გამოდიოდა აქტიური სამეურნეო მოთამაშის როლში. ისეთი სფეროები, როგორიცაა ბინათმშენებლობა, მრეწველობა, ვაჭრობა და მომსახურეობა ჩვეულებრივ საჯარო მმართველობის სფეროებს მიეკუთვნებოდა და მონოპოლიზე-

87 სტატიის ინგლისურენოვანი ვერსია იხ. Ucha Zakashvili, Koba Kalichava, Modern Development Tendencies of Georgian Construction Law, in: Studia Prawa Publicznego, 2018, NR 1 (21), პგ. 53-70. ქართულ ვერსიაში შეცვლილია ციტირების სტილი.

88 იხ. [www.tas.ge](http://www.tas.ge)

89 ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივის ფარგლებში ჩატარებული სამუშაო შეხვედრები, რომელიც პერმანენტულად იმართებოდა 2011-2015 წწ. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. ამ და სხვა საკითხებზე იხ. კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი საქართველოში (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები), ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2016, 2, გვ. 93-104 (ქართული); Koba Kalichava, Impact of Construction Law Reform on the Freedom of Business in Georgia, in Perspectives of Administrative Sciences, 2016, №2, p. 43-50.

ბული ჰქონდა სახელმწიფოს.<sup>90</sup> საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში, ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის სტრუქტურა არ საჭიროებდა ადმინისტრირების თანამედროვე მეთოდებს. მშენებლობის სფეროში მოქალაქეს უბრალოდ არ ჰქონდა კერძო საქმიანობის წამოწყების უფლება (გარდა ინდივიდუალური სარგებლობის ობიექტებისა, რაც ასევე ლიმიტირებული იყო<sup>91</sup>) და შესაბამისად არც მისი რეალიზების იურიდიული გარანტიები. უფრო მეტიც, მაშინ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც დღეს სამართლიანად არის წოდებული „საბჭოთა დუბინკის“ სახელით, პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა ყოველგვარი ისეთი ინდივიდუალური უფლებების მოპოვების მცდელობისათვის, რაც შეუთავსებელი იქნებოდა სოციალისტურ ეკონომიკურ წყობასთან. სხვა მხრივ, საბჭოთა ადმინისტრაციული (სამშენებლო) სამართალი იყო ორგანიზაციული სამართალი,<sup>92</sup> რომელიც განამტკიცებდა მაშინდელი მმართველი აპარატის ფუნქციონირებას.

## 2.2. პოსტსაბჭოთა პერიოდი

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, როცა საქართველოში დღის წესრიგში დადგა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული მმართველობითი სტრუქტურებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების შექმნის საჭიროება, ნათელი გახდა, რომ საბჭოთა სისტემის ისტორიული მემკვიდრეობა ამისთვის თითქმის არანაირ საფუძველს არ ქმნიდა.<sup>93</sup> ამიტომ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ქალაქგეგმარებისა და მშენებლობის ნებართვის სფეროში, მართალია მიღებული იქნა ახალი კანონმდებლობა, თუმცა შინაარსობრივად ის ძირითადად კვლავ საბჭოურ გამოცდილებას ეფუძნებოდა.<sup>94</sup> მაგ., მოქმედებდა სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების წესი, რომელიც შორს იყო თანამედროვე კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან. ვითარება რადიკალურად შეიცვალა 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ამ პერიოდში მიღებული კანონმდებლობა ძირითადად რეგულაციური და ბიზნესზე ორიენტირებული იყო. ამიტომ თუ წინა პერიოდში კანონის უზენაესობის პრობლემა იყო, ახალ მიდგომებში უმეტესად კანონისმიერი დათქმის პრობლემა გაჩნდა, რაც იმას გულისხმობდა, რომ პრიორიტეტი ენიჭებოდა საკანონმდებლო რეგულაციებისა საერთოდ გაუქმებას. ამან მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია, რაც დაკავშირებულია ქალაქგეგმარებითი კონცეფციის როლის დაკნინების, ე.წ. „კოეფიციენტებით ვაჭრობის“, არატრანსფარენტიული პროცედურების, ადმინისტრაციული ორგანოებისთვის დისკრეციული უფლებამოსილებების არაპროპორციული გადანაწილების (დაუშვებელ შემთხვევებში ხდება ამ უფლებამოსილების გადაჭარბებული ფარგლებით მინიჭება, ხოლო რეალური საჭიროების არსებობისას – საერთოდ არმინიჭება), შენობა-ნაგებობებისა და სამშენებლო მასალების მიმართ ხარისხობრივი მოთხოვნების არარსებობის და ა.შ. საკითხებთან.<sup>95</sup> პრობლე-

90 ერემოვი გრიგოლ, საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1984, 170-178 (ქართული).

91 ძირითადი მარეგლამენტირებული წესები იყო მაშინ საკავშირო მოქმედებისთვის აღიარებული სამშენებლო ნორმები, ანუ ე.წ. სნიპები.

92 erd Winter, Verwaltungsrechtsentwicklung und ihre ausländische Beratung in Transformationsstaaten. Das Beispiel Georgiens, VerwArch, 2010, S. 409 f.

93 ასევე იხ. Franziska Böhm, Christopher Weigand, Rule of Law in Public Administration: Building Up an Administrative Legal System in the South Caucasus, in: R. Kirsch, E. Siehl, A. Stockmayer (eds.), Transformation, Politics, and Implementation: Smart Implementation in Governance Programs, Baden-Baden, 2017, S. 223.

94 საბჭოთა სისტემიდან პოსტსაბჭოთა სისტემაზე გადასვლა შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს - დემოკრატიზაცია, საბაზრო სტრუქტურების განვითარება, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების განვითარება და სხვა, რისი ხარისხიანი მიღწევაც ერთდროულად შეუძლებელი იყო.

95 დაწვრილებით იხ. Koba Kalichava, Impact of Construction Law Reform on the Freedom of Business in Georgia, in Perspectives of Administrative Sciences, 2016, №2, p. 43-44.



მაა აგრეთვე საკანონმდებლო დათქმების დეფიციტი, რის გამოც არსებითი საკითხების გადანყვეტის უფლებამოსილება აკუმულირებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ისე, რომ ის არ იზღუდება საპარლამენტო კანონებით, რაც, ცხადია, არ შეესაბამება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს.

### **3. მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი გამოწვევები**

#### **3.1. ცალკეულ ნაკვეთზე პარამეტრების გადამეტების საგამონაკლისო წესი (ე.წ. „კოეფიციენტებით ვაჭრობის“ მოდელი)**

ქართული სამშენებლო კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ქალაქთმშენებლობაში გეგმარებითი კონცეფციის უარყოფა და პარამეტრების გადამეტების წესი ცალკეულ ნაკვეთთან მიმართებით. შესაბამისად, დადგენილი ზონირების სახეობა ერთი შეხედვით მყარი ქალაქგეგმარების წინაპირობაა და ნებისმიერ მესამე პირს გააჩნია მოლოდინი მის მომიჯნავედ რა ფუნქციის და რა ინტენსივობის შენობა-ნაგებობა შეიძლება აშენდეს. თუმცა ბოლო დროს (განსაკუთრებით 2009 წლიდან) დამკვიდრებული პრაქტიკა სრულიად სხვა სურათს ქმნის. როგორც დედაქალაქის, ასევე, დიდი ქალაქების მაგალითების ანალიზი ცხადყოფს, რომ უფლებამოსილი ორგანოები ცდილობენ ამოეფარონ კანონით დადგენილ საგამონაკლისო წესებს, როდესაც განაშენიანების კოეფიციენტის გაზრდაა შესაძლებელი, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ამგვარი აქტები დაუსაბუთებელია, რაც, თავის მხრივ, მოქმედი საგამონაკლისო ნორმების ბუნებიდანვე გამომდინარეობს. მართალია საქართველოს სივრცითი მონყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს ერთი შეხედვით ნორმალურ და მისაღებ კრიტერიუმებს სამართლიანი საგამონაკლისო გადანყვეტილების მისაღებად,<sup>96</sup> რაც სასამართლო კონტროლსაც ექვემდებარება<sup>97</sup>, თუმცა სამწუხაროდ პრაქტიკა საპირისპირო მიმართულებით განვითარდა. ერთ-ერთ სამშენებლო დავაში, რომელიც ასევე, ერთადერთი დავაა,<sup>98</sup> სამშენებლო კოეფიციენტებზე რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება. სწორედ აღნიშნულ დავაზე სააპელაციო სასამართლომ გააკეთა ძალიან საგულისხმო განმარტება, რომელიც შესაძლოა ვთქვათ, რომ ინტენსივობის კოეფიციენტთან დაკავშირებით საერთოა ყველა სხვა სამშენებლო დავისთვის და ხაზს უსვამს დასაბუთების ელემენტის მნიშვნელობას კანონიერების დადგენისათვის. სააპელაციო პალატა აღნიშნავდა, რომ აქტის დასაბუთებულად მიჩნევისთვის სრულებითაც არ კმარა მასში მხოლოდ კანონმდებლობის ცალკეული ნორმების მოხმობა, რადგან დასაბუთება გულისხმობს, როგორც სამართლებრივ, ასევე, ფაქტობრივ დასაბუთებას, რასაც გასაჩივრებული აქტები საერთოდ არ შეიცავენ.<sup>99</sup> საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებები და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადანყვეტილება (იხ. ბს-930-922(2კ-16)). ადმინისტრაციულმა ორგანომ უზენაესი სასამართლოს განჩინების აღსრულების მიზნით გამოსცა ახალი აქტი, რომელსაც დაურთო შემდეგი სახის დასაბუთება, რომ სამშენებლო კოეფიციენტის (პარამეტრების) გაზრდა და ამ ფარგლებში განვითარება „...მნიშვნელოვნად არ შეცვლის არსებულ ურბანულ გარემოს, რომლის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებიც არსებული მდგომარეობით უკვე

96 იხ. სმქსკ-ის 31-ე მუხლი..

97 კობა ყალიჩავა, სამშენებლო სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016, გვ. 297.

98 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინება, საქმეზე ბს-930-922 (2კ-16).

99 თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადანყვეტილება საქმეზე 3ბ/1944-15, გვ. 27-28.

გადაჭარბებულია“. <sup>100</sup> მოცემული დასაბუთების უსუსურობის გამო და უზენაესი სასამართლოს მითითების მხოლოდ ფორმალურად აღსრულების გამო ამ ეტაპზე ახალ აქტზე კვლავ სასამართლო დავა მიმდინარეობს.

### 3.2. სანებართვო კონტროლის დერეგულირების ცალკეული ასპექტები

პრობლემას ქმნის ასევე სამშენებლო სამართალში ე.წ. ბიუროკრატიის შემცირების მიზნით განხორციელებული სხვა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მშენებლობის ნებართვის გამცემი აღარ ითანხმებს დაგეგმილი მშენებლობის კონსტრუქციულ პროექტს, არ აფასებს გეოლოგიური კვლევის კომპეტენტურობას, არ ითანხმებს გამწვანების პროექტს, არ მოწმდება მშენებლობაში გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხი, გარდა სამოქალაქო უსაფრთხოების კანონმდებლობით განსაზღვრული ობიექტებისა, სახანძრო უსაფრთხოების საკითხები 2017 წლის 1 იანვრამდე არ თანხმდებოდა ნებართვის გაცემის სტადიაზე, ფუნქციური დანიშნულების ცვლილების საკითხი აღარ წარმოადგენს სამშენებლო სამართალდარღვევას. შესაბამისად, აღნიშნული პროცესები უკონტროლოდ ვითარდება. ამას ემატება ისიც, რომ სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტების არაკვალიფიციურია, რადგან სამშენებლო კომპანიები და სამშენებლო სამართალურთიერთობის მონაწილეების მიერ კანონმდებლობა აღარ ადგენს აკრედიტაციის/ლიცენზირების სავალდებულობას.

### 3.3. ინსოლაცია და ბუნებრივი განათებულობა

2008 წლამდე ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იყო ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ნორმები, რომელიც, თავის მხრივ, იყო ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვის გარანტია. 2008 წელს კი გაუქმდა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 21 სექტემბრის №59 ბრძანება ბუნებრივი განათებულობასა და ინსოლაციის სამშენებლო ნორმებისა და წესების დამტკიცების შესახებ. ამ აქტით დადგენილი იყო სამშენებლო პროექტის და ქალაქგეგმარებითი გადანყვეტილებების დამუშავების პროცესში ადამიანებზე და სათავსებზე ინსოლაციის დადებითი (გამაჯანსაღებელი) და უარყოფითი (გადახურება) ზეგავლენის სავალდებულო გათვალისწინება. ამ აქტის გაუქმება, ცხადია, ბევრ შეკითხვას ბადებს, რადგან არ მომხდარა ახალი რეგულაციის შემოღება, რომელიც დააბალანსებდა ამ სიცარიელეს. თითქოს არსებობს ორი შესაძლებლობა ამ ვაკუუმის შესავსებად, თუმცა მათი განმარტება ხდება ისე, რომ წინაღობა არ შეექმნას დეველოპერულ ბიზნესს: პირველ შესაძლებლობას ქმნის მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 57 დადგენილების 35-ე მუხლი, რომლის თანახმად, „საჭიროების“ შემთხვევაში უნდა მოხდეს დაგეგმილი მშენებლობის შესაძლო უარყოფითი გავლენის შეფასება მშენებლობის პროცესში.“ თუმცა თავად ტერმინი „საჭიროება“ პრაქტიკაში არაერთგვაროვნად განიმარტება და როგორც წესი მის შემონმებას მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოები არ ახდენენ. 35-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა მშენებლობის დამკვეთისთვის უმრავლეს შემთხვევაში სავალდებულო ხდება მხოლოდ სამშენებლო დოკუმენტების მიღების შემდეგ. ამ შემთხვევებში ტერმინი „საჭიროება“ კვლავ ბუნდოვანი განსაზღვრება არ არის, რადგან ცხადია მშენებლობის დამკვეთი როგორც წესი ერიდება დამატებითი ხარჯების განეგას. დღეს არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხის შემონმება მხოლოდ შესაბამისი საჩივრების არსებობის შემთხვევაში ხდება. მშენებლობის მაკონტროლებელი ორგანოს დავალების და თავად სამშენებლო დოკუმენტის პირობებში არსებული ჩანაწერის საფუძველზე; მეორე შესაძლებლობა არის საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1-1/251 ბრძანება სამშენებლო სფეროში 1992

100 იხ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს 1-1915 ბრძანება

წლამდე მოქმედი ე.წ. საბჭოური სნიპების ახალი (მათ შორის ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის) ნორმების შემუშავებამდე სამოქმედოდ აღიარების შესახებ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა ალტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმებისა ან ნორმატიული აქტების სახით.<sup>101</sup> თითქოს ამას პრობლემა უნდა მოეგვარებინა, თუმცა პრაქტიკაში მისი გამოყენება გაუგებარი მიზეზების გამო უარყოფილია.

### 3.4. უძრავი ქონების გაუფასურების ყოველდღიური რისკები

სამშენებლო სფეროში არსებული უკონტროლობა და ბიზნესისადმი გადამეტებულად რბილი დამოკიდებულება ქმნის მეზობელი ქონების ან თავად დეველოპერის ქონების გაუფასურების ყოველდღიურ საფრთხეს. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა დეველოპერმა გაუარესა საცხოვრებელი პირობები მეზობელს, თუმცა მოგვიანებით ისარგებლა რა სხვა დეველოპერმა რბილი კანონმდებლობით, ხსენებულ დეველოპერს წინ აუშენა ისეთი შენობა, რომელმაც მოსპო ხედის უფლება, რის გამოც ქონების გასაყიდი ფასი ძალიან შემცირდა<sup>102</sup>.

გარდა ამისა, დარგის ექსპერტების (აუდიტები) სამშენებლო სფეროსთვის დამახასიათებელი ზიანის განსაზღვრისას ძირითად მხედველობაში იღებენ, სწორედ ზიანების ხარისხს, თუ სახეზეა პირდაპირი ზემოქმედება და მის აღსადგენად საჭირო ხარჯები, ასევე, ბუნებრივი განათებულობის ნორმების შეზღუდვას, ხილვადი და ხილული არეალის დახშობას, სატრანსპორტო კვანძების მდგომარეობის შესწავლას და ახალი მშენებლობის გავლენით სხვადასხვა გადაუდებელი სერვისით, როგორცაა სასწრაფო დახმარება, საპატრულო პოლიცია, სახანძრო მანქანების დანიშნულების ადგილზე მიღწევადობას, რადგან როგორც წესი, ყველა ახალი მშენებლობა ინვესტიციური ტერიტორიის ახალი მანქანებით დატვირთვას, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება არ ხდება<sup>103</sup>. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის სატრანსპორტო კვანძები რომლებიც ათწლეულების წინ მოეწყო და განკუთვნილი იყო კონკრეტული ტიპის განაშენიანებისთვის ველარ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელსაც განაშენიანების ახალი ინტენსივობა მოითხოვს. ეს საკითხი რეგულაციის მიღმად დარჩენილი და ქალაქმგეგმარებელი ორგანოები როგორც წესი სწავლობენ მხოლოდ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში არსებულ სატრანსპორტო მისადაგომებს და არ ინტერესდებიან მომიჯნავე შენობა-ნაგებობების ბედით. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები სადავო აქტების კანონიერების შემომწმებისას მხედველობაში საერთოდ არ მიიღება. მაგ., ერთ-ერთ საქმეში სააპელაციო პალატა მიუთითებს, „რომ მოსარჩელის მიერ შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები იმის შესახებ, რომ ასეთი მოცულობის სახლის აშენებისას გაუარესდება მოსარჩელის საცხოვრებელი პირობები (რთულდება სასიცოცხლოდ აუცილებელ ჰაერთან და მზის სხივებთან წვდომა) და შესაბამისად, შემცირდება სახლის გასაყიდ/გასაქირავებელ საბაზრო ღირებულება, არ ქმნიან მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს სადავო აქტის (სპეციალური ზონალური შეთანხმება) ბათილად ცნობისათვის კანონთანწინააღმდეგობის თვალსაზრისით და შესაბამისად“.<sup>104</sup> ცხადია, მოსამართლეს ასეთი გადაწყვეტილების შესაძლებლობას დღევანდელი სუსტი საკანონმდებლო რეგულაციები აძლევს. შესაბამისად ისიც უმოქმედოა და არ მსჯელობს პირის „კანონიერი ინტერესისთვის“ ზიანის მიყენების ფაქტზე. არის ასევე შემთხვევები, როდესაც სახეზეა ფიზიკური დაზიანება/ჩამონგრევის ფაქტი, აქ, ცხადია, სამშენ-

101 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210709?publication=1>

102 იხ. სივრცითი მონაცემებისა და მშენებლობის კოდექსის პროექტზე გაკეთებული RIA - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/135905>

103 იხ. ქონების გაუფასურებული ღირებულების შეფასების შესახებ აქტი 2/28-2016, აუდიტური ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“, 12.07.2016, გვ. 19 (არსებობს ხელნაწერის სახით).

104 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე 33/1291-16.

ებლო დავაზე სარჩელი სამოქალაქო სამართლებრივი წესით შედის და სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით იწყება. გარკვეულ შემთხვევაში შესაძლოა სისხლისსამართლებრივი დევნაც დაიწყოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვისი ნივთის დაზიანების ან/და განადგურების შესახებ. თუმცა სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი მექანიზმები დაინტერესებული პირის ინდივიდუალური ინტერესების დასაცავად აბსოლუტურად არაეფექტურია.

### 3.5. ირიბი ექსპროპრიაციისა და კეთილსინდისიერი შემძენის უფლებები

იურიდიული დოგმატიკის მიხედვით, ქალაქგეგმარებითი საქმიანობა, თუკი იგი მოიცავს კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ობიექტზე მშენებლობის უფლების შეზღუდვას, მისი ხარისხის მიხედვით შეიძლება განხილულ იქნას კერძო საკუთრების უფლების ისეთი შემზღუდავ საქმიანობად, რომ იგი მიჩნეული იყოს ფაქტობრივ (ირიბ) ექსპროპრიაციად.<sup>105</sup> ცხადია მსგავსი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს თანაზომიერების პრინციპს და საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნებს და უნდა ხორციელდებოდეს სათანადო კომპენსაციის საფუძველზე.<sup>106</sup> საქართველოში ეს პრინციპი ხშირად დარღვეულია. როდესაც ხდება ახალი გეგმების დამტკიცება, ქალაქის ძალიან ბევრ ტერიტორიას აბსოლუტურად ბრმად ენიჭება ისეთი ზონები, სადაც დაუშვებელი ხდება ყოველგვარი მშენებლობა. ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით კი ეს ტერიტორიები წარმოადგენდნენ ინტენსიური საცხოვრებელი განაშენიანების ზონებს (მაგ., წყნეთის, ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიის, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებლად განვითარებული ტერიტორიები მოექცნენ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში და ა.შ.). შედეგად, მრავალმა კერძო მესაკუთრემ მიიღო აბსოლუტურად გაუფასურებული ქონება.<sup>107</sup> დღემდე ეს ფაქტი არაა სამართლებრივად შეფასებული როგორც ირიბი ექსპროპრიაცია, რაც გამომდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე ან 209-ე მუხლებიდან (უკანონო ან კანონიერი აქტებით პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება).

კერძო საკუთრების უფლება ხშირად პირდაპირ უკავშირდება კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტსაც. სამშენებლო დავებში ხშირად მოპასუხე მხარედ (მესამე პირად) სწორედ კეთილსინდისიერი შემძენები გამოდიან. მაგალითად, ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განხილულ საქმეში<sup>108</sup> სწორედ კეთილსინდისიერი შემძენს წარმოადგენდა მესამე პირი, რომელმაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი უკვე გაზრდილი სამშენებლო პარამეტრებით შეიძინა 2015 წელს და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის გაცემა. მომიჯნავე მესაკუთრეების მიერ კი დავის წამოწყება თბილისის მერიისა და მესამე პირის მიმართ დაიწყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2017 წლის 30 მაისს დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და გაუქმდა გასაჩივრებული აქტი, რომელშიც სასამართლო არ შეხებია, რა არგუმენტებზე დაყრდნობით არ მიიღო მხედველობაში სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერება და ის ფაქტი, რომ მან ქონება უკვე გაზრდილი პარამეტრებით შეიძინა და შესაბამისად, გადაიხადა უკვე გაზრდილი პარამეტრების გათვალისწინებით დადგენილი საბაზრო ფასი, რაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის<sup>109</sup>

105 Maciej Kruś, Zbigniew Leoński, Marek Szewczyk, Prawo zagospodarowania przestrzeni, Wolters Kluwer Polska SA, 2012, p. 27; შეად. პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2016, გვ. 216-220.

106 Maciej Kruś, Zbigniew Leoński, Marek Szewczyk, Prawo zagospodarowania przestrzeni, Wolters Kluwer Polska SA, 2012, p. 27.

107 <http://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.8319241-41.7386346@Z=19>

108 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე 3/1748-16

109 იხ. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ

შესაბამისად 140 000 აშშ დოლარს შეადგენდა. ცხადია, რომ კეთილსინდისიერი შემძენის გამო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას მოსამართლე არ უნდა იზღუდებოდეს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში პრობლემა არის ის, რომ დაზარალებულ პირს მისი უფლების დაცვის რაიმე მყარი სამშენებლო სამართლებრივი გარანტია არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთ საქმეზე<sup>110</sup>, პირიქით, სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნა მესამე პირის პოზიცია კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ იქნებოდა გაზრდილი სამშენებლო პარამეტრებში შპს „X“ არც შეისყიდოდა მას, რადგან ძველი პარამეტრებით იქ მრავალსართულიანი მშენებლობის განხორციელება იქნებოდა შეუძლებელი, შესაბამისად ნამგებიანი. უფრო მეტიც, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იქნა მიღებული არა მხოლოდ ის ზიანი, რაც შეიძლება შპს „X“ მიაღებოდა, არამედ იმ სუბიექტების ინტერესებიც ვისგანაც სამშენებლო ტერიტორიის შექმნა განხორციელდა, რადგან თუკი სასამართლო ბათილად ცნობდა გასაჩივრებულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ აქტს, მოქმედი კანონმდებლობით შპს „X“ ზიანის ანაზღაურების უფლება წარმოემობოდა წინა მესაკუთრეების მიმართ, რადგან მათ მიერ უფლებრივად ნაკლიანი ნივთის გასხვისება განხორციელდა. გადაწყვეტილებაში სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობაზე არ ყოფილა მსჯელობა. ასეთი არასტაბილური მიდგომა დიდწილად აზარალებს თავად სამშენებლო ბიზნესს და ნდობას ნებართვის გამცემი ორგანოების მიმართ, რადგან როგორც სასამართლო პრაქტიკაც მოწმობს უმეტეს შემთხვევაში ნებართვის გამცემი ორგანოები სათანადოდ და სრულყოფილად არ აფასებენ საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს, ან/და არ ასაბუთებენ სათანადოდ გამოცემულ აქტებს, ეს კი პირდაპირ აისახება სამშენებლო სექტორში მოთამაშე კერძო მესაკუთრეების უფლებებზე, რადგან ისინი ვერ ახერხებენ ეფექტურად ისარგებლონ საკუთრების უფლებით. მსგავსი სასამართლო პრაქტიკა ქმნის არამდგრად ნიადაგს სამშენებლო ბიზნესის განვითარებისთვის, თუმცა მსგავსი საფუძვლით გაუქმებული სამშენებლო დოკუმენტის მფლობელები მოქმედი კანონმდებლობით სარგებლობენ ნებართვის გამცემისგან ზიანის ანაზღაურების უფლებით.

#### 4. სამშენებლო კანონმდებლობის რეფორმის პერსპექტივები

##### 4.1. მშენებლობის კოდექსის პროექტის შესახებ

საქართველოში სამშენებლო სამართლის ძირეული რეფორმა დაკავშირებულია საქართველოს სივრცითი მონყობისა და მშენებლობის კოდექსის პროექტის შემუშავებასთან (შემდგომში – კოდექსი), რომელზეც მუშაობა ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო და მის გარშემო დისკუსიები დღემდე გრძელდება.<sup>111</sup> კოდექსის პროექტი შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. კოდექსის პროექტზე გაკეთდა რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA),<sup>112</sup> პერიოდულად ეწყობოდა ფართომასშტაბიანი საჯარო განხილვები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ძირითადი ინტერესთა ჯგუფები.

კოდექსის ფარგლებში სამშენებლო სამართლის რეფორმის კონცეფცია, ძირითადად, ოთხ ქვაკუთხედს ემყარება, კერძოდ, ეროვნულ საკანონმდებლო ტრადიციებს, არსებულ პრაქტიკულ პრობლემებს, გერმანული სამართლის გამოცდილებას

გაცემული 03.06.2016წ. დასკვნა 003180116, 1. გვ.

110 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3/9350-15.

111 <https://info.parliament.ge/#law-drafting/13042>

112 <https://info.parliament.ge/#law-drafting/13042>

და ევროპული სამართლის გამოცდილებას.<sup>113</sup> პირველი ორი ქვაკუთხედი, კოდექსის შემუშავების მიზნებისთვის, ერთი მხრივ, ქმნის უკვე არსებული, პრაქტიკაში გამოცდილი ინსტიტუტების შენარჩუნების ან მათი სრულყოფის საფუძველს, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი წესრიგის სანინაალმდეგო ნორმები (ასევე დადგენილი პრაქტიკა) ქმნის ძირეული ცვლილებისა და რეფორმის საჭიროების დასაბუთების საფუძველს.

რაც შეეხება გერმანული სამართლის გამოცდილების იმპლემენტაციას, ამ თვალსაზრისით რეფორმა თავიდანვე ემყარებოდა ამ უცხოური გამოცდილების ქართულ სამართალში გონივრული ტრანსფერის პრინციპს.<sup>114</sup> ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანული სამშენებლო სამართლის მიდგომები ორსაფეხურიანი ქალაქთდაგეგმარების სისტემის დანერგვის, მიწის განაშენიანების, მიწის მონაცვლეობის, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების (რეაბილიტაციის), შენობა-ნაგებობისა და სამშენებლო მასალების მიმართ ხარისხობრივი მოთხოვნების და ა.შ. შესახებ. ქართულ სამართალში ამ ინსტიტუტების ტრანსფერის გარანტია იყო ის, რომ კოდექსის პროექტის სამუშაო ჯგუფში ინტენსიურად იყო ჩართული ბრემენის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი გერდ ვინტერი.<sup>115</sup> პროფესორ ვინტერთან თანამშრომლობა გულისხმობდა გერმანიის მოქმედი კანონმდებლობის, სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა კოდექსის პროექტის ძირითადი ნაწილი. რეფორმის პროცესში გათვალისწინებული იყოს ასევე ევროპული სამართლის გამოცდილება, რაც გულისხმობდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით (AA) განსაზღვრულ დირექტივებსა და რეგულაციებთან ქართული კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობას. ამ მხრივ კოდექსი ემსახურება 2001/42 და 2003/35 დირექტივების, 2011/92 დირექტივის, 92/57 დირექტივის, 2010/31 დირექტივისა და 305/2011 რეგულაციის საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში იმპლემენტაციის პროცესს.

კოდექსის პროექტი ამჟამად საქართველოს პარლამენტშია წარდგენილი და არსებობს იმედი, რომ მას მალე მიიღებენ.<sup>116</sup>

## 4.2. რეფორმის კონსტიტუციური ჩარჩო

ქართული სამშენებლო სამართლის რეფორმის აუცილებლობა უპირველესად განპირობებული იყოს შიდაკონსტიტუციური ვალდებულებებით. ცხადია, რომ კონსტიტუციურად გარანტირებულ ძირითად უფლებებსა და თანამედროვე სახელმწიფოს არსებობის ფუნდამენტურ პრინციპებს უნდა ჰქონდეთ გაგრძელება. თუ დაუფჯერებთ ფრიც ვერნერის თეზას, რომ „ადმინისტრაციული სამართალი არის კონკრეტიზირებული კონსტიტუციური სამართალი“, <sup>117</sup> მაშინ ეს ბმა თავისთავად ცხადი ხდება. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში საჯარო მმართველობას (და მის მარეგულირებელ ადმინისტრაციულ კანონმდებლობას) ეკისრება ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემის უზრუნველყოფისა და გარანტიის ფუნქცია. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ფუნქციის რეალიზება ხდება (ზოგადი და განსაკუთრებული) ადმინისტრაციული კანონმდებლო-

113 იხ. Koba Kalichava, Impact of Construction Law Reform on the Freedom of Business in Georgia, in Perspectives of Administrative Sciences, 2016, №2, p. 43-44

114 აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართლის გავლენა ზოგადად ქართულ სამართალზე (როგორც კერძო, ისე საჯარო მიმართულებით) ძალიან დიდია. 1999 წელს მიღებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებიც სწორედ გერმანული სამართლის სისტემური ცნებებისა და ინსტიტუტების საფუძველზე შეიქმნა.

115 პროექტის ფარგლებში პროფესორი ვინტერი რამდენიმეჯერ იმყოფებოდა თბილისში, ასევე, მასთან ბრემენში სამჯერ სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი კობა ყალიჩავა. პროექტის ძირითადი ნაწილი სწორედ მათ მიერ შემუშავდა.

116 <https://info.parliament.ge/#law-drafting/13042>

117 Fritz Werner, Verwaltungsrecht als konkretisiertes Verfassungsrecht, DVBl, 1959, S. 527 ff.

ბის მეშვეობით. შესაბამისად ამ კანონმდებლობათა რეფორმა თავიდანვე შიდაკონსტიტუციური ვალდებულებების ნაწილი ხდება.

ამ ქრილში გერმანული და ევროპული სამართლებრივი გამოცდილების გაზიარებაც, რომლის გარეშე გარდამავალ პერიოდში წარმატებული რეფორმა შეუძლებელია, მხოლოდ დამხმარე და ინტელექტუალური ნაკადების კონცენტრაციის ფუნქციას ასრულებდა. კონსტიტუციის არსებობის პირობებში რეფორმა ისე მიმდინარეობდა, რომ ქვეყნის ძირითადი კანონის იდენტობისა და სუვერენიტეტის დაცვის ფარგლები ხელშეუხებლად დარჩენილიყო.<sup>118</sup> ვფიქრობ ეს პრინციპი სუპრანაციონალურ სისტემაშიც ასე მუშაობს, სადაც ნევრ-სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პოლიტიკის განსაზღვრის „საკმარისი სივრცე“, <sup>119</sup> „კონსტიტუციური იდენტობის“ შენარჩუნება <sup>120</sup> და პოზიტიური სტრუქტურული ცვლილებების შესაძლებლობა<sup>121</sup> ხელუხლებლად ნარჩუნდება.

რეფორმის კონსტიტუციურ ჩარჩოსთან მიმართებით უმთავრესად უნდა ვისაუბროთ ადამიანის ძირითად უფლებებზე, როგორც სახელმწიფოსაგან დამცავ უფლებაზე როგორც სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე - დაიცვას უფლების სუბიექტი მესამე პირების მხრიდან ჩარევისაგან. საქართველოს კონსტიტუცია ამ მხრივ იცნობს საკუთრებისა და გარემოს დაცვის უფლებებს,<sup>122</sup> შეიძლება მოაზრებული იყოს ასევე ადამიანის თავისუფლების უფლება.<sup>123</sup> საკუთრების უფლების შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთრებას როგორც ინსტიტუტის გარანტიას (მენაშენის უფლებების დაცვა) ან როგორც პიროვნების უფლების გარანტიას (მეზობლის უფლებების დაცვა).<sup>124</sup> მეორე მხრივ, საკუთრება არ არის მხოლოდ უფლება, არამედ ის ვალდებულებაცაა და იზღუდება საზოგადოებრივი ინტერესებით<sup>125</sup>. ამგვარად სამშენებლო კანონმდებლობა ისე უნდა იქნას კონსტრუირებული, რომ მან ერთგვარი დამაბალანსებელი როლი შეასრულოს ტრიპოლარულ ურთიერთობებში (ნებართვის მაძიებელი, ნებართვის გამცემი, დაინტერესებული პირი). ძალიან მნიშვნელოვან დათქმას შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 29-ე მუხლი, როცა ის „ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით“ სარგებლობის უფლებას აქცევს ინდივიდუალური, სუბიექტური უფლების დაცვის ქრილში. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ ტრიპოლარულ ურთიერთობაში დაინტერესებული პირის იურიდიული შინაარსი კიდევ უფრო ფართოვდება.

#### 4.3. კოდექსის მიდგომებით, რას ნიშნავს ოქროს შუალედი სამშენებლო ბიზნესის თავისუფლებასა და სხვათა ინტერესებს შორის

ვინაიდან სამშენებლო ბიზნესი საქართველოში ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად არის მიჩნეული, კოდექსის შემუშავებული ჯგუფისთვის ეს ინტერესი ერთ-ერთი სასაფუძვლო პოზიცია იყო. საქმე ის იყო, რომ სამუშაო ჯგუფს

118 მაგ. გერმანულ სამშენებლო სამართალში მოქმედი მონაცვლეობის ინსტიტუტის ანალოგის შექმნა იმ მოტივით იქნა უარყოფილი საქართველოს სამშენებლო კოდექსის პროექტში, რომ ზოგიერთი ადგილობრივი იურისტის მოსაზრებით ის არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს (საკუთრების უფლება). ამ შეფასების საფუძლიანობის შემონიშნებას ახლა არ შევუდგები. ამ ფაქტით უბრალოდ მინდოდა ხაზი გამესვა იმისთვის, რომ კანონშემოქმედების პროცესში კონსტიტუციურ ჩარჩო ყოველთვის აქტუალური იყო.

119 BVerfGE 123, 267 ff. (Ultra-Vires-Lehre).

120 BVerfGE 123, 267 ff. (Ultra-Vires-Lehre).

121 BVerfGE 126, 286 ff. (Ultra-vires-Kontrolle).

122იხ. 21-ე და 37-ე მუხლები (ახალი რედაქციით მე-19 და 29-ე მუხლები).

123 შეად. Maciej Kruś, Poznań, kwiecień, Podstawowe instytucje i zasady prawa budowlanego, 2009, p. 2-3.

124 ყალიჩავა კობა, მშენებლობის სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, 2016, გვ. 260.

125 ყალიჩავა კობა, მშენებლობის სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, 2016, გვ. 260.

ხელისუფლებისთვის არ უნდა შეეთავაზებინა ისეთი რეგულაციები, რომელიც რეფორმის მთლიანი პროცესის წარმატებას ეჭვქვეშ დააყენებდა. ამიტომ შემუშავდა ისეთი რეგულაციები, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ბიზნესის თავისუფლებას და, მეორე მხრივ, არ ლახავს სხვა (ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ეკოლოგიურ და სხვა) საჯარო და კერძო ინტერესებს.

ამგვარად, სამშენებლო ბიზნესის თავისუფლება კოდექსის გაგებით ნიშნავს ზომიერ დერეგულირებას/რეგულირებას. საქმე ისაა, რომ არაზომიერი დარეგულირების პოლიტიკას მავნე გავლენა აქვს თავად ბიზნესის თავისუფლებაზე,<sup>126</sup> ვინაიდან მულტიპოლარული ინტერესების გათვალისწინების მექანიზმების მოშლის გამო, დეველოპერის მიმართ მომხმარებელი კარგავს ნდობას, ხშირ შემთხვევაში კი მისი საქმიანობა ხდება დაუმთავრებელი დავების საგანი (აქცეპტაბელურობის დეფიციტი). ამავე დროს, დარეგულირების გამო დეველოპერი არ იმყოფება მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში სახელმწიფოსთან, ან ასეთი თანამშრომლობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მხოლოდ ფორმალისტურ ხასიათს ატარებს (კოოპერაციონალიზმის დეფიციტი). აღსანიშნავია ასევე, რომ დერეგულირების საფუძველზე წახალისებული დეველოპერის საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება სხვა (კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი) დეველოპერის ინტერესებს (დერეგულირების ნეგატიური უკუკავშირის ეფექტი).

#### **4.4. რას გვთავაზობს კოდექსი სამშენებლო სფეროს ზომიერი რეგულირება/დერეგულირების თვალსაზრისით?**

კოდექსის პროექტი სამშენებლო ზომიერი რეგულირების/დერეგულირების თვალსაზრისით გვთავაზობს რამდენიმე სიახლეს:

(1) კოდექსის ერთ-ერთ მთავარ მიღწევას არის **ე.წ. „კოეფიციენტებით ვაჭრობის“** შესაძლებლობის გაუქმება. კერძოდ, კოდექსის თანახმად, ქალაქთმშენებლობითი გეგმებისა და ძირითადი დებულებებით დადგენილი კოეფიციენტების გადამეტება ცალკეულ შემთხვევაში დაუშვებელი იქნება. გამონაკლისი დასაშვები იქნება მხოლოდ განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე. ამავე დროს, ასეთი გამონაკლისის დაშვება არ იქნება კომერციალიზებული, არამედ ის დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამონაკლისი კომპენსირებული იქნება შესაბამისი ღონისძიებებით, რაც კოდექსის გაგებით გულისხმობს „ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების უზრუნველყოფას და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო, საინჟინრო და სხვა ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ან გაუმჯობესებას.“

(2) კოდექსით მშენებლობის **ნებართვის გაცემისას ხდება გეგმარებითი კონცეფციის გაძლიერება**. კერძოდ, კოდექსი მშენებლობის ნებართვას უშვებს ორ ძირითად შემთხვევაში: ა) მიწის ნაკვეთი მდებარეობს განაშენიანების დეტალური გეგმის მოქმედების არეალში (დაგეგმილი შიგა ან გარე ტერიტორია), რა დროსაც მშენებლობის ნებართვა გაიცემა ამ გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად; ბ) მიწის ნაკვეთი მდებარეობს განაშენიანების ჩამოყალიბებული სისტემის არეალში (დაუგეგმავი შიგა ტერიტორია), რა დროსაც მშენებლობის ნებართვა გაიცემა ფაქტობრივი განაშენიანების შესაბამისად, არსებობის შემთხვევაში, მოქმედი ქალაქთმშენებლობითი გეგმების გათვალისწინებით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ცალკეულ შემთხვევაში კოეფიციენტების მომატების შესაძლებლობა უქმდება, ხოლო ფაქტობრივი განაშენიანების მასშტაბი უმეტეს შემთხვევაში არადაკმაყოფილებელი იქნება დეველოპერისთვის, მაშინ, ცხადია, ნებართვის მაძიებელმა უნდა უზრუნველყოს

126 დაწვრ. იხ. Koba Kalichava, Strategic Aspects of Improving Ecological Legislation, Journal of Law, №2, 2012, S. 102 ff.



განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება, რაც იმავდროულად დადებითი ეფექტის მატარებელია მონესრიგებული ურბანული განვითარებისათვის.

(3) კოდექსი ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს, რომლის თანახმად, **კერძო პირებს უფლება აქვთ თვითონ შეიმუშაონ განაშენიანების დეტალური გეგმა.** ეს არის საჯარო მმართველობაში ახალი საჯარო მენეჯმენტისა (NPM) <sup>127</sup> და კარგი მმართველობის (Good Governance) <sup>128</sup> გამოვლინებას. კერძოდ, დეველოპერების მხრიდან გდგ-ის შემუშავების ინიცირების შესაძლებლობა ორიენტირებულია როგორც ამ სფეროში სახელმწიფოებრივი ფუნქციების კერძო პირებისათვის გადაცემისათვის, ისე გარკვეული პროდუქტის (საერთო სიკეთის) შექმნის პროცესში საზოგადოებრივი ინსტიტუტების მაქსიმალური მონაწილეობის უზრუნველყოფას, რაც მცირე სახელმწიფოს იდეის რეალიზების საშუალებაა.

(4) გარდა კერძო პირებისა, **ადგილობრივი ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის ინიციატორი და განმახორციელებელი ასევე შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური უწყებები.** ამ შესაძლებლობის მიზანია: ა) სახელმწიფოს ჰქონდეს საშუალება განსაკუთრებული რეგულირების ზონირებით შექმნას ერთი სარკმელი და საინვესტიციო პროექტის ნახალისებისთვის, ინვესტორს მიყიდოს ისეთი მიწა, რომელიც მის მიერვე უკვე დაგეგმარებული იქნება შესაბამისად; ბ) გარდამავალ პერიოდში, სანამ მუნიციპალური სტრუქტურები არ გაძლიერდება, სახელმწიფოს ჰქონდეს უფლება სამშენებლოდ აქტიურ ტერიტორიებში (დღეს ასეთია გუდაური, ბაკურიანი, ბახმარო, ურეკი) განახორციელოს კონტროლი. ასეთ შემთხვევაში თვითმართველობის დამოუკიდებლობის გარანტია არის შესაბამისი მუნიციპალური ორგანოების მონაწილეობა დაგეგმვის პროცესში და ასევე კოდექსით დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის, სავალდებულობა.

(5) კოდექსი უარს აცხადებს მახინჯ პრაქტიკაზე და მისი მიდგომებით **განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისათვის საჭირო არ იქნება მესაკუთრეთა თანხმობა.** ძველი მიდგომები, ერთი მხრივ, ზღუდავდა და ზოგ შემთხვევაში სამართლებრივ შეუძლებლობას უქმნიდა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, განხორციელებინა ქალაქის დაგეგმარება, ხოლო, მეორე მხრივ, წინაღობებს ქმნიდა საკუთრივ საინტერესო ურბანული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. ახალ მიდგომებში მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის გარანტია არის ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დანერგვა და ზიანის ანაზღაურების მექანიზმის შემოღება.

(6) **ქალაქთმშენებლობითი გეგმის მიღებით, შეცვლით ან გაუქმებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებით,** <sup>129</sup> თუ ქალაქთმშენებლობითი გეგმები მესაკუთრის სამართლებრივ მდგომარეობას აუარესებს, მას უფლება აქვს სახელმწიფოსაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამ მხრივ, საქართველოს მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობა ზიანის ანაზღაურების სპეციალურ მონესრიგებას არ ითვალისწინებს, მოქმედებს მხოლოდ ზოგადი წესი, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები კანონიერი ან უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ან ასეთი აქტის გაუქმებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ამ ზოგადი ნორმის პრობლემა კი ის არის, რომ იგი: ა) არ განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კონკრეტულ საფუძველს, ანუ იმას, თუ რის საფუძველზე წარმოეშობა მინის ნაკვეთის მესაკუთრეს პირვანდელი უფლება (ასეთი შეიძლება იყოს ქალაქთმშენებლობითი გეგმები ან არსებული განაშენიანება); ბ) არ ადგენს მინის ნაკვეთის გამოყენების პირვანდელი

127 ახალი საჯარო მენეჯმენტის შესახებ დანვრ. იხ. ლევან იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ., 2008, გვ. 94-109 (ქართული).

128 კარგი მმართველობის შესახებ დანვრ. იხ. იქვე, გვ. 208-217.

129 იხ. კობაყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები, ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2/2016, გვ. 99.

უფლების მოქმედების ხანდაზმულობის ვადას; გ) არ ადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციალური ხანდაზმულობის ვადას. კოდექსი კი ამ საკითხებს დეტალურად აწესრიგებს და შემოაქვს ტრანსფარენტული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან შესაბამისი რეგულაციები.

(7) კოდექსის და მისი თანმდევი კანონმდებლობის სიახლეა ასევე **ქალაქგეგმარებითი პროფესიების რეგულირება**. ამ მხრივ, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს არსებითი ხასიათის დეფიციტები. მოქმედი წესების თანახმად, ნებისმიერი პირი უფლებამოსილია ქალაქგეგმარებითი და სანებართვო დოკუმენტაციის შედგენა-ხელმოწერაზე. ევროპული მიდგომის კვალდაკვალ,<sup>130</sup> კოდექსი ცვლის ამ მიდგომას და შემოაქვს ქალაქგეგმარების, არქიტექტორების და მშენებელ-ინჟინერების სერტიფიცირების ინსტიტუტი. ერთი შეხედვით, განმცხადებლის მიმართ „საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ ამალღება, მტკიცების ტვირთისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების თვალსაზრისით, ამკაცრებს მშენებლობის თავისუფლებას, თუმცა ნებართვის მაძიებლის მიერ ე.წ. „პროცესუალური სამუშაოს“ შესრულებაში კვალიფიციური თანამონაწილეობა არ ნიშნავს რეპრესიას, რადგან ნებართვის მაძიებლის ასეთი ჩართულობა მის ინტერესებშიც შედის და ე.წ. „Non liquet“<sup>131</sup> სიტუაციების გამორკვევას ემსახურება. ის ამალღებს სამართლებრივი უსაფრთხოების ხარისხს, ამცირებს ხარვეზის დადგენის ალბათობას და ზოგავს ადმინისტრაციული წარმოების ვადებს.<sup>132</sup>

(8) კოდექსს შემოაქვს **სარგებლობის უფლების დროებითი შეზღუდვის ნათლად განსაზღვრული რეგულაციები**. კერძოდ, „თუ ქალაქთმშენებლობის გეგმა შემუშავების პროცესშია, მაშინ ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია დასაბუთებული უარის საფუძველზე შეაჩეროს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება 4 თვით“, რაც მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა. კოდექსით გათვალისწინებულია ასევე გეგმარებით ტერიტორიებზე მორატორიუმის გამოცხადების შესაძლებლობა. ამ მექანიზმების მიზანია არ მოხდეს ისეთი მშენებლობების განხორციელება, რომელიც შემუშავების პროცესში არსებული გეგმის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში მომავალში გახდება შეუსაბამო ობიექტი. თუ დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ სანებართვო წარმოება არ განახლდა, მაშინ ნებართვის მაძიებელს უფლება ექნება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

(9) კოდექსს შემოაქვს **სივრცითი მონყობისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების პროექტიულობის ვალდებულება**, რომლის მიზანია საკუთრების უფლებისა და ინვესტიციის რეალიზებისათვის საჭირო სანდო ინფორმაციით უზრუნველყოფა. ეს მექანიზმი, ბუნებრივია, არ შეზღუდავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილებას.

(10) კოდექსი არეგულირებს **მინის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხს**, რომელიც ასევე ახალი საჯარო მენეჯმენტის (NPM) გამოვლინებაა იმ თვალსაზრისით, რომ ის ორიენტირებულია საერთო კეთილდღეობისკენ მიმართული პროდუქტის (სიკეთის) შექმნისაკენ. კერძოდ, მისი მიზანია განაშენიანების გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების რეალიზებისათვის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობების შექმნა, როცა ამას სჭირდება კერძო საკუთრებაში არსებული მინის სრულად ან მისი ნაწილების გამოყენება - ტოლფასი გადაცვლის, დაშვებული შემცირების (როცა ნაკვეთის ღირებულება მაინც იზრდება), კონფიგურაციების ცვლილების ან/და კომპენსაციის გზით. ამ მექანიზმის გამოყენებამ, როგორც წესი, უნდა შექმნას უკეთესი ურ-

130 იხ. მაგ., Werner Hoppe, Christian Bönker, Susan Grotefels, Öffentliches Baurecht, 2010, გვ. 457.

131 „Non liquet“- გამოსარკვევი ფაქტები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომაზე, იხ. Thomas. Berg, Beweismaß und Beweislast, 1995, 74 და შემდეგი გვერდები.

132 იხ. კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები, ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2/2016, გვ. 95-96.

ბანული ღირებულება და დასახლების ჯანსაღი სტრუქტურა.

(11) კოდექსს შემოაქვს **ნაწილობრივი ნებართვისა და წინასწარი გადაწყვეტილების მექანიზმები**. ნაწილობრივი ნებართვის გაცემა შესაძლებელი იქნება მშენებლობის კონცეფციის საფუძველზე, ნულოვან სამშენებლო ციკლზე, რომელსაც ექნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბუნება. წინასწარი გადაწყვეტილება კი გაცივება შენობის არქიტექტურულ ესკიზზე, რომელსაც ექნება ადმინისტრაციული დაპირებისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი ბუნება. ამავე დროს, კოდექსი ადგენს წინასწარი გადაწყვეტილება ან/და ნაწილობრივი ნებართვა გაცივება დაუშვებლობას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს ნებართვისთვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენას.

(12) კოდექსი აფართოებს სუსპენზიური ეფექტის გამოყენების შესაძლებლობას, კერძოდ, კოდექსის თანახმად, „დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს დაინტერესებულ მხარეს ან შეუძლებელს გახდის მხარის კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.“ შესაბამისად, მართალია, მშენებლობის ნებართვის გასაჩივრება ავტომატურად არ აჩერებს აქტის მოქმედებას, თუმცა, ამ მხრივ, მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არამარტო სასამართლოს, არამედ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოსაც ექნება საგამონაკლისო წესით აქტის გაჩერების უფლებამოსილება, ზემოთ აღნიშნული საფუძვლების არსებობისას.

(13) კოდექსს შემოაქვს ზედამხედველობის სრულიად ახალი სახე - **ინსპექტირების აკრედიტირებული ორგანოს ზედამხედველობა**, რომლის არჩევის შემთხვევაში სამშენებლო ობიექტზე საჯარო ზედამხედველობის ორგანოს კონტროლი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ცალკეული სამშენებლო ეტაპების ან შენობის საბოლოო ექსპლუატაციაში მიღებიდან 5-10 დღის ვადაში. სხვა შემთხვევაში ზედამხედველობა იზღუდება, თუ არ არის დაინტერესებული პირი დასაბუთებული საჩივარი ან საკუთრივ ინსპექტირების აკრედიტირებული ორგანოს მოთხოვნა.

(14) დაბოლოს, კოდექსის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს **მშენებლობის ხარისხის უზრუნველყოფისთვის** შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. საქართველოში ბოლო დროს სანებართვო კანონმდებლობის სფეროში განხორციელებული დერეგულირების შედეგად, ეს მიმართულება პრაქტიკულად უკონტროლოა. ამ მხრივ, კოდექსი გვთავაზობს შესაბამის საკანონმდებლო მოწესრიგებას, რომელიც საფუძვლად დაედება სათანადო ტექნიკური რეგლამენტების იმპლემენტაციას. კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს CEN-ის<sup>133</sup>, ICC-ის,<sup>134</sup> ISO-ს<sup>135</sup> მიერ შემუშავებული ნორმები, რაც ეხება როგორც შენობა-ნაგებობებს, ისე სამშენებლო მასალებს.<sup>136</sup>

## 5. დასკვნა

საბჭოთა პერიოდის ნეგატიურმა გამოცდილებამ, ერთი მხრივ, და პოსტსაბჭოთა პერიოდის გამონწვევებმა ბიზნესის ნახალისებისა და რადიკალური დერეგულირების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ცხადია, განაპირობა ქართული სამშენებლო კანონმდებლობის რადიკალური რეფორმის საჭიროება. ამიტომაც არის, რომ მშენებლობის კოდექსის პროექტი, რომელიც ორიენტირებულია ასეთი რეფორმისკენ, უმეტესწილად რეგულაციურია, რაც ბიპოლარულ ურთიერთობებში ახალი თამაშის წესებს უდგენს

133 ნორმირების ევროპული კომისია.

134 სტანდარტიზაციის საერთაშორისო საბჭო.

135 სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

136 ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვანია 98/34/ დირექტივის პირველი დანართით განსაზღვრული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ტექნიკური ნორმები.

როგორც ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ისე ნებართვის მაძიებელს, ხოლო ტრიპოლარულ ურთიერთობებში აძლიერებს მესამე პირების (ფართო გაგებით მეზობლის) უფლებების დაცვის შესაძლებლობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის გაგებით, რეგულაციური მიდგომების სწორი გამოყენება, დერეგულაციასთან შედარებით, ქმნის სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიას, ის ემსახურება ქალაქთმშენებლობაში მულტიპოლარული ინტერესების შეჯერების, მდგრადი განვითარების, აქცეპტაბელურობისა და კოოპერაციონალიზმის პრინციპების რეალიზებას.

## რეზიუმე

წინამდებარე სტატია - „თანამედროვე ქართული სამშენებლო სამართლის განვითარების ტენდენციები“ - მომზადებულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის“ ფარგლებში. მის ამ ქართულენოვან ვერსიას წინ უსწრებდა ინგლისურენოვანი ტექსტის გამოქვეყნება ერთ-ერთ ცნობილ პოლონურ სამართლის ჟურნალში *Studia Prawa Publicznego* (2018, NR 1 (21), pg. 53-70). სტატია შედგება 3 ძირითადი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში აღწერილია ქართული სამშენებლო სამართლის ბედისწერა საბჭოთა პერიოდში, რომელიც რაიმე ღირებულ მემკვიდრეობას პოსტსაბჭოთა პერიოდისთვის არ ქმნიდა. მეორე ნაწილში სასამართლო და მმართველობითი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია დღეს არსებული პრობლემები და გამოწვევები (როგორცაა კოეფიციენტებით ვაჭრობა, ირიბი ექსპროპრიაცია, მეზობელი საკუთრების ქონების პირდაპირი და არაპირდაპირი შელახვა და სხვა მსგავსი პრობლემები). მესამე ნაწილში კი შემოთავაზებულია ქართული სამშენებლო კანონმდებლობის რეფორმის ძირითადი ორიენტირები, რაც ძირითადად მშენებლობის კოდექსის პარლამენტში შეტანილი პირველი ვერსიის კონცეფციას ეფუძნება. მართალია, პირველი ვერსიის შემდეგ, სამწუხაროდ, ბევრჯერ შეიცვალა კოდექსის მიდგომები, თუმცა ამ სტატიაში ამ საკითხზე არ არის საუბარი. მას ცალკე ანალიზი უნდა დაეთმოს.

## Resume

The present article - “Trends for Development of Modern Georgian Construction Law” - has been prepared within the scope of scientific research project “Engineering Law” of Faculty of Law and International Relations. Its Georgian version of this proceeded was the publication of the English article in one of the famous Polish Journal *Studia Prawa Publicznego* (2018, NR 1 (21), pg. 53-70). The article consists of 3 major parts. The first part describes the fate of the Georgian construction law in the Soviet period that did not create any valuable legacy for the post-Soviet period. In the second part, the existing problems and challenges (such as coefficient trade, indirect expropriation, direct and indirect damages of neighboring property and other similar problems) have been identified on the basis of analysis of court and management practice. In the third part, the main directions of the reform of the Georgian construction legislation are proposed, which is based on the concept of the first version introduced to the Parliament of Georgia. It is true that after the first version, unfortunately, the code approaches have changed many times, but this article does not speak about this issue. It should be given a separate analysis

## РЕЗЮМЕ

НАСТОЯЩАЯ СТАТЬЯ - “ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ СОВРЕМЕННОГО ГРУЗИНСКОГО СТРОИТЕЛЬНОГО ПРАВА” -БЫЛА ПОДГОТОВЛЕНА В РАМКАХ НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО ПРОЕКТА “ИНЖЕНЕРНОЕ ПРАВО” ФАКУЛЬТЕТА ПРАВА И МЕЖДУНАРОДНЫХ ОТНОШЕНИЙ. ГРУЗИНСКАЯ ВЕРСИЯ ЭТОГО ПРОЕКТА ПРЕДШЕСТВОВАЛА ПУБЛИКАЦИЯ АНГЛИЙСКОГО ТЕКСТА В ОДНОМ ИЗ ИЗВЕСТНЫХ ПОЛЬСКИХ ЖУРНАЛОВ STUDIA PRAWA PUBLICZNEGO (2018, NR 1 (21), СТР. 53-70). СТАТЬЯ СОСТОИТ ИЗ 3 ОСНОВНЫХ ЧАСТЕЙ. ПЕРВАЯ ЧАСТЬ ОПИСЫВАЕТ СУДЬБУ ГРУЗИНСКОГО СТРОИТЕЛЬНОГО ПРАВА В СОВЕТСКИЙ ПЕРИОД, КОТОРЫЙ НЕ СОЗДАВАЛ НИКАКОГО ЦЕННОГО НАСЛЕДИЯ НА ПОСТСОВЕТСКИЙ ПЕРИОД. ВО ВТОРОЙ ЧАСТИ БЫЛИ ВЫЯВЛЕНЫ СУЩЕСТВУЮЩИЕ ПРОБЛЕМЫ (ТАКИЕ КАК ТОРГОВЛЯ КОЭФФИЦИЕНТОМ, КОСВЕННАЯ ЭКСПРОПРИАЦИЯ, ПРЯМЫЕ И КОСВЕННЫЕ УБЫТКИ СОСЕДНЕЙ СОБСТВЕННОСТИ И ДРУГИЕ ПОДОБНЫЕ ПРОБЛЕМЫ) БЫЛИ ОПРЕДЕЛЕНЫ НА ОСНОВЕ АНАЛИЗА СУДЕБНОЙ ПРАКТИКИ И ПРАКТИКИ УПРАВЛЕНИЯ. В ТРЕТЬЕЙ ЧАСТИ ПРЕДЛОЖЕНЫ ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ РЕФОРМЫ ГРУЗИНСКОГО СТРОИТЕЛЬНОГО ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА, ОСНОВАННЫЕ НА КОНЦЕПЦИИ ПЕРВОЙ ВЕРСИИ, ПРЕДСТАВЛЕННОЙ ПАРЛАМЕНТУ ГРУЗИИ. ВЕРНО, ЧТО ПОСЛЕ ПЕРВОЙ ВЕРСИИ, К СОЖАЛЕНИЮ, КОДОВЫЕ ПОДХОДЫ МЕНЯЛИСЬ МНОГО РАЗ, НО В ЭТОЙ СТАТЬЕ НЕ ГОВОРИТСЯ ОБ ЭТОЙ ПРОБЛЕМЕ. СЛЕДУЕТ ПРОВЕСТИ ОТДЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კობა ყალიჩავა, სამშენებლო საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი (რეფორმის საჭიროება და პერსპექტივები, ჟურნ. ადმინისტრაციული სამართალი, 2/2016,
2. კობა ყალიჩავა, სამშენებლო სამართალი, იხ. ხუბუა/ზომერმანი (რედ.), საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016,
3. ერემოვი გრიგოლ, საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1984, (ქართული).
4. ლევან იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ., 2008, (ქართული).
5. Ucha Zakashvili, Koba Kalichava, Modern Development Tendencies of Georgian Construction Law, in: Studia Prawa Publicznego, 2018, NR 1 (21),
6. Gerd Winter, Verwaltungsrechtsentwicklung und ihre ausländische Beratung in Transformationsstaaten. Das Beispiel Georgiens, VerwArch, 2010
7. Franziska Böhm, Christopher Weigand, Rule of Law in Public Administration: Building Up an Administrative Legal System in the South Caucasus, in: R. Kirsch, E. Siehl, A. Stockmayer (eds.), Transformation, Politics, and Implementation: Smart Implementation in Governance Programs, Baden-Baden, 2017,
8. Koba Kalichava, Impact of Construction Law Reform on the Freedom of Business in Georgia, in Perspectives of Administrative Sciences, 2016, №2,
9. Fritz Werner, Verwaltungsrecht als konkretisiertes Verfassungsrecht, DVBl, 1959, S. 527 ff.
10. Maciej Kruś, Poznań, kwiecień, Podstawowe instytucje i zasady prawa budowlanego, 2009
11. Koba Kalichava, Strategic Aspects of Improving Ecological Legislation, Journal of Law, №2,

2012, S..

12. Werner Hoppe, Christian Bönker, Susan Grotefels, Öffentliches Baurecht, 2010,
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინება, საქმეზე ბს-930-922
14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3ბ/1944-15,
15. იხ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 აგვისტოს 1-1915 ბრძანება
16. სივრცითი მონყობისა და მშენებლობის კოდექსის პროექტზე გაკეთებული RIA - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/135905>
17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე 3ბ/1291-16.
18. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე 3/1748-16
19. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 03.06.2016წ. დასკვნა 003180116, 1.
20. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3/9350-15.
21. <https://info.parliament.ge/#law-drafting/13042>

# 1. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის როლი საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის ფორმირებაში

პროფესორი  
ირაკლი გაბისონია  
ასოცირებული პროფესორი  
ოთარ პავლიაშვილი

საერთაშორისო სამართლის სისტემის თავისებურებების განსაზღვრა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირობას მისი არსის, შინაგანი აგებულებისა და სტრუქტურის, ძირითადი ელემენტებისა და კომპონენტების შესახებ შემდგომი ცოდნის გაღრმავებისათვის.

საერთაშორისო სამართლის სისტემის კვლევა მეცნიერებისთვის ყოველთვის წარმოადგენდა გარკვეულ სირთულეს<sup>137</sup>, რომელიც ეხება როგორც სამართლის ზოგად თეორიას, ასევე დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებს.. აღნიშნული სისტემის ძირითადი თავისებურებების შესწავლა - არის მისი ეფექტურობის ამაღლების და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ოპტიმიზაციის პროცესი. ი. ლუკაშუკი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის სისტემა წარმოადგენს იურიდიულ ნორმათა კომპლექსს, რომლებიც ხასიათდება პრინციპული ერთობლიობით და ამავდროულად იყოფა შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებად (დარგი, ქვედარგი, ინსტიტუტი)<sup>138</sup>. მისი სისტემის მატერიალურ ფაქტორად გვევლინება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა, რომლის მონოდებაა საერთაშორისო სამართლის მომსახურება, ხოლო იურიდიულ და მორალურ-პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს პრინციპები. როგორც ი. ლუკაშუკი მიიჩნევს, საერთაშორისო სამართლის სისტემას უნდა გააჩნდეს მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა, როგორც მის შინაგან ფორმას, რომლითაც განისაზღვრება მასში შემავალი ელემენტების გარკვეული „კეთილმონყობა“. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ელემენტების კავშირზეა დამოკიდებული მთლიანობაში სისტემის ხასიათი.

საერთაშორისო სამართლის სისტემა ეყრდნობა მიზნებისა და პრინციპების კომპლექსს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სტრუქტურა, ფორმირებისა და ფუნქციონირების მეთოდები და ვითარდება მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესაბამისად.

სისტემის არსებობა ობიექტურად განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ მისი ორგანიზებულობის დონეზე დამოკიდებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი ფუნქციების განხორციელებაზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში საერთაშორისო სამართალი არ მოიცავდა განსაზღვრულ მიზნებს და პრინციპებს, იყო დისპოზიციური, ორ ან მეტ სახელმწიფოს, მათ შორის არსებულ ურთიერთობებში შეეძლოთ გაეუქმებინათ ნებისმიერი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის მოქმედება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალმა განსაზღვრა სახელმწიფოთა ძირითადი ურთიერთქმედებები, და ამით - საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების მიზნები. ამის შედეგად მან დაადგინა არამხოლოდ ფორმები, არამედ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებების შინაარსი.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების კომპლექსმა მოახდინა ადრე გახლეჩილ ნორმათა ჯგუფების გაერთიანება, ორგანიზება და დაქვემდებარება. ის გახდა არამხოლოდ დისპოზიციური, არამედ შეიძინა საყოველთაოდ აღიარებული იმპერატიული (ჯუს ცოგენს) ნორმების კომპლექსური სახე, რომელთა უარყოფა

137 Фельдман Д.И. Система международного права / Давид Исаакович Фельдман. – Казань : Издательство Казанского университета, 1983. – С. 3.

138 Лукашук И.И. Международное право. Общая часть / Игорь Иванович Лукашук. – М. : Издательство БЕК, 2000. – С. 107.

არ შეუძლიათ სახელმწიფოებს ერთობლივი შეთანხმების მიუხედავად. კ. ბეკიაშვიდი აღნიშნავს, რომ იმპერატიული ნორმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებში, წარმოადგენს მისი სისტემის ძირითად ბირთვს. ასევე ი. ლუკაშუკი წერს, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა, აღმოცენდა სისტემის კიდევ ერთი თვისება - ნორმათა იერარქია, რომელიც განსაზღვრავს მათ ადგილს საერთაშორისო სამართლის სისტემაში .

საერთაშორისო სამართლის პირველად <sup>139</sup> ელემენტს წარმოადგენს ნორმა - ე.ი. სუბიექტების მიერ შეთანხმების შედეგად შექმნილი ფორმალურად განსაზღვრული წესი, რომელიც უზრუნველყოფილია იურიდიული მექანიზმით, ასევე ადგენს მათ უფლებებს და ვალდებულებებს. ნორმა წარმოადგენს განსაზღვრულ საერთაშორისო ურთიერთობათა მოდელს, რომლის მიზანია ამ ურთიერთობათა მაქსიმალური მიახლოება მისი შინაარსისადმი. სისტემას შეუძლია გამოვიდეს ურთიერთობათა რეგულატორის როლში, რადგან მის შემადგენლობაში მყოფ ნორმათა ცალკეული ჯგუფების მიზანია გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი სხვადასხვა ამოცანები, ასევე უნდა განსაზღვრონ და მოახდინონ ერთმანეთზე ზემოქმედება. ის უნდა იყოს შინაგანად შეთანხმებული და მისი ნაწილები წინააღმდეგობაში არ უნდა იმყოფებოდნენ. ამგვარად, ნორმათა გაერთიანებამ საერთაშორისო სამართლის სისტემაში განაპირობა ახალი თვისებების წარმოშობა. ამის შედეგად, სხვადასხვაგვარ ნორმებს შეუძლიათ სისტემურად და დიფერენცირებულად მოახდინონ საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირება. ი. ლუკაშუკი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლისათვის დამახასიათებელია ერთდროულად დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები.

თანდათან ჩნდება თანამშრომლობის სულ უფრო ახალი ფორმები და შესაბამისად საერთაშორისო სამართლის ახალი დარგები, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ სისტემაში. მათ ბირთვს წარმოადგენს ზოგადი საერთაშორისო სამართალი, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის. ამას გარდა, არსებობს რეგიონალური საერთაშორისო-სამართლებრივი კომპლექსები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს სახელმწიფოთა ცალკეულ ჯგუფებს შორის. ნორმათა დიდი ნაწილი არეგულირებს ორმხრივ ურთიერთობებს. რეგიონალური და ორმხრივი ნორმები უნდა შეესაბამებოდნენ ზოგად საერთაშორისო სამართალს, ერთობლიობაში ისინი ქმნიან საერთაშორისო-სამართლებრივ გლობალურ სისტემას.

საერთაშორისო სამართლის, როგორც სისტემის შემდეგ ელემენტს წარმოადგენს ინსტიტუცია. ის განისაზღვრება, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების განსაკუთრებული განზოგადოებული კომპლექსი, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობათა განსაზღვრულ სახეს (ქვესახეს). ინსტიტუტი არეგულირებს სუბიექტების ურთიერთობას სამართლებრივი რეგულირების განსაზღვრული (შეზღუდული) ობიექტის მიხედვით და ადგენს საერთაშორისო-სამართლებრივ სტატუსს ამა თუ იმ განსაზღვრული რაიონის, სფეროს, სივრცის ან სხვა ობიექტის გამოყენების რეჟიმს (მაგალითად, დიპლომატიური იმუნიტეტისა ან პრივილეგიების ან/და ბავშვთა უფლებების ინსტიტუტი და ა.შ.).

როგორც აღნიშნავს ნიგერიის პროფესორი ტ. ელაიესი, საერთაშორისო სამართლის სისტემის ანალიზის დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე გვაქვს თანამედროვე საერთაშორისო სამართალთან, რომელიც სათავეს იღებს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან და „გაერო“-ს დაარსებიდან.

ი. ლუკაშუკის აზრით, შეხედულება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტს წარმოადგენს გაეროს წესდება გააჩნია ფართო აღიარება. ეს უკანასკნელი ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირების განვლილ გამოცდილებას. აღნიშნული წესდების შინაარსმა გამოავლინა განსაკუთრებული პირობები, რომლებიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ, ადამიანების რწმენა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ გააერთიანონ

139 Международное публичное право. Учебник / [ Под. ред. К.А. Бекашева]. – М. : Проспект, 1999. – С. 27



ძალები არამხოლოდ ომში გამარჯვებაზე, არამედ ბრძოლაში ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. სოციალური მხრიდან გაეროს წესდება წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისა და იმედების განსახიერებას, რომ სახელმწიფოები საერთო ძალისხმევით უზრუნველყოფენ მშვიდობასა და კეთილდღეობას. პოლიტიკური მხრივ, წესდების დებულებებმა განასახიერეს აზროვნების სრულიად ახალი ტიპი. საერთაშორისო სამართალს საფუძვლად დაედო თანამშრომლობის პრინციპი. ი. ლუკაშუკი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის წარმოშობა და განვითარება შესაძლებელი გახდა მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით. გაეროს კომისიის სპეციალური მომხსენებელი დ. გონსალესი წერდა: „უდავოა, რომ ახალი საერთაშორისო სამართლის განვითარებას საფუძვლად დაედო სახელმწიფოთა მრავალმხრივი თანამშრომლობა“.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მასში ადამიანის უფლებების აღიარება. ამასთან ერთად, საუბარია აღნიშნული უფლებების რეალიზაციის ისეთ დონეზე, რომელიც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხელს უწყობდა უამრავი ეროვნული სამართლებრივი სისტემის დემოკრატიზაციას და შექმნა საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთმოქმედების მექანიზმი.

გაეროს წესდებამ განსაზღვრა საერთაშორისო სამართლის ძირითადი ამოცანები და პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ მისი სისტემის ფორმირების უმთავრეს ფაქტორს<sup>140</sup>.

აღნიშნული მიზნები და პრინციპები აღჭურვილია უმაღლესი იურიდიული ძალით. დოკუმენტის 103-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: „იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის წევრების ვალდებულებანი წინამდებარე წესდების თანახმად წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან მათ ვალდებულებებთან სხვა რომელიმე საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, წინამდებარე წესდებაში აღნიშნულ ვალდებულებებს აქვთ უპირატესი ძალა“. პრინციპების განსაკუთრებულ ძალაზე მეტყველებს ასევე წესდების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი: „ორგანიზაცია უზრუნველყოფს რომ სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ მის წევრებს, მოქმედებდნენ ამ პრინციპების შესაბამისად, ვინაიდან ეს შესაძლოა აუცილებელი გახდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშესაწყობად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა იმას, რომ საერთაშორისო სამართალში აღმოცენდა იმპერატიული ნორმების ახალი ინსტიტუტი, რომლებიც იქმნება საერთაშორისო საზოგადოების მიერ მთლიანობაში და რომელთა უგულვებელყოფა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ საერთო თანხმობის შემთხვევაშიც.“

ამგვარი ნორმების არსებობა განასხვავებს თანამედროვე საერთაშორისო სამართალს ე.წ. კლასიკურისაგან, რომელიც იყო მეტად დისპოზიციური. საჭირო გახდა საუკუნის მეოთხედი, რათა სახელმწიფოებს მიეღწიათ შეთანხმებამდე და დაემტკიცებინათ გაეროს წესდების პრინციპები. ეს განხორციელდა 1970 წელს გაეროს ასამბლეის XXV საიუბილეო სესიაზე, რომელმაც არა მხოლოდ მიიღო დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების თაობაზე არამედ დაამტკიცა ისინი, ახსნა მათი შინაარსი, რომელიც შემდგომ გახდა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ბირთვი.

მეორე მსოფლიო ომიდან ოცდაათი წლის გასვლის შემდეგ, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თაობაზე ჩატარებული თათბირის დასკვნით აქტიურ დამტკიცებულ იქნა მისი ძირითადი პოლიტიკური დასკვნა. აღნიშნული აქტი ასევე, ხელს უწყობდა საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტისა და განვითარების გაძლიერებას.

ი. ლუკაშუკის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ხასიათდება ასევე მისი პროგრესული განვითარებით და კოდიფიკაციის პროცესით. 1946 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შექმნა საერთაშორისო სამარ-

140 Лукашук И.И. Международное право. Общая часть / Игорь Иванович Лукашук. – М. : Издательство БЕК, 2000. – С. 75.

თლის განვითარებისა და კოდიფიკაციის საკითხთა კომიტეტი. აღნიშნულმა ორგანომ განსაზღვრა, თუ რაში გამოიხატება ამ უკანასკნელ ორ ინსტიტუს შორის არსებითი განსხვავება. ამოცანები, დაკავშირებული ისეთი კონვენციების პროექტების შემუშავების საკითხებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული საერთაშორისო სამართლით და არ ყოფილა განვითარებული პრაქტიკაში, კომიტეტმა მიაკუთვნა სამართლის პროგრესულ განვითარებას, ხოლო დანარჩენი, რომელიც ეხება ზუსტ ფორმულირებებს და სისტემატიზაციას, სადაც ნორმები დადგენილია სახელმწიფოთა ფართო გამოცდილებაზე, პრეცედენტებზე და დოქტრინებზე დაყრდნობით, კომიტეტმა მიაკუთვნა კოდიფიცირებულს. ამ უკანასკნელის მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ: გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია, ასევე საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის 1969 წლის კონვენცია და ა.შ.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემური თვისებების შემეცნების თვალსაზრისით, განსაკუთრებულობას წარმოადგენს არამხოლოდ პრინციპების საკვანძო ხასიათის კონსტატაცია, არამედ სამართლის ორგანიზებაში მათი განსაკუთრებული სტრუქტურის აღქმა. პრინციპები განსაზღვრავენ საერთაშორისო სამართლის ზოგად ხასიათს და ასრულებენ განსაზღვრული კონსტრუქციის როლს, რომლის ირგვლივ ხდება ნორმების, ინსტიტუტების და მთლიანობაში სამართლის სისტემის ფორმირება.

სხვადასხვა სახის საერთაშორისო ურთიერთობებების განვითარების კანონზომიერებები, პოულობენ ასახვას სამართლის პრინციპებში, რომლებიც თავის მხრივ პასუხობენ მათი რეგულირების დონეს. აღნიშნულ პრინციპებს შეუძლიათ მოიცვან მთელი სამართლებრივი სისტემა (ძირითადი პრინციპები), დარგების ცალკეული ჯგუფები (დარგთაშორისი პრინციპები), ინსტიტუტები და ასევე, ნორმათა ცალკეული ჯგუფები ამ ინსტიტუტების შიგნით. დ. ფელდმანი მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართლის ყოველ დარგს, რომელიც იყოფა სამართლის ინსტიტუტებზე გააჩნია საკუთარი პრინციპები<sup>141</sup>. აღნიშნულ კონტექსტში ე. რულკო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს შეუძლიათ იყვნენ ამა თუ იმ სამართლის დარგის აღმოცენების ან შექმნის აუცილებლობის მაჩვენებელი, გამოვიდნენ ინდიკატორის როლში საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების კონკრეტული ჯგუფის ანალიზის პროცესის განხორციელებისას. სამართალზე და მის ყველა ელემენტზე გავრცელების დროს, საერთაშორისო სამართლის პრინციპები თანმიმდევრულად ახდენენ ნორმების ორგანიზებას განსაზღვრულ ქვესისტემურ წარმონაქმნებში - სამართლებრივ ინსტიტუტებში, დარგებში და ა.შ.<sup>142</sup>

საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალი წარმოადგენს სრულიად ახალ მოვლენას თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. ამ საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების და ნორმების კოპლექსის დასახელება და განმარტებაც კი საკმაოდ იშვიათად გვხვდება სამეცნიერო პუბლიკაციებში, მაგრამ დღევანდელ დღეს არსებობს ყველა წინაპირობა ვამტკიცოთ, რომ როგორც ასეთი, საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალი ჩამოყალიბებულია.

დღევანდელ დღეს დოქტრინაში შეუძლებელია მოიძებნოს აღნიშნული მოვლენის განმარტება. ედრიან ბრედბროუკმა საკუთარ ნაშრომში „ენერგეტიკის სამართალი, როგორც აკადემიური დისციპლინა“ აღნიშნავს, რომ მისი დახასიათება შესაძლებელია როგორც იმ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომლის აღმოცენება ხდება კერძო პირთა და მთავრობის, ასევე ამ უკანასკნელისა და სახელმწიფოთა შორის ენერგეტიკის რესურსების მთლიანობაში გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>143</sup>.

141 Фельдман Д.И. Система международного права / Давид Исаакович Фельдман. – Казань : Издательство Казанского университета, 1983. – С. 47.

142 Рулько Е.Т. Особенности системного развития международного права в современных условиях / Евгений Тимофеевич Рулько. – Вестник Киевского университета, серия Международные отношения и международное право, 1982. Вып. 15. – С. 12.4

143Bradbrook A. Energy Law as an Academic Discipline / Adrian J. Bradbrook. – Volume 14 (2), 1996. – P. 203.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალი - არის საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ ენერგეტიკული რესურსების გამოყენების, ვაჭრობის, ტრანზიტისა და მიწოდებასთან დაკავშირებულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს.

აღნიშნული მოვლენის შეფასებისათვის აუცილებელია განისაზღვროს მისი ადგილი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. ამ უკანასკნელის მეცნიერებაში საკმაოდ მძაფრად დგას საკითხი, რომელიც ეხება მისი სისტემის დარგების გამიჯვნის ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრას. ა. იორიშის აზრით, საერთაშორისო სამართლის სისტემა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ საერთაშორისო ცხოვრების განვითარებას და საერთაშორისო-სამართლებრივი სფეროს უწყვეტ გაფართოვებას<sup>144</sup>. საერთაშორისო სამართლის სისტემის ე.წ. ჰორიზონტალურ სტრუქტურას წარმოადგენს ინსტიტუტები და დარგები. დღევანდელ დღეს დარგის განმარტება შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალში არც თუ ისე ადვილ საქმიანობას წარმოადგენს, პრაქტიკულად არ არსებობს დარგის საყოველთაოდ აღიარებული, მკვეთრი პარამეტრები. რა თქმა უნდა, აღნიშნული კვლევის მოცულობა არ იძლევა შესაძლებლობას გავაანალიზოთ საერთაშორისო სამართლის დარგის ყველა არსებული კრიტერიუმი, მაგრამ ვეცდებით დავადგინოთ, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალი მათ ძირითად ნაწილს.

საერთაშორისო სამართლის დარგებზე დაყოფის ყველაზე გავრცელებულ კრიტერიუმად იურისტები მიიჩნევენ სამართლებრივი რეგულირების საგანს, მაგრამ არ განიხილავენ მას როგორც სისტემის შემქმნელ ერთადერთ ფაქტორს. საგნის ან/და რეგულირების ობიექტის სპეციფიკა წარმოადგენს სამართლის დარგის ფორმირების ფაქტორს, მაგრამ ამ უკანასკნელის არსებობა ჯერ კიდევ არ ქმნის საერთაშორისო სამართლის დარგს. მხოლოდ აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე შესაძლებელია თავისუფლად მოვახდინოთ უამრავი დარგის კონსტრუირება, რადგან ყველა საერთაშორისო ურთიერთობა გამოირჩევა უდიდესი მრავალფეროვნებით. ამგვარ სამეცნიერო მიდგომას შეუძლია მოახდინოს თვით საერთაშორისო სამართლის ობიექტურად არსებული დარგების ჩამოყალიბების აუცილებლობის იდეის დისკრედიტაცია.

ზემოაღნიშნულის შემეცნებამ უბიძგა საერთაშორისო სამართლის დოქტრინის წარმომადგენლებს რეგულირების ობიექტის გარდა მოძებნონ სხვა კრიტერიუმებიც:

- ნორმათა განსაზღვრული ჯგუფების ხარისხიანი თავისებურება და განცალკავებულობა (ავტონომიურობა);
- აღნიშნულ ნორმათა წყაროების და მათი შექმნის ხერხების განსაკუთრებულობა;
- ნორმატიული მასალის დიდი მასივი, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობათა განსაზღვრულ სახეს;
- დარგის განვითარებაში (ან საერთაშორისო ურთიერთობათა კონკრეტული სახის) საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესება<sup>145</sup>;

განხილულ კრიტერიუმებთან ერთად, რომლებიც მომართულია საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ კონკრეტული დარგის არსებობის დასაბუთებაზე, იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება ეთმობა იმას, რომ ზოგადი საერთაშორისო სამართალი, პრინციპების გარდა, რომლებიც საფუძვლად უდევს მის ნორმათა მთელ სისტემას, მოიცავს ასევე პრინციპებს, რომლებიც შეადგენენ შესაბამისი საერთაშორისო დარგის საფუძველს და მხოლოდ მისი არსებობისას შეიძლება საუბარი, რომ ნორმათა განსაზღვრული ერთობლიობა ქმნის საერთაშორისო სამართლის დარგს. აღნიშნულმა დებულებამ საკმაოდ სწრაფად მიიღო აღიარება სხვა სამეცნიერო ნაშრომებში, რადგან პრინციპის კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უდევს დარგს, გაააჩნია ობი-

144Международное атомное право / [Отв. ред. А.И. Иойрыш, А.Н. Петросьянц, В.Ф. Петровский]. – М. : Наука, 1987. – С. 14.

145Курс международного права. – С. 265.

ექტურობის თვისება<sup>146</sup>. მისი არსებობა ან არ არსებობა შეიძლება დადგენილი იქნეს სამეცნიერო-უტყუარობით.

ამგვარად, ღია ზღვის თავისუფლების პრინციპი საფუძვლად უდევს საერთაშორისო საზღვაო სამართალს, ხოლო პრინციპი რომლის თანახმად კოსმოსურ სივრცეს, ცის სხეულების ჩათვლით, არ გააჩნია ეროვნული მიკუთვნება და თავისუფალია კვლევებისათვის - საფუძვლად უდევს კოსმოსურ საერთაშორისო სამართალს და ა.შ. საერთაშორისო სამართლის დარგის გამოყოფისთვის ყველა კრიტერიუმის გაანალიზების შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალი ყველა მათგანს სავსებით აკმაყოფილებს.

საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის რეგულირების ობიექტს წარმოადგენენ ენერგეტიკული რესურსები (გაზი, ნავთობი, ელექტროენერგია, ნახშირი და ა.შ.), ხოლო საგანს - სახელმწიფოთაშორისი ურთერთობები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული რესურსების ვაჭრობის, ტრანზიტისა და გაცვლასთან, ასევე თანამშრომლობასთან, რომელიც ეხება ენერგეტიკული საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური შედეგების დაძლევას.

ენერგეტიკის სამართლის პრინციპს წარმოადგენს: ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი; იმ სახელმწიფოების ტერიტორიისათვის ზიანის მიყენების დაუშვებლობის პრინციპი, რომლებიც იმყოფებიან ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ; სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობისა და გაფრთხილების პრინციპი, რომელიც ეხება რისკებს დაკავშირებულს საშიშ საქმიანობასთან სხვადასხვა ექსტრემალური შემთხვევების ჩათვლით. მაგრამ არსებობს საერთაშორისო საზოგადოების საკმაოდ დიდი დაინტერესება საერთაშორისო ენერგეტიკული ურთერთობების განვითარებაში, როგორც სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების და ურთიერთობათა რეგულატორის ერთ-ერთი სახის, რადგან სწორედ ენერგეტიკული ინტერესები წარმოადგენენ უმრავლესი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის საფუძველს<sup>147</sup>.

არსებობს ასევე ნორმატიული მასალის საკმარისი მოცულობა, რადგან საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალს გააჩნია უამრავი წყარო, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულება, როგორც იურიდიულად სავალდებულომრავალმხრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ენერგეტიკის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხს. საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის ძირითად დარგობრივ პრინციპს და სტრუქტურის შემქმნელ ნორმატიულ ფაქტორს წარმოადგენს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი. მისი ინსტიტუტების სახედ შეიძლება გამოვყოთ: ნავთობის სამართალი, გაზის სამართალი, ენერგეტიკული უსაფრთხოების და ა.შ. ის მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის დარგებთან როგორცაა: საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი, საერთაშორისო ატომური სამართალი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი. ე.ი. ის აკმაყოფილებს საერთაშორისო სამართლის დარგის სახით გამოყოფის ყველა კრიტერიუმს.

საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფოები და საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო სამართალი იქმნება სახელმწიფოების მიერ და ძირითადად არეგულირებს სახელმწიფოთაშორის ურთერთობებს. სახელმწიფოები გვევლინებიან საერთაშორისო სამართლის ძირითად, ტიპიურ და პირველად სუბიექტად. მათ გააჩნიათ სამართალშემოქმედებითი ფუნქცია და ამგვარად ახორციელებენ ზეგავლენას საერთაშორისო-სამართლებრივ რეგულირებაზე, გააჩნიათ უფლებები და ვალდებულებები, ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პასუხი აგონ საერთაშორისო-მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო საერთაშორისო სამარ-

146 Усенко Е.Т. Принцип демократического мира – наиболее общая основа современного меж-дународного права / Евгений Трофимович Усенко // Советский ежегодник международного права, 1973. – М. : Наука, 1975. – С. 34.

147 Redgwell C. International Regulation of Energy Activities. – P. 35.

თლის მიხედვით. სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალსუბიექტურობის პირველადობა სრული მოცულობით ეხება საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალსაც. მაგრამ, როგორც საერთაშორისო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, სახელმწიფოები არ გახლავთ ენერგეტიკის სექტორის ერთადერთი „მსახიობები“. ენერგეტიკის დარგის საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობენ ასევე საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ მნიშვნელოვან როლს შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შექმნაში და გამოყენებაში. ენერგეტიკის სექტორში არსებობენ ასევე, სხვა არასახელმწიფოებრივი „მსახიობები“, რომელთა საქმიანობა არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს გახლავთ ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ინდივიდები.

საერთაშორისო სამართლის საკვანძო ცნებას წარმოადგენს სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. თვით საერთაშორისო სამართალი ადგენს კრიტერიუმებს, რომელთა მიღწევასა, წარმონაქმნებს შეუძლიათ საკუთარი თავი აღიარონ სახელმწიფოდ, იტვირთონ უფლებები და შესაბამისი ვალდებულებები საერთაშორისო არენაზე. აღნიშნული კრიტერიუმები აღწერილია სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ კონვენციის პირველ მუხლში, რომელსაც ხელი მოეწერა 1933 წელს მონტევიდეოში. მასში გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი უნდა პასუხობდეს შემდეგ კრიტერიუმებს: გააჩნდეს მუდმივი მოსახლეობა, განსაზღვრული ტერიტორია, მთავრობა და ასევე შესაძლებლობა დაამყაროს ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან<sup>148</sup>. დღევანდელ დღეს მნიშვნელოვან საკითხად რჩება აღიარების ინსტიტუტის დეკლარაციული და კონსტიტუციური თეორიების თანაფარდობა. აღნიშნული ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლისათვის, რადგან ზუსტად ორმხრივი ურთიერთობების აღიარება სახელმწიფოთა შორის გულისხმობს საერთო უფლებებისა და ვალდებულებების აღმოცენებას. ენერგეტიკული სექტორისათვის ყველაფრის მიუხედავად უდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენს ევროპული კავშირი, რადგან მხოლოდ მასში არასახელმწიფოებრივი „მსახიობები“ თამაშობენ საკვანძო როლს ენერგორესურსების კვლევის, გამოყენების და ტრანსპორტირებაში.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს უამრავი საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოებრივი თანამშრომლობის უზრუნველყოფას. ამ მხრივ ენერგო სექტორიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მათი უამრავი რაოდენობის მიუხედავად დღევანდელ დღეს საკმაოდ რთულია საერთაშორისო ორგანიზაციის ყოვლად მოცული ცნების განსაზღვრა. მაგალითად, გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის პროექტის მეორე მუხლი აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის დადგენისას, განსაზღვრავს: ტერმინი - საერთაშორისო ორგანიზაცია ეხება ისეთ წარმონაქმნებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ხელშეკრულების ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რეგულირდება საერთაშორისო სამართლით და გააჩნია საკუთარი სამართალსუბიექტურობა. სახელმწიფოების გარდა ესენი მოიცავენ, როგორც წევრებს ასევე სხვა წარმონაქმნებს, მაგრამ ეს ცნება ეხება კომისიის პროექტის მუხლებს მხოლოდ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, ის მოიცავს ცნების მთავარ კრიტერიუმს - წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის წარმონაქმნი საერთაშორისო ორგანიზაციას. ერთის მხრივ, ამგვარი წარმონაქმნი უნდა შედგებოდეს უმთავრესად სახელმწიფოებისა ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. მეორეს მხრივ, ის უნდა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად და მესამე მხრივ, უნდა მოიცავდეს ავტონომიურ ორგანოებს, რომელთა ნება განსხვავდება წარმონაქმნის წევრების ნებისაგან, უნდა გააჩნდეს საერთაშორისო სამართალსუბიექტურობა და არსებობდეს როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი<sup>149</sup>. ზემოდ აღნიშნული კრიტერი-

148იხ. იქვე, . 16.

149იხ. იქვე, . 16.

უმები განასხვავებენ საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციას სხვა სახის წარმონაქმნებისაგან, რომელიც შეიძლება იყოს მაგალითად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია.

საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. მას შეიძლება გააჩნდეს უფლებები და ვალდებულებები, შეუძლია შეიტანოს შესაბამისი განცხადებები ადიუდიკაციურ (audidicatio) დაწესებულებებში საკუთარი უფლებების უზრუნველყოფისათვის. მას შეუძლია დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან სახელმწიფოებთან. რაც შეეხება სამართალშემოქმედებით ფუნქციას, აქ განმსაზღვრელია მისი სადამფუძნებლო დოკუმენტის დებულებები, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი უფლების მინიჭება<sup>150</sup>.

ენერგეტიკულ სექტორში საერთაშორისო ორგანიზაციებზე საუბრისას, უნდა განვასხვავოთ წარმონაქმნები, რომლებსაც გააჩნიათ მხოლოდ „ენერგეტიკული მანდატი“, ე.ი. შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ ენერგო სფეროში (მაგალითად, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო), ასევე რომლებსაც გააჩნიათ ზოგადი მანდატი (მაგალითად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), სხვა სპეციალური ორგანიზაციები, რომელთა მანდატი საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ცალკეულ პროექტებში ენერგეტიკის დარგში მათი მიზნების განხორციელებისათვის (მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია) და ა.შ. აგრეთვე არსებობენ ენერგო და ზოგადი მანდატის მქონე რეგიონალური ან სხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ საქმიანობა ენერგო სექტორში, სადაც არ მონაწილეობენ ცალკეული სახელმწიფოები (ნავთობის სახელმწიფო-ექსპორტიორთა ორგანიზაცია, ლათინო-ამერიკული ქვეყნების ორგანიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე ჩრდილოეთ-ამერიკული შეთანხმება და ა.შ.). კარგი იქნებოდა, რომ საერთაშორისო არენაზე არსებობდეს საერთო წევრობის მქონე რაიმე სახის ორგანიზაცია, რომელიც დაკავებული იქნებოდა მხოლოდ ენერგეტიკული სექტორით (მაგალითად, მსოფლიო ენერგეტიკული ორგანიზაცია), რაც დღევანდელ დღეს არ წარმოადგენს ქვეყნების სურვილს.

საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლისათვის შემდეგ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს - წყაროები, და არა მხოლოდ მისთვის, არამედ მთელი თანამედროვე საერთაშორისო სამართლისათვის, თუ მივიღებთ მხედველობაში შესაბამისი ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოს არ არსებობას. პირველად დოკუმენტს, რომელსაც მიმართავენ აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად წარმოადგენს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, რომლის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ მისთვის გადაცემული საქმეების განხილვისათვის იყენებს: ა) საერთაშორისო კონვენციებს, როგორც ზოგადებს, ისე სპეციალურებს, რომლებიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოების მიერ გარკვევით აღიარებულ წესებს; ბ) საერთაშორისო წეს-ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებულ საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას; გ) ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგად პრინციპებს; დ) 59-ე მუხლში აღნიშნული შესწორებით, განსაკუთრებით კვალ-იფიცირებული სპეციალისტების სასამართლო გადაწვეტილებებსა და დოქტრინებს სხვადასხვა ერების საჯარო სამართალში დამატებით საშუალებად სამართლებრივი ნორმების დასადგენად<sup>151</sup>. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული პუნქტი, პირდაპირ არ წყვეტს საერთაშორისო სამართლის წყაროების საკითხს (ის მეტ წილად ადგენს სამართლის წყაროებს, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს საერთაშორისო სასამართლო) და არ ადგენს მათ იერარქიას, მაინც ენ ნორმა გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლის წყაროების საკითხის განხილვისას. თვალსაჩინოა,

150 Reparations for Injuries suffered in the Service of the United Nations, Advisory Opinion of April 11th, 1949.: <http://www.icj-cij.org/docket/files/4/1835.pdf>.

151 Case concerning Right of Passage over Indian Territory (Merits), (Portugal v. India), Judgment of 12 April 1960. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/32/4521.pdf>

რომ საერთაშორისო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულება და წეს-ჩვეულება. აღნიშნული კი დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლისათვის. საერთაშორისო სამართლის ნორმათა უმრავლესი ნაწილი, რომლებიც არეგულირებენ ენერგეტიკულ სექტორს თავმოყრილია საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალში წეს-ჩვეულების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ მან მოახდინა ზეგავლენა ისეთი ნორმების განვითარებაზე, რომლებიც ეხება როგორც ტერიტორიებზე სახელმწიფოთა იურისდიქციის გავრცელებას, ფიზიკურ პირებს, პასუხისმგებლობას (უცხოური საკუთრების ექსპროპრიაციის და ნაციონალიზაციის პასუხისმგებლობის ჩათვლით), განსაზღვრული პრინციპების განვითარებას (მაგალითად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი).

საერთაშორისო ხელშეკრულებები და წეს-ჩვეულებები წარმოადგენენ ე.წ. „მკაცრ“ სამართალს, რადგან მათი ნორმები სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ეთანხმებიან მათ და ეკისრებათ პასუხისმგებლობა შესაბამისი დარღვევისათვის. ამ ორ წყაროს შორის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ხელშეკრულებები სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც განაცხადეს შესაბამისი თანხმობა, ხოლო წეს-ჩვეულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის, თუ იგი მუდმივად არ უარყოფდა მათ არსებობას და გამოყენებას. რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა შორის არსებობს აგრეთვე ორმხრივი პარტიკულარული ნორმები, რაც დამტკიცებული იყო 1960 წელს „გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადანყვეტილებით საქმეზე, რომელიც ეხებოდა ინდოეთის ტერიტორიაზე გავლას“<sup>152</sup>.

საერთაშორისო სამართალში არსებობს ასევე „რბილი“ სამართლის (soft law) ნორმათა მთელი კატეგორია, რომელიც შედგება საერთაშორისო კონფერენციების, დანესებულებების და ორგანიზაციების მიერ მიღებული დეკლარაციებისა და რეკომენდაციებისაგან, რომელთა მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოთა ქცევაზე ზეგავლენის მოხდენა. აღნიშნული დოკუმენტები იმიტომ შეადგენენ „რბილ“ სამართალს, რომ მათ დარღვევაზე არ გამოიყენება ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხშირად აღნიშნული ნორმები განიცდიან ინკორპორირებას ეროვნულ კანონმდებლობაში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ან/და სახელმწიფოთა მუდმივი პრაქტიკის შედეგად ყალიბდებიან ჩვეულებითი სამართლის ნორმებად.

ამგვარად, საერთაშორისო სამართლის რეგულირებაში „რბილი“ სამართლის ნორმების პოტენციური როლი საკმაოდ მაღალია. რა თქმა უნდა, ასეთი ინკორპორაცია არ არის სავალდებულო და ხშირად ეს ნორმები ატარებენ არასავალდებულო ხასიათს, იქამდე, სანამ ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ნება არ მიიჩნევს მათ სავალდებულოდ.

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო წეს-ჩვეულება. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენს სახელმწიფოთა მუდმივი პრაქტიკის ერთობლიობას და *opinion juris sive necessitates*, ანუ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებიდან გამომდინარე სახელმწიფოთა პოზიციას, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ქმედების განხორციელებასთან ან თავის შეკავებასთან. ამგვარად, ჩვეულებითი სამართალი მოიცავს როგორც ობიექტურ ელემენტს (სახელმწიფოთა ზოგად და მუდმივ პრაქტიკას), ასევე სუბიექტურ ელემენტს (სახელმწიფოები მოქმედებენ ან თავს იკავებენ ქმედებისგან, მათზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე). ჩნდება დისკუსიები, კონკრეტულ შემთხვევაში როგორ განსაზღვროთ ამ სუბიექტური ელემენტის არსებობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გაეროს საერთაშორისო სასამართლომ, რომელმაც დაადგინა საერთაშორისო

152 Case concerning Right of Passage over Indian Territory (Merits), (Portugal v. India), Judgment of 12 April 1960. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/32/4521.pdf>

ჩვეულებითი სამართლის ფორმირებისათვის სამართლებრივი კრიტერიუმები და განსაზღვრა გამოსაყენებელი მატერიალური ნორმები (1969 წლის ჩრდილოეთი ზღვის კონტინენტური შელფის საქმის გადაწყვეტის დროს)<sup>153</sup>. სახელმწიფოთა პრაქტიკა უნდა ატარებდეს ერთგვაროვან და მუდმივ ხასიათს და მოწმობდეს განსაზღვრული ნორმის საყოველთაო აღიარების აუცილებლობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმების შექმნის პროცესი. დროის მონაკვეთის მხრივ, აღნიშნულის შექმნამ შეიძლება მოითხოვოს ხანგრძლივი პერიოდი, რა თქმა უნდა, ეს იქნება დამოკიდებული ნორმის ბუნებასა და ხასიათზე. როგორც კი მოხდება ახალი ნორმის პრეზიუმირება ის გახდება სავალდებულო ყველა სახელმწიფოსათვის. მას შეუძლია წარმოშვას ვალდებულებები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს მკვეთრ და პირდაპირ თანხმობას. ამასთან ერთად, მუდმივი წინააღმდეგობის წესით (პერსისტენტ ობჯექტორ) სახელმწიფოს შეუძლია არ ჩაერთოს ჩვეულებითი სამართლის ნორმის გამოყენების პროცესში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატების ქმედებები მიმართული ტერიტორიული ზღვის გაფართოვების წინააღმდეგ სამი მილის დაშორებით. იმისათვის, რომ ამ წესმა იმუშავოს და ახალმა ნორმამ არ წარმოშვას არანაირი ვალდებულებები სახელმწიფოსათვის, მან უნდა მუდმივად და მედგრად ნორმის ფორმირებიდან, გამოთქვას საკუთარი აზრი მისი გამოყენებლობის თაობაზე<sup>154</sup>.

ასევე არსებობენ ჩვეულებითი მატერიალური ნორმები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას წარმოადგენენ ენერგეტიკული სექტორისათვის და შესაძლებელია მათი მიკუთვნება საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლისათვის: ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტი; სხვა სახელმწიფოს ან ტერიტორიისათვის ზიანის მიყენების დაუშვებლობა; სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობისა და გაფრთხილების ვალდებულება, იმ რისკებთან მიმართებაში, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა საშიში საქმიანობის აღმოცენებასთან, ექსტრემალური სიტუაციების ჩათვლით. საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის აღნიშნული პრინციპები გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი პრინციპებიდან. ა. მოვჩანის აზრით, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესი არამხოლოდ არ მოითხოვს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფას, არამედ პირიქით, ხელს უწყობს მათი სივრცობრივი და საგნობრივი გამოყენების სფეროს გაფართოვებას<sup>155</sup>. საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლისათვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობისა და თანამშრომლობის პრინციპი. საერთაშორისო სამართლის ზემოაღნიშნული და ასევე სხვა დანარჩენი პრინციპები წარმოადგენენ ენერგეტიკულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ფუნდამენტს.

რაც შეეხება ბუნებრივ რესურსებზე ხალხისა ან სახელმწიფოს მუდმივ სუვერენიტეტს, ეს ნორმა გახლავთ საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის სისტემის შემქმნელი პრინციპი. ის დაფუძნებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორ ამოცანაზე: კოლონიური ერების თვითგამორკვევის უფლებაზე და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე<sup>156</sup>. აღნიშნული პრინციპის ფორმირება არ წარმოადგენს ადვილ საკითხს, რადგან ის ვითარდებოდა სწორედ გაეროს გენერ-

153 North Sea Continental Shelf Cases, (Federal Republic of Germany v. Denmark; Federal Republic of Germany v. Netherlands), Judgment of 20 February 1969. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/52/5561.pdf>

154 Redgwell C. International Regulation of Energy Activities. – P. 34.

155 Мовчан А.П. Международное воздушное право / Мовчан Анатолий Петрович. – М.: Наука, 1980. – Кн. 1. – С. 5.

156 Неотъемлимый суверенитет над природными ресурсами. A/RES/1803 (XVII), принята 14 декабря 1962 года. – Официальная интернет-страница Организации Объединенных Наций [ Электронный ресурс ]. – Режим доступа: [http://www.un.org/russian/ga/17/docs/res17\\_2.htm](http://www.un.org/russian/ga/17/docs/res17_2.htm).



ალური ასამბლეის რეზოლუციების ბაზაზე და არა საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ან სახელმწიფოთა მუდმივი პრაქტიკის გზით. ნორმატიული გამაგრება აღნიშნულმა პრინციპმა მიიღო 1962 წლის 14 დეკემბრის გენერალური ასამბლეის 1803 რეზოლუციაში, ასევე ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ სათანადო დეკლარაციაში (1974 წლის 1 მაისის რეზოლუცია 3201) და 1974 წლის 12 დეკემბრის სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებების და ვალდებულებების ქარტილაში, რომლის პირველი ნაწილის 1-ლი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: „ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის“. აღსანიშნავია, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლომ 2005 წლის გადაწყვეტილებით კონგოს საქმეში რუანდას წინააღმდეგ დაამტკიცა აღნიშნული ნორმის ჩვეულებრივი ხასიათი<sup>157</sup>, ხოლო იგივე სასამართლოს გადაწყვეტილებით, კორფუს არხის საქმეში (დიდი ბრიტანეთი ალბანიის წინააღმდეგ 1949წ.) მან დაადგინა პრინციპი, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს არ აქვს უფლება საკუთარი ტერიტორიის გამოყენების ისე, რომ ზიანი მიაყენოს სხვა სახელმწიფოებს<sup>158</sup>.

ზიანის მიყენების დაუშვებლობის პრინციპი გაშუქებული იქნა აშშ-ის სახელმწიფოთაშორისი არბიტრაჟის გახმაურებულ საქმეში (თრაილ შმელტერ) და შემდგომი გამოყენება ჰპოვა უამრავ საერთაშორისო დოკუმენტებში, კერძოდ სტოკჰოლმის დეკლარაციაში გარემოს დაცვის შესახებ და ასევე რიოს დეკლარაციის პრინციპში<sup>159</sup>. არსებობს თანამშრომლობის ვალდებულება ბუნებრივი რესურსების საერთო სარგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც განვითარდა წყლის რესურსების საერთო გამოყენების კონტექსტში, იმ სანაპირო ზოლის მომხმარებელთა უფლებების უზრუნველყოფისა და ბალანსის მიზნით, რომლებიც იმყოფებიან დინების მაღალ ან დაბალ ნაწილში<sup>160</sup>. აღნიშნული ნორმის გამოყენება ენერგეტიკულ სექტორში განიხილებოდა ნავთობისა და გაზის საბადოს კონტექსტში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მხარეს და ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ მათი საერთო დამუშავებისა და გამოყენების კუთხით<sup>161</sup>. აღნიშნულ საკითხში არსებობს უამრავი სირთულე, უკანასკნელს არ წარმოადგენს შეთანხმების და თანამშრომლობის ვალდებულების თანაფარდობის პრობლემა ერთობლივად გამოიყენონ ამგვარი საბადოები ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის საფუძველზე. ეს ვალდებულება მოიცავს მხარეთა შორის შეტყობინების გაგზავნას, ინფორმირებას, კონსულტაციებს, მაგრამ არანაირად არ ეხება ნავთობისა და გაზის საბადოების ერთობლივ დამუშავებას და რესურსების გამოყენებას<sup>162</sup>. ამგვარად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის ფუძემდებლური პრინციპი, არ მოიცავს იმ საბადოების დამუშავების თანამშრომლობის ვალდებულებას, რომლებიც განთავსებულია სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მხარეს, რადგან ის გულისხმობს მხარეთა საერთო ვალდებულებას თავი შეიკავონ ისეთი ქმედებების და საქმიანობის გნხორციელებისაგან,

157 Judgment in the Case Concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of Congo v. Uganda) 244, 19 December 2005. – [ Электронный ресурс ]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/116/10455.pdf>.

158 The Corfu Channel Case (Merits), Judgment of April 9th, 1949. – [ Электронный ресурс ]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/1/1645.pdf>.

159 Стокгольмская декларация. – [ Электронный ресурс ]. – Режим доступа: [http://zakon.rada.gov.ua/cgi-bin/laws/main.cgi?nreg=995\\_454](http://zakon.rada.gov.ua/cgi-bin/laws/main.cgi?nreg=995_454).

160 Catherine Redgwell. International Regulation of Energy Activities/ Energy Law in Europe. P. 35.

161 Schrijver N. Sovereignty over Natural Resources: Balancing Rights and Duties / Nico Schrijver. – Cambridge Studies in International and Comparative Law, 1997. – P. 338.

162 Cameron P. The Rules of Engagement: Developing Cross-Border Petroleum Deposits in the North Sea and Caribbean / Peter Cameron. – 2006. – P. 565.

რომელიც იმყოფება მისი იურისდიქციისა და კონტროლის ქვეშ და შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მეორე მხარის ბუნებრივ რესურსებს და გარემოს.

ენერგეტიკის სექტორის მთავარ მრავალმხრივ დოკუმენტს წარმოადგენს ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულება. მისი ჩამოყალიბების პროცესს საფუძველი ჩაუყარა 1990 წლის ივლისში ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა რუუდ ლიუბერესმა, რომელიც ხელს უწყობდა საბაზრო ეკონომიკაზე განვითარებადი ქვეყნების გადასვლის პროცესს<sup>163</sup>.

ევროპულ კავშირში ინიცირებული იქნა საერთო სტრატეგია მიმართული დასავლეთი ევროპის პრობლემების გაერთიანებაზე (ენერგეტიკული მიწოდების უსაფრთხოება) აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების შესაძლებლობებთან (ნავთობისა და გაზის მდიდარი რესურსები). აღნიშნული სტრატეგია დაფუძნებული იყო დასავლეთის ინვისტიციების ინტეგრირებას აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნების ენერგეტიკულ სექტორში და რესურსების ტრანზიტზე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. დღევანდელი დღის მდგომარეობით ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა 46 სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ (09.12.2004წ. 656 -IIს) საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. იმ დროს, როდესაც ევროპული ენერგეტიკული ქარტია, არსებითად წარმოადგენდა აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის თანამშრომლობის ხელშეწყობის პოლიტიკური მიზნების დეკლარაციას, ქარტიის ხელშეკრულება კი წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო მრავალმხრივ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის საკითხს ენერგეტიკის სექტორში. მისი დებულებები მოიცავენ ხუთ ფართო სფეროს:

- ენერგეტიკის დარგში უცხოური ინვესტიციების დაცვა და ხელშეწყობა, დაფუძნებული ეროვნული რეჟიმის გავრცელებაზე;
- ენერგორესურსებით თავისუფალი ვაჭრობა დაფუძნებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებზე;
- მილსადენებსა და მათ ქსელებზე ენერგორესურსების თავისუფალი ტრანზიტი;
- გარემოზე სრული ენერგეტიკული ციკლის უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, ენერგო სექტორის ეფექტურობის ამაღლების მეშვეობით;
- სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი დავების მექანიზმების შემუშავება.

მთლიანობაში, აღნიშნული ქარტიის ხელშეკრულება ახდენს ახალი წესრიგის ფორმირებას გლობალური ენერგეტიკული ბაზრისათვის. ის დაფუძნებულია დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპზე და საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტების ჩართულობაზე კონკურენციის ჩამოყალიბებაში, კერძოდ აქ იგულისხმება საარბიტრაჟო პროცედურები დაკავშირებული სახელმწიფო პროტექციონალიზმის და მონოპოლიების პოლიტიკასთან, ასევე წამოჭრილი დავების რეგულირებასთან.

დიდ ინტერესს იწვევს ასევე ინოვაციის (ინოვაცია) პროგრამა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1995 წელს. იგი წარმოადგენდა ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერის ისეთ მექანიზმს, რომელიც მიმართული იყო ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების ევროპაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფისაკენ (პროგრამის სახელწოდება სწორედ აღნიშნულის აკრონიმს წარმოადგენს). თავდაპირველად, აღნიშნული პროგრამა ორიენტირებული იყო ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენებზე, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის გავლით მიემართებოდნენ ევროკავშირისაკენ. 2004 წელს ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) და ქ. ასტანაში (ყაზახეთი) გამართულ კონფერენციებზე გადანყდა, რომ მოცემული პროგრამის საზღვრები გაფართოვდებოდა და მოიცავდა შემდეგ ოთხ ძირითად მიმართულებას:

- ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ნეკრი ქვეყნების ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაცია ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული საბაზრო პრინციპების შესაბამისად;
- მდგრადი ენერგეტიკის განვითარების მხარდაჭერა;

163 Konoplyanik A., Walde T. Energy Charter Treaty and its Role in International Energy / Andrei Konoplyanik and Thomas Walde // Journal of Energy & Natural Resources Law. – Vol. 24. – № 4. – 2006. – P. 523-558.

- რეგიონალური მნიშვნელობის ერთობლივი ენერგეტიკული პროექტების განხორციელების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფა;

იგი წარმოადგენს ენერგეტიკული თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამას, რომელშიც ჩართულნი არიან ევროკავშირის (EU) წევრი ქვეყნები, თურქეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციისა. ფორმალურად აღნიშნული პროგრამა იშიფრება როგორც „ევროკავშირის, შავი და კასპიის ზღვის სახელმწიფოებსა და მათ მეზობელ ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამა“. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხდება ევროკავშირის უროპიდ პროგრამის, ქ. კიევში (უკრაინა) არსებული სამდივნოსა და ქ. თბილისში (საქართველო) არსებული რეგიონალური ოფისის მხარდაჭერით.

ქ. ბაქოს (აზერბაიჯანი) ინიციატივა წარმოადგენს ევროკავშირსა და ინოვაციის პარტნიორ ქვეყნებს შორის მიმდინარე ენერგეტიკული თანამშრომლობის შედეგს. აღნიშნული ინიციატივა გააქვრებული იქნა 2004 წლის 13 ნოემბერს ქ. ბაქოში გამართულ ენერგეტიკის მინისტრთა კონფერენციაზე. რიგით მეორე მინისტრიალი გაიმართა უკვე ქ. ასტანაში 2006 წლის 30 ნოემბერს. აღნიშნულ კონფერენციაზე განისაზღვრა პროგრამა ინოვაციის გაფართოებული პროფილი, რაც გულისხმობს პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის სხვადასხვა ენერგეტიკული საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობის გაღრმავებას. ბაქოს ინიციატივის მთავარ ამოცანს წარმოადგენს: პარტნიორი ქვეყნების ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაცია ევროკავშირის ბაზართან; გამჭვირვალე ენერგეტიკული ბაზრების ჩამოყალიბება; ინვესტიციების მოზიდვა და ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; (ინიციატივის დანარჩენი ამოცანები ეხება ტრანსპორტის სფეროს). შესაბამისად, პარტნიორი ქვეყნები შეთანხმდნენ მოახდინონ სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტების ჰარმონიზაცია ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან, რათა უზრუნველყონ ინტეგრირებული ენერგეტიკული ბაზრის გამართული ფუნქციონირება; არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისა და გაფართოების გზით უზრუნველყონ ენერჯის უსაფრთხოდ მიწოდება; განახორციელონ მოძველებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; განავითარონ ახალი ინფრასტრუქტურა და დანერგონ თანამედროვე მონიტორინგის სისტემა; ეფექტიანი და მდგრადი ენერგეტიკული სისტემების ინტეგრირების გზით გააუმჯობესონ ენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის მენეჯმენტი; ხელი შეუწყონ ერთობლივი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას. აღნიშნული ამოცანები სრულად ასახული იქნა ასტანის მინისტრთა კონფერენციაზე დამტკიცებულ „გზამკვლევი“<sup>164</sup>.

განსახილველი საკითხების მასშტაბის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალი მასში არსებული ურთიერთობების მთელი სპექტრის ჩათვლით, განვიხილოთ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ ერთ-ერთ დარგად.

ამგვარად, საერთაშორისო ენერგეტიკის სამართალი წარმოადგენს ჩამოყალიბებულ საერთაშორისო-სამართლებრივ მოვლენას, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემაში. ის პრინციპში პასუხობს საერთაშორისო სამართლის დარგად გამოყოფის ყველა ძირითად მოთხოვნებს და კრიტერიუმებს. ამ ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი მოვლენის აღმოცენება მოწმობს საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებაზე და ადასტურებს ენერგეტიკულ სექტორში არსებული პრობლემების დაინტერესების მაღალ დონეს საერთაშორისო საზოგადოებაში.

164 INOGATE Technical Secretariat and Integrated Programme in support of the Baku initiative and the Eastern Partnership energy objectives <https://www.euneighbours.eu/en/east/eu-in-action/projects/inogate>

## რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის“ ფარგლებში და ეძღვნება საერთაშორისო ენერგეტიკის სამართლის საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგად ფორმირების საკითხს. დასკვნა კეთდება სამართლის სხვადასხვა მეცნიერის მიერ დამკვიდრებული ნიშნებისა და თვისებების ერთობლიობის ანალიზზე, რომლებიც წარმოადგენენ სამართლის ახალი დარგის ფორმირების საფუძველს. სტატიაში ასევე, ყურადღებაა გამახვილებული საერთაშორისო არენაზე ენერგეტიკაში არსებული საკითხების მნიშვნელობაზე.

## Resume

The article is prepared in the framework of the scientific-research project “Engineering Law” of Faculty of Law and International Relations and is dedicated to the creation of International Energy Law as an independent field. The conclusion is based on the analysis of the combination of the characteristics and properties of the various scientists who are the basis for forming a new field of law. The article emphasizes the importance of energy issues in the international arena.

## Резюме

Данная статья Статья опубликована в рамках проекта ГТУ и факультета право и международных отношений “Инженерное право”. посвящена вопросу формирования международного энергетического права как самостоятельной отрасли международного права. Вывод делается на основе анализа совокупности признаков, выделяемых учёными правоведами, являющихся основанием для формирования новой отрасли права. В статье подчеркивается значимость энергетических вопросов на международной арене.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Фельдман Д.И. Система международного права / Давид Исаакович Фельдман. – Казань : Издательство Казанского университета, 1983.
2. Лукашук И.И. Международное право. Общая часть / Игорь Иванович Лукашук. – М. : Издательство БЕК, 2000.
3. Международное публичное право. Учебник / [ Под. ред. К.А. Бекяшева]. – М. : Проспект, 1999.
4. Лукашук И.И. Международное право. Общая часть / Игорь Иванович Лукашук. – М. : Издательство БЕК, 2000.
5. Фельдман Д.И. Система международного права / Давид Исаакович Фельдман. – Казань : Издательство Казанского университета, 1983. –
6. Рулько Е.Т. Особенности системного развития международного права в современных условиях / Евгений Тимофеевич Рулько. – Вестник Киевского университета, серия Международные отношения и международное право, 1982. Вып. 15.

7. Bradbrook A. Energy Law as an Academic Discipline / Adrian J. Bradbrook. – Journal of Energy and Natural Resources Law, Volume 14 (2), 1996.
8. Международное атомное право / [Отв. ред. А.И. Иойрыш, А.Н. Петросьянц, В.Ф. Петровский]. – М. : Наука, 1987.
9. Усенко Е.Т. Принцип демократического мира – наиболее общая основа современного меж-дународного права / Евгений Трофимович Усенко // Советский ежегодник международного права, 1973. – М. : Наука, 1975.
10. Redgwell C. International Regulation of Energy Activities.
11. Reparations for Injuries suffered in the Service of the United Nations, Advisory Opinion of April 11th, 1949.: <http://www.icj-cij.org/docket/files/4/1835.pdf>.
12. Статут Международного Суда ООН. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.un.org/russian/documen/basicdoc/statut.htm>.
13. Case concerning Right of Passage over Indian Territory (Merits), (Portugal v. India), Judgment of 12 April 1960. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/32/4521.pdf>
14. North Sea Continental Shelf Cases, (Federal Republic of Germany v. Denmark; Federal Republic of Germany v. Netherlands), Judgment of 20 February 1969. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/52/5561.pdf>.
15. Redgwell C. International Regulation of Energy Activities.
16. Мовчан А.П. Международное воздушное право / Мовчан Анатолий Петрович. – М.: Наука, 1980. – Кн. 1.
17. Неотъемлимый суверенитет над природными ресурсами. A/RES/1803 (XVII), принята 14 де-кабря 1962 года. – Официальная интернет-страница Организации Объединенных Наций [ Электронный ресурс ]. – Режим доступа: [http://www.un.org/russian/ga/17/docs/res17\\_2.htm](http://www.un.org/russian/ga/17/docs/res17_2.htm).
18. Judgment in the Case Concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of Congo v. Uganda) 244, 19 December 2005. – [ Электронный ресурс ]. – Режим до-ступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/116/10455.pdf>.
19. The Corfu Channel Case (Merits), Judgment of April 9th, 1949. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.icj-cij.org/docket/files/1/1645.pdf>.
20. Стокгольмская декларация. – [Электронный ресурс]. – Режим доступа: [http://zakon.rada.gov.ua/cgi-bin/laws/main.cgi?nreg=995\\_454](http://zakon.rada.gov.ua/cgi-bin/laws/main.cgi?nreg=995_454).
21. Catherine Redgwell. International Regulation of Energy Activities/ Energy Law in Europe. P. 35.
22. Schrijver N. Sovereignty over Natural Resources: Balancing Rights and Duties / Nico Schrijver. – Cambridge Studies in International and Comparative Law, 1997. – P. 338.
23. Cameron P. The Rules of Engagement: Developing Cross-Border Petroleum Deposits in the North Sea and Carribbean / Peter Cameron. – 2006. – P. 565.
24. Konoplyanik A., Walde T. Energy Charter Treaty and its Role in International Energy / Andrei Konoplyanik and Thomas Walde // Journal of Energy & Natural Resources Law. – Vol. 24. – № 4. – 2006. – P. 523-558.
25. INOGATE Technical Secretariat and Integrated Programme in support of the Baku initiative and the Eastern Partnership energy objectives <https://www.euneighbours.eu/en/east/eu-in-action/projects/inogate>

## 2.საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორც ენერგეტიკის სამართლის მნიშვნელოვანი წყარო

### ასოცირებული პროფესორი ოთარ პავლიაშვილი

ენერგო სექტორში ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სამართლის სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. ეს გარემოება სრულიად ექვემდებარება ახსნას, რადგან სამართლის წყაროები და მათი სახეები განიცდიან ცვლილებას საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ეტაპების კვალდაკვალ. სამართლის თეორიის სისტემაში მისი წყაროების ფუნქციები, გამოიხატება იმაში, რომ ერთის მხრივ გამიჯნონ სამართლის წყაროები სოციალური რეგულატორებისგან, ხოლო მეორეს მხრივ - გამოავლინონ ამა თუ იმ წყაროს ადგილი სამართლის სისტემაში, ასევე მისი იურიდიული ძალის თანაფარდობა სამართლის სხვა წყაროებთან მიმართებაში. ამასთან ერთად, სამართლის ნორმების ობიექტივიზირების ფორმები მუდმივად განიცდიან დიფერენცირებას.

ენერგო სექტორში საზოგადოებრივი ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ანალიზი 2025 წლამდე საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის რეალიზაციის ეტაპების გათვალისწინებით, შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ მიმდინარე თანაფარდობა ამა თუ იმ სამართლის წყაროს გამოყენებაში, შევიმუშავოთ სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესების წინადადებები.

ენერგეტიკის სამართლის წყაროებზე მსჯელობისას, როდესაც განვიხილავთ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს, ყურადღება აუცილებლად უნდა შევაჩეროთ საქართველოს კონსტიტუციის ნორმებზე (მუხ. N3; 30 პუნქ. 2; 37 პუნქ. 4)<sup>165</sup>. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკის კანონმდებლობის სისტემის საფუძველში ჩადებულია კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც მოიცავენ ეკონომიკური სივრცის ერთიანობას, საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, კონკურენციის მხარდაჭერას, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, მინის და ბუნებრივი რესურსების თავისუფალ განკარგვას თუ ეს ზიანს არ აყენებს გარემოს.

საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენენ ენერგეტიკის სამართლის მნიშვნელოვან წყაროს. ენერგეტიკის დარგისთვის დამახასიათებელია „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (16/10/1997 წ.) N934 საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებების სახეების გამოყენება<sup>166</sup>.

ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლის I პუნქტი ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამ სახეს: 1) სახელმწიფოთაშორისი ხასიათის - საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც იდება უცხო სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა წარმონაქმნებთან საქართველოს სახელით; 2) მთავრობათაშორისი ხასიათის - საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც იდება უცხო სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა წარმონაქმნებთან საქართველოს მთავრობის სახელით; 3) უწყებათაშორისი ხასიათის - საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც იდება უცხო სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა წარმონაქმნებთან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ან უფლებამოსილ ორგანიზაციათა სახელით.

ენერგეტიკის სფეროში (ენერგეტიკის დარგის მიუხედავად) დადებული სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებიდან აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ვენის 1980 წლის კონვენციაზე „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხე-

165 საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (კონსოლიდირებული ვერსია - 23/03/2018/ წლის მდგომარეობით);

166 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ (16/10/1997 წ.) 934 საქართველოს კანონი (კონსოლიდირებული ვერსია) - 16/12/2015/ წლის მდგომარეობით;

ლშეკრულებათა შესახებ“ (ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით), რადგანაც ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დანადგარების უამრავი ნაწილის შესყიდვა ხორციელდება უცხოური მწარმოებლისაგან<sup>167</sup>. აღნიშნული კონვენცია აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში და გახლავთ არა ერთი სამეცნიერო კვლევის საგანი.

აგრეთვე სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებიდან არ შეიძლება არ ავლნიშნოთ „სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენცია, ასევე 1958 წლის 10 ივნისის ნიუ იორკის კონვენცია<sup>168</sup>, „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“<sup>169</sup>.

საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული თანამშრომლობის გამოსახატავად ხშირად ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება ტერმინები: „ენერგეტიკული გაერთიანება“, „ენერგეტიკული თანამეგობრობა“, „ენერგეტიკული კავშირი“ და „ენერგეტიკული ქარტია“.

თავის მხრივ, ენერგეტიკული გაერთიანება (Energy Community) არის ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის და ბაზრის პრინციპების გავრცელება ევროკავშირის არანევრ ქვეყნებში. უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა „ენერგეტიკული თანამეგობრობა“, თუმცა ეს ტერმინი ოფიციალურ დოკუმენტებში არ გამოიყენება და პრაქტიკაში დამკვიდრდა ტერმინი „ენერგეტიკული გაერთიანება“.

ენერგეტიკული გაერთიანების ამოცანებია:

- ნევრ ქვეყნებში საინვესტიციო გარემოს შექმნა ბუნებრივი გაზის და ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მოსაზიდად და ენერჯის სტაბილური და უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად;
- ენერგეტიკულ ქსელში ფართო ვაჭრობისათვის ერთიანი მარეგულირებელი სივრცის შექმნა და საბაზრო კონკურენციის უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალში გავრცელება;
- მიწოდების უსაფრთხოების გაზრდა ინვესტიციების ზრდით და ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების განვითარებით;
- გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება და ენერგოეფექტური ღონისძიებებისა და განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელშეწყობა.

ენერგეტიკული გაერთიანების ნევრია ბალკანეთის ექვსი ქვეყანა, უკრაინა და მოლდოვა, ხოლო დამკვირვებლები - თურქეთი და სომხეთი. საქართველოსთან მიმართებით კი მიმდინარეობს მოლაპარაკება სრულ ნევრობაზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულებისთვის, ევროკავშირის დახმარებით ენერგეტიკის მოდერნიზაციისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისთვის.

ენერგეტიკული ქარტია (ნერგყ ჩჰარტერ) არის დამოუკიდებელი საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ეფუძნება 1994 წლის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულებას და აერთიანებს 52 ევროპულ და აზიურ სახელმწიფოს. საქართველო მისი ნევრია 1995 წლიდან და 2015 წელს იყო მისი თავმჯდომარე ქვეყანა. აღნიშნული ხელშეკრულება განსაზღვრავს ოთხ ძირითად მიმართულებას:

- ენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების დაცვა, ხელსაყრელი პირობების შექმნა და ინვესტორთა კომერციული და პოლიტიკური რისკების შემცირება;
- ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობის არადისკრიმინაციულობა (მათ შორის „მესამე მხარის დამკვეთა“); ურთიერთობების ჩამოყალიბება მსოფლიო სავაჭრო ორგა-

167 „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის 1980 წლის კონვენცია - (ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით);

168 „სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენცია - იხ. ელ., გვერდი: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi46.pdf>;

169 1958 წლის 10 ივნისის ნიუ იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ - იხ. ელ., გვერდი: <http://nccl.ge/m/u/ck/files/NYC-Glossary.pdf>;

ნიზაციის (WTO) წესდების დაცვით და ენერჯის მიწოდების საიმედოობის უზრუნველყოფა მილსადენების, ქსელების და ტრანსპორტირების სხვა საშუალებების გამოყენებით;

- ენერგოეფექტური ღონისძიებების ხელშეწყობა და ამით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების ფარგლებში საქმიანობა წარმართავს სამდივნო, რომელიც განლაგებულია ბრიუსელში, ბელგიაში.

ევროპის ენერგეტიკული ქარტია არის დეკლარაცია, რომელიც გამოხატავს პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საერთაშორისო ენერგეტიკულ თანამშრომლობას, რაც დამყარებული უნდა იყოს ენერჯის უსაფრთხო მიწოდებაზე და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე. დეკლარაციაზე ხელის მოწერა არის პირველი და აუცილებელი ნაბიჯი 1994 წლის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების წევრობისთვის.

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტია არის საერთაშორისო ენერგეტიკულ პრინციპებზე და 21-ე საუკუნის გამონვევებზე დაფუძნებული დეკლარაცია, რომელიც ევროპის ენერგეტიკული ქარტიის მსგავსად არ არის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი. 2015 წლის მაისში დეკლარაციას ხელი 72 ქვეყანამ მოაწერა და სახელმწიფოთა ამ რაოდენობით ჩართულობის გამო ქარტიას ეწოდა საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტია, რომელიც ასევე წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების წევრობისთვის.

ენერგეტიკული კავშირი (Energy Union) არ წარმოადგენს რაიმე ახალ გაერთიანებას. ეს არის სახელი ევროკავშირის ახალი ენერგეტიკული სტრატეგიისა. რომლის მთავარი მიზანია ინფრასტრუქტურით და კანონმდებლობით გააერთიანოს ევროპული ენერგეტიკული ბაზრები და „ერთი ხმით“ (ინ ონე ვოიცი) ელაპარაკოს ენერჯის მონოპოლიურ მომწოდებლებს.

ენერგეტიკული კავშირის სტრატეგიის განხორციელებას ხელმძღვანელობს ევროკავშირის ერთერთი ვიცე-პრეზიდენტი – მაროშ შეფკოვიჩი. სტრატეგიის ძირითადი ხუთი კომპონენტია:

- ენერგეტიკული უსაფრთხოება, სოლიდარობა, ნდობა;
- სრულად ინტეგრირებული ევროპული ენერგეტიკული ბაზარი;
- ენერგოეფექტურობა როგორც ენერჯიაზე მოთხოვნის შემცირების ხელშეწყობი;
- ეკონომიკის დეკარბონიზება (სათბური გაზების გაფრქვების შემცირება);
- კვლევა, ინოვაცია, კონკურენცია.

ეს სტრატეგია ენერგეტიკული თვალსაზრისით აძლიერებს ევროკავშირს როგორც ჩვენს პარტნიორს და მოიცავს თანამშრომლობის და ენერგეტიკული უსაფრთხოების კომპონენტებს, რომლებიც საქართველოზე გავრცელდა 2016 წლის 14 ოქტომბერს, სარაევოში, საქართველოს მთავრობის მიერ ოქმზე ხელის მოწერიდან და საქართველოს პარლამენტის რატიფიკაციის შემდგომ, ქვეყანა გახდება ენერგეტიკული გაერთიანების ოფიციალური და სრულფასოვანი კონტრაქტორი მხარე.

ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ენერგეტიკული სექტორის განვითარების გზაზე. საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა და მხარდაჭერა მოარგოს საკუთარი ენერგეტიკის სექტორი ევროკავშირის სტანდარტებს, რაშიც მოიაზრება კონკურენტული ბაზრის შექმნა, ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება, განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების ნახალისება და ენერგოეფექტურობის განვითარება.

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ენერგოუსაფრთხოება და გარემოს დაცვა. ეს პოლიტიკა ევროკავშირში შემომავალი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა. 1995 წელს ხელმოწერილი კონვენცია „ევროპული ნახშირისა და ფოლადის კავშირი“ (Euro-



pean Coal and Steel Community – ECSC) გადაიზარდა ევროატომში 1957 წელს ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება (European Atomic Energy Community), შემდგომი განვითარების შედეგად, ევროკომისიის მიერ ჩამოყალიბდა ენერგეტიკული პაკეტების სახით.

ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში, პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად: 1996 წელი - ევროკავშირმა გამოსცა პირველი დირექტივა ელექტროენერგეტიკაში, 1998 წელს კი მას დაემატა პირველი დირექტივა გაზის სფეროში. 2000 წელს ამ ორ დირექტივას დაემატა ევროპის ენერგომინოდების უსაფრთხოების სტრატეგიის პირველი მწვანე წიგნი. ეს სამი დოკუმენტი და დროის ამ პერიოდში მიღებული განახლებად ენერგეტიკულ წყაროებთან დაკავშირებით შექმნილი მწვანე და თეთრი წიგნები, წარმოადგენენ პირველ ენერგეტიკულ პაკეტს. 2003 წელს ევროკავშირმა მიიღო ელექტროენერჯისა და გაზის მეორე დირექტივა, რომელიც შეივსო 2004 წლის უსაფრთხო მინოდების დირექტივით და უწოდეს მეორე ენერგეტიკული პაკეტი.

ევროკომისიის მიერ 2006 წელს მომზადებული მწვანე წიგნი (European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy Commission's green paper - Brussels, 8.3.2006 COM(2006) 105 final<sup>170</sup> - „ევროკავშირის ენერგეტიკის სტრატეგია კონკურენტუნარიანობის, მდგრადობის და უსაფრთხოებისთვის“) 2008-2009 წლებში შეივსო სამი პაკეტით: მესამე ენერგეტიკული პაკეტი მოიცავს დირექტივას და სამ რეგულაციას: 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 714/2009 რეგულაცია ელექტროენერჯით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების შესახებ<sup>171</sup>; 715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების შესახებ; 713/2009 რეგულაცია ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) დაფუძნების შესახებ. იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირს მესამე პაკეტის შემდეგ მეოთხე პაკეტი არ მიუღია, 2010 წლის 10 ნოემბერს ევროკომისიამ მიიღო „ენერჯია 2020 - სტრატეგია ენერგეტიკის კონკურენტუნარიანობის, მდგრადობისა და უსაფრთხოებისთვის და 2011 წელს - „ენერგეტიკული ეფექტურობის გეგმა 2011“. აღნიშნული ორი დოკუმენტი უამრავ სიახლეს მატებს მესამე პაკეტს და ამით ადასტურებს, რომ ენერგეტიკის დარგში ევროკავშირის პოლიტიკის სამ პაკეტად დაყოფა საკმაოდ პირობით ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის განვითარებისთვის საკვანძო როლს ასრულებს ისეთი საერთაშორისო დოკუმენტი როგორცაა 1991 წლის ევროპული ენერგეტიკული ქარტია და 1994 წლის ენერგეტიკული ქარტიის ლისაბონის ხელშეკრულება.

შესაბამისად, ევროპული კავშირის ენერგეტიკის სამართალი წარმოდგენილია (EU) სამართლის სხვადასხვა წყაროების სახით. ეს გახლავთ სადამფუძნებლო აქტები (ფუძემდებლური დოკუმენტები), სასამართლო პრაქტიკა და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს ევროკომისიის გზავნილები (Communications), რომლებიც სავალდებულო ძალის არ ქონის მიუხედავად, ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ევროპულ ენერგეტიკის სამართალში.

ენერგეტიკის დარგში არსებული ნორმატიული მასალის უამრავი ნაწილი მოცემულია ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებში - დირექტივებში და რეგულაციებში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია საქართველო მთავრობის მიერ 2017 წლის 01 ივლისს მიღებული ( N L-198) ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება-170 European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy Commission's green paper - Brussels, 8.3.2006 COM(2006) 105 final - იხ. ელ., გვერდი: [http://europa.eu/documents/comm/green\\_papers/pdf/com2006\\_105\\_en.pdf](http://europa.eu/documents/comm/green_papers/pdf/com2006_105_en.pdf);

171 2009 წლის 13 ივლისის დირექტივა 2009/72/EC ელექტროენერჯის შიდა ბაზრის რეგულირების საერთო წესების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას-2003/54/C-<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3624857>; ევროპარლამენტისა 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია 714/2009 ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლისათვის ქსელთან წვდომის პირობებისა და ევროპის გაერთიანების რეგულაციის (EC) No 1228/2003 გაუქმების შესახებ-<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3636059>;

ბა, რომელის სხვადასხვა ნორმატიულ აქტების მოქმედება უნდა განხორციელდეს C შესაბამისი დირექტივების მოქმედების სფეროში: (2003/54/EC და 2003/55/E; 96/61/EC; 85/337/EEC; 97/11/EC; 2003/35/E; 1999/32/EC; 93/12/EEC; 2001/80/EC; 79/409/EC; 2001/77/EC; 2003/30/EC; 2009/28/EC)<sup>172</sup>.

გარკვეულ სირთულეს ენერგეტიკის სამართლის, როგორც EC სამართლის დარგის იდენტიფიკაციის საქმეში, წარმოადგენს მისი გამოყოფა სამართლის სხვა დარგების ფონზე, რომლებთანაც მას უშუალო კავშირი გააჩნია: EC ეკოლოგიური სამართალი; ნორმები რომლებიც არეგულირებენ ევროკავშირის შიდა ბაზრის წესებს; სატრანსპორტო სამართალი; ნორმები, რომლებიც ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას, და ა.შ. ევროკავშირის უამრავი სამართლებრივი აქტებს შორის (პირველ რიგში საკანონმდებლო), არსებობს რიგი ისეთი აქტების, რომლების პირდაპირ არ ეხება ენერგეტიკის სამართალს, მაგრამ მეტ ნაკლებად ეხება მას. ამგვარად, სამართლის ნორმების იდენტიფიცირება, რომლებიც გამონაკლისად ეხება ენერგეტიკის სამართალს, საკმაოდ სირთულეს წარმოადგენს.

ასე მაგალითად, ცხადია, რომ საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც ეხება გლობალურ დათბობასთან ბრძოლის საკითხებს, არ მიეკუთვნება ენერგეტიკის სამართლის დარგს, ამავე დროს, 2009 წელს მიღებული იქნა „klimat-energetikis“ კანონთა პაკეტი<sup>173</sup>, რომელიც წმინდა სახით არ შეიძლება მივაკუთნოთ არც ენერგეტიკის და არც ეკოლოგიურ სამართალს. მაგრამ ზომები, რომლებიც განმტკიცებულია შესაბამის საკანონმდებლო აქტებში მეტ წილად ეხება ამ უკანასკნელს.

ევროკავშირის სადამფუძნებლო აქტების ბოლო ცვლილებების განხორციელებასთან ერთად შესაძლებელი გახდა შეიქმნას EC-ის სამართლის აღნიშნული დარგის ერთიანი ბაზა, კერძოდ ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (თ) 194-ე მუხლი მოიცავს იმ მიზნების ჩამონათვალს, რომლებზეც მომართულია ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში. შედეგად, EC-ის ნებისმიერი აქტი, მეტ წილად დირექტივა ან რეგლამენტი იმ შემთხვევაში იქნება მიკუთვნებული ენერგეტიკის სამართალს, თუ ის მიღებულია (TFEU) 194-ე მუხლის საფუძველზე, რაც გაადვილებს იმის შემეცნებას, ეხება ესა თუ ის ნორმატიული აქტი ევროკავშირის სამართალს და ენერგეტიკის პოლიტიკას.<sup>174</sup>

ასევე ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის ურთიერთკავშირი საყოფაცხოვრებო საქმიანობის სხვადასხვა სფეროსთან გამოიხატება ტექნიკური პროგრესის, მეცნიერების განვითარების და მრეწველობის მოდერნიზაციის ინვესტიციების პროექტებში. მაგალითად, ენერგეტიკაში გამოსაყენებელი ტექნოლოგიების განვითარებისთვის, ევროპულმა კანონმდებლებმა გააფართოვეს ენერგეტიკის სამართლის დარგის ფარგლები და ჩართეს მასში როგორც ე.წ. „ჩარჩო“ პროგრამები,<sup>175</sup> რომლებიც ეხება თანამედროვე ტექნოლოგიების და მეცნიერების განვითარებას, ასევე პროგრამები რომლებიც ეხება ინოვაციებს და კონკურენციას<sup>176</sup>.

ენერგეტიკის დარგში ინოვაციების განვითარების აუცილებლობა აღნიშნული იყო ასევე 2007 წლის 22 ნოემბრის ევროკომისიის სტრატეგიულ გეგმაში: „ტექნოლოგიები წარმოადგენენ ენერგეტიკის პოლიტიკის საკვანძო ელემენტს“. „ევროპას ესაჭიროება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სპეციალური პოლიტიკა,

172 ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება -198 (მიღებულია საქართველო მთავრობის მიერ 2017 წლის 01 ივლისს) -<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3757843>;

173 PE et Cons. UE, dir. 2009/31/CE, 23 avr. 2009, relative au stockage géologique du dioxyde de carbone et modifiant;

174 Treaty on the Functioning of the European Union (TFEU) Consolidated version, C 83/49, Official Journal of the European Union, 30.03.2010 - <https://plone.unige.ch/art-adr/cases-affaires/ayuba-suleiman-diallo-qatar-museums-authority-and-the-united-kingdom/treaty-on-the-functioning-of-the-european-union-tfeu/view>;

175 PE et Cons. UE, déc. 1982/2006/CE, 18 déc. 2006, relative au septième programme-cadre de la Communauté européenne pour des actions de recherche, de développement technologique et de démonstration (2007-2013) // Journal Officiel de l'union européenne 30 Décembre 2006;

176 PE et Cons. UE, déc. N 1639/2006/CE, 24 oct. 2006, établissant un programme-cadre pour l'innovation et la compétitivité (2007-2013). // Journal Officiel de l'union européenne 9 Novembre 2006

რომელიც რაც შეიძლება ნაკლები ზიანის მომტანი იქნება გარემოსათვის. აღნიშნული მიზნების რეალიზაციის ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს რეგლამენტი მიღებული EC-ის მესამე ენერგო პაკეტის ფარგლებში და მიმართულია ენერგეტიკის დარგში ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე<sup>177</sup>.

აღნიშნული რეგლამენტით განმტკიცებული ინოვაციების განვითარების პროგრამა, მიზნების სახით ადგენს: გაზის დარგის და ელექტროენერჯის გამომუშავების სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება; „ქარის“ ენერჯის განვითარება; ასევე ნახშირორჟანგის გაზის შეგროვება და მიწისქვეშა შენახვა. აღნიშნული პროგრამა განვითარების ძირითადი ორიენტირების სახით ენერგეტიკის დარგში მიუთითებს ასევე ენერგომატარებლების უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაზის გამოყოფის შემცირებაზე, რაც უპირობოდ ასევე არ მიეკუთვნება ენერგეტიკის სამართლის დარგს და მეტ ნილად ეხება ეკოლოგიური სამართლის შიდა უსაფრთხოების საკითხებს.

ევროკავშირის სამართლებრივი აქტები ენერგეტიკის დარგში საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ევროკომისიის ენერგეტიკული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული აქტების ოფიციალურ კლასიფიკაციაში<sup>178</sup>, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტების (დირექტივების და რეგლამენტების) ჩამონათვალთ, მოიცავს 160-ზე მეტ აქტს. თუკი მივმართავთ კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც არ ატარებენ სავალდებულო ხასიათს (მიეკუთვნება EC „რბილ სამართალს“-მიმართებები, შეტყობინებები, სტრატეგიები, გეგმები და ა.შ.), ასევე კანონმდებლობას, რომელსაც მეტ ნაკლებად ეხება ენერგეტიკას, აღმოვაჩინოთ, რომ ამგვარი აქტების რაოდენობა აღემატება 3000. ენერგეტიკის დარგში აქტების ამგვარი რაოდენობის არსებობასთან ერთად მისი სამართლებრივი რეგულირება გახდა მოცულობითი და სპეციალიზირებული და შედეგად მიიღო დარგობრივი და კომპლექსური ხასიათი. ევროკავშირის და მისი კანონმდებლობის ე.წ. „მეორად სამართალთან“ მიმართებაში (ე.ი. დირექტივებისა და რეგლამენტების), შეიძლება ითქვას, რომ ისინი განსხვავდება არამხოლოდ საკუთარი მნიშვნელობით EC სამართლის სისტემაში არამედ რაოდენობითაც. ამასთან დაკავშირებით, ენერგეტიკის მეცნიერების დარგში ევროკავშირის სამართლის მიერ შემოთავაზებულია უამრავი კლასიფიკაცია<sup>179</sup>, რომელიც ხშირად დაფუძნებულია დარგობრივ მიდგომაზე, თუმცა იურიდიული თვალსაზრისით ევროპული საკანონმდებლო აქტების კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ერთის მხრივ იმ აქტებს შორის რომლებიც ეხება ატომურ ენერგეტიკას, ხოლო მეორეს მხრივ ენერგეტიკის დარგში არსებული ყველა სხვა აქტებს შორის. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება იმას, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა ატომური ენერგეტიკის სფეროში ყალიბდებოდა ცალკეულ იურიდიულ საფუძველზე - „ევროპული ატომური ენერჯის თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულებაზე“.

ენერგეტიკის დარგში ევროპული კანონმდებლობის მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათი მოითხოვს სამართლის მეცნიერების წარმომადგენელთა და ევროკავშირის ორგანოთა მხრიდან დარგობრივ (უფრო სუსტად კი ქვედარგობრივ) მიდგომას ენერგო სფეროს კანონმდებლობის კლასიფიკაციის მიმართ. არც ისე იშვიათად, შეიძლება აღმოვაჩინოთ მიდგომა, სადაც ცალკეულად განიხილება EC ორგანოთა სხვადასხვა სახის აქტები, ენერგეტიკის ისეთ დარგებში როგორცაა: ნავთობის, გაზის, განახლებადი ენერჯის სფერო და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკის აქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებს დარგთაშორის ხასიათს, რადგანაც ისინი ავრცელებენ გავლენას ენერგეტიკის ყველა სფეროზე. მაგალითად, არსებობს ევროკავშირის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი აქტები, რომლებიც მთლიანობაში არეგული-

177 PE et Cons. UE, règl. (CE) N 663/2009, 13 juill. 2009, établissant un programme d'aide à la relance économique par l'octroi d'une assistance financière communautaire à des projets dans le domaine de l'énergie. // Journal Officiel de l'union européenne 31 Juillet 2009;

178 [http://ec.europa.eu/energy/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/energy/index_en.htm);

179 M. Ruete. Une politique européenne de l'énergie. // LPA 26 avr. 2007. - p. 5;

რებენ ინვისტიციებს ენერგეტიკაში<sup>180</sup>. ანალოგიურია, ანუ ენერგეტიკის ამა თუ იმ დარგისთვის მიკუთვნების გარეშე, რეგულირდება გეოლოგიური კვლევების სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც მიმართულია ენერგომატარებლების და სასარგებლო წიაღისეულების აღმოჩენაზე<sup>181</sup>. ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ, ეკონომიკური დახმარების ერთობლივი პროგრამების არსებობაზე, რომლებიც მიმართულია ეკონომიკის აღდგენაზე ენერგეტიკის დარგში პროექტების რეალიზაციისთვის.

თუმცა, EC ხელისუფლების ორგანოთა ძირითადი მასა ენერგეტიკაში ატარებს დარგობრივ ხასიათს, ანუ ავრცელებს თავის მოქმედებას ენერგეტიკის ამა თუ იმ კონკრეტულ დარგზე. შესაძლებელია, განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოწმობს ენერგეტიკის დარგის სამართლებრივი რეგულირების განვითარების თანამედროვე ცვლილებებზე და მიმართულებებზე.

ნავთობ-ენერგეტიკის დარგში ევროპული კანონმდებლობა ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ 1968 წლის 20 დეკემბრის ევროკავშირის გადამწყვეტილებაზე, სახელმწიფოთა შორის იმ ინდივიდუალური შეთანხმებების იმპლემენტაციაზე, რომლებიც ეხება როგორც ნევრ-სახელმწიფოების ვალდებულებებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგის შენარჩუნებას<sup>182</sup>, ასევე N73/238 EC დირექტივას რომელშიც აღწერილია ნავთობპროდუქტების მიწოდების დეფიციტის ნეგატიური ზეგავლენის თავიდან აცილების ზომები<sup>183</sup>.

ენერგეტიკის დარგში ევროპული კანონმდებლობის განვითარების ამავე პერიოდში განმტკიცებულ იქნა დღევანდელ დღეს პოპულარული „ენერგოეფექტურობის და ენერგორესურსების მოხმარების შემცირების“ პრინციპი. 1977 წლის 7 ნოემბრის ევროკავშირის ყრილობის გადამწყვეტილებამ დაადგინა ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნის სახით ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირება<sup>184</sup>.

ენერგეტიკის სამართლის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ნავთობ-ენერგეტიკის სფეროში მიღებული 60-ან და 70-ან წლებში, განახლებულ იქნა, მაგრამ ამის მიუხედავად ენერგეტიკის სამართალმა აღნიშნულ დარგში არ მიაღწია მნიშვნელოვან ცვლილებებს. მაგალითად, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ დირექტივების კრებულის განახლებისას (დირექტივები, რომლებიც ეხება ნევრ-სახელმწიფოების მიერ ნავთობპროდუქტების საჭირო მინიმალური მარაგების შენარჩუნებას), კანონმდებელმა არ განახორციელა მნიშვნელოვანი პროგრესი მათთან მიმართებაში<sup>185</sup>.

გაზის წარმოების დარგში ევროპულმა კანონმდებლობამ არამხოლოდ დაიწყო ფორმირება ევროპული ინტეგრაციის ადრეულ ეტაპზე, არამედ განიცადა მკუხარე განვითარება, რომელმაც ძირითადად გამოხატულა ჰპოვა ენერგეტიკის სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ბოლო წლებში მიღებულ იქნა რიგი დი-

180 Council Regulation (EU, Euratom) No 617/2010 of 24 June 2010 concerning the notification to the Commission of investment projects in energy infrastructure within the European Union and repealing Regulation (EC) N 736/96; Commission Regulation N833/2010 of 21 September 2010 implementing Council Regulation n°617/2010 concerning the notification to the Commission of investment projects in energy infrastructure within the European Union;

181 Directive 94/22/EC of the European Parliament and of the Council of 30 May 1994 on the conditions for granting and using authorizations for the prospection, exploration and production of hydrocarbons;

182 Council decision 68/416/EEC of 20 December 1968 on the conclusion and implementation of individual agreements between Governments relating to the obligation of Member States to maintain minimum stocks of crude oil and/or petroleum products, as amended by Council Directive 72/425/EEC;

183 Council Directive 73/238/EC of 24 July 1973 on measures to mitigate the effects of difficulties in the supply of crude oil and petroleum production;

184 Council Decision 77/706/EEC of 7 November 1977 on the setting of a Community target for a reduction in the consumption of primary sources of energy in the event of difficulties in the supply of crude oil and petroleum products (implementing Commission Decision 79/639);

185 Council Directive 2006/67/EC of 24 July 2006 imposing an obligation on Member States to maintain minimum stocks of crude oil and/or petroleum products (Codified version) (Text with EEA relevance); Council Directive 2009/119 of 14 September 2009 imposing an obligation on States to maintain

რეკტივების, რომლებიც ეხება გაზის შიდა ბაზრის წესებს<sup>186</sup>; სამრეწველო მომხმარებელთათვის გაზისა და ელექტროენერგიაზე ფასების გამჭვირვალობის ამაღლებას<sup>187</sup>; რეგლამენტები და ევრო კომისიის გადანყვეტლებები დაკავშირებული გაზის მილსადენებთან წვდომის პირობებს<sup>188</sup>; ასევე დირექტივები, რომლებმაც შექმეს ისეთი ინსტიტუტები როგორცაა ელექტროენერჯისა და გაზის რეგულატორების ევროპული ჯგუფი<sup>189</sup>, უპირობოთ ითამაშეს დიდი როლი ევროკავშირის გაზის ბაზრის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების ჩამოყალიბებაში.

ევროპულ ენერჯეტიკის სამართალში ელექტროენერგია წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ცალკეულ ობიექტს, რომლის მიმართებაშიც აღნიშნული სამართლის დარგის თანამედროვე განვითარების ეტაპზე მიღებულ იქნა ასევე რიგი ნორმატიული აქტების.

ამგვარად საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირის წევრ-ქვეყნების ელექტროენერჯის უკმარისობის ურთიერთ კომპენსაციას და ჩამოყალიბდა მათ შორის ელექტროენერჯის გაცვლის რეგულირების საფუძველი<sup>190</sup>. მანამდეც კი შექმნილი იყო ევროპულ სივრცეში ელექტროენერჯის გადამცემი ქსელებისადმი წვდომის ყველა პირობა მისი სახელმწიფოთაშორის მიწოდებისათვის<sup>191</sup>. ცხადია, რომ აღნიშნული წესები განსაზღვრულია თავისუფალი ბაზრის, კაპიტალის და წარმოების საშუალებების თავისუფალი გადაადგილების პრინციპებით, რომლებზეც სწორედაც აგებულია ევროპული ინტეგრირების მთელი სისტემა.

ელექტროენერჯის შიდა ბაზრისთვის დადგენილი იქნა ფუნქციონირების საერთო წესები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის<sup>192</sup>. ენერჯის სხვადასხვა წყაროების ანალოგიურად, აქაც მიღებულ იქნა რიგი აქტების, რომლებიც მიმართულია გარანტირებული მიწოდებების უზრუნველყოფაზე<sup>193</sup>.

ცალკეული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ენერჯეტიკის დარგში ევროპული კანონმდებლობის იმ სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც ეხება განახლებად ენერჯიას და ენერგოეფექტურობას. ასე, მაგალითად მიღებულ იქნა რიგი აქტების, რომლებიც მიმართულია სატრანსპორტო საშუალებათა გადაადგილებისათვის ბიოენერგომატარებლების გამოყენების<sup>194</sup> და განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოების პოპულარიზაციაზე<sup>195</sup>. მოსახლეობას შორის ენერ-

186 Directive 2009/73/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in natural gas and repealing Directive 2003/55/EC;

187 Directive 2008/92/EC of the European Parliament and of the Council of 22 October 2008 concerning a Community procedure to improve the transparency of gas and electricity prices charged to industrial end-users (recast) (text with EEA importance);

188 Regulation (EC) N 715/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the natural gas transmission networks and repealing Regulation (EC) N1775/2005;

189 Commission Decision 2003/796/EC of 11 November 2003 on establishing the European Regulators Group for Electricity and Gas. Repealed by Commission Decision 2011/280/EU of 16 May 2011 repealing Decision 2003/796/EC on establishing the European Regulators Group for Electricity and Gas;

190 Commission Regulation (EU) N 838/2010 of 23 September 2010 on laying down guidelines relating to the inter-transmission system operator compensation mechanism and a common regulatory approach to transmission charging. Commission Regulation (EU) No 774/2010 of 2 September 2010 on laying down guidelines relating to inter-transmission system operator compensation and a common regulatory approach to transmission charging;

191 Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the network for cross-border exchanges in electricity repealing Regulation (EC) 1228/2003;

192 Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 2003/54/EC;

193 Directive 2005/89/EC of the European Parliament and of the Council of 18 January 2006 concerning measures to safeguard security of electricity supply and infrastructure investment;

194 Directive 2003/30/EC of the European Parliament and of the Council of 8 May 2003 on the promotion of the use of biofuels or other renewable fuels for transport;

195 Directive 2001/77/EC of the European Parliament and of the Council of 27 September 2001 on the promotion of electricity produced from renewable energy sources in the internal electricity market;

გოფექტურობის იდეის გავრცელების მიზნით, ევროპელმა კანონმდებლებმა მიიღეს რიგი აქტების, რომლების არეგულირებენ საქონლის მარკირების საკითხებს, რათა მყიდველი ინფორმირებული იყოს, თუ რამდენი ენერჯია იქნა გახარჯული ამა თუ იმ საქონლის წარმოების შედეგად<sup>196</sup>. უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმდებლები ამ საკითხს უდგებიან დიდი ყურადღებით, რადგან თითოეული საქონლის მარკირებისათვის გათვალისწინებულია ცალკეული საკანონმდებლო აქტი.

ევროპული ენერჯეტიკის სამართლის ნორმათა უაღრესად მოცულობით ბლოკს წარმოადგენს ბირთვული ენერჯეტიკა, რადგან საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ დარგს გაცილებით მეტია ევროპული სამართლის იმ ნორმებზე, რომლებიც არეგულირებენ ენერჯეტიკის სამართლის სხვადასხვა სფეროებს.

ინვესტიცია ბირთვულ ენერჯეტიკაში რეგულირდება ევროკავშირის რამდენიმე რეგლამენტით და კომისიით<sup>197</sup>.

ევროკავშირის რიგი გადანყვეტილებები ეხება აღნიშნულ დარგში სამთავრო-ბოთაშორისი პროექტების განხორციელებას, მათი უდიდესი ნაწილი ეხება საერთო საწარმოების შექმნას, რომლებიც იმყოფება სხვადასხვა წევრ-ქვეყნების ტერიტორიაზე<sup>198</sup>.

ბირთვული ენერჯეტიკის უსაფრთხოება და დაცვა მაიონიზირებელი (რადიო-აქტიური) დასხივებისაგან ყოველთვის წარმოადგენდა რეგულირების მნიშვნელოვან სფეროს. აღნიშნული საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი რეგულირება ხორციელდება კონვენციის<sup>199</sup> (და არა საკანონმდებლო აქტის), მეშვეობით, რომლის ნორმათა კონკრეტიზაცია განხორციელებული იქნა ევროკავშირის რამდენიმე გადანყვეტილებით<sup>200</sup> და კომისიით<sup>201</sup>.

კაცობრიობისა და გარემოს დაცვა რადიოაქტიული დასხივებისაგან, გადაიქცა ევროპელი კანონმდებლებისთვის სამართლებრივი რეგულირების საგნად. მაგალითად, ევროკომისიის ერთ-ერთი გადანყვეტილება ეხებოდა რადიოაქტიული დასხივების მონიტორინგს<sup>202</sup>, მაშინ როცა მისი ზოგიერთი რეკომენდაცია განკუთვნილი იყო

196 Directive 2010/30/EU of the European Parliament and of the Council of 19 May 2010 on the indication by labeling and standard product information of the consumption of energy and other resources by energy-related products (recast);

197 Council Regulation (Euratom) No 2587/1999 of 2 December 1999 defining the investment projects to be communicated to the Commission in accordance with Article 41 of the Treaty establishing the European Atomic Energy Community. Commission Regulation (Euratom) N 1352/2003 of 23 July 2003 amending Regulation (EC) 1209/2000 determining procedures for effecting the communications prescribed under Article 41 of the Treaty establishing the European Atomic Energy Community;

198 Council Decision 75/328/Euratom of 20 May 1975 on the establishment of the Joint Undertaking ‘Schnell-Brüter-Kernkraftwerksgesellschaft mbH’ (SBK). Council Decision 79/1002/Euratom of 22 November 1979 approving an amendment to the statutes of the joint undertaking “Schnell-Brüter-Kernkraftwerksgesellschaft mbH” (SBK). Council Decision 87/297/Euratom of 18 May 1987 approving an amendment of the Statutes (articles of association) of the Joint Undertaking ‘Société d’énergie nucléaire franco-belge des Ardennes’ (SENA);

199 Convention on nuclear safety - Declaration by the European Atomic Energy Community according to the provisions of Article 30(4) (iii) of the Nuclear Safety Convention;

200 Decision of the Council of 7 December 1998 on the approval concerning the accession to the 1994 Convention on Nuclear Safety by the European Atomic Energy Community (Euratom) (not published); Decision of the Council of 15 December 2003 modifying the Decision of the Council of 7 December 1998 on the approval concerning the accession to the 1994 Convention on Nuclear Safety by the European Atomic Energy Community (Euratom) with regard to the Declaration attached thereto (not published);

201 Commission Decision 1999/819/Euratom of 16 November 1999 concerning the accession to the 1994 Convention on Nuclear Safety by the European Atomic Energy Community (Euratom); Commission Decision 2004/491/Euratom of 29 April 2004 amending Commission Decision 1999/819/Euratom of 16 November 1999 concerning the accession to the 1994 Convention on Nuclear Safety by the European Atomic Energy Community (Euratom) with regard to the Declaration attached thereto;

202 Communication 2006/C/155/02 from the Commission on Verification of environmental radioactivity monitoring facilities under the terms of Article 35 of the Euratom Treaty — Practical arrangements for the conduct of verification

აღნიშნულ საკითხებზე მონიტორინგის პროცედურისა და ინფორმირების განხორციელების სტანდარტების ჩამოყალიბებისთვის<sup>203</sup>.

რბილი სამართლის აქტებით დამაგრებულმა ზოგიერთმა დირექტივამ<sup>204</sup>, დაადგინა, როგორც მოსახლეობის და ატომური ენერგეტიკის სფეროში მომუშავე პირთა, ასევე მაიონიზირებელი დასხივებისაგან დაცვის სტანდარტები<sup>205</sup>.

რადიოაქტიული მასალების გამოყენება მედიცინაში ასევე გახდა ევროპული ენერგეტიკის დარგის სამართლებრივი რეგულირების ობიექტი. ამასთან კანონმდებელმა მისი რეგულირება განახორციელა როგორც სავალდებულო ნორმატიული აქტების<sup>206</sup>, ასევე რბილი სამართლის აქტების ხელშეწყობით<sup>207</sup>.

მოსახლეობის ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე დაკავშირებული „მშვიდობიანი“ ატომის გამოყენებასთან, ასევე რეგულირდება ევროპული კანონმდებლობით. მაგალითად, 1989 წლის 27 ნოემბრის დირექტივა<sup>208</sup>, მოიცავს ნორმებს, რომლებიც მიმართულია ატომურ ენერგეტიკაში და საწარმოებში მომხდარი ავარიების შემთხვევაში მოსახლეობის უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმირების საკითხების რეგულირებაზე.

აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ იმ სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც ეხება მოსახლეობის დაცვას მაიონიზირებელი დასხივებისაგან საკვების მიღების გზით. ამასთან, ევროპული ინსტიტუტების მიერ ამ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული რეგლამენტები და რეკომენდაციები<sup>209</sup>, პირდაპირ არის დაკავშირებული ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარ ავარიასთან, რომლის შედეგები აღელვებს დღევანდელ დღემდე ევროპულ კანონმდებელს.

ევროპულმა კანონმდებელმა მიმართა ასევე მომავალი ავარიების პრევენციის საკითხებს ატომური ენერგეტიკისა და სამრეწველო ობიექტებზე. ამგვარად, მიღებული იქნა რიგი ნორმების, საკვები პროდუქტების ინფექციების კუთხით იმ საწარმოებზე ავარიის შედეგად, რომლებიც ოპერირებენ ბირთვული მასალებით.<sup>210</sup> რაოდენობრივი თვალსაზრისით, არ წარმოადგენს ნაკლებმნიშვნელოვანს იმ აქტების ბლოკი,

203 Commission Recommendation 2000/473/Euratom of 8 June 2000 on the application of Article 36 of the Euratom Treaty concerning the monitoring of the levels of radioactivity in the environment for the purpose of assessing the exposure of the population as a whole (notified under document number C(2000) 1299); Commission Recommendation 2010/635/Euratom of 11 October 2010 on the application of Article 37 of the Euratom Treaty;

204 Council Directive 96/29/Euratom of 13 May 1996 laying down basic safety standards for the health protection of the general public and workers against the dangers of ionizing radiation (and corrigendum to it), repealing and replacing Council Directive 80/836/Euratom of 15 July 1980 and Council Directive 84/467/Euratom of 3 September 1984;

205 Council Directive 90/641/Euratom of 4 December 1990 on the operational protection of outside workers exposed to the risk of ionizing radiation during their activities in controlled areas;

206 Council Directive 97/43/Euratom of 30 June 1997 on health protection of individuals against the dangers of ionizing radiation in relation to medical exposure, and repealing Directive 84/466/Euratom;

207 Communication COM/2010/0423 from the Commission to the European Parliament and the Council on medical applications of ionizing radiation and security of supply of radioisotopes for nuclear medicine (of 6 August 2010);

208 Council Directive 89/618/Euratom of 27 November 1989 on informing the general public about health protection measures to be applied and steps to be taken in the event of a radiological Emergency;

209 Commission Recommendation (EC) N 2003/274/EC of 14 April 2003 on the protection and information of the public with regard to exposure resulting from the continued radioactive caesium contamination of certain wild food products as a consequence of the accident at the Chernobyl nuclear power station, amended by corrigendum; Council Regulation (EEC) N 2219/89 of 18 July 1989 on the special conditions for exporting foodstuffs and feeding stuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency;

210 Commission Regulation (Euratom) N 770/90 of 29 March 1990 laying down maximum permitted levels of radioactive contamination of feeding stuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency; Commission Regulation (Euratom) N 944/89 of 12 April 1989 laying down maximum permitted levels of radioactive contamination in minor foodstuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency; Council Regulation (Euratom) N 2218/89 of 18 July 1989 amending; Regulation (Euratom) N 3954/87 laying down maximum permitted levels of radioactive contamination of foodstuffs and of feedingstuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency;

რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს დაკავშირებულს ატომური ენერგეტიკისა მრეწველობის ნარჩენებთან. ერთის მხრივ, აღნიშნული საკითხის რეგულირება ხდება ევროკავშირის<sup>211</sup> და ევროკომისიის<sup>212</sup>, დირექტივებით<sup>213</sup> და რეგლამენტებით<sup>214</sup> გათვალისწინებული შესასრულებლად სავალდებულო აქტების მეშვეობით, ხოლო მეორეს მხრივ, ბირთვულ ნარჩენებთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ასევე ევროკავშირის რბილი სამართლის ნორმათა მეშვეობით<sup>215</sup>.

დასკვნის სახით, შეიძლება იმის კონსტატირება, რომ ევროკავშირის ენერგეტიკის სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ჩამოყალიბდა ევროპული ენერგეტიკული პოლიტიკის საფუძველზე, რომელმაც განამტკიცა ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტების ვალდებულება მიაღწიონ განსაზღვრულ მიზნებს განსახილველ სფეროში. ამ უკანასკნელთა რეალიზაცია კი ნორმატიული აქტების (უპირველესყოვლისა რეგლამენტების და დირექტივების) მეშვეობით, ენერგეტიკის სამართალს ფორმირების პროცესში შესაძლებლობა მისცა გახდეს ევროკავშირის სამართლის სრულფასოვანი დარგი. ამასთან დაკავშირებით იმ სამართლებრივი ბაზის გამოყოფა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის ფორმირება, არც ისე ადვილი განსახორციელებელია, რადგან ხშირად იქმნება საჭიროება მივმართოთ იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც პირველი შეხედვით არანაირი შეხება არ გააჩნიათ ენერგეტიკის სამართალთან. ამასთან ერთად ევროკავშირის სადამფუძნებლო აქტები (Treaty on the Functioning of the European Union, TFEU) უკვე მოიცავენ ენერგეტიკის დარგში ევროკავშირის პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებს, ხოლო განსახილველ სფეროში კი ევროკავშირის სამართლებრივი რეგულირების წყაროების დარგობრივი მიდგომა განპირობებულია როგორც EC-ის ორგანოთა საკანონმდებლო აქტების ასევე „რბილი სამართლის“ აქტების დიდი რაოდენობის არსებობით, რომლებიც წარმოადგენენ ენერგეტიკის სამართლის დამოუკიდებელ და კომპლექსურ დარგად ჩამოყალიბების საფუძველს.

## რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო სამართლის“ ფარგლებში, სადაც განიხილება ევროკავშირის ენერგეტიკის სამართლის დარგის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები. აქცენტი გაკეთებულია ენერგეტიკის სამართლის ნორმატიული ბაზის კვლევაზე, რაც მიმდინარეობს ქვედარგობრივ დონეზე, ე.ი. ავტორის მიერ ცალ-ცალკე განიხილება ნავთობისა

211 Council Decision 2005/84/Euratom of 24 January 2005 approving the accession of the European Atomic Energy Community to the Joint Convention on the Safety of Spent Fuel Management and on the Safety of Radioactive Waste Management;

212 Commission decision 2008/312/Euratom of 5 March 2008 establishing the standard document for the supervision and control of shipments of radioactive waste and spent fuel referred to in Council Directive 2006/117/Euratom (notified under document number C(2008) 793); Commission Decision 2005/510/Euratom of 14 June 2005 concerning the accession of the European Atomic Energy Community to the Joint Convention on the Safety of Spent Fuel Management and on the Safety of Radioactive Waste Management (notified under document number C(2005) 1729);

213 Council Directive 2006/117/Euratom of 20 November 2006 on the supervision and control of shipments of radioactive waste and spent fuel between Member States and into and out of the Community, repealing Council Directive 92/3/Euratom;

214 Council Regulation (Euratom) N 1493/93 of 8 June 1993 on shipments of radioactive substances between Member States;

215 Commission Communication 2009/C 41/02 concerning Council Regulation (Euratom) No 1493/93 on shipments of radioactive substances between Member States; Communication from the Commission (COM (96) 171 final) of 19 April 1996 on illicit trafficking in nuclear materials and radioactive substances.



და გაზის, ბირთვული ენერგეტიკის, ელექტროენერგეტიკის, ენერჯის განახლებადი წყაროების და ენერგოეფექტურობის სამართლებრივი რეგულირება.

## Resume

The present article has been prepared within the scope of scientific research project “Engineering Law” of Faculty of Law and International Relations.

The article discusses the main stages of the establishment of EU energy law. There is emphasized the normative base of energy law researching, which is under subdivision level. The author discusses the legal regulation of oil and gas, nuclear energy, electricity, renewable energy sources and energy efficiency separately.

## Резюме

НАСТОЯЩАЯ СТАТЬЯ БЫЛА ПОДГОТОВЛЕНА В РАМКАХ НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО ПРОЕКТА «ИНЖЕНЕРНОЕ ПРАВО» ФАКУЛЬТЕТА ПРАВА И МЕЖДУНАРОДНЫХ ОТНОШЕНИЙ

В статье рассматриваются основные этапы становления отрасли энергетического права Европейского Союза. Акцент сделан на исследование нормативной базы энергетического права ЕС, исследуется на подотраслевом уровне, то есть, автором отдельно рассматривается правовое регулирование нефтяной энергетики; газовой энергетики; электроэнергетики; правовое регулирование возобновляемых источников энергии и энергоэффективности; а также ядерной энергетики

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (კონსოლიდირებული ვერსია - 23/03/2018/ წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ (16/10/1997 წ.) 934 საქართველოს კანონი (კონსოლიდირებული ვერსია - 16/12/2015/ წლის მდგომარეობით;
3. „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის 1980 წლის კონვენცია - (ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით);
4. „სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ 1883 წლის 20 მარტის პარიზის კონვენცია - იხ. ელ., გვერდი: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi46.pdf>;
5. 1958 წლის 10 ივნისის ნიუ იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ - იხ. ელ., გვერდი: <http://nccl.ge/m/u/ck/files/NYC-Glossary.pdf>;
6. European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy Commission’s green paper - Brussels, 8.3.2006 COM(2006) 105 final - იხ. ელ., გვერდი: [http://europa.eu/documents/comm/green\\_papers/pdf/com2006\\_105\\_en.pdf](http://europa.eu/documents/comm/green_papers/pdf/com2006_105_en.pdf);
7. 2009 წლის 13 ივლისის დირექტივა 2009/72/ჩ ელექტროენერჯის შიდა ბაზრის რეგულირების საერთო წესების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას- 2003/54/EC-<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3624857>; ევროპარლამენტისა 2009 წლის 13

ივლისის რეგულაცია 714/2009 ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლისათვის ქსელთან წვდომის პირობებისა და ევროპის გაერთიანების რეგულაციის (EC) No 1228/2003 *gauqmebis Sesaxeb*-<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3636059>;

8. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება - 198 (მიღებულია საქართველო მთავრობის მიერ 2017 წლის 01 ივლისს) -<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3757843>;

9. Treaty on the Functioning of the European Union (TFEU) Consolidated version, C 83/49, Official Journal of the European Union, 30.03.2010 - <https://plone.unige.ch/art-adr/cases-affaires/ayuba-suleiman-diallo-qatar-museums-authority-and-the-united-kingdom/treaty-on-the-functioning-of-the-european-union-tfeu/view>;

10. PE et Cons. UE, déc. 1982/2006/CE, 18 déc. 2006, relative au septième programme-cadre de la Communauté européenne pour des actions de recherche, de développement technologique et de démonstration (2007-2013) // Journal Officiel de l'union européenne 30 Décembre 2006;

11. M. Ruete. Une politique européenne de l'énergie. // LPA 26 avr. 2007. – p. 5;

12. Council Regulation (EU, Euratom) No 617/2010 of 24 June 2010 concerning the notification to the Commission of investment projects in energy infrastructure within the European Union and repealing Regulation (EC) No 736/96; Commission Regulation n°833/2010 of 21 September 2010 implementing Council Regulation n°617/2010 concerning the notification to the Commission of investment projects in energy infrastructure within the European Union;

13. Directive 94/22/EC of the European Parliament and of the Council of 30 May 1994 on the conditions for granting and using authorizations for the prospection, exploration and production of hydrocarbons;

14. Council decision 68/416/EEC of 20 December 1968 on the conclusion and implementation of individual agreements between Governments relating to the obligation of Member States to maintain minimum stocks of crude oil and/or petroleum products, as amended by Council Directive 72/425/EEC;

15. Council Directive 73/238/EC of 24 July 1973 on measures to mitigate the effects of difficulties in the supply of crude oil and petroleum production;

16. Council Decision 77/706/EEC of 7 November 1977 on the setting of a Community target for a reduction in the consumption of primary sources of energy in the event of difficulties in the supply of crude oil and petroleum products (implementing Commission Decision 79/639);

17. Council Directive 2006/67/EC of 24 July 2006 imposing an obligation on Member States to maintain minimum stocks of crude oil and/or petroleum products (Codified version) (Text with EEA relevance); Council Directive 2009/119 of 14 September 2009 imposing an obligation on States to maintain

minimum stocks of crude oil and/or petroleum products;

18. Directive 2008/92/EC of the European Parliament and of the Council of 22 October 2008 concerning a Community procedure to improve the transparency of gas and electricity prices charged to industrial end-users (recast) (text with EEA importance);

19. Regulation (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the natural gas transmission networks and repealing Regulation (EC) N1775/2005;

20. Commission Decision 2003/796/EC of 11 November 2003 on establishing the European Regulators Group for Electricity and Gas. Repealed by Commission Decision 2011/280/EU of 16 May 2011 repealing Decision 2003/796/EC on establishing the European Regulators Group for Electricity and Gas;

21. Commission Regulation (EU) No 838/2010 of 23 September 2010 on laying down guidelines relating to the inter-transmission system operator compensation mechanism and a common regulatory approach to transmission charging. Commission Regulation (EU) No 774/2010 of 2 September 2010 on laying down guidelines relating to inter-transmission system operator compen-

sation and a common regulatory approach to transmission charging;

22. Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the network for cross-border exchanges in electricity repealing Regulation (EC) 1228/2003;
23. Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 2003/54/EC;
24. Directive 2005/89/EC of the European Parliament and of the Council of 18 January 2006 concerning measures to safeguard security of electricity supply and infrastructure investment;
25. Directive 2003/30/EC of the European Parliament and of the Council of 8 May 2003 on the promotion of the use of biofuels or other renewable fuels for transport;
26. Directive 2001/77/EC of the European Parliament and of the Council of 27 September 2001 on the promotion of electricity produced from renewable energy sources in the internal electricity market;
27. Council Regulation (Euratom) No 2587/1999 of 2 December 1999 defining the investment projects to be communicated to the Commission in accordance with Article 41 of the Treaty establishing the European Atomic Energy Community. Commission Regulation (Euratom) No 1352/2003 of 23 July 2003 amending Regulation (EC) 1209/2000 determining procedures for effecting the communications prescribed under Article 41 of the Treaty establishing the European Atomic Energy Community;
28. Convention on nuclear safety - Declaration by the European Atomic Energy Community according to the provisions of Article 30(4)(iii) of the Nuclear Safety Convention;
29. Decision of the Council of 7 December 1998 on the approval concerning the accession to the 1994 Convention on Nuclear Safety by the European Atomic Energy Community (Euratom) (not published); Decision of the Council of 15 December 2003 modifying the Decision of the Council of 7 December 1998 on the approval concerning the accession to the 1994 Convention on Nuclear Safety by the European Atomic Energy Community (Euratom) with regard to the Declaration attached thereto (not published);
30. Communication 2006/C/155/02 from the Commission on Verification of environmental radioactivity monitoring facilities under the terms of Article 35 of the Euratom Treaty — Practical arrangements for the conduct of verification visits in Member States;
31. Commission Recommendation 2000/473/Euratom of 8 June 2000 on the application of Article 36 of the Euratom Treaty concerning the monitoring of the levels of radioactivity in the environment for the purpose of assessing the exposure of the population as a whole (notified under document number C(2000) 1299); Commission Recommendation 2010/635/Euratom of 11 October 2010 on the application of Article 37 of the Euratom Treaty;
32. Council Directive 96/29/Euratom of 13 May 1996 laying down basic safety standards for the health protection of the general public and workers against the dangers of ionizing radiation (and corrigendum to it), repealing and replacing Council Directive 80/836/Euratom of 15 July 1980 and Council Directive 84/467/Euratom of 3 September 1984;
33. Council Directive 90/641/Euratom of 4 December 1990 on the operational protection of outside workers exposed to the risk of ionizing radiation during their activities in controlled areas;
34. Council Directive 97/43/Euratom of 30 June 1997 on health protection of individuals against the dangers of ionizing radiation in relation to medical exposure, and repealing Directive 84/466/Euratom;
35. Communication COM/2010/0423 from the Commission to the European Parliament and the Council on medical applications of ionizing radiation and security of supply of radioisotopes for nuclear medicine (of 6 August 2010);
36. Council Directive 89/618/Euratom of 27 November 1989 on informing the general public about health protection measures to be applied and steps to be taken in the event of a radiological Emergency;

37. Commission Recommendation (EC) No 2003/274/EC of 14 April 2003 on the protection and information of the public with regard to exposure resulting from the continued radioactive caesium contamination of certain wild food products as a consequence of the accident at the Chernobyl nuclear power station, amended by corrigendum; Council Regulation (EEC) No 2219/89 of 18 July 1989 on the special conditions for exporting foodstuffs and feeding stuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency;
38. Commission Regulation (Euratom) No 770/90 of 29 March 1990 laying down maximum permitted levels of radioactive contamination of feeding stuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency; Commission Regulation (Euratom) No 944/89 of 12 April 1989 laying down maximum permitted levels of radioactive contamination in minor foodstuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency; Council Regulation (Euratom) No 2218/89 of 18 July 1989 amending; Regulation (Euratom) No 3954/87 laying down maximum permitted levels of radioactive contamination of foodstuffs and of feedingstuffs following a nuclear accident or any other case of radiological emergency;
39. Council Decision 2005/84/Euratom of 24 January 2005 approving the accession of the European Atomic Energy Community to the Joint Convention on the Safety of Spent Fuel Management and on the Safety of Radioactive Waste Management;
40. Commission decision 2008/312/Euratom of 5 March 2008 establishing the standard document for the supervision and control of shipments of radioactive waste and spent fuel referred to in Council Directive 2006/117/Euratom (notified under document number C(2008) 793); Commission Decision 2005/510/Euratom of 14 June 2005 concerning the accession of the European Atomic Energy Community to the Joint Convention on the Safety of Spent Fuel Management and on the Safety of Radioactive Waste Management (notified under document number C(2005) 1729);
41. Council Directive 2006/117/Euratom of 20 November 2006 on the supervision and control of shipments of radioactive waste and spent fuel between Member States and into and out of the Community, repealing Council Directive 92/3/Euratom;
42. Council Regulation (Euratom) No 1493/93 of 8 June 1993 on shipments of radioactive substances between Member States;
43. Commission Communication 2009/C 41/02 concerning Council Regulation (Euratom) No 1493/93 on shipments of radioactive substances between Member States; Communication from the Commission (COM (96) 171 final) of 19 April 1996 on illicit trafficking in nuclear materials and radioactive substances.

# 1. საკონსტიტუციო კონტროლის როლი ხელისუფლების შეკავებისა და ურთიერთგანაწინააღმდეგობის მექანიზმში

დოქტორანტი  
ნინო ხარატი

კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ეფექტური განხორციელება და ხელისუფლების განაწილება არის კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპი, რაც ნებისმიერი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა და რომლის დაცვასა და რეალიზაციასაც ემსახურება საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი. ნაშრომის მიზანია საკონსტიტუციო კონტროლისა და ხელისუფლების განაწილების ურთიერთმიმართების თანამედროვე ინტერპრეტაციების განხილვა სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.

აღნიშნული თემის განხილვისას ყურადღება ეთმობა ხელისუფლების განაწილებას არა მხოლოდ ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის, არამედ მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთთანამშრომლობის კუთხითაც. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხელისუფლების განაწილებისა და საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემებს ზესახელმწიფო დონეზე.

თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში ხელისუფლების დანაწილება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი. „პრაქტიკულად ყველა თანამედროვე სახელმწიფო, რომელსაც მცირედ მაინც აქვს დემოკრატიულობის პრეტენზია, ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს აღიარებს“<sup>216</sup>

ცნობილია, რომ ხელისუფლება ყოველთვის მიისწრაფვის თვითგაფართოებისა და თავისი გავლენის გაძლიერებისაკენ. თუ მონტესკიეს დავესესებით, „საუკუნეთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალაუფლების მქონე ნებისმიერი ადამიანი მიდრეკილია მისი ბოროტად გამოყენებისაკენ; ამას იგი მანამდე სჩადის, სანამ ზღვარი არ დაედება. მაგრამ ვინ დაუდებს მას ამ ზღვარს! თვით ქველობაც კი საჭიროებს ზღვარს“<sup>217</sup>

ამ შემთხვევაში ნინა პლანზე იწვევს საკითხი, როგორ აღიკვეთოს ხელისუფლების უზურპაცია და მისგან გამომდინარე რეპრესიები და როგორ მოხდეს ადამიანის დაცვა სახელმწიფოს მძლავრი მანქანის დანოლისაგან? ამ პრობლემის გადწყვეტის საშუალება არის სახელმწიფო ხელისუფლების ისეთი მოწყობა, რომელიც თავისთავად შეენიანააღმდეგება მის უზურპაციას და ადამიანის საზიანოდ გამოყენებას. როგორც მონტესკიე ამბობს, „იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, საჭიროა თვით საგანთა ისეთი წყობა, რომ ძალაუფლებას ძალაუფლება აოკებდეს.“<sup>218</sup> სწორედ ასეთ მექანიზმს გულისხმობს ხელისუფლების დანაწილება. ხელისუფლების დანაწილების თეორიის დანიშნულება არის გამოირიცხოს ხელისუფლების სრულად კონცენტრაცია ერთი პირის ან ორგანოს ხელში<sup>219</sup>.

მნიშვნელოვანია ასევე ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის გათვალისწინება, კომპეტენციების გადანაწილება ისე უნდა განხორციელდეს რომ ხელისუფლების შტოები განსაკუთრებით კი პარლამენტი და

216 ზაზა რუხაძე, ხელისუფლება და კანონმდებლობა, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003, გვ. 12.

217 შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბილისი, 1994, გვ. 180.

218 С. Г. Паречина. Теории государственной власти. <http://lib.ru/POLITOLOG/parechina2.txt>

219 იქვე: ст. 168-169

მთავრობა იძულებულნი უნდა იყვნენ ერთად იმუშაონ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

მრავალი ავტორი საუბრობს არა ხელისუფლების, არამედ ხელისუფლებათა განაწილებაზე, რომელშიც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლება არის არა ერთი მთლიანი, არამედ არსებობს 3 დამოუკიდებელი ხელისუფლება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად მივდივართ სუვერენიტეტის დანაწილების აღიარებამდე, მაგრამ, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, „სუვერენიტეტის დაყოფაზე, ნახევარ ან შეზღუდულ სუვერენიტეტზე საერთოდ არ შეიძლება საუბარი... სუვერენიტეტი დანაწილებას არ ექვემდებარება“.

პოზდნიაკოვის მიხედვით, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების გამოვლინება შეიძლება იყოს სამსახოვანი: ა) საკანონმდებლო, ბ) აღმასრულებელი და გ) სასამართლო. უმაღლესი ხელისუფლების ეს გამოვლინებები გამოხატავენ ერთი და იგივე და არა სხვადასხვა ძალებისა და პრინციპების მუშაობას. საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას აზრი აქვს მხოლოდ როგორც გამოვლინებას ერთი და იგივე ძალისა<sup>220</sup> მე ვიზიარებ ხელისუფლების, როგორც ერთიანი ძალისა და სუვერენიტეტის ძირითადი გამომხატველისა და განმახორციელებლის იდეას და მიმაჩნია, რომ იგი ისევე, როგორც სუვერენიტეტი, არ შეიძლება დაიყოს ანუ არსებობდეს ხელისუფლებები. ამდენად, შეიძლება არსებობდეს ხელისუფლების ფუნქციური განაწილება გარკვეულ შტოებად და არა ხელისუფლებათა, როგორც აბსოლუტურად დამოუკიდებელი რამდენიმე ხელისუფლების, დანაწილება. ჯერ კიდევ ჰეგელს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს სამი სრულიად დამოუკიდებელი ხელისუფლება, არამედ უნდა იყოს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება და მისი სამი გამოვლინება, მისი ფუნქციური განაწილება. ამასთან დაკავშირებით რუხაძე აღნიშნავს, „სხვანაირად წარმოუდგენელია, ვინაიდან თუ დავუშვებთ საპირისპიროს, ანუ დავუშვებთ თითოეული ხელისუფლების სრულ დამოუკიდებლობას და სრული, თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას, ეს ბუნებრივად გამორიცხავს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის იდეას და რაც მეტად მნიშვნელოვანია, შედეგის თვალსაზრისით შეუძლებელს გახდის საზოგადოების მართვას.“<sup>221</sup> ზოგიერთი მეცნიერი ერთმანეთისაგან მიჯნავს ტერმინებს „საკონსტიტუციო კონტროლი“ და „კონსტიტუციური კონტროლი“.

ბატონ ო. მელქაძეს მიაჩნია, რომ „კონსტიტუციური კონტროლი“ უფრო ზოგადი ცნებაა, რომელშიც სხვებთან ერთად იგულისხმება „საკონსტიტუციო კონტროლიც“. იგი აღნიშნავს: „კონსტიტუციური კონტროლის“ ქვეშ იგულისხმება კონსტიტუციით დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის სახეები და შესაბამისი ინსტიტუტები. ამდენად, აღნიშნული ტერმინი ერთდროულად უნდა მოიცავდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ საპარლამენტო, სამთავრობო და სასამართლო კონტროლს. თავისთავად ცხადია, ამ რიგში იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განეული საკონტროლო საქმიანობაც.

რაც შეეხება „საკონსტიტუციო კონტროლს“, იგი კონტროლის იმ სფეროს მოიცავს, რომელიც საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ხელისუფლების ორგანოების ქმედებათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასებას ისახავს მიზნად<sup>222</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ავტორთა უმეტესობა უპირატესობას სწორედ „საკონსტიტუციო კონტროლს“ ანიჭებს, თუმცა ზოგიერთი „კონსტიტუციურ კონტროლსაც“ იყენებს<sup>223</sup> ხოლო ცალკეული ავტორები ასეთ მკვეთრ

220 იქვე: სტ. 168-169.

221 ზაზა რუხაძე, ხელისუფლება და კანონმდებლობა, ... გვ. 13

222 ო. მელქაძე, „საკონსტიტუციო კონტროლი“ — ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, 1, გვ. 19-23

223 იხ., მაგალითად, გ. კვერენჩილაძე, კონსტიტუციური კონტროლი საზღვარგარეთის ქვეყნებში (მოკლე მიმოხილვა), ჟურნალი „სამართალი“, 1997, 3-4, გვ. 3-8; აგრეთვე, იხ. ჰ. შვარცი, კონსტიტუცი-

მიჯნას არ ავლებენ ამ ორ ტერმინს შორის<sup>224</sup> უფრო მეტიც, თავად ბატონი ო. მელქაძეც ზოგჯერ იდენტური შინაარსით იყენებს ორივე ტერმინს<sup>225</sup>

ჩვენი აზრით, მოცემული საკითხი ნაკლებად პრობლემატურია და უფრო გრამატიკოსების მსჯელობის საგნად მიგვაჩნია. თუ საქმე არჩევანზე მაინც მიდგა, ვფიქრობთ, ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებულ საქმიანობას (სფეროს) „საკონსტიტუციო კონტროლი“ უფრო შეესაბამება თავად ასეთი კონტროლის განმარტაციულად ორგანოს-საკონსტიტუციო სასამართლოს სახელწოდებიდან გამომდინარე.

მეცნიერები ასევე ერთმანეთისაგან ანსხვავებენ „საკონსტიტუციო კონტროლს“ და „საკონსტიტუციო ზედამხედველობას“.

თუ სიტყვებს „კონტროლი“ და „ზედამხედველობა“ სემანტიკური თვალსაზრისით შევადარებთ ერთმანეთს, დავრწმუნდებით რომ ამ მხრივ ამ ორი სიტყვის შინაარს შორის არ არსებობს დიდი განსხვავება. ასე მაგალითად, „კონტროლი“ ნიშნავს ზედამხედველობას, მეთვალყურეობას რაიმეს შემომნების მიზნით. ხოლო „ზედამხედველობა“ ეს არის მეთვალყურეობა, თვალყურის დევნება. მართლაც საკონსტიტუციო კონტროლსა და საკონსტიტუციო ზედამხედველობას, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს ბევრი მსგავსი ფუნქცია აქვთ. მაგალითად: სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შემომნება, მათი კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობის დადგენა, მონაწილეობა კონსტიტუციური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაში, ხელისუფლების შტოთა ბალანსში შეკავებისა და განონასწორების როლის შესრულება ა.შ. თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს, კერძოდ დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოებს დარღვევებზე რეაგირების განსხვავებული უფლებამოსილებები აქვთ, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოებს არ აქვთ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტის გაუქმების უფლება, მათ შეუძლიათ მხოლოდ შეაჩერონ ამ აქტის მოქმედება, ან აქტის მიმღებ ორგანოს მიმართონ შეუსაბამობის აღმოფხვრის მოთხოვნით, შეუძლიათ ასევე, შესაბამისი ორგანოების ინფორმირება ამგვარი შეუსაბამოების არსებობის შესახებ და ა.შ.. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს კი აქვთ ზემოქმედების ეფექტური საშუალებები, უპირველეს ყოვლისა, გააუქმონ კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი აქტები.

ო. მელქაძე ამბობს: „საკონსტიტუციო ზედამხედველობის პრაქტიკამ თანდათანობით გააფართოვა ჰორიზონტი, გაამდიდრა სამოქმედო არეალი და კუთვნილი ადგილი დაიკავა ხელისუფლების შტოთა ურთიერთქმედების სამართლებრივი მონესრიგების საქმეში. ყოველივე აღნიშნულს, როგორც ლოგიკური შედეგი, მოჰყვა ის, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი- „საკონსტიტუციო კონტროლი“. როგორც ჩანს, უნდა განვაცხადოთ, რომ ეს არ არის უბრალო ტერმინოლოგიური სიახლე<sup>226</sup> ავტორის აზრით, „საკონსტიტუციო ზედამხედველობა და საკონსტიტუციო კონტროლი არატოლფასი გაგებებია. მათ შორის ზუსტად ის ზღვარი ძევს და ის სხვაობა ამოიკითხება, რა სხვაობაც არსებობს ორ სამართლებრივ ქმედებას-ზედამხედველობასა და კონტროლს შორის. ზედამხედველობისაგან განსხვავე-

ური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, სამეცნ. რედ. კ. კუბლაშვილი, მთარგმნელი ქ. ალექსიძე, თბილისი, 2003. მასში გამოყენებულია მხოლოდ ტერმინი „კონსტიტუციური კონტროლი“.

224 იხ., მ. კოპალაიშვილი, კონსტიტუციური კონტროლი ავსტრიაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, 3, გვ. 79-85; კ. ყურაშვილი, კონსტიტუციური კონტროლი რუსეთში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, 3, გვ. 95-104 და სხვა..

225 იხ. ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 1995, თსუ, გვ. 49; აგრეთვე, ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი. თეორიის საკითხები., ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 90.

226 ო. მელქაძე, „საკონსტიტუციო კონტროლი“ — ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ“, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, 1, გვ. 19-23.

ბით, კონტროლი მართვის პროცესში თვითინიციატივურ ჩარევასაც გულისხმობს -ქვესაკონტროლო ობიექტების ქმედებათა კანონშესაბამისობისა და მიზანშეწონილობის რეგულირების მიზნით, რა თქმა უნდა, კანონით დადგენილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

სანამ უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოების ხელისუფლების განაწილებისადმი არსებულ დამოკიდებულებაზე ვისაუბრებდეთ, უპრიანი იქნება შევექმნათ გარკვეული ფონი დანარმოვანჩინოთ ხელისუფლების განაწილების გაგება თანამედროვე იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში.

თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში ხელისუფლების განაწილება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი. „პრაქტიკულად ყველა თანამედროვე სახელმწიფო, რომელსაც მცირედ მაინც აქვს დემოკრატიულობის პრეტენზია, ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს აღიარებს“<sup>227</sup>.

მეცნიერები ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან ასახელებენ შემდეგს: • რეგულარული, კონკურენციული, საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი და ფარული არჩევნები; • აზრის, საინფორმაციო, შეკრებების, გადაადგილების და ორგანიზაციის (შექმნის) თავისუფლება; • სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა; • სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების განაწილების პრინციპები.

თუკი მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება ხელისუფლების განაწილების მნიშვნელობის საკითხში, ამას ვერ ვიტყვით მათ შეხედულებებზე აღნიშნული პრინციპის შინაარსთან დაკავშირებით.

ფილიპ ლოვო აკეთებს საკმაოდ საინტერესო დასკვნებს, რაც გარკვეულწილად ხელისუფლების დანაწილების ტრადიციული გაგების ხელახალ შეფასებას გულისხმობს. იგი ამბობს: „ლუმიერების, ლოკის, მონტესკიეს თვალსაზრისთან შეთანხმებული ხელისუფლების დაყოფის პრინციპი გულისხმობს, რომ ერთი ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ერთპიროვნული მართვა შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის გარეშე“. XVIII საუკუნის ინგლისის მოდელზე დაკვირვებით პრინციპი ხორციელდებოდა განსხვავებული ხელისუფლების ფუნქციების შესუსტებისა და განონასწორების საშუალებით, ცვალებადი მოდალობების მიხედვით თუმცა ერთი ფუნქცია რამდენიმე კონკურენტ ხელისუფლების ორგანოს შორის ნაწილდებოდა. ამგვარად, ხელისუფლების ერთ ორგანოს შეიძლებოდა ჰქონოდა სახელმწიფოს ორი ან სამი ფუნქცია. ამის კლასიკური მაგალითია დიდი ბრიტანეთის ლორდ-კანცლერი... ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გამოთქმა ხელისუფლების დაყოფა მონტესკიეს ნახმარი არ აქვს, მაშინ როცა მის მიერ განსაზღვრული პრინციპი ნიშნავს „ორგანოებიდან გამომდინარე ფუნქციების დანაწილებას საკმაოდ დამოუკიდებლობით“<sup>228</sup>. „მაგრამ რუსოსა და მახლის შემდეგ, -განაგრძობს ლოვო,-პრინციპი სხვა მნიშვნელობას იძენს. ის „სპეციალიზაციის“ სინონიმი ხდება, სახელმწიფოს სამი ფუნქციიდან თითოეული განსხვავებულ ინსტიტუტებს მიეკუთვნება იმგვარად, რომ თითოეულს მხოლოდ ერთი ორგანო, ერთი ფუნქცია და შესაბამისი დასახელება შეესაბამება. დღევანდელ საკონსტიტუციო ტერმინოლოგიაში სწორედ ეს ბოლო მნიშვნელობა არის შენარჩუნებული“<sup>229</sup>. ავტორი ხელისუფლების განაწილების აღნიშნულ თეორიას „ნმინდად ორგანიციტულს“ უწოდებს.

ხელისუფლების დანაწილების შესახებ თანამედროვე მეცნიერთა შეხედულებები სულ უფრო შორდება კანტისა და მონტესკიეს მოსაზრებებს. მაგალითად, მ. პრელლო მიიჩნევს, რომ სიტყვა „ხელისუფლება“ გულისხმობდა არა სახელმწიფო უმაღლეს ორგანოებს, არამედ სახელმწიფოში განსახორციელებელ გარკვეულ ამოცანებს,

227 ზაზა რუხაძე, ხელისუფლება და კანონმდებლობა, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003, გვ. 12.

228 ფილიპ ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, თბილისი, 2002, გვ. 122-123.

229 იქვე, გვ. 123.



ფუნქციას. ამდენად უნდა ვისაუბროთ სახელმწიფო ფუნქციების გამიჯვნაზე („ხელისუფლების მატერიალური დანაწილება“), ან სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციათა გადანაწილებაზე („ხელისუფლების ფორმალური დანაწილება“).<sup>230</sup>

ასევე, ზოგიერთი სახელმწიფოთმცოდნე უარყოფს ფუნქციათა კლასიკურ ტრიადას და მიზანშეწონილად მიაჩნია საუბარი ნორმატიულ, ადმინისტრაციულ და იურისდიქციულ ფუნქციებზე, რომლებიც, არ უნდა ავურიოთ მათ განმახორციელებელ ორგანოებში. დიუვერჟე გვთავაზობს განვასხვავოთ პოლიტიკური და ადმინისტრაციული ფუნქციები, ფუნქციები სახელმწიფოს საქმიანობის სფეროების მიხედვით, გადანყვეტის, აღსრულების, კონსულტაციისა და კონტროლის ფუნქციები.<sup>231</sup>

კოსოვის აზრით, ხელისუფლების განაწილების პრინციპისა და ურთიერთგანონასწორებისა და კონტროლის სისტემის გარდა, ხელისუფლების განაწილების თეორია მოიცავს მრავალ ელემენტებს. მათ შორის, ხელისუფლება, როგორც სოციალური მოვლენა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების თეორია და პრაქტიკა, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების არსის ცნება, ფედერალიზმის თეორია და პრაქტიკა, პარლამენტარიზმის თეორია და პრაქტიკა, აგრეთვე ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განმტკიცების კონსტიტუციური მექანიზმების შესწავლა და სხვა

მსგავსი აზრია გატარებული კონსტიტუციური სამართლის ქართულ სახელმძღვანელოშიც, რომლის ავტორებსაც მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანამედროვე გაგება სამ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ კომპონენტს მოიცავს: ა) სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამიჯვნა-გადანაწილებას; ბ) კონტროლისა (ურთიერთშეკავების) და განონასწორების წესებს; გ) განშტოებათა თანამშრომლობას.<sup>232</sup> ანდრამ შაიო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების დანაწილება უნდა გულისხმობდეს არა ჰერმეტიულად იზოლირებული განყოფილებების შექმნას ფუნქციურ საზღვრებში, არამედ „ნაწილობრივ წარმომადგენლობას“ ანუ ხელისუფლების თითოეული განშტოება წილობრივად უნდა მონაწილეობდეს სხვა განშტოების უფლებამოსილებაში. ამის კლასიკური მაგალითებია სასამართლო კონტროლი და აღმასრულებელი ვეტოს უფლება, ანუ სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მონაწილეობა საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებაში. კიდევ ერთი მაგალითია თანამდებობაზე დანიშვნის ერთობლივი უფლებამოსილება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში თანამედროვე კონსტიტუციურ პრაქტიკაში ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მომენტი უფრო წინა პლანზეა წამოწეული, ვიდრე მათ შორის კომპეტენციების განაწილება.

ინგლისელი იურისტის ა.ჯენინგსის (A.Дженнингс) აზრით, დღეისათვის სრულიად შეუძლებელია ზღვარის გავლება სასამართლო და ადმინისტრაციულ ფუნქციათა შორის, რომლებსაც ამა თუ იმ სახელმწიფოში ახორციელებენ სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები. ზუსტად ასევე შეუძლებელია მკვეთრი ზღვრის გავლება პარლამენტისა და ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციათა შორის. ხელისუფლების განაწილების თეორიის ახლებურ განმარტებას გვაძლევს ინგლისელი პოლიტოლოგი მ. ვაილი (M.Вайл). იგი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური აზროვნებისა და კონსტიტუციური პრაქტიკის განვითარებამ დაამტკიცა მისი წარუვალი ხასიათი, მაგრამ ამასთანავე საჭიროა მისი ადაპტირება თანამედროვე სახელმწიფოებში შექმნილ პოლიტიკურ რეალობებთან. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების პრობლემების განხილვისას მეცნიერი იკვლევს კონსტიტუციური და პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სოციალური ძალების (პოლიტიკური პარტიები,

230 А. Барнашов, Теория разделения властей: становление, развитие, применение. Томск, 1988, ст. 63

231 იქვე, ст. 63-64.

232 კონსტიტუციური სამართალი. სახელმძღვანელო. პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ დემეტრაშვილი, თბილისი, 2005, გვ. 266-267.

მას-მედია და სხვა) ურთიერთმოქმედებებს. ბიუროკრატიის თვითნებობის აღიკვეთის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების პრობლემების გადაწყვეტას მეცნიერი ხედავს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის წონასწორობის მიღწევაში<sup>233</sup>

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ხელისუფლების სამი შტოს გამოყოფა სრულად ვერ გამოხატავს არსებულ რეალიებს. ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, ნიკარაგუა, კოლუმბია) კონსტიტუციური დოქტრინები მიუთითებენ ხელისუფლების ოთხ შტოზე, დამატებით ასახელებენ რა საარჩევნო ხელისუფლებას (მოქალაქეები, რომლებსაც გააჩნიათ საარჩევნო უფლებები და ქმნიან საარჩევნო კორპუსს). ხელისუფლების ამ შტომ თავისი ორგანიზაციული გამოხატულება ჰპოვა სპეციალური საარჩევნო ტრიბუნალების (სასამართლოების) შექმნაში, რომლებიც იმავდროულად ასრულებენ საარჩევნო კომისიის როლს და იხილავენ არჩევნებთან დაკავშირებულ დავებს<sup>234</sup>

ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ მეცნიერულ ლიტერატურაში ხშირად კიდევ უფრო ზრდიან ხელისუფლების შტოების რიცხვს: პარტიული, სამხედრო, კორპორაციული, ტექნიკური, „მეოთხე ხელისუფლება- პრესა“. თუმცა ასეთ შემთხვევაში ხშირად ერთმანეთში ურევენ ხელისუფლებას, როგორც ასეთს, და სახელმწიფო ხელისუფლებას<sup>235</sup>

კუბის კონსტიტუციამ ცალკე გამოყო ე. წ. დამფუძნებელი ხელისუფლება, რომელიც რეფერენდუმის მიერ, კონსტიტუციის მიღებასა და ცვლილებებთან არის დაკავშირებული; მექსიკის შტატ იდალგოს კონსტიტუციამ მეოთხე შტოდ მუნიციპალური ხელისუფლება აღიარა<sup>236</sup> და ა.შ. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ „ეგვიპტის კონსტიტუციამ აღიარა მეოთხე, ე.წ. საინფორმაციო ხელისუფლება“<sup>237</sup>

ბლანკენაგელი სვამს კითხვას: იძლევა კი სახელმწიფო ხელისუფლების სამი კლასიკური შტოს ჩამოთვლა არსებული სახელმწიფო ხელისუფლების შტოების სრულ და სწორ სიას? ავტორი რუსეთის ფედერაციის მაგალითზე ცალკე გამოყოფს პრეზიდენტის ადგილს.<sup>238</sup>

თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოებში არის კიდევ დაწესებულებათა ერთი სახე, რომლებიც ვერ თავსდებიან ხელისუფლების სამი კლასიკური შტოს ფარგლებში. მათ მიეკუთვნება საექსპერტო ორგანოები, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხი. მაგალითად, ასეთებია საანგარიშო პალატა (счетная палата) ან მისი ანალოგები, ცენტრალური ბანკები და განსაკუთრებული კომპეტენციით აღჭურვილი სხვა ორგანოები. თუ ყურადღებით განვიხილავთ კონკრეტული ორგანიზაციებისათვის სახელმწიფოებრივი ფუნქციების მინიჭების ან განსაზღვრული ორგანიზაციების მიერ ამ ფუნქციების განხორციელების საკითხს, დავინახავთ, რომ ხელისუფლების განაწილების კლასიკური განმარტება არ შეესაბამება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზების თანამედროვე რეალიებს.<sup>239</sup>

ჩვენი მხრივ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მოცემული პრინციპით ხე-

233 <http://lib.ru/POLITOLOG/parechina2.txt>.

234 С. Г. Паречина. Теории государственной власти. <http://lib.ru/POLITOLOG/parechina2.txt>.

235 <http://lib.ru/POLITOLOG/parechina2.txt>.

236 o. melqaZe, konstitucionalizmi. Teoriis sakiTxebi., baTumis universitetis gamomcemloba, 2003, gv. 104

237 იქვე: , გვ. 104

238 А. Бланкенагель. Введение. Конституционный суд как гарант разделения властей: Сборник докладов. М. 2004, ст. 8.

239 იქვე ст. 8

ლისუფლების შტოების ჩამონათვალი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, მაგალითად, ომბუდსმენის (სახალხო დამცველის) ინსტიტუტის ხარჯზე. „საყოველთაოდ აღიარებული მოდელის მიხედვით, ომბუდსმენი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე, თუმცა იგი თავის საქმიანობაში თავისუფალია. მისი ძირითადი ფუნქციაა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საჯარო ხელისუფლების ხელყოფისაგან.<sup>240</sup>“ ნიშანდობლივია, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის სამშობლოში- შვედეთში არსებობს ომბუდსმენის რამდენიმე ნაირსახეობა: ეკონომიკური და სავაჭრო თავისუფლების ომბუდსმენი, მომხმარებელთა ომბუდსმენი, პრესის ომბუდსმენი.<sup>241</sup>

ერთი მთავარი პრინციპი არის ფუნქციათა გამიჯვნა. როგორც „სტატისტიკის შესახებ“ ევროკავშირის მოდელური კანონის განმარტებაშია მოცემული, გამიჯნული უნდა იყოს ფუნქციები, ერთი მხრივ, სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებსა და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის... სტატისტიკური ორგანოების ფუნქციები უნდა იყოს გამიჯნული და არ იყოს აღრეული ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებში.<sup>242</sup>

ხელისუფლების შტოების ზემოაღნიშნული სიმრავლე, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ხელისუფლების განაწილება შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ხელისუფლების ერთიანობისა და მისი ფუნქციური განაწილების კონტექსტში.

უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მომენტს, რაც დაკავშირებული ხელისუფლების დანაწილების სრულიად რადიკალურ მოსაზრებებთან.

ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ე. კურისი ახმოვანებს ერთი შეხედვით პარადოქსულ მოსაზრებას. იგი ამბობს: ცნობილია (და წმინდა აკადემიური თვალსაზრისითაც, ალბათ, მართებულია), რომ ხელისუფლების განაწილება (მრავალი მტკიცების მიუხედავად) პირდაპირ არ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან ან კონსტიტუციის უზენაესობისა თუ დემოკრატიის პრინციპებიდან. კონსტიტუცია, რომელშიც განმტკიცებული არ არის ხელისუფლების განაწილების საწყისები, თავისუფლად შეიძლება იყოს სამართლებრივი აქტების იერარქიის სათავეში და ეფუძნებოდეს კანონის უზენაესობის იდეას, ხოლო ქვეყანაში შეიძლება დაცული იყოს ადამიანის უფლებები და ფუნქციონირებდეს დემოკრატიული ინსტიტუტები. ამას ადასტურებს ის სახელმწიფოები, რომლებიც ფუნქციონირებენ საპარლამენტო სუვერენიტეტის საწყისებზე (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი და სკანდინავიის ქვეყნები).<sup>243</sup>

ცალკეული მეცნიერები უფრო შორს მიდიან და უნდობლობით ეკ-

240 ლ. ასათაშვილი, „ომბუდსმენი და ინსტიტუციური ავტონომია: მექსიკის ადამიანის უფლებთა ეროვნული კომისიის გამოცდილება“. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული), კ. კორკელია (რედ.) თბილისი, 2002, გვ.9.

241 იქვე, გვ. 9.

242 Удасконалення законодавства України у галузі статистики, Киев, 2002. Ст. 401-403.

243 Е. Курис. Доктрина разделения властей в практике Конституционного суда Литвы. Конституционный суд как гарант разделения властей: Сборник докладов. М. 2004, ст.99-100.

იდებიან ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. მაგალითად, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ოტო პფერსმანი (Отто Пферсманн) კითხვითი ნიშნის ქვეშ სვამს კონსტიტუციონალიზმის ისეთ ამოსავალ პრინციპებს, როგორცაა დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო, ძირითადი უფლებები, ტერიტორიული დეცენტრალიზაცია, ხელისუფლების დანაწილება და სხვა. მისი აზრით, აღნიშნული პრინციპები სახიფათოა იმ გაგებით, რომ მართლწესრიგში უფრო მეტი გაურკვევლობა და თვითნებობა შემოაქვთ, ვიდრე წესრიგი. დასახელებულ პრინციპებს შორის კი პფერსმანს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ყველაზე მეტად გაურკვევლად, უსარგებლო და სახიფათოდ მიაჩნია.

ხელისუფლების დანაწილების თეორიას რადიკალურად ეწინააღმდეგებიან „ელიტების თეორიის“ ცნობილი წარმომადგენლები გ. მოსკა, ვ. პარეტო, რ. მიხელსი, მ. ოსტროგორსკი და სხვები. მათი ზოგიერთი თანამედროვე მიმდევარი, მაგალითად, რ. დალი აუცილებლად თვლის „დემოკრატიის“ ტრადიციული ცნება შეიცვალოს ახალი ტერმინით „პოლიარხია“, რაც ზუსტად გამოხატავს პოლიტიკური ძალების რეალურ განლაგებას. ავტორის აზრით, უაზრობაა საუბარი ხელისუფლების დანაწილებაზე, რადგან ხელისუფლება ყოველთვის მმართველი უმცირესობის ხელშია, რომელიც არ არის დაინტერესებული მისი დანაწილებით<sup>244</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ დალის მოსაზრებას „ელიტების თეორიის“ ყველა მიმდევარი არ ეთანხმება. ამ უკანასკნელთ „ხელისუფლების დანაწილების“ ნაცვლად შემოაქვთ „ელიტების დანაწილების“ ცნება და მიიჩნევენ, რომ მისი მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება დემოკრატია.<sup>245</sup>

კიდევ დიდხანს შეიძლება ვისაუბროთ ხელისუფლების დანაწილების სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და კრიტიკაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისად წარმოაჩენს ხელისუფლების დანაწილებისადმი არსებულ თანამედროვე მიდგომებს.

პირველი საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნით დაიწყო ახალი ერა, როდესაც სახელმწიფოში ხელისუფლების განაწილების კონსტიტუციური პრინციპის დაცვასა და რეალიზაციაზე „ზედამხედველობა“ იკისრა სპეციალურმა უმაღლესმა სახელმწიფო ორგანომ. „საკონსტიტუციო კონტროლი, მართებულად მიაჩნიათ, როგორც ეფექტური საშუალება იმისა, რომ ხელისუფლების დანაწილების პირობებში, შეკავებისა და ურთიერთგანონასნორების მექანიზმი იყოს დაცული და მისი თითოეული განშტოება იძულებული იყოს ანგარიში გაუწიოს, პატივი სცეს საზოგადოების ძირითად დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს ხელისუფლების ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, რასაც უნდა დაემორჩილოს ხელისუფლების ნებისმიერი დონე<sup>246</sup>

244 <http://knowledge.isras.ru/sj/sj1-94.html>

245 ზაზა რუხაძე, ხელისუფლება და კანონმდებლობა, ... გვ. 61-62

246 <http://knowledge.isras.ru/sj/sj1-94.html>

ამავდროულად განსხვავებულია ამ ორგანოების როლი და უფლებამოსილებათა ფარგლები საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში. ამდენად მიზანშეწონილი უნდა იყოს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიფიკაცია. არსებობს კონსტიტუციური კონტროლის ორი ძირითადი ფორმა: სასამართლო და არასასამართლო.

პირველ შემთხვევაში კონსტიტუციური კონტროლის სუბიექტებად გვევლინებიან მხოლოდ სასამართლო ორგანოები, რომლებიც, თავის მხრივ, ორი სახისაა: საერთო და სპეციალური. საერთო სასამართლოების ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლი ძირითადად ხორციელდება ორი ფორმით:

1. საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებენ ყველა სასამართლოები (აშშ, მექსიკა, დანია, იაპონია, ნორვეგია, პორტუგალია), მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ;
2. საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელება მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს პრეროგატივაა (შვეიცარია, ირლანდია, ინდოეთი, ვენესუელა, კოლუმბია), რომელიც ამ ფუნქციას მთელი მისი შემადგენლობით ან ცალკეულ შემთხვევებში, უმაღლეს სასამართლოსთან შექმნილი სპეციალური საკონსტიტუციო პალატის მეშვეობით ასრულებს. ამ გზით წავიდა ყაზახეთის რესპუბლიკა.

ზოგ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც არ შედის საერთო სასამართლოების სისტემაში. ასეთი სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოებია შექმნილი გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში, თურქეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში.

რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლის არასასამართლო ფორმას, ამის კლასიკური მაგალითი საფრანგეთია, სადაც არსებობს სპეციალური საკონსტიტუციო საბჭო. თუ სხვაგან საკონსტიტუციო კონტროლის პროცესი სასამართლო პროცედურის წესით ხორციელდება, საკონსტიტუციო საბჭო არასასამართლო ბუნების ორგანოა. იგი ცალკეული მოხსენებების სახით იხილავს სხვადასხვა კანონპროექტების, მათ შორის უკვე მიღებული, მაგრამ ჯერ არა პრომულგირებული კანონპროექტების, აგრეთვე ცალკეული ადმინისტრაციული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციურ ნორმებთან. გარდა აღნიშნულისა, საკონსტიტუციო საბჭო იხილავს პოლიტიკური ხასიათის საკითხებსაც (მაგალითად, არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარების სისწორე, არჩევნებისა და რეფერენდუმების შედეგების გამოცხადება და სხვა.) როგორც ზოგიერთი მეცნიერი მიუთითებს, საკონსტიტუციო საბჭო არის ორგანო, რომელიც ახორციელებს პოლიტიკური ხასიათის უმაღლეს იურისდიქციას.

საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს წინასწარი (აპრიორი) და შემდგომი (აპოსტერიორი). წინასწარი ანუ პრევენციული კონტროლი გულისხმობს ნორმატიული აქტის პროექტის, ასევე უკვე მიღებული, მა-

გრამ არაპრომულგირებული კანონის კონსტიტუციურობის დადგენას. წინასწარი კონტროლის განხორციელების უფლება აქვს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს. შემდგომი ანუ რეპრესიული კონტროლი ხორციელდება აქტის ძალაში შესვლის შემდეგ. ჩვეულებრივ ჩვენს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს პრევენციული კონტროლის უფლება, თუმცა, როგორც ზ. რუხაძე აღნიშნავს, საქართველოში, როგორც ყოფილი საბჭოთა სივრცის ზოგიერთ ქვეყანაში მაგალითად, უკრაინაში, ლიტვაში კანონით განსაზღვრულია საერთაშორისო ხელშეკრულებების როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლი<sup>247</sup> „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც ექვემდებარება რატიფიცირებას. კონსტიტუციური წარდგინების შეტანა შეიძლება მათ რატიფიცირებამდე. ზ. რუხაძე მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ნათლად ჩანს სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული შედეგის მიხედვით. განსაკუთრებით იმ გადაწყვეტილების იურიდიული შედეგის მიხედვით, რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საერთაშორისო ხელშეკრულება. ამ დროს, ერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა უარი თქვას საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების შესახებ. მეორე შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია განაახლოს დიპლომატიური მოლაპარაკებები საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტში ცვლილებების შეტანის მიზნით<sup>248</sup>

მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაწილს არ აკმაყოფილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრევენციული კონტროლის ფარგლები. ო. მელქაძე მომხრეა საქართველოს სინამდვილეში გადმოტანილ იქნეს უკანასკნელ ხანებში ფრანგული საკონსტიტუციო საბჭოს საქმიანობაში ამოქმედებული წინასწარი კონტროლის პრაქტიკა კონტროლის საგნისა თუ ობიექტის წრის რეგლამენტირებით, რაც ფართოდ იკიდებს ფეხს დასავლეთ ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების საქმიანობაში. მათ არსენალში სულ უფრო ხშირად მონაცვლეობს წინასწარი- პრევენტიული და შემდგომი კონტროლის ფორმები. ასე რომ, კონსტიტუციური ზედამხედველობა ამ სასამართლოებში კონტროლის საშუალებებით გამდიდრდა, ფაქტობრივად კონსტიტუციური კონტროლით შეიცვალა და იგი ხორციელდება როგორც საკანონმდებლო აქტების მიღების პროცედურული ნესების, ასევე აქტების კონსტიტუციური ნორმებისადმი შესაბამისობის შემოწმების გზით... იქნებ იმაზე გვეფიქრა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსათვის აუცილებელია შესაბამისი უფლებამოსილებების მიკუთვნება-დასძენს ავტორი<sup>249</sup>.

247 ზაზა რუხაძე, ხელისუფლება და კანონმდებლობა, ... გვ. 110

248 იქვე, გვ. 110.

249 ო. მელქაძე, ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები. კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფესორ გივი ინჩკირველის დაბადების 75-ე

იგივე აზრს იზიარებს ზ. ჯინჯოლავაც. იგი ამბობს: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს წინასწარი კონტროლის უფლება. ჯერ ერთი, ამ უფლების მინიჭებით საკონსტიტუციო სასამართლოს საკონტროლო არსენალი ფართოვდება; მეორე – ამ უფლების მინიჭება აფართოებს კონტროლის პროფილაქტიკურ მნიშვნელობას. თუნდაც იმითაც, რომ ამ გზით შეიძლება თავიდან ავიცილოთ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოქვეყნება და მისი ძალაში შესვლა. ამით მივალწევთ იმას, რომ არ მოქმედებდეს არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტი მანამ, სანამ ის არ დაარღვევს ვინმეს უფლებებსა და თავისუფლებებს და უფლებადარღვეული სუბიექტი სარჩელით არ მიაკითხავს საკონსტიტუციო სასამართლოს; მესამე, – ამ უფლების მინიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს აქცევს ნამდვილად საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ<sup>250</sup>.“

ზ. ჯინჯოლავა აქვე ითვალისწინებს, რომ პრევენციულმა კონტროლმა შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს პოლიტიზაცია. ამიტომ იგი გარკვეულ დათქმას აკეთებს და ამბობს, რომ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ნორმატიული აქტის მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციურობის შემოწმება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მისი არსებითი მნიშვნელობის შემოწმება. ამ გზით თავიდან ავიცილებთ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზაციას.<sup>251</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ შემდეგი: ცალკეული ავტორები უარყოფითად აფასებენ მოცემულ ტენდენციას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ამით ხდება საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციებში ჩარევა და სხვისი ფუნქციების მითვისება.

პრევენციული კონტროლის მიზანშეწონილობასა და ავკარგიანობაზე საკმაოდ არგუმენტირებულად მსჯელობს ჰ. შვარცი. იგი ნეგატიურად უყურებს სასამართლოსათვის პრევენციულ კონტროლის გადაცემის საკითხს. ავტორი ამბობს, რომ პრევენციული კონტროლი ზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზებულობას. იგი უფრო ადვილად აამკარავებს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი პოლიტიკურ მიდგომას, რადგან, როგორც საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს ყოფილმა პრეზიდენტმა რობერტ ბადინტერმა აღნიშნა, ასეთ კონტროლს უმაღვე მოჰყვება პოლიტიკური კონფლიქტი. ამასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელებით საკონსტიტუციო სასამართლოებმა საკანონმდებლო პროცესში მისი მიმდინარეობის დროს.<sup>252</sup> გარდა ამისა, აღნიშნავს ავტორი, კანონის ეკონომიკური და სოციალური ეფექტი არ არის გარკვეული, განსაკუთრებით, თუ ვითარება ცვალებადია და გადანყვეტილება მიიღება მოკლე დროში. შვარცს მოჰყავს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრის ჰელმუტ შტაინბერგერის წლისთავისადმი. რედაქტორი: პროფ. ვალერი ლორია, თბილისი, 2002. გვ. 153 და 157ორი.

250 ზ. ჯინჯოლავა, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, „კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები“ მიძღვნილი პრ. გ. ინსკირველის დაბადების 75-ე წლისთავისადმი, თსუ. 2002, რედ. ვ. ლორია. გვ. 126-138

251 იქვე:

252 იხ. ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა ..., გვ. 142

შემდეგი სიტყვები: სასამართლოს გადაწყვეტილება კანონთა კონსტიტუციურობის შესახებ გარკვეულ დისტანციაზე უნდა იყოს იმ ყოველდღიური არგუმენტებისაგან, რომლებიც თან ახლავს კანონმდებლობის შექმნის პოლიტიკურ პროცესს. გადაწყვეტილების ხარისხის გარკვევას დრო სჭირდება. ...სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, რომელთა მოგვარებაც იყო კანონის თავდაპირველი მიზანი, ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება იმდენად შეიცვალოს, რომ ძალაში შესული კანონით უკანონო შედეგები მივიღოთ, რაც ველარ გაამართლებს მის კონსტიტუციურობას<sup>253</sup>.

ჰ. შვარცს პრევენციული კონტროლის სასამართლოსათვის გადაცემა მიზანშეუნონლად მიაჩნია აგრეთვე საკანონმდებლო კომპეტენციაში შეჭრის მოტივით: „პრევენციული კონტროლი ასევე აუფერულებს ხელისუფლების დანაწილებას. როდესაც სასამართლო უარყოფს კანონს, რომელიც ჯერ ძალაშიც არ შესულა, და, როგორც წესი, თავისი მოქმედების მიზეზებსაც ხსნის, ის ფაქტობრივად რჩევას აძლევს საკანონმდებლო ორგანოს საკანონმდებლო პროცესის პერიოდში. სწორედ ეს იყო კელზენის მიზანი და ამიტომაც უნოდა მან საკონსტიტუციო სასამართლოს „ნეგატიური კანონმდებელი“ და „საკანონმდებლო დამხმარე“. ამრიგად, პრევენციულმა (ა პრიორი) კონტროლმა შეიძლება დაარღვიოს საკანონმდებლო პროცესისაგან სასამართლოს იზოლირების პრინციპი, რაც ასე მნიშვნელოვანია ხელისუფლების დანაწილების სისტემისათვის, რადგან იგი საკონსტიტუციო სასამართლოს აქცევს მიმდინარე საკანონმდებლო პროცესის აქტიურ მონაწილედ. ყველა ან ზოგიერთი ჯერ კიდევ აუმოქმედებელი კანონის სანინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანა ფაქტობრივად საკანონმდებლო ორგანოსათვის კანონმდებლობის შეცვლის ბრძანებაა, რომელიც ხშირად იმ მინიშნებებსაც კი შეიცავს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს იგი. ასეთი გადაწყვეტილებებით საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება ჩაბმული აღმოჩნდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის გაჩაღებულ პოლიტიკურ ბრძოლაში<sup>254</sup>.

ჰ. შვარცი პრევენციულ კონტროლს ყველაზე უფრო გაუგებარ ფორმას უწოდებს, რადგან კანონის ასეთმა ადრეულმა კონტროლმა, ანუ სანამ იგი ფაქტობრივად პარლამენტის განხილვის საგანიც კი არ გამხდარა, შეიძლება სასამართლო მოაქციოს საკანონმდებლო პროცესის და არსებული პოლიტიკური კონფლიქტის ცენტრში, როდესაც პარლამენტის კომიტეტი ან პარლამენტართა ჯგუფი შეეცდება ამ პროცესში სასამართლო თავის სასარგებლოდ ჩააბას. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად 1991 წელს სასამართლომ გადაწყვიტა აღარ განეხილა კანონპროექტები და განაცხადა, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო მრჩეველი კი არ არის, არამედ პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის მოსამართლეა“. პრევენციული კონტროლის უფლების სასამართლოსათვის გადაცემა მიზანშეუნონლად არ მიმაჩნია რადგანაც არნიშნული გამოიწვევს საკანონმდებლო საქმიანობაში სასამართლოს ჩარევას, აღნიშნულმა კი შეიძლება

253 ჰ. შვარცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70.

254 იქვე: გვ71



დაარღვიოს საკანონმდებლო პროცესისგან სასამართლოს იზოლირების პრინციპი, რაც ასე მნიშვნელოვანია ხელისუფლების განაწილების სისტემისათვის. გარდა ამისა აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო გააჭიანურებს კანონის მიღების პროცედურას. საქართველოს სახელმწიფოს კი, რომელიც თავისი განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზეა, სჭირდება რეფორმების სწრაფად გატარება, რაშიც მთავარი სიტყვა კანონშემოქმედებაზეა, გაჭიანურებული კანონშემოქმედება კი დაგვიანებული რეფორმებია.

სამართლებრივი შედეგის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს საკონსულტაციო და დამდგენი. პირველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს დასკვნა მორალური ხასიათისაა და არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. მაგალითად ბელგიაში სახელმწიფო საბჭო სარგებლობს უფლებით საკუთარი აზრი გამოთქვას მის განსახილველად წარდგენილი აქტების შესახებ მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. დამდგენი არის კონტროლი, როდესაც კომპეტენტურ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება აქტის ძირითად კანონთან შესაბამისობის შესახებ და ამასთანავე, ეს გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათისაა. ასეთი კონტროლის შედეგად განხილული აქტი კონსტიტუციის შესაბამისად ან მის საწინააღმდეგოდ ითვლება, რაც იწვევს ანტიკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის გაუქმებას.<sup>255</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს დამდგენი კონტროლის უფლება, ანუ მას გამოაქვს გადაწყვეტილება აქტის კონსტიტუციურობის შესახებ, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების რატიფიცირების დაუშვებლობას.

ხელისუფლების განაწილების პრინციპი აირეკლება საკონსტიტუციო სასამართლოების დაკომპლექტების წესში. როგორც მოგეხსენებათ საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი; 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მესუთედით, და 3 წევრიც ინიშნება უზენაესი სასამართლოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ამ წესში კარგად იკვეთება ხელისუფლების ჰორიზონტალური განაწილების პრინციპი და გამოხატავს ხელისუფლების სამი ტრადიციული შტოს თანაბარ ძალაუფლებას. ასევე მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარის წარდგინების საკითხიც, რომელიც ხელისუფლების სამივე შტოს ერთობლივი შეთანხმებით ხორციელდება.

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, რაც დაკავშირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციასთან. ზაურ ჯინ-

255 იქვე: გვ71

ჯოლავა ამბობს: როგორც ცნობილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების, მათ შორის, პრეზიდენტის აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, მაგრამ ვერ იხილავს საერთო სასამართლოს გადანყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, ასევე პრეზიდენტისა და სხვა აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები შესაძლებელია არაკონსტიტუციური იყოს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, იბადება კითხვა – რატომ არ შეიძლება საერთო სასამართლომ მიიღოს არაკონსტიტუციური გადანყვეტილება? ამიტომ მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება უნდა მიეცეს, შეამოწმოს საერთო სასამართლოს გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხი. რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს გადანყვეტილების გადასინჯვა- მისი სისწორისა და მიზანშეწონილობის განსაზღვრა. ამ კონტროლით უნდა დადგინდეს, სასამართლოს განაჩენი ან გადანყვეტილება კონსტიტუციური ნორმების დარღვევით ხომ არ იქნა მიღებული და თუ სასამართლოს აქტით დაირღვა ადამიანის ძირითადი უფლება ან თავისუფლება, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი დარღვეული უფლებისა და თავისუფლების აღსადგენად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მით უმეტეს, ამის უფლებას იძლევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს<sup>256</sup>.

შესაძლებლად მიმაჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება, თუმცა ასეთ შემთხვევაში მკაცრად უნდა იქნეს დაცული საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების საზღვრები. უნდა მოხდეს უზრუნველყოფა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ შეიჭრას მართლმსაჯულების ფუნქციებში და პრაქტიკულად არ იქცეს უზენაესი სასამართლოს ზემდგომ ინსტანციად.

ძალიან მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა იურიდიული ძალისა და აღსრულების საკითხები. ამაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი და როლი.

გარკვეულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, რომ კანონში არ არის განწერილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების კონკრეტული მექანიზმები, რაც აკნინებს მას. მართალია კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი. “ მაგრამ არსადაა

256 ზ. ჯინჯოლავა, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, „კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები“ მიძღვნილი პრ. გ. ინჩირველის დაბადების 75-ე წლისთავისადმი, თსუ. 2002, რედ. ვ. ლორია. გვ. 126-138.

დაკონკრეტებული თუ რა ზომებს იღებს და რა საშუალებებს იყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი გადანყვეტილებათა აღსრულებით. ფაქტია რომ მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ბერკეტები აღსრულებისათვის, იგი მხოლოდ ინფორმირებას ახდენს სახელმწიფო ორგანოების, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავად ეს ორგანოები უნდა ზრუნავდნენ მათი კომპეტენციის ფარგლებში აღასრულონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები. აღნიშნული საკითხი ძალიან კარგადაა დარეგულირებული გერმანიის კანონმდებლობით, სადაც კანონი ითვალისწინებს სპეციალური ორგანოს შექმნას რომელიც განსაზღვრულ ვადაში აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებების აღსრულების პროცესს.

დასასრულს შეიძლება დავასკვნათ, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც მიმართულია ხელისუფლების განაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ, ხოლო ხელისუფლების განაწილება, თავის მხრივ, კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ხელისუფლების განაწილების როლი ერთი პირის ხელში სხვადასხვა სახელისუფლებო ფუნქციათა კონცენტრაციის დაუშვებლობაა, მაგრამ ეს პრინციპი ვერ იქნება ბოლომდე გატარებული, თუ მას გარანტად საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო არ უდგას.

### **რეზიუმე**

ნაშრომის მიზანია საკონსტიტუციო კონტროლსა და ხელისუფლების განაწილების პრინციპთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა, განხილვა და ანალიზი, ხელისუფლების განაწილების თანამედროვე ინტერპრეტაციების გაშუქება და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე წარმოჩენა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართების საკითხის ხელისუფლების განაწილების კონსტიტუციური პრინციპისადმი.

ნაშრომი პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად: ერთი ნაწილი ეძღვნება ხელისუფლების განაწილებას, მეორე ნაწილი-საკონსტიტუციო კონტროლს, ხოლო მესამე საკონსტიტუციო კონტროლს როგორც ხელისუფლების განაწილების გარანტს.“

### **Resume**

The purpose of the work is to research, review and analyze the problems of constitutional control and the distribution of power, covering contemporary interpretations of government distribution and presenting the example of different countries to the constitutional principle of distribution of power.

The work can be divided into 3 parts : one part is dedicated to the distribution of the power, the second part to the constitutional control and the third ,constitutional control as a guarantor of the distribution of the power.

## Резюме

Цель работы конституционный контроль и исследование проблем связанных с принципами руководства.

Рассмотрение (обсуждение) и анализ современной интерпретации распределения власти по принципам конституции. Труд можно поделить на 3 части: 1 часть - распределение власти; 2 часть - конституционный контроль а 3 часть - конституционный контроль, как гарант распределения правительство (руководства).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბილისი, 1994.
2. ზაზა რუხაძე, ხელისუფლება და კანონმდებლობა, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003.
3. ზაზა რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999.
4. კონსტიტუციური სამართალი. სახელმძღვანელო. პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ დემეტრაშვილი, თბილისი, 2005.
5. ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, სამეცნ. რედ. კ. კუბლაშვილი, მთარგმნელი ქ. ალექსიძე, თბილისი, 2003.
6. ო. მელქაძე, „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი“
7. „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“. რედაქტორი: ო. მელქაძე, თბილისი, 1996.
8. ზ. ჯინჯოლავა, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში,
9. „კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები“ მიძღვნილი პრ. გ. ინწკირველის დაბადების 75-ე წლისთავისადმი, თსუ. 2002, რედ. ვ.ლორია
10. კონსტიტუციური სამართალი. სახელმძღვანელო. პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ დემეტრაშვილი, თბილისი, 2005
11. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998.
12. კ. კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998.

## 2. საქართველოს პარლამენტის ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში

დოქტორანტი  
სოფო დემეტრაშვილი

ტერმინი „პარლამენტი“ ინგლისური „Parliament“-ისგან მომდინარეობს, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად ფრანგული სიტყვა - „parler“ – „ლაპარაკი“ უდევს. მმართველობის საერთაშორისო პრაქტიკაში, პარლამენტარიზმი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო, მეფის აბსოლუტური ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით, პირველად ინგლისში<sup>257</sup> ჩამოყალიბდა, <sup>258</sup> როდესაც 1216 წლის ნოემბერში ინგლისის მეფე ჯონ პირველმა (უმინანცლომ) ხელი მოაწერა „თავისუფლების დიდ ქარტიას“ და საფუძველი დაუდო ინგლისის პარლამენტს, რომელიც მსხვილი ფეოდალების, მაღალი რანგის სასულიერო პირების და ქალაქთა და საგრაფოთა წარმომადგენლებისგან შემდგარ კრებას წარმოადგენდა. დღეს არ მოიძებნება სახელმწიფო, სადაც ამა თუ იმ ფორმითა და მნიშვნელობით არ არსებობდეს პარლამენტი. უფრო მეტიც, განსაკუთრებით ევროპაში, <sup>259</sup> საპარლამენტო მმართველობა სახელმწიფოებრივი მართვის მთელი სისტემაა, რომელსაც დღესდღეისობით მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. <sup>260</sup> როგორც წესი, ყველა სისტემაში პარლამენტის ფუნქციაში შედის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება და მისი შესრულების კონტროლი, აგრეთვე, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი, თუმცა, კონტროლის ხარისხი მმართველობის ფორმაზეა დამოკიდებული. საქართველოს პირველ რესპუბლიკაში გარკვეული თავისებურებებით, თუმცა მაინც არსებობდა საპარლამენტო მმართველობა, <sup>261</sup> რომელსაც „პარლამენტარიზმს“ უწოდებენ, რადგან საზოგადოების ნაწილი მას პარლამენტის არსებობასთან აიგივებს<sup>262</sup>

წარმოადგენს რა ხალხის, მოსახლეობის ინტერესებს პარლამენტს, როგორც წარმომადგენლობით ორგანოს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია. როგორც წესი, მმართველობის ყველა სისტემაში პარლამენტის ფუნქციებში შედის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი აქტების, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება (საკანონმდებლო ხელისუფლება) და მისი შესრულების კონტროლი, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია და სხვა.

ჩვეულებრივ ამ ფუნქციითა შორის უპირატესობას პარლამენტის კანონშემოქმედებას ანიჭებენ, <sup>263</sup> თუმცა, ჩემი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანი, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია მისი საკონტროლო ფუნქცია. მეცნიერთა აზრით, ფუნქციითა შორის პრიორიტეტი და მნიშვნელობა და ხარისხი ბევრად მმართველობის ფორმაზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, საპარლამენტო მმართველობის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მაკონტროლებელი ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, თუმცა როგორც ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე

257 უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის წინამორბედად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მონათმფლობელური დემოკრატიის წარმომადგენლობითი ინსტიტუტები, მაგ. რომის იმპერიასა და სხვ.

258 ლოვო ფ., პარლამენტარიზმი, 2005 წელი, თბილისი, გვ. 3-4

259 სულ 21 საპარლამენტო რესპუბლიკა და მხოლოდ 5 არის არასაპარლამენტო.

260 დუგლას ვ. ვერნი, საპარლამენტო მმართველობა და საპრეზიდენტო მმართველობა, გამომცემლობა „უფლება“, შემდგ. პროფესორი ოთარ მელქაძე., თბილისი, 1996 წ., გვ. 114.

261 ნოე ჟორდანიას, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, ტფ. 1918 წ., გვ. 15).

262 სურგულაძე პ. ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბილისი, 1991 წელი, გვ. 3.

263 Мигшель Амеллер. Парламент. М. 1984.

ლუის ლოპეს გუერა აცხადებდა, კონკრეტული კონსტიტუციური კონტროლი იმაზე მეტია, ვიდრე ტექნიკა, რომელიც მიმართულია საპარლამენტო შეტევებისაგან კონსტიტუციის დასაცავად... იგი იქცა კონსტიტუციის განმარტების პროცედურად და იმ ნების შექმნის მექანიზმად, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ საქმეში.<sup>264</sup> რა გინდ მცირე და უმნიშვნელო არ უნდა იყოს რომელიმე სოციალური ერთეული, თუ კი მის უფლება შემოქმედებაზე არა აქვს იძულებითი უფლება უფრო მაღლა მდგომს და რთულ ერთეულს, მაშინ ჩვენ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე. დემოკრატიის პოლიტიკური მიზანია, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს კლასიკურ დებულებას - *lex est quod populus jubet atque constituit*.<sup>265</sup> ყოველი წესწყობილება გულისხმობს კანონისა და უფლების არსებობას. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - პარლამენტის წინაშე. ეს ასეა, ისტორიულად, პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს, არსებობა კანონის, როგორც სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალების მიღებაში ვლინდებოდა, თუმცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ე.წ. „რაციონალიზებული პარლამენტარიზმისა და სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით კანონმდებლობის დონეზეც კი,<sup>266</sup> ხდება პარლამენტის სუვერენული საკანონმდებლო უფლებამოსილების და შესაბამისად, საკონტროლო ფუნქციის ერთგვარი შეზღუდვა. ფრანგული დოქტრინა ეფუძნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წონასწორობას, მისი დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე, „აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი“<sup>267</sup>, მისი დანაწევრება პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი სახელმწიფოს მეთაურსა (პრეზიდენტი) და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ სამთავრობო კაბინეტს შორის, მათ შორის ორმხრივი ურთიერთქმედების მექანიზმებით. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიცავს როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო წყობილების ნიშნებს, იგი არც ერთს არ მიეკუთვნება, არამედ შერეული ფუნქციონირების მექანიზმია.<sup>268</sup>

ბოლო პერიოდის მსოფლიო, განსაკუთრებით პოსტსოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციურ-სამართლებრივმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ დემოკრატიული ფასეულობების და ღირებულებების პრეტენზიის მქონე საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა შეძლოს ხელისუფლების გონივრული და დაბალანსებული მმართველობის სისტემის შექმნა. ყველაფერი უნდა გამომდინარეობდეს კონსტიტუციიდან. სწორედ კონსტიტუცია უნდა ადგენდეს ხელისუფლების სუბიექტებს შორის ძალთა იმდაგვარ გადანაწილებას, რომ გარანტირებული იყოს სამართლიანობა. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დარჩება შესაძლებლობა, რომ ხალხის წარმომადგენლების ორგანომ - პარლამენტმა რეალურად განახორციელოს თავის უფლებამოსილებები და გახდეს ხალხის მიერ წარმომადგენლების საშუალებით მმართველობისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი.

გარდამავალ ეტაპზე, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ საქართველოში თითქოს ამ მიზნის მისაღწევად 2009-2010 და 2016-2018 წლის განხორციელდა შესაბამისი შინაარსის კონსტიტუციური რეფორმები, რომლებშიც აშკარად ჩანს საპარლამენტო მმართველობისა და პარლამენტარიზმის ჩამოყალიბების დინამიკა.

საქართველოში პარლამენტის გაჩენა ჩვენი ქვეყნის მეტად თავისებური ისტორიული ბიოგრაფიის პირობებში ხდებოდა. ადრეფეოდალურ და შუასაუკუნეებში არსებული ნორმატიული აქტებით (მაგალითად, ვახტანგ მეექვსის დროინდელი კანონმდებლობა) ქართული სახელმწიფო „ყოველთვის ავლენდა სამართლებრივი

264 ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი, 2003. გვ. 79.

265 კანონი ის არის, რასაც ხალხი ბრძანებს და აწესებს.

266 მაგალითად საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკაში

267 აღმასრულებელი ხელისუფლების ბიცეფალური სისტემა.

268 პიერ პაქტიე, ფერდინან მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2012.

სახელმწიფოსაკენ სწრაფვას.<sup>269</sup> საქართველოს კონსტიტუციის პროექტი თავიდანვე მკაფიოდ მიჯნავდა პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციებს ერთმანეთისაგან. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით პირველად მოხდა დროებითი მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის განსაზღვრა პარლამენტის წინაშე,<sup>270</sup> მთავრობის წევრები კი ანგარიშვალდებულნი და პოლიტიკურად პასუხისმგებელნი იყვნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე. 1918 წლის ოქტომბრიდან ეროვნული საბჭო საქართველოს ისტორიაში საქართველოს პარლამენტის სახელწოდებით შევიდა.<sup>271</sup> საქართველოს პირველ რესპუბლიკაში გარკვეული თავისებურებებით, თუმცა მაინც არსებობდა საპარლამენტო მმართველობა, რომელსაც „პარლამენტარიზმს“ უწოდებენ, რადგან საზოგადოების ნაწილი მას პარლამენტის არსებობასთან აიგივებს.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში საქართველოში ისევე, როგორც სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში, საერთოდ უგულვებელყოფილი იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. საბჭოთა სინამდვილე გაურბოდა ტერმინის - „პარლამენტის“ გამოყენებას. სოციალისტური კონცეფციის შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანო ორ რგოლიანი სისტემის სახით გამოიყურებოდა. ეს იყო საქართველოს სახალხო დეპუტატთა ყრილობა და მისგან ჩამოყალიბებული უმაღლესი საბჭო. საბჭოური სისტემა საქართველოში დღეისათვის შეცვლილია ხელისუფლების დანაწილების, წარმომადგენლობისა და კანონიერების, პარლამენტარიზმის პრინციპებზე აგებული საერთო სახელმწიფოებრივი ორგანოთი - პარლამენტით. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა აგრეთვე 2004 წლის 6 თებერვალს. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით მთლიანად შეიცვალა ხელისუფლების დანაწილების მოდელი და, შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემა. ცვლილებათა ძირითადი შედეგი იყო პრეზიდენტის უფლებამოსილების მნიშვნელოვანი გაფართოება და პარლამენტის ფუნქციების მნიშვნელოვანი დასუსტება. აღნიშნული ცვლილებებით მთავრობა უფლებამოსილებას იხსნიდა არა ახალარჩეული პარლამენტის, არამედ ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე. მთავრობის გადადგომის ან მისი გადაყენების შემდეგ პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევდა პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო ეს უკანასკნელი პრეზიდენტთან შეთანხმებით - მთავრობის წევრთა კანდიდატურებს. მართალია, მთავრობას პარლამენტის ნდობა უნდა მიეღო, მაგრამ ეს წმინდა ფორმალობა იყო, რადგან თუ პარლამენტი ზედიზედ სამჯერ ნდობას არ გამოუცხადა მთავრობას, პრეზიდენტი მაინც დანიშნავდა პრემიერ-მინისტრს და დაითხოვდა პარლამენტს.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით საქართველოს პარლამენტის განსაზღვრული კონსტიტუციური სტატუსი (არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო), ფუნქციები (საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე და სხვ.)<sup>272</sup> არც 2009-2010 და არც 2016-2018 წლების კონსტიტუციური რეფორმის შედეგად ტექსტურადაც არ შეცვლილა.

საქართველოს პარლამენტი არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას,<sup>273</sup> რომელსაც, ხალხის სუვერენიტეტის განუყოფლობისა და განუსხვისებლობის იდეიდან გამომდინარე, ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში უპირატესი ადგილი უკავია. რაც შეეხება 2010 წლის მნიშვნელოვან საკონსტიტუციო რეფორმას ქვეყანა ახალ მმართველობის სისტემაზე გადავიდა. აღნიშნული რეფორმის შედეგად დღეს ქვეყანაში მთავრობის ფორმირე-

269 ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. თბ., 2014, გვ., 41.

270 საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, თბ. 1920 წ., გვ. 4-6.

271 ეროვნული საბჭო... 1918: 1-19; სურგულაძე 1991: 27-28.

272 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48. ახალი რედაქცია მუხლი 36.

273 საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, მუხლი 36, პუნქტი 1-ლი.

ბის საპარლამენტო წესი გამოიყენება. მთავრობის როგორც ინსტიტუტის სტატუსი ჩამოყალიბდა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მისი პირველი პირი განისაზღვრა, როგორც მთავრობის მეთაური. მეთაური და არა თავჯდომარე, არ გამომდინარეობს შემთხვევითობიდან. ორ მეთაურიანი (ბიცეფალური) სისტემა შეიცვალა და ქვეყანას ჰყავს მთავრობის ერთი მეთაური პრემიერის სახით. პრეზიდენტი მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში, კონფლიქტურ სიტუაციაში უნდა ჩაერიოს პარლამენტისა და მთავრობის კონსტიტუციურ ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად. 2009-2010 წლის წლის რეფორმის შედეგად უფრო ქმედითი და ეფექტიანი გახდა პარლამენტის უფლება, თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი და უმაღლესი თანამდებობის სხვა პირები<sup>274</sup> იმპიჩმენტის წესის გამოყენებით. იმპიჩმენტის ორივე საფუძველზე (კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის ჩადენა) მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო ამზადებს დასკვნას, მაშინ როდესაც მანამდე უზენაესი სასამართლოს ევალუბოდა დანაშაულის ნიშნების არსებობის დადგენა.<sup>275</sup> კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მიხედვით, მთავრობის ფორმირება ხდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ და საქართველოს პრეზიდენტის აქტიური მონაწილეობა ამ პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაშია დადგენილი, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა არ არსებობს და ვერც მისი შეკონინება ხერხდება. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით,<sup>276</sup> პარლამენტის შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.<sup>277</sup> გაზრდილია ასაკობრივი ცენზი, კერძოდ, თუ მოქმედი რედაქციის მიხედვით, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან,<sup>278</sup> ახალი რედაქციის მიხედვით, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.<sup>279</sup> საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, განსაზღვრულ იქნა პარლამენტის მორიგი არჩევნების ჩატარების დროც, კერძოდ, თუ მოქმედი რედაქციის თანახმად, პარლამენტის მორიგი არჩევნები უნდა ჩატარდეს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის ოქტომბერში, ხოლო, არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა, ახალი რედაქციის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნისაგან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.<sup>280</sup> თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს მე-60 დღისა. განსხვავებული რეგულაციებია კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით პარლამენტის არჩევნის წესში, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას.<sup>281</sup> მისი მხარდაჭერა დადასტურებული უნდა იყოს ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით,

274 ესენია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მთავრობის წევრები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები.

275 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 75, პუნქტი 2.

276 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 80.

277 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, მუხლი 37, პუნქტი 2.

278 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 49, პუნქტი 2

279 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, მუხლი 37, პუნქტი 4.

280 საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის 21 პუნქტი.

281 „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, მუხლი 37.



არანაკლებ 25 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით. პოლიტიკური გაერთიანება თავისუფლდება ხელმოწერების წარდგენისგან, თუკი მას უკვე ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს მაინც. მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით. პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების დროს, თუკი არსებობს საარჩევნო ბარიერი (ჩვენ შემთხვევაში საკმაოდ მაღალი - 5%-იანი) რჩება გაუნაწილებელი მანდატების მნიშვნელოვანი რაოდენობა იმ პარტიების ამომრჩეველთა ხარჯზე, რომელთაც საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს. ჩვეულებრივ, ასეთი მანდატები პროპორციულად ნაწილდება პარლამენტში შესულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ გაუნაწილებელი მანდატები მთლიანად გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას გადასცემოდა. ამ მოსაზრებას ოპოზიციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. საბოლოო ჯამში, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ჩაიდო საპარლამენტო მანდატების განაწილების საკმაოდ რთული სისტემა.

პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% მაინც მიიღეს. პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს მიიღებს პოლიტიკური პარტია, რომელიც ყველაზე მეტი ხმა მიიღო. თუმცა, ახალ რედაქციაში ასევე არის განსაზღვრული, რომ პარტიის მიერ მიღებული გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მის მიერ მიღებული ძირითადი მანდატების 35%-ზე მეტს. ოღონდ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ძირითადი მანდატების 35%-ზე მეტს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების პირობებში მიიღებოდა. ყველა გაუნაწილებელი მანდატი პროპორციულად განაწილდება ყველა იმ პარტიაზე, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 % მიიღო.<sup>282</sup> ამ წესით პარტიას არ შეუძლია მიიღოს 89 მანდატზე მეტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი 89 მანდატზე მეტს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების პირობებში მიიღებდა. 90-ე და ყველა შემდეგი გაუნაწილებელი მანდატი, რომელსაც ვერ მიიღებს შესაბამისი პარტია, პროპორციულად განაწილდება სხვა პარტიებზე, რომლებსაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% მაინც მიიღეს. თუ პარტია 89 მანდატზე მეტს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების პირობებში მიიღებდა, ყველა გაუნაწილებელი მანდატი პროპორციულად განაწილდება ყველა იმ პარტიაზე, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 % მაინც მიიღო.

სამოქალაქო საზოგადოებისა და ვენეციის კომისიის ამ სისტემაზე უარყოფითი რეაქციის გამო ორი მოსმენით მიღებულია „საქართველოს კონსტიტუციური კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლის მიხედვით მომდევნო არჩევნებში (სავარაუდოდ 2020 წლის) შენარჩუნებული ფორმირების ძველი (მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების საფუძველზე), მხოლოდ ამ არჩევნებისათვის დაშვებულია საარჩევნო ბლოკებით არჩევნებში მონაწილეობა და გაუქმებულია ბონუსის სისტემა.

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევ-

282 ერთჯერადად, 2020 წლის არჩევნებისთვის დადგინდება 3% საარჩევნო ბარიერი.

ნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან.

ცვლილება განხორციელდა აგრეთვე, პარლამენტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, კერძოდ, 2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი იქნება თბილისთან ერთად ქუთაისი, ხოლო პარლამენტის პლენარული სხდომები მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისში გაიმართება. ეს უნდა მომხდარიყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. 2011 წლის 1 ივლისს კონსტიტუციაში კიდევ შევიდა ცვლილება და პარლამენტი 2012 წლიდან მთლიანად ქუთაისში გადაიტანეს.<sup>283</sup> ქ. თბილისში არსებული პარლამენტის შენობა საპრივატიზაციო ნუსხაში იქნა შეტანილი, რაც მისი დაბრუნების გამორიცხვას გულისხმობდა. კონსტიტუციის ახალ რედაქციაში საერთოდ აღარაა საუბარი პარლამენტის ადგილმდებარეობის თაობაზე, თუმცა ზეპირი განცხადებების საფუძველზე დგინდება, რომ პარლამენტი ალბათ დაუბრუნდება დედაქალაქს.

საქართველოს ისტორიაში დღემდე მოქმედი ყველა კონსტიტუციისათვის და მის საფუძველზე არსებული რეჟიმისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი იყო ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს როლის დასუსტება, სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა შორის სისტემური ურთიერთობების დეფორმირება და დისბალანსის არსებობა, ქვეყნის ცენტრში ჭარბი ძალაუფლების კონცენტრირება, რაც მმართველობის საყოველთაოდ აღიარებულ და საქართველოს კონსტიტუციის მიერ განმტკიცებულ<sup>284</sup> - ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება. მხოლოდ თანასწორ საზოგადოებას შეუძლია შექმნას დემოკრატია და შესაბამისად, ხალხი, რომელსაც აქვს სუვერენული ხელისუფლება, თვითონ უნდა აკეთებდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი მას კარგად შეუძლია, ხოლო იმას, რისი გაკეთებაც კარგად არ შეუძლია, თავისი მინისტრების<sup>285</sup> მეშვეობით უნდა ახორციელებდეს.<sup>286</sup> არაფერია იმაზე უფრო უტყუარი, ვიდრე ის, რომ ადამიანებს აუცილებლად ესაჭიროებათ მმართველობა; ასევე უდავოა ისიც, რომ სადაც და როგორც უნდა იყოს იგი დაფუძნებული, ხალხმა მას უნდა ჩააბაროს თავისი ბუნებრივი უფლებების ნაწილი, რათა მთავრობა აუცილებელი ძალაუფლებით აღიჭურვოს.<sup>287</sup> თანამედროვე პოლიტიკური სისტემების იურიდიული ასპექტების გააზრება იძლევა საფუძვლიან მიზეზს იმისა, რომ დემოკრატიზაციის მზარდი პროცესის ტენდენცია ისევ და უფრო მეტადაც მიმზიდველი, ერთგვარი მიზნობრივი ორიენტირია სახელმწიფოთათვის. სწორედ აღნიშნულის მისაღწევად, ალტერნატიული კონსტიტუციური მოწყობების და ფორმების ძიება, საფრთხეებისა და უპირატესობების გააზრებით, წინარე გამოცდილებისა და ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინებით, პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში მუდმივი განხილვის საგანია. ხელისუფლების შტოებსა და ვერტიკალებს შორის ფუნქციათა განაწილების აუცილებლობაზე და მიზანშეწონილობაზე დიდი ქართველი მოაზროვნე, ილია ჭავჭავაძეც საუბრობდა.<sup>288</sup>

283 საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი.

284 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5, პუნქტი 4: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, მუხლი 4, პუნქტი 3.

285 სიტყვა “მინისტრებში” იგულისხმება წარმომადგენლები.

286 შ. ლ. მონტესკიე, “კანონთა გონი”, გვ. 38.

287 THE FEDERALIST PAPERS—PUBLIUS(NEW YORK NEWSPAPER 1787-1788) federalist # 2 John jay 31 October 1787.

288 გოგიაშვილი ო., “ილია დღეს. (იდეოლოგია, პოლიტიკა)”, თბილისი 2009, გვ. 264.

აღსანიშნავია ჟან ბოდენის შეხედულებებიც,<sup>289</sup> რომელიც ასევე აღიარებდა ხელისუფლების დანაწილების აუცილებლობას, თუმცა, სახელმწიფოს უმთავრეს ნიშნად სუვერენიტეტს მიიჩნევდა.<sup>290</sup> ჯ. ლოკის მოსაზრებითაც, სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაციის თავიდან ასაცილებლად და ადამიანის ბუნებითი თავისუფლების უზრუნველყოფისათვის ერთიანი ხელისუფლება დანაწილებული უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო, აღმასრულებელ და ფედერაციულ ხელისუფლებებად. ხელისუფლებებს შორის უზენაესი ძალაუფლებით უნდა გამორჩეულიყო საკანონმდებლო ხელისუფლება და სხვა დანარჩენი უნდა ყოფილიყვნენ მასზე დამოკიდებულნი. თუმცა, მას ასევე მიაჩნდა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესი ხასიათი სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ დანარჩენ ხელისუფლებებს არ შეეძლოთ მასზე გავლენის მოხდენა. აღსანიშნავია, რომ ლოკის მოსაზრებებზე დაყრდნობით მონტესკიემ კიდევ უფრო განავითარა ხელისუფლების დაყოფის თეორია. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური თავისუფლება და ადამიანის ბუნებითი თავისუფლების უზრუნველყოფა შესაძლებელია განპირობებული იყოს მხოლოდ ხელისუფლების გონივრული დანაწილებით.<sup>291</sup> მისი მოსაზრებით, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხი დაყოფილია გარკვეულ კლასებად და სწორედ ამ დაყოფის ხასიათში ვლინდება კანონმდებლის საქმიანობა. ჭეშმარიტ დემოკრატიაში ხალხი უნდა ადგენდეს კანონებს და მათგან უნდა გამომდინარეობდეს ჭეშმარიტი ძალაუფლება. სახელმწიფო ხელისუფლება იმდაგვარად უნდა იყოს გადანაწილებული, რომ არავის ჰქონდეს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. თანამედროვე მსოფლიოში ხელისუფლების დაყოფის ზოგადმა კონცეფციამ გარკვეულ შემთხვევებში ცვლილებები განიცადა. მაგალითისათვის შევადეთის კონსტიტუცია, სადაც საუბარია მე-4, ეგრეთ წოდებულ „საკონტროლო ხელისუფლებაზე“<sup>292</sup>. „არსებობს არა ერთი და ერთიანი ხელისუფლების სამი შტო, არამედ, სამი ხელისუფლება, რომელთაც აქვთ ერთი საერთო მიზანი და ამ მიზანს აღწევენ ურთიერთშეზღუდვის ხარჯზე“<sup>293</sup>. ყოველივე ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე, მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა, მკვიდრდება საერთო შეხედულება, რომ წარმომადგენლობითი ორგანო - პარლამენტი არის ორგანო, რომელიც აღჭურვილია ხალხის წარმომადგენლობითი მანდატით და ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. ნათელია, რომ პარლამენტის თანამედროვე ფუნქციებით აღჭურვაში ხელისუფლების დაყოფამ უდიდესი როლი შეასრულა. ეს იყო თანმიმდევრული და დროში თანმხვედრი პროცესი, რომელიც თანდათანობით ვითარდებოდა და იძლეოდა სახელისუფლებო მექანიზმის მონყოფის სხვადასხვა ნაირსახეობას. სწორედ ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო - პარლამენტი გახდა პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის წარმოშობის შემდეგაც გაჩნდა დაშვება, რომ საქმეები შეიძლება გადანაწილდეს ხელისუფლების შტოებს შორის, ამასთან ისე, რომ ერთმა შტომ, დადგენილ ფარგლებში, შეძლოს მეორის საქმიანობის კონტროლი<sup>294</sup> ე.წ. “Check and Balance.”

კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლებში მოიაზრება სახელმწიფოს ბოჭვა ძირითადი უფლებებით, სახელმწიფო განშტოებათა ეფექტიანი, განწინასწორებული სისტემა, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო ორგანოთა რაციონალურ, გონივრულ სისტემას, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ქმედუნარიანი სახელმწიფოს ფუნქციონირებას, და, მეორეს მხრივ, იმ ისტორიულ კანონზომიერებიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს თვითგაფართოებას და

289 Жан Боден. Шесть Книг о Государстве. Антология мировой философии В четырех томах. Т. 2. М., 1970, стр.144.

290 ი. რეხვიაშვილი, ჯ. ჯალიაშვილი. მ. ხოჭოლავა, პოლიტოლოგია, თბილისი 1991. წ. გვ. 27.

291 Ирхин И.В., Зотов Д. Политология, М. 1999, стр. 81.

292 მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, თბილისი, 1994წ, გვ. 33.

293 Чиркин В. Е. Государствование, М., 1999, стр. 97.

294 Энтин. Л. М., Разделение Властей, Москва 1995, стр. 16-18.

თავისი ყველგან და ყველაფერში ყოფნის გაძლიერებას,<sup>295</sup> გამორიცხავს თვითნებობას მმართველთა მხრიდან და ანარქიას მართულთა მხრიდან. საქართველოს კონსტიტუციურ ბიოგრაფიაში პრიმიტიული ექსკურსიც კი საკმარისია იმ თეზისის საილუსტრაციოდ, რომ ხელისუფლების პოლიტიკას ხელისუფლების სისტემაში არსებულ დეფორმაციებს და დისბალანსს საქართველოში, ჩვეულებრივ, სახელმწიფოში პირველი პირის პრობლემას უკავშირებენ.

თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის მოდელი ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება: ხელისუფლების დანაწილებასა და მის არჩევითობას. არჩევნები საშუალებას აძლევს მოსახლეობას გამოხატოს ხელისუფლებისადმი ნდობა და გახადოს მისი საქმიანობა ლეგიტიმური, ხოლო, მმართველობის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ არჩევნებიდან არჩევნებამდე ვერ შეძლოს ძალაუფლების უზურპაცია. ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის გააზრების საწყის ეტაპზე ვარაუდობდნენ რომ ხელისუფლების შტოებს შორის თავისი სიძლიერით უპირობო ლიდერი იქნებოდა საკანონმდებლო შტო, რომელიც დაჩაგრავდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ცნობილი მკვლევარი კარლ ფრიდრიხი ნერს: დეფინიციის მიხედვით, კონსტიტუციური ტიპის დემოკრატია ისეთი დემოკრატიაა, რომელიც მთელ ძალაუფლებას უმრავლესობას არ ანიჭებს.<sup>296</sup> მმართველობის ეფექტური ფორმის ძიება ყოველთვის იყო ცენტრალური საკითხი კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კონსტიტუციური მმართველობის ფორმის ძირითადი პრინციპები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემსგავსება, მაგრამ, ამავე დროს, მათ გამოარჩევს გარკვეული თავისებურებები, რომელიც ყოველთვის აისახება სახელმწიფო მონყობის კონსტიტუციურ პრინციპებზე. მმართველობის ფორმა, როგორც სახელმწიფოს ფორმის ელემენტი, ზოგად-კომპლექსური ინსტიტუტია, რომელიც მთლიანობაში აერთიანებს ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებს, რომელთა გარეშე იგი არ არსებობს. „მმართველობის ფორმა - კონსტიტუციის ხერხემალია“<sup>297</sup>. კონსტიტუციაში უპირველეს ყოვლისა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის ფუნქციების განაწილება, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის შექმნა. „კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს ისეთ იურიდიულ ნორმებს, რომლებიც საზღვრავენ სახელმწიფოს ფუნქციების განაწილებას ორგანოთა შორის, ორგანოთა ორგანიზაცია და სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობას“<sup>298</sup>. „კონსტიტუცია შეიცავს აღნუსხვას იმისას, თუ რა ჩარჩოებში უნდა ხდებოდეს მოღვაწეობა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველი მოქალაქის. ერთი სიტყვით, კონსტიტუცია სავალდებულოა არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების-მთავრობისათვის, არამედ თვით კანონმდებელი ორგანოს-პარლამენტისათვის.“<sup>299</sup>

კონსტიტუცია აგრეთვე უნდა იყოს დემოკრატიული შინაარსის. დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლების თანამედროვე მოდელები ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. პარლამენტი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში ხელისუფლების საკანონმდებლო განშტოებას მიეკუთვნება და მისი ძირითადი და უმთავრესი ფუნქცია სწორედ საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაა. გარდა ამ ფუნქციისა, პარლამენტს არაერთი სხვა ფუნქციაც აქვს, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ კონსტიტუციურ სისტემაზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაანალიზდეს არა მარტო მისი კომპეტენცია, არამედ, მისი ურთიერთობა ხელისუფლების სხვა განშტოებებთან და მისი დამოუკიდებლობის ხარისხი. ძირითად

295 Халипов В. П. Энциклопедия власти. М., 2005, ст 441-449 и другие.

296 ფილიპ ლოვო. თანამედროვე დიდი დემოკრატები. თბილისი, 2002, გვ. 97.

297 საყვარელიძე პ., გაზეთი „სრ“, 1920 წელი, 1 თებერვალი.

298 მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, 1918 წელი, ტფილისი, გვ. 17.

299 ნინიძე კ., ცისკარიძე ალ; სამართლის მეცნიერება, „ნორჩი საქართველოს“ გამომცემლობა; თბ. 1920 წელი, გვ. 43-44

პრობლემას საპარლამენტო რესპუბლიკაში წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მუდმივი და ეფექტიანი კონსტროლის უზრუნველყოფა. მთავრობის დამოკიდებულება პარლამენტთან დიდწილად დამოკიდებულია მმართველობის ფორმაზე. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მთავრობა პრეზიდენტის მეთაურობით ფორმირდება არასაპარლამენტო გზით და თავისი საქმიანობით არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე. მთავრობამ უნდა შეასრულოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, მთავრობის საპრეზიდენტო მოდელი გულისხმობს ისეთი სისტემის შექმნას, სადაც ხელისუფლების ორივე შტო - საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ აქვთ ერთმანეთის განონასწორების შეზღუდული მექანიზმები. „კონტროლისა და ბალანსის სისტემა“ ეფუძნება უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობას. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მუდმივი და ქმედითი კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი მექანიზმები ყველაზე სრულყოფილად მოცემულია სახელმწიფო მონყობის იმ მოდელში, რომელსაც საპარლამენტო რესპუბლიკას უწოდებენ. საპარლამენტო რესპუბლიკა არის მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც სახელმწიფოს სათავეში არის არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო და მთავრობა ფორმირდება და შეუდგება მოქმედებას მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი ფლობს ნდობას პარლამენტის ქვედა პალატისა ან ორივე პალატის მიერ.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო მოდელების კლასიფიკაცია შესაძლოა მოვახდინოთ პარლამენტის კონსტიტუციური ფუნქციებისა და როლის მიხედვითაც. სახელისუფლებო სამკუთხედის - აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის აგებულება ხელისუფლების მკაცრ დანაწილებაზე, აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის შეზღუდული ურთიერთქმედების მექანიზმებით, დამახასიათებელია საპრეზიდენტო სისტემებისათვის, ხოლო თუ პარლამენტს აკისრია ორი ძირითადი კონსტიტუციური ფუნქცია: საკანონმდებლო ფუნქცია და მთავრობის სადამფუძნებლო და კონტროლის ფუნქცია, რაც გამოხატულია იმაში, რომ მთავრობის შექმნა, საქმიანობის დაწყება და ვადები დაკავშირებულია პარლამენტის მიერ მთავრობის ნდობის ვოტუმის მინიჭებაში, სახეზეა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი.

საპარლამენტო რეჟიმი ერთმანეთს უკავშირებს ძალაუფლებას და პასუხისმგებლობას. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაში, პრეზიდენტს ხალხი ირჩევს, ხოლო, საპარლამენტო მოდელისთვისაა თეორიულად დამახასიათებელი პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევა. საპრეზიდენტო მოდელში მთავრობა როგორც კონსტიტუციური ორგანო არ არსებობს, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი თავისი დანიშნული მინისტრების მეშვეობით. საპარლამენტო მოდელში სახეზეა მთავრობისა და მისი მეთაურის პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნაც საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშანია, მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო მოდელში სახელმწიფოს მეთაური მოკლებულია ამის შესაძლებლობას.

ნიშანდობლივია, რომ პარლამენტი ჩამოყალიბდა ხალხის წარმომადგენლობით ინსტიტუტად, რომელიც აღმოჩნდა ყველაზე უფრო საუკეთესო საყრდენი ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებისათვის. ნათელი გახდა, რომ პარლამენტი პროგრესის შედეგია და იგი საჭიროა იმ ხალხისათვის, რომელიც წარმოადგენს შემდგომი პროგრესისა და განვითარების დასაბამს. თავისი ფუნქციებიდან, ნდობის დიდი მანდატიდან და ლეგიტიმაციის ხარისხიდან გამომდინარე, პარლამენტი ჩამოყალიბდა როგორც ლიდერი ხელისუფლების დანარჩენ შტოებს შორის. სწორედ მის უფლებამოსილებაში შევიდა საკანონმდებლო საქმიანობა და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

პარლამენტების წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა ისეთი სამართლებრივი კატეგორია, როგორცაა – პარლამენტარიზმი. კლასიკურ თეორიებში ხშირად ერთ-

მანეთისგან გამოყოფენ პარლამენტსა და პარლამენტარიზმს. მიღებულია მოსაზრება, რომ პარლამენტარიზმი წარმოუდგენელია პარლამენტის გარეშე. თუმცა, ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ პარლამენტარიზმი არის მხოლოდ ის სისტემა სადაც პარლამენტს უკავია დომინირებული მდგომარეობა (აქ იგულისხმება საპარლამენტო ტიპის რესპუბლიკები). მათი აზრით პარლამენტარიზმი არის იქ სადაც პარლამენტს შეუძლია შექმნას და აკონტროლოს მთავრობა. პარლამენტარიზმის ცნებაში იგულისხმება სახელმწიფო ხელმძღვანელობის ისეთი ფორმა, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში პარლამენტს ეკუთვნის წამყვანი ადგილი და მას აქვს სრულფასოვანი საკონტროლო უფლებამოსილება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, აგრეთვე დეპუტატებს გააჩნიათ პრივილეგირებული მდგომარეობა და ისინი დამოუკიდებლები არიან პარლამენტისაგან.<sup>300</sup> როგორც არ უნდა იყოს მოსაზრებები პარლამენტისა და პარლამენტარიზმის შესახებ, ერთი რამ ცხადია - პარლამენტი არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, იგი არის ხალხის მიერ არჩეული და ზუსტად პასუხობს დემოკრატიის (demos cratos - ხალხის მმართველობა) პირდაპირ აზრობრივ მნიშვნელობას. პარლამენტს, როგორც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების ორგანოს, მინიჭებული აქვს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ფუნქცია - საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, რაც გულისხმობს, იმას, რომ მხოლოდ იგი შეიმუშავებს და მიიღებს უმთავრეს საკანონმდებლო აქტებს, განსაზღვრავს და წარმართავს პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო უშუალოდ ახორციელებს ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრას და პირდაპირ მონაწილეობს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებასა და დამონებაში. ზემოაღნიშნულ ფუნქციებს თუ დავამატებთ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებებსაც, ცხადი გახდება, რომ პარლამენტი მართლაც წარმომადგენს წამყვან სახელისუფლებო შტოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ერთიან სისტემაში. პარლამენტის, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს როლი უმნიშვნელოვანესია და მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია სრულყოფილი საკანონმდებლო საქმიანობისა და დასახული კონკრეტული საკითხების შესრულების კონტროლის მექანიზმების შეუფერხებელი განხორციელება.

უკანასკნელი საკონსტიტუციო ცვლილებებით, გამარტივდა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, დაწესდა დაბალი კვორუმი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნისთვის, რაც გააძლიერებს ოპოზიციის და შესაბამისად, პარლამენტის წარმომადგენლობით ბუნების როლს, აგრეთვე, დაწესდა პრემიერ-მინისტრის ვალდებულება პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგენის თაობაზე, შეიქმნება ინტერპელაციის ინსტიტუტის რეალურად დამკვიდრების ინსტიტუციური პირობები. კონსტიტუციაში აღარ არის გათვალისწინებული მთავრობის წევრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. აგრეთვე გაუქმდა ნორმა, რომელიც პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში ითხვალისწინებს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების ხელახალ პროცედურას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უმრავლესობის დეპუტატები იშვიათად მიმართავენ და უფრო ხშირად ბლოკავენ საპარლამენტო კონტროლის ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა პარლამენტის წევრის კითხვა და ანგარიშვალდებული პირების დაბარება კომიტეტის და ფრაქციის სხდომაზე. საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ეფექტურობას კანონმდებლობასთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს პოლიტიკური კულტურა და ანგარიშვალდებული ორგანოების თუ პირების ამის მკაფიო გაცნობიერება.

300 Моргунова М. А. Парламенты зарубежных государств, 1999

## რეზიუმე

ქართული პარლამენტარიზმის განვითარების გარდამავალ ეტაპზე საკმაოდ აქტუალურია საპარლამენტო მმართველობისა და პარლამენტარიზმის კვლევის დინამიკა, როგორც მმართველობის ოპტიმალური მოდელის. პარლამენტარიზმის ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება, აქტუალურია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ჩვენი გამოცდილებები მნიშვნელოვანია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვისაც. სწორედ აღნიშნული საკითხების კვლევას ისახავს მიზნად სტატია.

ნაშრომში მოცემულია პარლამენტარიზმის პრინციპები და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების შესწავლის საფუძველზე გაკეთებულია ავტორისეული მოსაზრებები.

## Resume

The dynamics of parliamentary governance and parliamentarism research as the optimal model of governance is quite relevant at the transitional stage of development of Georgian parliamentarism. Formation and further development of parliamentarism is important not only for Georgia, but also our experiences are important for the former Soviet Union countries. The aim of the research is to study the issues.

The paper deals with the principles of parliamentarism and the author's opinions are based on the study of a number of issues related to it.

## Резюме

Динамика исследований парламентского управления и парламентаризма как оптимальной модел управления весьма актуальна на переходном этапе развития грузинского парламентаризма. Формирование и дальнейшее развитие парламентаризма важно не только для Грузии, а и для стран бывшего Советского Союза. Цель исследования - изучить проблемы.

В статье рассматриваются принципы парламентаризма, а мнения автора основаны на изучении ряда связанных с ним вопросов.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. დუგლას ვ. ვერნი, საპარლამენტო მმართველობა და საპრეზიდენტო მმართველობა, გამომცემლობა „უფლება“, შემდგ. პროფესორი ოთარ მელქაძე., თბილისი, 1996 წ.,
2. ნოე ჟორდანია, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, ტფ. 1918 წ.,
3. სურგულაძე პ. ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბილისი, 1991 წელი,
4. ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი, 2003.
5. პიერ პაქტი., ფერდინან მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2012.
6. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. თბ., 2014,
7. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, თბ. 1920 წ.,

8. ფილიპ ლოვო. თანამედროვე დიდი დემოკრატები. თბილისი, 2002,
9. საყვარელიძე პ., გაზეთი „სრ“, 1920 წელი, 1 თებერვალი.
10. მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, 1918 წელი, ტფილისი,
11. ნინიძე კ., ცისკარიძე ალ; სამართლის მეცნიერება, „ნორჩი საქართველოს“ გამომცემლობა; თბ. 1920 წელი,
12. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა გონი“,.
13. სავანელი ბ., სამართლის თეორია, თბ. 1993 წ.
14. ი. რეხვიაშვილი, ჯ. ჯალიაშვილი. მ. ხოჭოლავა, პოლიტოლოგია, თბილისი 1991.
15. ჟურნალი სოლიდარობა 1 (22) - ხუან ხოსე ლინცი, დონალდ ჰოროვიცი, სეიმუნ მარტინ ლიფსეტი. „აქვს თუ არა ინსტიტუტებს მნიშვნელობა?(Liberum arbitrum).
16. გოგიაშვილი ო., “ილია დღეს. (იდეოლოგია, პოლიტიკა)”, თბილისი 2009,
17. Жан Боден. Шесть Книг о Государстве. Антология мировой философии В четырех томах. Т. 2. М., 1970,.
18. Ирхин И.В., Зотов Д. Политология, М. 1999,
19. Чиркин В. Е. Государствоведение, М., 1999,
20. Энтин. Л. М., Разделение Властей, Москва 1995,
21. Халипов В. П. Энциклопедия власти. М., 2005, ст 441-449 и другие.
22. THE FEDERALIST PAPERS- PUBLIUS (NEW YORK NEWSPAPER 1787-1788) federalist # 2 John jay 31 October 1787.
23. Мигшель Амеллер. Парламент. М. 1984.
24. Моргунова М. А. Парламенты зарубежных государств, 1999.



# 1. ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი და მასშტაბები

## პროფესორი ირაკლი გაბისონია

ტერორიზმი გამუდმებით განიცდის ევოლუციას და სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, იზრდება მისი მოქმედების არეალი და მასშტაბები, იცვლება ტერორიზმის მეთოდები და მიზნები. ტერორიზმა, როგორც გლობალურმა საფრთხემ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა და მილიონობით დაღუპული, დაზარალებული და ლტოლვილი ადამიანის სტატუსი დაამკვიდრა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმით გამოწვეული პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანურ დანაკარგებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული და მწვავე გლობალური პრობლემაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო ამოცანად იქცა. ტერორის განხორციელება სხვადასხვა მეთოდით ხდება და ტერორისტების მიზნებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ყველა შემთხვევაში ტერორიზმი არის საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოყენებული ძალადობა, რომელიც ხორციელდება უკიდურესი ფორმით: მკვლელობა, აფეთქება, გატაცება, დაჭრა, მძევალთა აყვანა, და ა.შ. ეს არის უმძიმე დანაშაული, რომელიც მუდმივ შიშში ამყოფებს როგორც მოსახლეობას, ისე ხელისუფლებას და კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს მთელ ქვეყანას.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ტერორიზმი არა მხოლოდ ერთი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს უნივერსალურ პრობლემათა შორის გახლავთ.<sup>301</sup> იგი თავისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით, მასშტაბებითა და ინტენსიურობით, არაადამიანობითა და სისასტიკით გლობალური მნიშვნელობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და საჭირობო საკითხად იქცა.<sup>302</sup>

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისათვის გლობალიზაცია წარმოადგენს მთავარ გამოწვევას, რადგან საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის მცირდება განსხვავება, რაც იწვევს საშინაო და საგარეო უსაფრთხოების შემცირებასაც. საშინაო საკითხები გადაიქცევიან საერთაშორისო დონეზე განსახილველ თემებად და პირიქით. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესი დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.<sup>303</sup> ტერორიზმი გვევლინება როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი რაოდენობა. მათი ჩართულობა კი მიმართულია საერთო თანამშრომლობით საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ. ყველა თანხმდება იმის თაობაზე, რომ ტერორიზმი 21-ე საუკუნეში სახელმწიფოთა უმრავლესობის პრობლემაა, თუმცა მას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს. ტერორიზმი დანაშაულებრივი ხელყოფის ერთ-ერთი საშიში ფორმაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სუბიექტის მისწრაფება (ლტოლვა), მიმართული გარშემომყოფთა დაშინებისაკენ, მოქალაქეთა სოციალური ქმედებების პარალიზებისაკენ, ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისა და მართვის შეფერხებისაკენ.<sup>304</sup> ტერორიზმის გავრცელების მასშტაბები და მათი ქმედებების მატერიალური

301 ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული კავშირები “ისლამური სახელმწიფოს” მაგალითზე, თსუ, 2015, გვ. 23.

302 საქართველოს პარლამენტის აპარატი კვლევითი დეპარტამენტი ანალიტიკური განყოფილება ტერორიზმის შესახებ, გვ: 1

303 <http://intermedia.ge/სტატია/58998-თანამედროვე-ტერორიზმი-და-მისი-ისტორია/22/>

304 ნინო ჩაჩავა “ZUR DEFINITION DES TERRORISMUS” ყურნალი “საერთაშორისო სამართალი” 1999

თუ არამატერიალური ზარალი ყოველგვარ ზღვარს სცდება. ტერორიზმი პოლიტიკური ძალადობის კატეგორია გახლავთ, რომელიც გამიზნულია გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობასა თუ საგარეო/საშინაო პოლიტიკაზე. აღნიშნული კი ცალსახად ხელყოფს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებებს.

ტერორიზმის ასე მძლავრად გავრცელება და საერთაშორისო საზოგადოების ასეთი შეშფოთება შესაძლოა აიხსნას მრავალი იმ ფაქტორით რაც ტერორისტების საქმიანობების ეფექტურ გავრცელებასა და გადატანას ემსახურება<sup>305</sup>

ტერორიზმი, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული დიდ პრობლემებს უქმნის სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ხელს უშლის რა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის დაცვას, შიდა კონფლიქტების მოგვარებასა და მათ თავიდან აცილებას, ასევე ტერორიზმის, იარაღის გავრცელებისა და ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაციის პრევენციას<sup>306</sup> მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა კაცობრიობა უდიდესი პრობლემის წინაშე დააყენა, იგი პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ სახედ იქცა.<sup>307</sup>

თანამედროვე ტერორისტებს გააჩნიათ მზარდი ტექნიკური აღჭურვილობა, საკმაოდ დიდი ფინანსური სახსრები და ორგანიზების მაღალი დონე. მოცემული დანაშაულებრივი საქმიანობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი შიდა და საერთაშორისო ტერორიზმს შორის ზღვარის არარსებობაა. ტერორისტულ ორგანიზაციათა კავშირები ნარკობიზნესთან და იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ფართოვდება. ფიქსირდება ტერორისტული ჯგუფების ზრდის დინამიკა<sup>308</sup>

ბოლო წლებში განხორციელებული ტერაქტის შედეგად სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოს 5 ქვეყანაში-ერაყში, ნიგერიაში, ავღანეთში, პაკისტანში და სირიაში დაფიქსირდა. ამ სიას აგრძელებს ინდოეთი, იემენი, სომალი, ლიბია და ტაილანდი. ტერორისტების მიერ ხელმეუხებელ ქვეყნებს შორის მოხვდა დანია, სლოვენია, ესტონეთი, ზამბია, მოლდოვა, კატარი და ქუეითი, უკანასკნელი წლებში ტერაქტების შედეგად დაღუპულთა უმეტესობა ტერორისტული ორგანიზაციების „ისლამური სახელმწიფო“-ს, „თალიბან“-ის, „ალ-ქაიდა“-ს, და „ბოკო ჰარამ“-ის თავდასხმების შედეგია.<sup>309</sup>

ტერორიზმის კერები ძირითადად რამდენიმე ქვეყანაშია კონცენტრირებული, მაგრამ იმ სახელმწიფოთა რიცხვი, სადაც ტერაქტები ხორციელდება მუდმივად იზრდება. უკანასკნელ ათწლეულებში ტერორიზმი შემამოფოთებელი ტემპებით ვითარდებოდა, იგი როგორც აღვნიშნეთ, საყოველთაო გლობალურ საფრთხედ იქცა, საერთაშორისო ტერორიზმის ფორმა მიიღო და მთელ მსოფლიოს დაემუქრა.

მსოფლიო თანამეგობრობა პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ტერორიზმის ნებისმიერი საშუალების გამოყენებას კატეგორიულად გმობს, ამიტომაც გაერო-305 ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული კავშირები “ისლამური სახელმწიფოს” მაგალითზე, თსუ, 2015, გვ23

306 Brock Mark, Miguel De Anda, Rummel Joseph and Calderon Michelle. March 29, 2010; December 2004. The Impact of Transnational Organized Crime A/59/565

307 აშშ-ში ტერორისტულ აქტებს ქვეყნის ოთხი პრეზიდენტი შეენირა-აბრაამ ლინკოლნი(1865); ჯეიმს აბრამ გარფილდი (1881 წ), უილიამ მაკ-კინლი (1901 წ.) და ჯონ ჯენედი (1963წ.) ასევე, ცნობილია აშშ-ის მოქმედ და ყოფილ პრეზიდენტებზე შეიარაღებული თავდასხმის 20-ზე მეტი მცდელობის შესახებ, მათ შორის თეოდორ რუზველტზე და რონალდ რეიგანზე, ინდოეთში განდების ოჯახის სამი ცნობილი წარმომადგენელი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები ტერორისტების ხელით დაიღუპნენ; 1972 წელს მიუნხენის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე 11 ებრაელი სპორტსმენის სიცოცხლე შეინირა ტერორისტთა მოქმედებამ, 1981 წელს თურქმა ტერორისტმა მუჰამედალი-ადქმა თავდასხმა მოაწყო რომის პაპ იოანე-პავლე მეორეზე და .აშ.

308 Голубев В., Сайтарлы Т. Проблемы борьбы с кибертерроризмом в современных условиях. - <http://www.crime-research.org/library/e-terrorism.htm>

309 მონაცემები მოპოვებულია ტერორიზმის გლობალური რეიტინგის (Global Terrorism Index), კვლევაში, რომელიც ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა (The Institute for Economics and Peace).

თიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიოს საერთაშორისო სტრუქტურები, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, აღიარებენ თანამედროვე მსოფლიოსათვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრიორიტეტულ პრობლემად.

თანამედროვე ტერორიზმი წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუციის დროს (1789-1795). აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა საფრანგეთის მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებების აღწერისათვის. 1848 წლისათვის ტერმინის მნიშვნელობა შეიცვალა და მას იყენებდნენ მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი აგრესიული რევოლუციონერების ქმედებების აღსანიშნავად. შემდგომ პერიოდში ტერორიზმი გულისხმობდა იმ ძალადობრივ ქმედებებს, რომლებსაც ახორციელებდნენ სხვადასხვა დაჯგუფებები.

კაცობრიობის განვითარების ეტაპების მიხედვით იცვლებოდა და დღესაც განიცდის ცვლილებას ტერორიზმის მნიშვნელობა, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც მეცნიერების, ტექნოლოგიების, ასევე სხვა სუბიექტური, თუ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე. დღეისათვის ტერორიზმით დაკავებული არიან დიდი დაჯგუფებები, რომლებიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ და მისი წევრები ძირითადად რელიგიურად ფანატიკოსები არიან. ტერორისტები ძირითადად არ ცნობენ კონკრეტული სუვერენული სახელმწიფოს იურისდიქციას, არ ცნობენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, უკმაყოფილებას გამოთქვამენ არსებულ სოციალურ გარემოებათა გამო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტერორიზმის განხილვისათვის მისი განვითარების ისტორიული კონტექსტის გაანალიზება<sup>310</sup>.

ტერმინი „ტერორიზმი“ ყველაზე პოპულარულია ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკოსების ლექსიკონში გაჩნდა. ტერორიზმი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო და აუცილებელი ინტერესების განსახორციელებლად მსოფლიო პოლიტიკაში.

დ. ლუისი საერთაშორისო და შიდა ტერორიზმს ქვემოთმხსენებული ნიშნებით განასხვავებს.

საერთაშორისო ტერორიზმი ქვეყნის გარედან მართულია, მხარდამჭერი ქვეყნების ან ორგანიზაციების მიერ. ეს ქვეყნები ტერორიზმს განიხილავენ, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელიც შენიღბული ფორმით ხორციელდება, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციების შექმნით, დაფინანსებით, კოორდინაციით და სხვაგვარი მხარდაჭერით.<sup>311</sup>

შიდა ტერორიზმი კი ჯგუფის ან ცალკეული პირის აქციებია, რომელთა განხორციელება ქვეყანაში გარეშე ძალების ჩარევის გარეშე ხდება. იგი მიმართულია არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ქვეყნის დესტაბილიზაციისა და ნგრევისაკენ ძალადობის სხვადასხვა მეთოდისა და ხერხის გამოყენებით. შიდა ტერორიზმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმოაჩინოს მთავრობა, როგორც უუნარო თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფაში.

შიდა ტერორიზმი ასევე არის ძალის ან ძალადობის უკანონო გამოყენება, ადამიანების ან ქონების წინააღმდეგ, მთავრობის, სამოქალაქო მოსახლეობის ან ნებისმიერი მისი სეგმენტის დაშინებისათვის, პოლიტიკური ან სოციალური მიზნის მისაღწევად. ჰ.შნაიდერი კი განასხვავებს პოლიტიკურ ტერორიზმს, რომელიც ხორციელდება ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომელიმე მთავრობის დავალებით ან რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ; განმარტავს ნაციონალურ ტერორიზმს ანუ ის არის ძალადობა რომელიმე ხალხის დამოუკიდებლობის მისაღწევად, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის მეორესაგან გამოსაყოფად ან გასაერთიანებლად.<sup>312</sup>

შნაიდერი თვლის, რომ პოლიტიკური ტერორიზმი უნდა გავიგოთ როგორც ძალ-

310 გ. გორაშვილი, „ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები“. თბილისი; გამომცემლობა „უნივერსალი“. გვ:91;

311 დ.ლუისი „ტერორიზმთან ბრძოლა XXI საუკუნეში“, გვ:1- 2.

312 ჰ.შნაიდერი. „კრიმინოლოგია“ გვ: 12.

ადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება პირების ან ნივთების წინააღმდეგ, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხორციელდება ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფის მიერ, რომელიმე მთავრობის დავალებით, რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ.<sup>313</sup>

ჟან პრადელი და მიშელი დანდი ჟუანი მიიჩნევენ, რომ ტერორისტული აქტი არის ქმედება, რომელიც კოლექტიურ შიშს წარმოშობს, „ნერგავს“ მოსახლეობაში მისგან, ან მთავრობისაგან გარკვეული დათმობის მიზნით<sup>314</sup>.

80-იანი წლებიდან ტერორიზმის პრობლემა მსოფლიო თანამეგობრობას მოეწვლინა ისეთი ასპექტებით, როგორცაა ტერორისტული ორგანიზაციების საერთაშორისო კორპორაცია ან ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან მათდამი პოლიტიკური, მორალური თუ მატერიალური მხარდაჭერის ფონი. სახელმწიფოს „სპონსორების“ მხარდაჭერამ განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლებლობები. თანამედროვე მსოფლიო დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ შემუშავდა სახელმწიფო ტერორიზმის წინააღმდეგ ანტიტერორისტული ღონისძიებების საერთაშორისო სისტემა. ტერორიზმის პოლიტიკური სახიდან გამოვყოფთ რამდენიმეს:

ტერორიზმი, რომელიც ძირს უთხრის სახელისუფლებო სისტემას, ასუსტებს ქვეყნის მართვის ეფექტურობას, ინვესს არასასურველ მოვლენებს. ტერორიზმი, რომელიც ასუსტებს რა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებს პოტენციურად ახდენს საზოგადოებაში ანტიკონსტიტუციური წარმონაქმნების შექმნის შესაძლებლობებსა და გავლენის გაფართოებისათვის პირობების მომზადებას.

ტერორიზმი, რომელიც ახდენს რა მოსახლეობაზე მორალურ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, ინვესს ქვეყანაში ქაოსს, უწესრიგობას და სხვა. რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ძალებს, ეს ყველაფერი გამოიყენოს თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტერორიზმი არ არის მხოლოდ ხელისუფლებისა და უსაფრთხოების სამსახურის გამოწვევა არსად, მათ შორის, ცხადია, ჩვენს ქვეყანაშიც, უნდა მოხდეს იმის გაცნობიერება, რომ ტერორიზმი საფრთხეს მხოლოდ ხელისუფლებას კი არ უქმნის არამედ, თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს შვილებს, ჩვენი ქვეყნის საერთო მომავალს უქმნის საფრთხეს. თუ ამის გაცნობიერება არ მოხდება მაშინ, ჩვენ ბევრ რამეზე მოგვიწევს უარის თქმა.. უარის თქმა მოგვიწევს ჩვენს მომავალზე, პერსპექტივებზე, სტაბილურობაზე. ამიტომ, როდესაც საუბარია ტერორიზმზე აქ ყველას გვმართებს ერთიანობა. არა მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრზეა საუბარი ამ შემთხვევაში, რომელიც არასწორად იქცევა როდესაც ამ ურთულეს თემას საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებს. უფრო მეტიც, მთელ რიგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოების ხარჯზე ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომელიც თითქოსდა ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული, რეალურად კი სახელმწიფოს ებრძვიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ტერორიზმის პრევენციის კუთხით არაერთი ნაბიჯი გადადგა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერორისტულ საფრთხეებზე მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. განხორციელდა ტერორისტული თავდასხმის პოტენციური სამიზნე სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტებისა და მათი დამხმარე შენობა-ნაგებობების პასპორტიზაცია და რისკების ანალიზი. შეფასდა მაღალი რისკის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების (ე.წ. იოლი სამიზნეები) უსაფრთხოების ზომები. მუდმივად ხორციელდება ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური დანაყოფების მომზადება/გადამზადება როგორც ტაქტიკური მოქმედებების (სნაიპერის კურსები, ანტიტერორისტული ღონისძიებები ქალაქის პირობებში, ტერორისტების ბანაკების განადგურების ოპერაციები, სამთო მომზადების კურსები და ა.შ.), განალმვითი სამუშაოების, ისე მასობრივი განადგურების საშუალებების გამოვლენისა და გაუვნებელყოფის კუთხ-

313 იქვე

314 ჟან პრადელი, ჟურნალი “droit penal special” 1995 წ.

ით. ამ მიმართულებით ხაზგასასმელია საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა. გაუმჯობესდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ტაქტიკური დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა<sup>315</sup>.

ტერორიზმი გადის რა კონკრეტულად აღებული ქვეყნების ფარგლებს გარეთ, იღებს საერთაშორისო ხასიათს და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო თანამეგობრობას; გაეროს 2001 წლის 1373 რეზოლუციის თანახმად, „საერთაშორისო ტერორიზმი, რომელსაც მოყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი, დღეს განიხილება ისეთ ქმედებად, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას“<sup>316</sup>. იგი წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. საერთაშორისო საზოგადოებამ დღემდე ვერ შეიმუშავა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი კონცეფცია.<sup>317</sup> ყველა ქვეყანა ცდილობს თავისებურად ახსნას და ეროვნულ კანონმდებლობაში თავისებური განსაზღვრება მისცეს, ან ჩამოთვალოს ის ძირითადი ნიშნები, რომელიც ტერორიზმს ახასიათებს. სპეციალისტები, რომლებიც ანალიზებენ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმიანობას „ექსპერტთა აზრით“, ასეთი ტიპის გაერთიანებების რიცხვი მსოფლიოში 500-ს აღწევს“. გამოყოფენ მათი მხრიდან პიროვნებისა და საზოგადოებაზე ძალადობის რამდენიმე სახეობას, ფიზიკურს, ქონებრივს და მორალურ ფსიქოლოგიურს. ტერორისტების მხრიდან, ფიზიკური ძალადობის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმიანობიდან ჩამოცილება, მათი განეიტრალების (მათ შორის ლიკვიდაციის) გზით პოლიტიკის კურსის შეცვლა. ფიზიკური ძალადობის მეტოდი შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო სიცოცხლის ხელყოფით, არამედ ჯანმრთელობის ისეთი სერიოზული დაზიანებით ან თავისუფლების იმ დონემდე შეზღუდვით, როდესაც დაზარალებულს პრაქტიკულად აღარ შეუძლია იმ საქმიანობის შესრულება, რომელსაც მანამდე ასრულებდა.

მორალურ-ფსიქოლოგიური ძალადობის განხორციელების ფორმები და გზები არის შანტაჟი, მუქარა, ცილისწამება და სხვა მსგავსი მოქმედებები პოლიტიკური მიწინააღმდეგის დაშინებისა და დისკრედიტაციისათვის.<sup>318</sup>

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზითა და ექსპერტების შეფასებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ტერორიზმი ერწყმის ორგანიზებულ დანაშაულს და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ხდება. ტერორიზმი აფართოებს ორგანიზებული დანაშაულებრივი სტრუქტურის შესაძლებლობებს.

ტერორისტული დაჯგუფებები, ასრულებენ რა ორგანიზებული დანაშაულებრივი სისტემების კონკრეტულ დავალებებს, პრაქტიკულად ასუსტებენ საზოგადოების სოციალურ აქტივობას, არაეფექტურს ხდიან სახელმწიფო და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. ტერორიზმის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ორგანიზებული დანაშაულებრივი სისტემები ახერხებენ მიაღწიონ ქაოსს, სახელმწიფო ინსტიტუტების პარალიზებას.<sup>319</sup>

საქართველო დიდი ხანია დგას ამ მძიმე რეალობისა და შესაბამისად, აუცილებლობის წინაშე, შემუშავდეს და შესრულდეს ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის სიმბიოზური გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური პროგრამა. ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, ბოლო პერიოდში შექმნილი ვითარება შეიძლება შევაფასოთ

315 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://ssg.gov.ge/page/counter-terrorism>

316 გაეროს უშიშროების საბჭო, (2001 წელი). რეზოლუცია 1373, პრეამბულა.

317 ავტ. კოლექტივი: სოფო ჩქოფოია, კახა ჭყოიძე, ნონა ლომიძე, მალხაზ რაზმაძე, „საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა)“, თბილისი 2016 წელი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

318 ავტ. კოლექტივი: სოფო ჩქოფოია, კახა ჭყოიძე, ნონა ლომიძე, მალხაზ რაზმაძე, „საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა)“, თბილისი 2016 წელი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

319 ევროპის კონვენცია, „ტერორიზმის აღკვეთის შესახებ“. 1997 წლის 27 იანვარი. მუხლი 2.

როგორც პრობლემური ე.წ. „კრიმინალური ტერორიზმის“ თვალსაზრისით.

ბოლო წლებში პანკისის ხეობით დაინტერესება გამოიწვია მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე სხვადასხვა მნიშვნელოვანმა მოვლენამ, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის არასტაბილურობამ, ჩეჩნეთის ორმა ომმა, რადიკალური ისლამის გავრცელებამ რეგიონში ახლო აღმოსავლეთიდან წამოსული ემისარების მიერ. ამ მცირე ხეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისლამური ტერორიზმის გლობალურ ქსელში<sup>320</sup>. განსაკუთრებით მინდა შევეხო ბოლოს მომხდარ უმძიმეს ფაქტს, რა დროსაც ორი ახალგაზრდა დაიღუპა, მათ შორის, ერთი სპეცრაზმელი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება წარმოებს მთავარ პროკურატურაში. მოხდა მტკიცებულებათა ნაწილის გასაჯაროება, შესაძლებელია მათ კავშირი ჰქონდეთ ტერორისტებთან. სამწუხაროდ, ეს კავშირები დღეს არ შექმნილა, საქართველოს სახელის საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირება განაპირობა პანკისის ხეობაში განვითარებულმა მოვლენებმა, რაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ იღებს სათავეს. თუმცა მიზეზები უფრო ღრმა და მრავლისმომცველია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ერთი რამ შემიძლია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სახიფათოა ტერორიზმის გაიგივება, რომელიმე რელიგიური თუ ეთნიკური კუთხით. მით უფრო მაშინ, როდესაც პანკისში ტერორისტული საქმიანობის გააქტიურების მიზეზი არ არის ეთნოკულტურული და რელიგიური მახასიათებლები. ის მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებთან. აღნიშნული ეხმიანება იმ პოზიცია, რომ „ტერორიზმის სოციალური საფუძვლები, როგორც წესი, უკავშირდება სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას“<sup>321</sup>.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ვინმეს ან კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ, საქმე გვაქვს საერთაშორისო ხასიათის უმძიმეს დანაშაულთან, რომელთანაც ბრძოლა ნებისმიერი ხელისუფლების ვალდებულებაა. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ტერორიზმი და მასთან დაკავშირებული მოქმედებები, არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის ჩვენს მოქალაქეებს არამედ, პირდაპირ ურტყამს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობასა და პერსპექტივებს, ამიტომაც, ბუნებრივია სახელმწიფომ ადეკვატური რეაგირება უნდა გააკეთოს.

გერმანიაში ტერორისტული ორგანიზაციების გამოსავლენად სხვადასხვა კრიტერიუმებია შემუშავებული, კერძოდ, პოლიტიკური მიზნის არსებობა და მისი გამოვლინების ანტიდემოკრატიული ხასიათი; ორგანიზაციის მიერ დასაშინებლად; ზენოლისათვის ძალადობის სისტემატური გამოყენება; ორგანიზაციული სტრუქტურების არსებობა, ტერორისტულ აქტებში მონაწილე პირების საზოგადოებიდან იზოლირება.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გამოიყენება ე.წ. „გაყინვის“ ტექნიკა, როდესაც ხდება ფიზიკური ძალადობის შეჩერება, იმ ადგილმდებარეობის იზოლაცია, რომელშიც იმყოფებიან ტერორისტები და მათ მიერ აყვანილი მძევლები, მათთვის საკვებისა და მედიკამენტების მიწოდება, ტერორისტების დაკავებამდე ან იქამდე, ვიდრე შესაძლებელი არ იქნება ანტიტერორისტული ძალის გამოყენება უმცირესი დანაკარგებით.

კომპეტენტური მიდგომა, პროგნოზირების სისტემის პროფესიონალური ორგანიზაცია, ადრეული დიაგნოსტიკა, რისკის ფაქტორების გამოვლენა, პოტენციური ტერორისტული საქმიანობის სფეროში და ზომების კომპლექსურად, უშიშროების ერთიანი სისტემის ყველა აუცილებელი სუბიექტის მხრიდან პრევენცია, გადაკეცვა-ნეიტრალიზაცია და ა.შ. ეს ის საკითხებია, რომელთაც შეუძლიათ ქმედითი გავლენა მოახდინონ ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლაზე.<sup>322</sup> რაც შეეხება

320 სანიკიძე, გ. „Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region: “Global” and “Local” Islam in the Pankisi Gorge”, p. 263

321 ანა ქილიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, თბ, 2009, გვ:261

322 ავტ.კოლექტივი: სოფო ჩქოფოია, კახა ჭყოიძე, ნონა ლომიძე, მალხაზ რაზმაძე, „ საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა)“, თბილისი 2016 წელი, საგამომცემლო სახლი “სტუ”

თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმს, 20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი მსოფლიოს სერიოზულ პრობლემად იქცა. იგი პოლიტიკური პარტიების, სოციალური ფენების იდეოლოგიების ჩამოყალიბებას უკავშირდება.<sup>323</sup>

როგორც აღვნიშნე, ტერორიზმი საყოველთაო გლობალურ საფრთხედ იქცა უკანასკნელ ათწლეულებში, როცა მან საერთაშორისო ტერორიზმის ფორმა მიიღო და მთელ მსოფლიოს დაემუქრა. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ფარგლებში და მთელი კაცობრიობის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს.

განსაკუთრებულ საფრთხედ მსოფლიოსათვის იქცნენ ისლამისტურ-ტერორისტული ორგანიზაციები. ყველაზე უფრო მთავარ ტერორისტულ დაჯგუფებებს მიეკუთვნებიან:

- ჰესბოლაჰი, ლიბანის რადიკალური ორგანიზაცია, რომლის ტერორისტული აქციები მიმართულია არა ამარტო ისრაელისა და აშშ-ს წინააღმდეგ, არამედ ხშირ შემთხვევაში მუსლიმანი სუნიტების წინააღმდეგაც.
- ჯიჰად ალ ისლამია, მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაცებადაა მიჩნეული და ჰამასი – პალესტინის სუნიტური რადიკალური სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც საღვთო ომი აქვს გამოცხადებული ისრაელთან და მის მხარდამჭერებთან.
- ტალიბანი, უკიდურესად კონსერვატიული, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციაა, რომელიც მმართველი ძალა იყო ავღანეთში და აქტიურად უჭერდა მხარს ისლამისტურ-ფუნდამენტალისტთა ტერორისტულ დაჯგუფებებს.<sup>324</sup>
- ლაშქარეთაიბი, პაკისტანის ისლამისტური მოძრაობა; ჯამაათ ალ ისლამია, ისლამისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანია ცენტრალური აზიის ისლამური სახელმწიფოს შექმნა.
- ალ ქაიდა, ტერორისტულ-ისლამურ ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ექსტრემისტულ-ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია. მისი მეთაურია უსამა ბენ ლადენი. სწორედ მის მიერ იყო ორგანიზებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები, რამაც აიძულა აშშ და საერთოდ მთელი ცივილიზებული მსოფლიო ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ამ საერთო ღონისძიებების შედეგი იყო ავღანეთში ტალიბანისა და ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმების დამხობა, თუმცა ამ მოვლენას ტერორიზმის ფაქტები არ შეუმცირებია.<sup>325</sup>

ტერორიზმის წინააღმდეგ ომს ანალოგი არ მოეპოვება. ეს არის ომი, სადაც არსებობს საომარი მოქმედების არეალი, ფრონტის ხაზი, რეგულარული არმია და მშვიდობიანი მოსახლეობა. ეს არის ე.წ. ასიმეტრიული, გლობალური და მრავალგანზომილებიანი ომი. ასეთ ომში სამხედრო მოქმედების კოორდინაცია შეუძლებელია. არ არსებობს სამხედრო მართვის ერთიანი ცენტრი, ფრონტის ხაზი გადადის ყველგან ნებისმიერ ადგილას, საფრთხე შეიძლება ყველასაგან მოდიოდეს ამიტომ აუცილებელია ყველა საეჭვო პირის განადგურება. ყოველივე ეს სასტიკ უკურეაქციას იწვევს და დაპირისპირება უფრო სასტიკი და არაადამიანური ხდება. სწორედ ეს არის ტერორიზმის მთავარი გლობალური პრობლემა, რომლის გადაჭრისათვის განხორციელებული ძალისხმევა ჯერჯერობით წარმატებულად ვერ ჩაითვლება.<sup>326</sup>

როგორ და რა ხერხით უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლება ტერორიზმის გამოვლინებას. პირველ რიგში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის შეთანხმების საგანი უნდა გახდეს. ვინაიდან, პრობლემა არ უკავშირდება რომელიმე ცალკეულ პოლიტიკურ ძალას და ის გლობალური ხასიათისაა. საქართველომ უნდა შეძლოს გაუმკლავდეს უსაფრთხოების

323 [http://davit-skhirtladze.blogspot.com/2014/11/blog-post\\_29.html](http://davit-skhirtladze.blogspot.com/2014/11/blog-post_29.html)

324 [http://davit-skhirtladze.blogspot.com/2014/11/blog-post\\_29.html](http://davit-skhirtladze.blogspot.com/2014/11/blog-post_29.html)

325 Basoni M. Ch Legal Aspects of International Terrorism. Ed by A.E Evans, JF. Murphy - Toronto 1979

326 იქვე

მნიშვნელოვანი რისკებით აღსავსე მდგომარეობას ქვეყნის შიგნით. რეგიონულ არასტაბილურობას, რომელიც ტერორიზმის სერიოზულ პოტენციურ საფრთხეს შეიცავს. ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ გამოიყენოს ანალიტიკოსების, ისტორიკოსების, უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტების სამეცნიერო წრის წარმომადგენლთა მოსაზრებები არსებულ საკითხთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის გლობალურმა ხასიათმა დასახა მასთან ბრძოლისათვის ძალისხმევის საერთაშორისო მასშტაბით გაერთიანების ამოცანა. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მსოფლიო თანამეგობრობამ მოახერხა შეექმნა ანტიტერორისტული კოალიცია გლობალური საფრთხის, საერთაშორისო ტერორიზმის მიუღებლობასა და მასთან ერთობლივი ბრძოლის იდეის გარშემო. თუმცა, შეინიშნება პროცესებიც, რომლებიც ასუსტებენ ამ ერთიანობას.<sup>327</sup>

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარ ტერიტორიაზე ნებისმიერი ტერორისტული საქმიანობის პრევენცია და აღკვეთა, რადგან აღნიშნული შესაძლებელია ცალკეული სახელმწიფოების მიერ საკუთარი სამხედრო და პოლიტიკური მიზნებისთვის იქნას გამოყენებული. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის მიმართ ტერორისტული რისკების შემცირება, სახელმწიფოს, მისი ინტერესებისა და მოქალაქეების ტერორისტული საქმიანობის ყველა ფორმისაგან დაცვა. ამ მიმართულებით, უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები<sup>328</sup>.

დაბოლოს, საქართველოსთვის მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის ოკუპირებული ტერიტორიების არსებობის გათვალისწინება მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების გავლენის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ეფექტური პოლიტიკისა და სტანდარტების განსაზღვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ის საფრთხეები, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებას საერთაშორისო ტერორიზმით ექმნება. აღნიშნულია, რომ ტერორიზმის პრობლემა არ უკავშირდება რომელიმე ცალკეულ პოლიტიკურ ძალას, იგი გლობალური ხასიათისაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის საგანი უნდა გახდეს. ამისათვის, საჭიროა სახელმწიფომ უფრო მეტად გაითვალისწინოს ანალიტიკოსების, ისტორიკოსების, უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტების, სამეცნიერო წრის წარმომადგენლთა მოსაზრებები არსებული საკითხთან დაკავშირებით.

## Resume

The paper discusses the threats faced by the international community by international terrorism. It is noted that the problem of terrorism is not related to any particular political force, it is a global character.

Based on the above, the strategy for combating terrorism should become the subject of political and social consensus. For this purpose, the State must take into account the views of analysts, historians, security experts and scientific circles regarding the issue.

<sup>327</sup> „მინისტრის ხედვა 2015-2016“, <https://www.mod.gov.ge/c/news/minister%E2%80%99s-vision-2015-2016>

<sup>328</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://ssg.gov.ge/page/couter-terrorism>



## Резюме

В документе рассматриваются те угрозы, с которыми сталкивается международное сообщество в результате терроризма. Отмечается, что проблема терроризма не связана с какой-либо конкретной политической силой, она носит глобальный характер.

Исходя из вышесказанного, стратегия борьбы с терроризмом должна стать предметом политического и социального согласия. Для этой цели государство должно учитывать мнения аналитиков, историков, экспертов по безопасности и научных кругов по этому вопросу.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპის კონვენცია, “ტერორიზმის აღკვეთის შესახებ”. 1997 წლის 27 იანვარი
2. ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული კავშირები “ისლამური სახელმწიფოს” მაგალითზე, თსუ, 2015
3. საქართველოს პარლამენტის აპარატი კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკური განყოფილება ტერორიზმის შესახებ,
4. ნინო ჩაჩავა “ZUR DEFINION DES TERRORISMUS” ჟურნალი “საერთაშორისო სამართალი” 1999 წ. ტ. III. 1998წ
5. ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული კავშირები “ისლამური სახელმწიფოს” მაგალითზე, თსუ, 2015,
6. Brock Mark, Miguel De Anda, Rummel Joseph and Calderon Michelle. March 29, 2010; December 2004. The Impact of Transnational Organized Crime A/59/
7. Голубев В., Сайтарлы Т. Проблемы борьбы с кибертерроризмом в современных условиях. - <http://www.crime-research.org/library/e-terrorism.htm>
8. გ. გორაშვილი, “ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები”. თბილისი; გამომცემლობა “უნივერსალი”.
9. დ.ლუისი “ტერორიზმთან ბრძოლა XXI საუკუნეში”,
10. ჰ.შნაიდერი. “კრიმინოლოგია”
11. ჟან პრადელი, ჟურნალი “droit penal special” 1995 წ.
12. ავტ.კოლექტივი „საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა)“, თბილის 2016 წელი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.
13. სანიკიძე, გ. „Islamic Resurgence in the Modern Caucasian Region: “Global” and “Local” Islam in the Pankisi Gorge”,
14. ანა ჭილიტაშვილი, ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში, თბ, 2009,
15. [http://davit-skhirtladze.blogspot.com/2014/11/blog-post\\_29.html](http://davit-skhirtladze.blogspot.com/2014/11/blog-post_29.html)
16. Basioni M. Ch Legal Aspects of International Terrorism. Ed by A.E Evans, JF. Murphy - Toronto 1979
17. „მინისტრის ხედვა 2015-2016“, <https://www.mod.gov.ge/c/news/minister%E2%80%99s-vision-2015-2016>
18. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://ssg.gov.ge/page/counter-terrorism>

## 2. XXI საუკუნის საქართველო და „გარე ფაქტორების გავლენები“

### პროფესორი სალომე ხიზანიშვილი

XX-XXI საუკუნეებში კაცობრიობის ისტორიაში გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს. ამ ვითარების ფონზე, ლოგიკურად ჩნდება კითხვები: მსოფლიო საზოგადოებებს შორის რა ტიპის ურთიერთობები ყალიბდება?! თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები რამდენად ექვემდებარება ნესრიგისა და ჰარმონიულობის ბუნებრივ კანონზომიერებებს?! დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები იძლევა გარანტიებს „თამაშის ისეთი წესების“ დასამკვიდრებლად, როცა მცირე ერები მრავალრიცხოვან ერთაშორის თანაბარ პირობებში თანასწორუფლებიან არსებობას შეძლებენ?! ეს კითხვები მით უფრო აქტუალურია, როცა მეტად იკვეთება ლიდერი სახელმწიფოების პოლიტიკურ-ეკონომიკური უპირატესობები.

გერმანელი პროფესორი, ულრიხ ბეკი წერს: „გლობალიზაცია ნიშნავს ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული საზოგადოების ერთიანობის რღვევას; იქმნება ახალი ძალისმიერი და კონკურენციული თანაფარდობები, კონფლიქტები და გადაკვეთის ნერტილები ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთობებსა და აქტორებს შორის, ერთის მხრივ, და ტრანსნაციონალურ აქტორებს, თავისებურებებს, სოციალურ სივრცეებს, სიტუაციებსა და პროცესებს შორის -მეორეს მხრივ<sup>329</sup> გლობალიზაციის პროცესის გამონწვევები და შედეგები ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეინიშნება, თუმცა, განსხვავებული მასშტაბებითა და აქცენტებით. ადგილი აქვს როგორც დადებით, ასევე, უარყოფით ტენდენციებს. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკის სრული გახსნილობის გამო, ხდება ეროვნული წარმოების შეზღუდვა-მიღვევადობა, ეროვნული ბუნებრივი რესურსების „გადინება“ და ქვეყნის რესურსების ამონურვა, რაც ბუნებრივია, იწვევს შინაგანი ეკონომიკის კრახს; (ვფიქრობთ, ეს რეალობა ჩვენი ქვეყნისათვის ნიშანდობლივია!); გარდა ამისა, ცალკეულ სახელმწიფოებს უჭირთ საკუთარი ეკონომიკა დამოუკიდებლად გააკონტროლონ ან, რეგიონალურ ეკონომიკურ პროცესებში მეტი შედეგიანობით ჩაერთვნენ. უფრო ხშირად, ეს პროცესები უარყოფითი შედეგებით მთავრდება; ხელოვნურად გახსნილ სივრცეში იქმნება ხელსაყრელი პირობები ნარკობიზნესის, ტრეფიკინგის, არალეგალური პროდუქციის წარმოებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, (რასაც ადგილი აქვს მცირე რიცხოვანი ქვეყნების ცხოვრებაში), ძლიერდება ნაციონალური იდენტურობის, ენისა და კულტურის თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება; ეროვნულ კულტურებს „მასობრივი კულტურა“ ანაცვლებს; ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების ადგილს არც თუ იშვიათად, სრულიად უცხო კულტურის ფენომენები იკავებენ; სულიერების „ფესვ-ხატები“ გლობალური ბაზრის პროდუქტებზე იცვლება და სხვ.

ცხადია ისიც, რომ მიმდინარეობს ძლიერთა „შენაძენების“ არნახული ზრდა და ნილთა არათანაბარი განაწილება; წინააღმდეგობები მძაფრდება ეკონომიკის სუბიექტებს შორის. მათ შორის არიან ცალკეულ ადამიანთა ჯგუფები, ქვეყნები თუ მსოფლიო საზოგადოებები. სწრაფად განვითარებადი სუბიექტები „მდიდართა წრეში“ იკავებენადგილებს, ღარიბები კი უფრო მეტად დატაკდებიან, რაც იწვევს სოციალურ-პოლიტიკურ მუქარებს ინდივიდუალურ, ნაციონალურ, რეგიონალურ და ინტერნაციონალურ დონეებზე.

329 ულრიხბეკი. რა არის გლობალიზაცია? ელფის გამომცემლობა, 2003, გვ.36

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, რასაკვირველია, გლობალიზაციის პროცესს თან ახლავს სიკეთეებიც; (ამ ფაქტზე ღიად საუბრობს ეკონომიკისა და პოლიტიკის ნებისმიერი ექსპერტი). საერთო სიკეთეებად ითვლება: ტრანსპორტისა და კავშირის სისტემების გაიაფება, ინფორმაციის საერთაშორისო სისტემების შექმნა, რაც თავისთავად ქმნის პირობებს სამეცნიერო - ინტერნაციონალური თანამშრომლობისათვის, სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია, ინოვაციური ტექნოლოგიების მსოფლიო მასშტაბით განვითარება-გავრცელება, განათლების სფეროს ახალი სტანდარტებით რეგულირება, საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნა, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე კონკურენციის გაფართოების საფუძველზე წარმოების ზრდა; განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევა, სიცოცხლისსაშუალოხანგრძლივობის გაზრდა, ბრძოლა ეპიდემიებთან, ნარკომანიასა და ტერორიზმთან, ეკოლოგიურ კატასტროფებთან და სხვა.

გამოდის, რომ გლობალიზაციის პროცესი ორპოლუსიანია: ერთის მხრივ, იკვეთება დადებითი ტენდენციები, რომლებიც ხელს უწყობს ინდივიდების კეთილდღეობას, სახელმწიფოების, ერების უშიშროებას, მათი თავდაცვას, სტაბილურობას, აღორძინებას, სიმდიდრეს; მეორეს მხრივ, იზრდება დისბალანსი სახელმწიფოებს, ერებს, პიროვნებებს შორის ურთიერთობებში რასობრივი, ქონებრივი, უფლებრივი თუ სხვა სახის უპირატესობებით, რასაც შედეგად მოსდევს ინდივიდების, ფართო აზრით, ერების, ეთნოსური ჯგუფების სასოწარკვეთა, უიმედობა და ზოგადად, მათი მორალურ-ფსიქოლოგიური კრიზისი.

გამომდინარე აქედან, ისტორიული ადამიანის წარმოსახვებში ძლიერდება განცდა იმისა, რომ მორალი ძალას კარგავს; და ეს მაშინ, როდესაც ნებისმიერი თეორიული შეხედულება, არგუმენტი და მტკიცებულება ორიენტირებული უნდა იყოს ადამიანური სამყაროს გაკეთილშობილებაზე. ამ ფონზე, (სულიერების კრიზისის ეპოქაში), გარდაუვალ აუცილებლობად მიგვაჩნია, (მით უფრო მცირე რიცხოვანიერების პოზიციებიდან), ცივილიზებულმა კაცობრიობამ მუდმივად აკონტოლის ისტორიის მსვლელობა. მორალური ღირებულებების ჩართულობა უნდა გახდეს ეფექტური ძალა კაცობრიობის განვითარების შორს მიმავალი ამბიციების დარეგულირებაში; მით უმეტეს, დღეს, როცა სახეზეა სახელმწიფოთა რადიკალურად განსხვავებული ინტერესების უპრეცედენტო შეჯახება, ინტერესთა ჯერ არნახული კონფლიქტი.

XX საუკუნის მიჯნაზე, მოსალოდნელი რეალობის წარმოსახვების ფონზე ცდილობდა თანადროული ადამიანის გამოფხზილებას სიცოცხლის ფილოსოფოსი, ნიცშე. ტრადიციული მორალური ნორმებით დაიმედებულთა მიმართ გერმანელი გენიოსის პათოსი ასეთია: უკომპრომისოდ გადაამონმე წარსულიცა და აწმყოც და შემოქმედებითობის პროცესში გონიერებაზე დამყარებული რისკით მოახდინე იდეალების ინდივიდუალიზაცია, გახდი საკუთარი თავის კანონმდებელი, დაამსხვრიე მორალს ამოფარებული ამორალობა, ძალადობა, უპასუხისმგებლობა და ეგოიზმი. ნიცშეს წარმოსახვებში, „მორალურობის სივრცე აბსოლუტისტური მოთხოვნებისაგან თავისუფლდება, მაგრამ სიცარიელე კი არ რჩება, არამედ მოთხოვნილებების საზღვრები ფართოვდება, მისი ერთდროული გაზრდისა და შემცირების პათოსით“<sup>330</sup>. ფილოსოფოსი, „ცხოვრების მოთამაშეებთან“ მიმართებაშიც თანაბარი უფლებამოსილების საჭიროებაზე აკეთებს აქცენტებს. ის საუბრობს „კანონმდებლობაზე საკუთარი თავისათვის“ და „საკუთარ თავში დაეჭვებაზე“. იმ „მარტივ ჭეშმარიტებაზე“ დაყრდნობით, რომ „პირველი მეორის გარეშე ეგოცენტრიზმს ბადებს, მეორე პირველის გარეშე - სისუსტეს ადამიანობას“<sup>331</sup> უდავოდ! საკუთარ თავში დაეჭვება, დაეჭვება საკუთარ ღირსებაში და შესაძლებლობებში, ინდივიდუალურ გონს იმ ზომამდე აუძღურებს, რომ ცხოვრებისეულ პრობლემებს ვეღარ უმკლავდება. შესაბამისად ამისა, მორალში საეჭვოდ საშიში ბზარები ჩნდება, რის გამოც ფსიქოლოგიურად გატეხილი ინდივიდი, ერი თუ ქვეყანა ძლიერთა „უნებლიე მსხვერპლი“ ხდება. ნიცშემ სწორედ მომავლის

330 ულრიხბეკი. რა არის გლობალიზაცია? ელფის გამომცემლობა, 2003, გვ.36

331 ულრიხბეკი. რა არის გლობალიზაცია? ელფის გამომცემლობა, 2003, გვ.36

ეს ხიფათები შეაფასა უკომპრომისოდ, თუმცა, უკიდურესობამდე მისული რადიკალიზმით. ისტორიამაც არ დააყოვნა, - მგრძნობიარე ფილოსოფოსის წინასწარმეტყველებანი, მისი გარდაცვალებიდან მოკლე პერიოდში, რეალობად იქცა - მეოცე საუკუნეში, ორი მსოფლიო ომი, ცივილიზებული ადამიანისათვის ყველაზე უმძიმესი განაჩენი აღმოჩნდა, (70 მლნ ადამიანი შეინირა!), სწორედაც რომ ადამიანური არსებობის ექსისტენციალური საყრდენის, - „მორალის ღალატის“ გამო. რაშია გამოსავალი? თვალსაზრისებიარაერთგვაროვანია.

თანამედროვე მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტების, სოციოლოგებისა და ფილოსოფოსების შეფასების ცენტრში მოექცია. „სოციალური კაპიტალის“ კატეგორია -არამატერიალური და უხილავი, მაგრამ განსაკუთრებული შინაარსის მატარებელი, რომელიც არა მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა განვითარებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით, არამედ მსოფლიო ქვეყნების განვითარების შესაძლებლობათა სპექტრშიც უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევა, ვიდრე თვით ეკონომიკური რესურსები და ყველა სხვა სახის მატერიალიზებული კაპიტალი.

მკვლევარები სარგებლობენ შემდეგი შეფასებებით: საზოგადოებრივი ცვლილებების ეფექტური განხორციელება დამოკიდებულია ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოების მორალურ სიჯანსაღეზე, კომუნიკაციის, ნდობის, დანარჩენ საზოგადოებებთან შეთანხმების უნარებზე, მათთან თანამშრომლობის კულტურაზე, ღიაობაზე (და არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკურ გათვლებზე!), რაც ქმნის ინტეგრაციის პირობებს, აძლიერებს ადამიანთა შორის სოლიდარობასა და სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედითუნარიანობას.

ფრენსის ფუკუიამას დამაჯერებელი მტკიცებით, თანამშრომლობა, შეთანხმება, ნდობა, ფუნდამენტური კულტურული ღირებულებებია, რომელთა საფუძველზე, საზოგადოებრივი ცხოვრება ცივილური ურთიერთობების ფორმებს იღებს, ვითარდება; ხოლო, ეს ყველაფერი სოციალურ ურთიერთობათა მთელ სპექტრზეა ისახება და ეტაპობრივად, პოლიტიკურ ღირებულებების ჩამოყალიბებაში ეხმარება კაცობრიობას. მას მოაქვს წარმატებული და წარუმატებელი ქვეყნის მაგალითები. მისი შეფასებით ირკვევა, რომ აშშ-სა და იაპონიას გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ამას ფიქრობდნენ. თავის წიგნში „ნდობა: საზოგადოებრივი ღირსება და კეთილდღეობის შექმნა“, იგი წერს: „ორივე ქვეყანის მოქალაქეებს ახასიათებთ მაღალი უნარი ენდონ არა ნათესავებს, დაიქირაონ პროფესიონალი მენეჯერები და ასე შექმნან დიდი ინდუსტრიული კორპორაციები. ნდობის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში კი, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში, ბიზნესი თითქმის მთლიანად ოჯახური სანარმოს სახით შენარჩუნდა“<sup>332</sup> და ამიტომ ვერ ვითარდება. ე.ი. მისი აზრით, მსოფლიოში ეკონომიკური ჩამორჩენილობის დიდი ნაწილი უნდა აიხსნას ერთმანეთისადმი ნდობის არ არსებობით.

ფრენსის ფუკუი ამას თვალსაზრისი, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია. თუმცა, არსებობს საკითხისადმი სხვა დამოკიდებულებაც. მაგალითისათვის, ჩვენი ქვეყანიდან, -საქართველოში, ადგილი აქვს ადამიანური კაპიტალის უპრეცედენტო გადინებას, ინტელექტუალური კაპიტალის გარეთ გატანას, რაც „სოციალური კაპიტალის“ შექმნისა და მოპოვების თვალსაზრისით, ქვეყნის ცხოვრებაში უპრეცედენტოდ დაუძლეველ ბარიერებს აჩენს. საქართველოდან, (რომლის მოსახლეობა არ აღემატება 4.5 მლნ-ს, ხოლო, ტერიტორიის ფართობი ამჟამად 69,700 კვ.კმ-ია), ბოლო წლებში, 1 მლნ-ზე მეტი მოქალაქეა გასული უცხო ქვეყნებში. ამ რეალობის შექმნაში, ცხოვრების არა დამაკმაყოფილებელი პირობების გარდა, დიდი ალბათობით, გლობალიზაციის პროცესებზე მოდის მთავარი წილი.

მკაფიოა, საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოქცეულია გარე ფაქტორების გავლენების შუაგულში. გადამწყვეტი სიტყვა, მის დასაცავად, მომავალ ისტორიას ეკუთვნის. ფრენსის ფუკუიამა, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესე-

332 Фрэнсис ФКУЯМА. КОНЕЦ ИСТОРИИ И ПОСЛЕДНИЙ ЧЕЛОВЕК. ИЗД., ЕРМАК. М., 2004

ბის სიმძაფრეს მსგავსი ვითარებების შეფასების ფონზეც იხილავს; გლობალიზაცია, შენიშნავს იგი, „რთული და იდუმალებით მოცული კულტურული პროცესია“.

ნათქვამს, ერთი აზრით დავაზუსტებთ. ნებისმიერი ქვეყნის არსებობისა და განვითარების პოტენციალი იმით შეფასდება, როგორი პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურით ჩაერთვება თითოეული მათგანი ამ დიდ პროცესში; რასაკვირველია, ეს მის სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული; ვითარების დარეგულირებაში, გადამწყვეტი სიტყვა ქვეყნის ხელისუფლებებს ეკუთვნით. ჩვენს ქვეყანაში, ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია. ცივილიზებულ სამყაროსთან, (მხედველობაში გვაქვს ამერიკული და ევროპული სივრცე), საქართველომ პოლიტიკურ-სამართლებრივი და კულტურული ურთიერთობები ოფიციალურად დიდი ხანია დაიწყო (XX საუკუნის ბოლოდან, 1991 წლის შემდეგ; რაც განსაკუთრებული ძალისხმევით გაძლიერდა XXI საუკუნის დასაწყისიდან). საქართველო საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მომავალი განვითარების იმედი, რასაკვირველია, უფრო მეტად ძლიერდება. თუმცა, ის დიდი პოლიტიკური გამოწვევის წინაშეც იმყოფება; ერთი მხრივ, მან უნდა შეძლოს დამოუკიდებელი ადგილის შენარჩუნება გლობალურ მსოფლიო სივრცეში; მაგრამ, მანამდე, „მძლავრი მეზობლისგან“ უსამართლოდ მიტაცებული დაკარგული ტერიტორიის 20% უნდა დაიბრუნოს!

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად უაღრესად რთული წინააღმდეგობებისა, საქართველო მაინც უსაფრთხოდ შეძლებს ისტორიის გავლას; ამ აზრის დასტურია მისი წარსული. ამასთანავე, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს ქვეყნის ეროვნული პოტენციალი და მისი განვითარებისათვის მსოფლიო თანამეგობრობის ხელშეწყობა.

## რეზიუმე

გამომდინარე გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, საქართველოს, ქართველ ერს, დიდი გამოწვევების გადლახვა ისტორიულად ყოველთვის უწევს. ასეა დღესაც. მისი „გეოგრაფიული საჭიროება“ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რის გამოც ჩვენი ქვეყნისადმი ცივილიზებული მსოფლიოს ინტერესისულ უფრო მძაფრდება; მეორე მხრივ, იგივე საჭიროება იცავს მას დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკურ-სამართლებრივი სუბიექტის როლი და სტატუსი შეინარჩუნოს. რასაკვირველია, ამას ემატება მსოფლიოში მშვიდობიანობის დასამყარებლად ჩვენი ქვეყნის მიერ მოხდელი ვალი, — მისი ჩართულობა საერთაშორისო მისიებში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ა. შ. აღნიშნულზე პოზიტიური პასუხი 2017 წლის 28 მარტის ხელშეკრულებაა, ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. საქართველოს ევროპამ ოფიციალური ურთიერთობებისათვის კარი გაუღო. ვიმედოვნებთ, რომ ეს ურთიერთობები ღიაობისა და ნდობის ხანგრძლივი პერსპექტივა იქნება; საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სამართალსუბიექტად დაცვის ვალდებულება საერთაშორისო სამართლის პრეროგატივაა.

## Resume

According the geopolitical location of Georgia, the Georgian nation, has always been historically overcoming major challenges. Its “geographical need” is one of the main factors that make the interest of a civilized world more aggressive to our country. On the other hand, the same need protects the role and status of an independent international political-legal subject. Of course, it adds to the debt of our country for the promotion of peace in the world, its involvement in international missions, in the fight against terrorism, etc. The positive answer to this is the March 28,

2017 Agreement on Visa Liberalization. Georgia has opened the door for official relations. We hope that these relationships will be a long-term prospect of openness and confidence; The obligation to protect Georgia as an independent judiciary is the prerogative of international law.

## Резюме

Учитывая геополитическое положение Грузии, Грузия, грузинская нация, всегда исторически преодолевала серьезные проблемы. Вот и все. Его «географическая необходимость» является одним из основных факторов, которые делают интерес цивилизованного мира более агрессивным для нашей страны. С другой стороны, такая же потребность защищает роль и статус независимого международного политико-правового субъекта. Разумеется, это добавляет долг нашей страны за содействие миру в мире, его участие в международных миссиях, борьбу с терроризмом и т. д. Положительным ответом на это является соглашение о либерализации виз от 28 марта 2017 года. Грузия открыла двери для официальных отношений. Мы надеемся, что эти отношения будут долгосрочной перспективой открытости и уверенности; Обязательство защищать Грузию как независимую судебную систему является прерогативой международного права.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ულრიხბეკი. რა არის გლობალიზაცია? ელფის გამომცემლობა, 2003
2. „ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები“. თბილისი, 2006.
3. სალომე ხიზანიშვილი. გლობალიზაციის პოზიტივები და ნეგატივები და საქართველო. სტუ, ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება 2011”. ნ. ხელისუფლება და საზოგადოება, 4(20) 2011
4. სალომე ხიზანიშვილი. „გლობალიზაციის პარადოქსები“. ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 წელი
5. Ницше Фридрих Вильгельм. Серия: Полное собрание сочинений. Издательство: Культурная революция, 2012 г.
6. Фрэнсис ФКУЯМА. КОНЕЦ ИСТОРИИ И ПОСЛЕДНИЙ ЧЕЛОВЕК. ИЗД., ЕРМАК. М., 2004

# 1. საგამოძიებო სამართლის ცნება, საგანი და რეგულირების მეთოდები

**პროფესორები:  
ჯემალ გახოკიძე,  
მიხეილ მამნიაშვილი,  
თემურ მონიავა**

ტერმინი „საგამოძიებო სამართალი“ ადრე არ არსებობდა და მხოლოდ ახლა იწყებს დამკვიდრებას. რის გამოც დღის წესრიგში დადგა იმის გარკვევის აუცილებლობის საკითხი თუ რა იგულისხმება ამ ტერმინის ცნების ქვეშ.

დასმულ კითხვაზე გარკვეულწილად პასუხს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არაერთი ნორმა, კერძოდ დასახელებული კოდექსის: ა) 1-ლი მუხლი, რომლითაც, ამ კოდექსის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესების დადგენა; ბ) 37.1 მუხლი, რომელიც გამომძიებლად მიიჩნევა სახელმწიფო მოსამსახურეს ან მოხელეს, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და გ) 38.7-ე მუხლი, რომლითაც ბრალდებულს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით შეუძლია ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით და აშ.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საგამოძიებო სამართალი, ვიწრო გაგებით, გულისხმობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების საფუძველზე რეგულირებულ ურთიერთობებს, რა დროსაც: ა) გამომძიებელი უფლებამოსილია: მოახდინოს რეაგირება დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე და დაიწყოს გამოძიება; გამოძიების დაწყების შემდეგ საქმეზე აწარმოოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება; დასახული მიზნის მისაღწევად ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული და სხვა საპროცესო მოქმედებები; შესაბამის ორგანოს მისცეს წერილობითი მითითება დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილზე მიყვანის შესახებ; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების, აგრეთვე რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და დოკუმენტის წარდგენა, მოიწვიოს თარჯიმანი, ექსპერტი, ამოსაცნობი პირი და აშ; ბ) ბრალდებულს კი უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს.

თუმცა, საგამოძიებო სამართლის არსის გასარკვევად მხოლოდ ზემოთქმული არ კმარა, რადგან საგამოძიებო ორგანო და გამომძიებლის განმხორციელებელი სახელმწიფო მოსამსახურე ან მოხელე, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებებისა, ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, რაც რეგულირდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ისევე, როგორც საკმაოდ დიდი უფლებამოსილებით არის წარმოდგენილი გამომძიებელი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის

შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით მონესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებში კერძოდ, იგი არათუ მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების ფარგლებში წარმოებულ საგამოძიებო მოქმედებებში, არამედ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე აღძრავს შუამდგომლობას უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების ჩატარების თაობაზე, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მეშვეობით მოითხოვს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ბრალდებულის, მონმის, ექსპერტის ან დაზარალებულის გამოძახებას თავის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და სხვა.

შესაბამისად, საგამოძიებო სამართალი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მონესრიგებული ურთიერთობების გარდა, ფართო გაგებით სწავლობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სამართლებრივ ურთიერთობებში საგამოძიებო ორგანოსა და გამოძიებლის (ასევე, ბრალდებულის ან მისი მეშვეობით ადვოკატის) მონაწილეობის ფორმებს და წარმოაჩენს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე საგამოძიებო სამართალი, ერთის მხრივ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სამართლის მეცნიერება და მეორეს მხრივ, როგორც სასწავლო დისციპლინა.

საგამოძიებო სამართალი, როგორც სამართლის მეცნიერება წარმოადგენს იმ თეორიების, შეხედულებებისა და იდეების ერთობლიობას, რომლებსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეთ რაიმეს აკრძალვის ან/და უფლებამოსილების მინიჭების პრეტენზია, რადგან იგი იკვლევს საგამოძიებო საქმიანობის (მაგ. დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების), როგორც მოვლენის არსს და მხოლოდ თეორიულ დასკვნებს იძლევა მისი განვითარების კანონზომიერებებზე.

საგამოძიებო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა კი უზრუნველყოფს ამ სფეროს განვითარების შესახებ არსებული მასალების მოძიებას. ამასთან, არ შემოიფარგლება შესწავლილ მოვლენათა მხოლოდ აღწერით, რადგან სწავლობს და აანალიზებს არსებულ სასამართლო პრაქტიკას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს დანაშაულის გამოძიების წესების განვითარების კანონზომიერებებსა და ზოგადად გამოძიების საკითხებზე, ასევე დოქტრინალური ხასიათის სარეკომენდაციო წინადადებებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებში გამოძიებლის და საკუთარი უფლებების დასაცავად ბრალდებულის ან მისი მეშვეობით ადვოკატის, ასევე საგამოძიებო ორგანოს მონაწილეობასთან, დიდი მნიშვნელობა აქვთ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

**რეგულირების საგანი:** ზემოთქმული ცხადყოფს იმასაც, რომ საგამოძიებო სამართალს აქვს თავისი რეგულირების საგანი და მისი არსი ვიწრო გაგებით მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის იმ დანაწესში სადაც ნათქვამია, რომ: ეს კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების განხორციელების წესებს. ანუ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიზნებისათვის, საგამოძიებო სამართლის საგანია-დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების საფუძველზე განხორციელებული სამართლებრივი ურთიერთობები.

თუმცა, საგამოძიებო სამართლის რეგულირების საგანი ამავდროულად მოიცავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პროცესში გამოძიებელთა და საგამოძიებო ორგანოების მონაწილეობით წარმოებულ ურთიერთობებსაც, რადგან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმხორციელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფს; საქართველოს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფს; საქართველოს სასჯელაღსრულები-  
სა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს; საქართველოს თავ-  
დაცვის სამინისტროს საგამოძიებო ქვედანაყოფს; პროკურატურის გამომძიებლებს;  
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლებს;

ანალოგიურად, საგამოძიებო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს სისხ-  
ლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის  
ის სფერო, რაც ასოცირდება სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახ-  
მარების აღმოჩენის, ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის, შესაბამის საგა-  
მოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიზნით საქართველოში პატიმრობაში მყოფი  
პირის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე დროებით გადაყვანის და ა.შ. სამართლე-  
ბრივ ურთიერთობებთან, დაკავშირებულია გამომძიებლისა და საგამოძიებო ორ-  
განოების საქმიანობასთან და რეგულირდება სისხლის საერთაშორისო სამართლის  
რომის წესდებით („რომის სტატუტით“), „სისხლის სამართლის საერთაშორისო სა-  
სამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით  
და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქა-  
რთველოს კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ საგამოძიებო ორგანოებმა, არსებობის მთე-  
ლი ისტორიის მანძილზე, არაერთი ცვლილება განიცადეს ქვემდებარეობის თუ ფუნ-  
ქციური დატვირთვის თვალსაზრისით, ამდენად, საგამოძიებო სამართალი, როგორც  
მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა გვერდს ვერ აუვლის საგამოძიებო ორგა-  
ნოების შესახებ არსებული მასალების მოძიება- შესწავლას, საქმიანობის ტენდენ-  
ციებს, ისტორიული მოვლენების გაანალიზებას და საგამოძიებო სფეროში მოღვაწე  
ცალკეულ პირთა ღვაწლის წარმოჩენას. რის გამოც ყველა ეს საკითხი ასევე შედის  
საგამოძიებო სამართლის რეგულირების საგანში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საგამოძიებო სამართლის, როგორც საჯარო  
სამართლის სფეროს მიკუთვნებული სამართლის მეცნიერების და სასწავლო დისცი-  
პლინის საგანს ფართო გაგებით წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის  
სამართლის საპროცესო კოდექსის, „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“,  
„პროკურატურის შესახებ“, ასევე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თა-  
ნამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტები-  
ს შესაბამისი ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობები, რომლებიც განსაზღვრავენ:  
გამომძიებლისა და საგამოძიებო ორგანოების ადგილს სამართალდამცავ ორგანოთა  
სისტემაში; მათი საქმიანობის წესსა და საფუძვლებს; საქმიანობის ძირითად მიმარ-  
თულებებს; საქმიანობის პრინციპებს, ამოცანებს და რეგულირების მეთოდებს; საგ-  
ამოძიებო აქტების სახეებს; საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაზე საპროცესო  
ხელმძღვანელობის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას საუნ-  
ყებო, სასამართლო კონტროლის და საპროკურორო ზედამხედველობის განმხორციე-  
ლებელი სტრუქტურების და თანამდებობის პირთა,

ასევე ბრალდებულის ან ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებს; საგა-  
მოძიებო ორგანოების მუშაკების სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარან-  
ტიებს; განვითარების ტენდენციებს; გამოძიებასთან დაკავშირებული საქმიანობისა  
და ორგანიზაციის სხვა საკითხებს.

საგამოძიებო სამართალს რეგულირების საგანთან ერთად გააჩნია სამართლე-  
ბრივი რეგულირების არაერთი მეთოდი, ანუ ხერხებისა და საშუალებების ერთობლიო-  
ბა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებებ-  
ზე და სამართლის სხვა დარგებისაგან საგამოძიებო სამართლის გამიჯვნის მთავარ  
ინსტრუმენტებად გვევლინებიან.

ზოგადად სამართლისათვის დამახასიათებელი რეგულირების მეთოდები, გა-  
მომდინარეობენ თვით რეგულირებადი ურთიერთობის ხასიათიდან, იძლევიან პასუხს  
კითხვაზე-რა პრინციპებზეა აგებული ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა და

ისეთივე მრავალფეროვანებით გამოირჩევიან, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანური ურთიერთობები, რადგან ისინი მოიცავენ ადამიანის თითქმის მთელ მოღვაწეობას<sup>333</sup>. მათგან კი შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მეთოდი, რომლებიც დამახასიათებელია უშუალოდ საგამოძიებო სამართლისათვის, კერძოდ:

**1. იმპერატიული მეთოდი-** საგამოძიებო სამართალში ფართოდ გამოიყენება სამართლებრივი რეგულირების იმპერატიული მეთოდი, ანუ ისეთი მეთოდი, რომელიც ეფუძნება აკრძალვას, ვალდებულებას, პასუხისმგებლობას („imperacio” – „ვბრძანებ“, „ვანებს“) და მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ უფლებამოსილ სუბიექტს პროცესუალური მოქმედების წარმოების, თუ მასზე თავის შეკავებისა და უარის თქმის თაობაზე, ვალდებულება წარმოეშობა არა საკუთარი თავისუფალი შეხედულებიდან გამომდინარე, ან სამართალურთიერთობის სუბიექტთან შეთანხმებით, არამედ კანონის მოთხოვნების საფუძველზე, სახელმწიფოს წინაშე საჯაროვალდებულების ძალით. ასე მაგალითად, საგამოძიებლის მიერ საგამოძიებლის დაწყება, როცა არსებობს დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, ერთდროულად არის მისი უფლება და საჯარო მოვალეობაც.

ანალოგიურად, ბრალდებულის მოთხოვნა უზრუნველყოფილ იქნეს ადვოკატის მომსახურებით, იმპერატიულად წარმოეშობ სპეციალისტის ვალდებულებას საგამოძიებლის წინაშე, უზრუნველყოს ბრალდებულის უფლება დაცვაზე. ამასთან, ასეთი ვალდებულება წარმოიშობა არა მხოლოდ ბრალდებულთან, არამედ სახელმწიფოსთან მიმართებაშიც, რადგან ეს უკანასკნელი, კანონის ძალით, ადგენს, რომ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება ცნობილი და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმპერატიული მეთოდის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ კანონი უზრუნველყოფს მის შესრულებას. აღნიშნულის გარანტიად კი გვევლინება ის გარემოება, რომ კონკრეტულ სამართლებრივი ურთიერთობებში, პროცესის სხვა სუბიექტებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს (ლათ. – „ex officio”) ამ მიმართებით;

**2 დისპოზიციურობის მეთოდი-** სამართლებრივი რეგულირების სხვა მეთოდთა შორის სისხლის სამართალ წარმოების პროცესში და ამდენად, საგამოძიებო სამართალთან მიმართებაში, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება დისპოზიციურობის (ლათ. „ისპოსიციო” – თავისუფალი მოქმედება, შეხედულება) მეთოდი, რაც გულისხმობს მხარეთა თანასწორობას, კოორდინაციას და ემყარება არა მხოლოდ აკრძალვებს არამედ ქმედების დასაშვებობას.

ამდენად, დისპოზიციური მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს, თავისი უფლებების რეალიზაცია შეუძლია მოახდინოს საკუთარი, ერთპიროვნული შეხედულებით, ანდა, სხვა სუბიექტთან ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე.

უფრო მარტივად, რომ ვთქვათ, იგულისხმება შემთხვევა, როცა სამართალურთიერთობის მონაწილეს, თავისი უფლებებისა და მოვალეობი სტანდარტებისა, სახელმწიფოს წინაშე, რაიმე საჯარო ვალდებულება არა აქვს, რადგან დისპოზიციური ნორმების არსებობა საშუალებას აძლევს მხარეებს, თავიანთი უფლებები თვითონვე განსაზღვრონ ურთიერთ შეთანხმებით, ასე მაგ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ემუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევისა;

**3 გამოძიების პროცესის სამართლიანი რეგულირების მეთოდი-** ზოგადად

333 ნ. მაისურაძე, სამართლებრივი რეგულირების მეთოდები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გვ. 93.

ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხის გადასაწყვეტა დამხარეთა შორის დგას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი-სასამართლოს სახით. რის გამოც, რეგულირების მეთოდის ეს სახე, იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია არბიტრული (უფრო სწორი იქნება არბიტრალური) მეთოდის სახელწოდებითაც.<sup>334</sup>

არბიტრალური მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ დაცული იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარეთა თანასწორობა, რადგან არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს რაიმე უპირატესობა მეორესთან შედარებით. ქართული საპროცესო კანონმდებლობა მიუხედავად რიგი ხელშემშლელი ფაქტორებისა იყენებს ამ მეთოდს, რასაც თუნდაც ის გარემოება ადასტურებს, რომ პროკურორი ვალდებულია ბრალდებულისათვის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ შესაბამისი ნებართვის მისაღებად, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. თავის მხრივ, ბრალდებული ცდილობს, მის მიმართ არ იქნეს გამოყენებული საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ხოლო თუ ის გამოყენებულია, შეუძლია მოითხოვოს მისი გაუქმება. ამ უფლებების რეალიზაციას კი მხარეები სასამართლოს მეშვეობით ახდენენ. რის გამოც აღნიშნული მეთოდით დარეგულირებული ურთიერთობა სამ სუბიექტიანი სამართალმცემი ურთიერთობა და გამოიყენება სისხლის საპროცესო სამართლის მთავარი საკითხის-პიროვნების ბრალეულობის და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გადაწყვეტისას, რადგან პირის ცნობა დამნაშავედ ჩადენილ დანაშაულში შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. ამდენად, ეს მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც გამოძიების პროცესში წარმოიშობა საკითხი სისხლის სამართალმცემი დევნის შეწყვეტის შესახებ.

ანალოგიურად, არბიტრალური მეთოდი გამოიყენება როცა ბრალდებულის მიმართ შეიძლება შეფარდებული იქნეს საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, რადგან მხარეები სისხლის სამართალწარმოების პროცესში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ანუ არც ერთ მხარეს არ შეუძლია მეორე მხარეზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს;

**4 მომთხოვნის მეთოდი.** ეს მეთოდი მოქმედებისადმი მიდგომის ხასიათით სრულიად განსხვავდება დისპოზიციური და იმპერატიული მეთოდებისაგან, რადგან მომთხოვნელობის მეთოდის არსებობა ცხადყოფს, რომ საქმე ვაქვს არა მხოლოდ ცალმხრივ ცენტრალიზებულ, მბრძანებლურ და მკაცრად სუბორდინირებულ მოთხოვნებთან, არამედ ურთიერთ თანადგომასთან და დახმარებასთან.

ამ მეთოდის დამსახურებაა, რომ მომთხოვნელობა სისხლის პროცესში გაიგივებული არ არის უსიტყვო მორჩილებასთან. ანუ იგი ათავისუფლებს დაქვემდებარებულ სუბიექტს, კერძოდ გამოძიებელს, პროკურორისადმი სუბორდინაციული ზენოლით გამოწვეული მორჩილებისაგან, შესაბამისად ხელს უშლის გამოძიებლების „რობოტებად“ გადაქცევას და მექანიკურ „მანქანებად“ ჩამოყალიბებას. ასე მაგ. პროკურორის ნერილობითი მითითება მართალია გამოძიებლისათვის სავალდებულოა შესასრულებლად, მაგრამ გამოძიებელს რჩება უფლება, რომ თუ არ ეთანხმება პროკურორის მითითებას, გაასაჩივროს იგი და თავისი მოტივირებული მოსაზრებით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს. ასეთ შემთხვევაში, ზემდგომი პროკურორი ან აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებას, ანდა სისხლის სამართლის საქმეს შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად გადასცემს სხვა გამოძიებელს;

**5 საშემსრულებლო მეთოდი-**სისხლის სამართლის პროცესში და შესაბამისად საგამოძიებო სამართალში საშემსრულებლო მეთოდს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან ეს მეთოდი იმას გულისხმობს, რომ ცალკეულმა საპროცესო სუბიექტებმა უნდა შეასრულონ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები, მაგალითად, გამოძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორის სავალდებულო მითითება, ასევე პროკურორი და გამოძიებელი ვალდებული არიან შეასრულონ სასამართლო სმიერ კონკრეტულ საკითხზე გამოტანილი განჩინება და ა.შ.

334 Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб. Наука, 2000, с. 20-21

ანალოგიურად, საშემსრულებლო მეთოდს გამოყენების ფართო არეალი აქვს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას, რადგან ის საგამომძიებო დანაყოფები და პროკურატურის გამომძიებლები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ ამგვარ საქმიანობას ვალდებული არიან: ა) თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საკუთრება, საზოგადოებრივი უშიშროება; ბ) შეასრულონ სასამართლოს გადანყვეტილებები; გ) შეასრულონ სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულებათა (შეთანხმებათა) საფუძველზე შესაბამისი საერთაშორისო სპეციალური ორგანოებისა და უცხო ქვეყნების სპეციალური ორგანოების თხოვნები და შეკითხვები; დ) მიანოდონ ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმხორციელებელ სხვა ორგანოებს და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება; ე) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას დაიცვან კონსპირაციის წესები; ვ) ხელი შეუწყონ დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან თავიანთი თანამშრომლების, მათი ოჯახის წევრების, ახლობლების, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა, მათი ოჯახის წევრთა და აშ. პირადი უშიშროების უზრუნველყოფას, მათი ქონების დაცვა-შენახვას.

**6 დარწმუნების მეთოდი**-სისხლის სამართალწარმოების მთელ პროცესში (გამომძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულების განხორციელება, განაჩენის დადგენის ჩათვლით) უაღრესად დიდ მნიშვნელობა ენიჭება დარწმუნების მეთოდს, რადგან იგი გამოყენებადია პროცესის ყველა მონაწილის მიმართ სასამართლო პროცესზე და მსწრე საზოგადოების ჩათვლით.

ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ დამარწმუნებელი არგუმენტებით და საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობითაა შესაძლებელი პირისათვის ბრალდების წაყენება. შესაბამისად, თუ არსებობს მხარეებს შორის ნდობა ბრალდებული გაცილებით მშვიდად იღებს განაჩენით მისთვის განსაზღვრულ სასჯელს, მაშინაც კი, როცა იგი საკმაოდ მკაცრია.

დარწმუნების მეთოდის მნიშვნელობა ყველაზე კარგად ვლინდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეს ნაფიც მსჯულთა სასამართლო იხილავს, რადგან სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მხარეებმა (პროკურორი, ბრალდებული, მისიადვოკატი) თავიანთი არგუმენტირებული გამოსვლებით, ნაფიცი მსაჯულები უნდა დაარწმუნონ ბრალდებულის ბრალეულობასა თუ არაბრალეულობაში, პროცესზე დამსწრე საზოგადოება კი განაჩენის (გამოტანილი ვერდიქტის) სამართლიანობაში.

შესაბამისად, ამ მეთოდის გამოყენებას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არამხოლოდ პრევენციული მნიშვნელობა აქვს არამედ საზოგადოებასაც პატივისცემით ან პირიქით ნეგატიურად განაწყოფს განაჩენის (ვერდიქტის) გამომტანი სასამართლოს მიმართ.

ანალოგიურად, მხოლოდ დარწმუნების მეთოდის გამოყენებითაა შესაძლებელი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართვა, რადგან ერთის მხრივ „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის 2.3 მუხლის გ) ქვეპუნქტი კრძალავს მოტყუებას, შანტაჟს, ძალით დაყოლიებას, მეორეს მხრივ კი, მოითხოვს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მომზადებასა თუ ჩატარებაში, ცალკეულ მოქალაქეთა ჩაბმისთვის მათ თანხმობას, კონტრაქტის საფუძველზე ან მის გარეშე (იხ. მე-16 მუხლი).

**7. ძალდატანების მეთოდი** - გულისხმობს სამართალწარმოების ცალკეულ ეტაპზე საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ, რა დროსაც აუცილებელია პროკურორმა სასამართლოსაგან მიიღოს შესაბამისი განჩინება. ასე მაგ. საცხოვრებელ სადგომში ან დახურულ ტერიტორიაზე დათვალიერების მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ

ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა დათვალერების ჩატარების თაობაზე სასამართლოს განჩინება და აშ;

**8. პირადი ხელშეუხებლობის მართლზომიერად შეზღუდვის მეთოდი-** გამოიყენება ძირითადად საგამოძიებო ორგანოსა და გამომძიებლის ჩამტარებელი მოხელისა და სხვა სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში. ასე მაგ. ამგვარი მეთოდის არსებობაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111.7 მუხლი, რომელიც შეიცავს დანაწესს იმასთან დაკავშირებით, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის განხრის შემთხვევაში დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება და სხვა;

**9. ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი-** საგამოძიებო სამართალი გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებისა იყენებს ისტორიულ-შედარებითი სამართლებრივი კვლევის მეთოდს, რაც წარმოდგენას იძლევა საგამოძიებო სამართლის განვითარების ზოგად კანონზომიერებაზე.

ეს მეთოდი მე-XIX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა ევროპაში და მისმა ფრანგმა წარმომადგენელმა რუდოლფ დარნესტმა გამოიყენა ვახტანგ მე-VI სამართლებრივი მემკვიდრეობის შესწავლის პროცესში;

**10. სისტემური და ევოლუციური განვითარების მეთოდები-** საგამოძიებო სამართალი ვერ იარსებებს სისტემური და ევოლუციური განვითარების გარეშე. ამდენად მისთვის დამახასიათებელია დიალექტიკის მეთოდი, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს, სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში განიხილავს და სისტემური მეთოდი, რაც იძლევა საგამოძიებო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ურთიერთთანმიმდევრობით დალაგების შესაძლებლობას.

## რეზიუმე

ტერმინი „საგამოძიებო სამართალი“ ადრე არ არსებობდა და მხოლოდ ახლა იწყებს დამკვიდრებას.

ნაშრომში განხილულია საგამოძიებო სამართლის ცნება, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გამომძიებლის საქმიანობას ორი მიმართულებით: ვიწრო და ფართე გაგებით; ვიწრო გაგებით ნიშნავს იმას, რომ გამომძიებელი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებით, ხოლო ფართე გაგებით იყენებს ასევე სხვა კანონებსაც, როგორცაა კანონი „ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და ა.შ.

საგამოძიებო სამართლის რეგულაციების მეთოდად კი გამოყენებულია იმპერატიული, დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის პროცესის სამართლებრივი რეგულირების, მომთხოვნეობის, საშემსრულებლო და დარწმუნების მეთოდები, რომლებსაც სისხლის სამართალწარმოების პროცესში თავიანთი ფუნქციები აკისრიათ.

## Resume

Term „investigatory law“ didn't existed before and it only now commences to settle. The investigatory law essence is being discussed into the work, that first of all implies the investigator`s activity into two directions: under narrow and wide understanding; The narrow understanding stands for, that the investigator exercises its activity under the regulations foreseen by criminal procedure code of Georgia and the wide understanding implies that also other laws are used (involved), like law of Georgia “about on operative investigatory activities”, etc. As an investigatory law regulation methods there are used the imperative, dispositional, pleading

process law regulating, insisting, executive and assurance methods, which are charged with their functions into the criminal proceeding process.

## Резюме

В статье рассматривается понятие следственного права, которое, прежде всего, подразумевает деятельность следователя по двум направлениям: узкое и более широкое понимание; Узкий смысл означает, что следователь осуществляет свою деятельность в соответствии с положениями Уголовного кодекса, и общий смысл также использует другие законы, такие как Закон о «оперативно-розыскной деятельности» и т.д.

положения закона, чтобы исследовать методы, используемые в императивном, состязательный процесс правового регулирования, выполняя и методу убеждения, которые являются уголовными делами и их функция

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია- 2018 წლის მდგომარეობით
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი- 2018 წლის მდგომარეობით
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი- 2018 წლის მდგომარეობით,
4. ნ.მაისურაძე, სამართლებრივი რეგულირების მეთოდები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის I
5. Смирнов А.В. Модели уголовного процесса. СПб. Наука, 2000,

## 2. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე (დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ქართული მოდელი)

### ასოცირებული პროფესორი გივი აბაშიძე

2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

„დისკრეცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას საკუთარი შეხედულები-სამებრ<sup>335</sup>

„დისკრეციული ძალაუფლების“, „დისკრეციული სამართლის“ თეორია ფართოდ გავრცელებულია უცხოეთის მრავალი ქვეყნის კონსტიტუციურ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში.<sup>336</sup>

დისკრეციული უფლებამოსილება წარმოიშობა იქ, სადაც ვერ ხდება კანონის მიერ სტანდარტების ზუსტად განსაზღვრა და შესაბამისად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ რჩება მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირს საკუთარი დისკრეციის გამოყენების საშუალება<sup>337</sup>

როგორც ცნობილია, კონტინენტურ-ევროპულ სისხლის საპროცესო სამართალში ლეგალურობისა და ბრალდების სავალდებულო აღძვრის პრინციპი ბატონობს. ლეგალურობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება გამოძიების, დევნის დაწყებისა და წარმოების ვალდებულება. პროკურატურა ვალდებულია დაწესებული ნიშნების აღმოჩენისა და დასაბუთებული ეჭვის არსებობისას აღძვრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გამოძიება, შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მხარი დაუჭიროს მას სასამართლოში. ანუ ლეგალურობის პრინციპი, დევნის განმახორციელებელ ორგანოს აიძულებს დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ყველა ეჭვიმტანილის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ვეთანხმები იურიდიულ-საპროცესო მეცნიერებაში გამოთქმულ პოზიციას და მიმაჩნია, რომ ამ პრინციპის გამოყენების შემთხვევაში პროკურორის დისკრეცია მინიმალურია და იგი, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ უარი თქვა ლეგალურობისა და ბრალდების სავალდებულო აღძვრის პრინციპზე და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით წარმოადგენს არა სახელმწიფოს ვალდებულებას, არამედ ის პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.

335 მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / ვაჟა გურგენიძის რედაქციით. თბილისი 2004. გვ. 483.

336 Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J., Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005, 24. იხ. ნაშრომში: ბ. მეურმიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე). სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2014 წ. გვ. 166

337 გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2010წ; მეფარიშვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, გვ. 21;

სწორედ პროკურორი განსაზღვრავს, საკუთარი შეხედულების საფუძველზე დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, თუ უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების) მოცულობას განსაზღვრავს პროკურორი და ამ დროს სასამართლო კონტროლი მასზე არ ხორციელდება.

ქართველ მეცნიერთა აზრით, რასაც სავსებით ვიზიარებ, საპროცესო კანონმდებლობაში ამგვარი რადიკალური ცვლილება გარკვეულად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ როგორც ცნობილია დისკრეციის პრინციპს ცენტრალური ადგილი უკავია ანგლოამერიკულ სისხლის საპროცესო სამართლის სისტემაში. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი კი ანგლოამერიკულ სისხლის საპროცესო სამართლის სისტემაზეა ორიენტირებული და შესაბამისად დისკრეციულობის პრინციპმა ასახვა ჰპოვა საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში<sup>338</sup>.

გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის პირობებში დისკრეციული უფლებამოსილება ხელს უწყობს პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებას, სტიგმატიზაციის თავიდან აცილებას და სასჯელის ეფექტურობის გაზრდას, სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტიანობას, საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ხარისხიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, საპროცესო ეკონომიას, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვას.

დისკრეცია არ გულისხმობს დაუსჯელობას და ჩადენილი დანაშაულის რეაგირების გარეშე დატოვებას. დისკრეციის გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა დევნის ალტერნატიული საშუალებების არსებობა. ამიტომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება პრაქტიკულად გამორიცხულია იმ პირების მიმართ, ვისზეც არ ვრცელდება განრიდების ან/და მედიაციის ინსტიტუტი. მაგ. პირების მიმართ ვისაც ბრალი ედებათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ვის მიმართაც ადრე უკვე იყო გამოყენებული აღდგენითი მართლმსაჯულება და სხვ.<sup>339</sup>

სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლით და “პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით.

სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა თავისი საპროცესო მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით, რაც განსაზღვრულია სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით<sup>340</sup>

ქართული სისხლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ვალდებულებას, გამოძიების დაწყების ვალდებულებისაგან განსხვავებით. გადაწყვეტილების მიღება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით პროკურორის ექსკლუზიური უფლებათა და არცერთ სხვა სტრუქტურას/პირს არ გააჩნია დევნის დაწყების ან/და ბრალდებაზე უარის თქმის კომპენტენციაა.

დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, თეორიულად მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვის მიმართ ხორციელდება სისხლისსამართლებ-

338თ.ლალიაშვილი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი, თბ. 2015 წ, გვ. 85

339 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2015 წ, გვ. 129

340 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მე-16 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 181, 2010 წლის 8 ოქტომბერი, „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, მე-2 თავი.



ბრივი დევნა.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა ექვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ, რაც ვფიქრობ, ბევრ გაუგებრობას იწვევდა. მაგალითად, იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ-იურისტების მხრიდან იყო დავა, თუ როდის იწყებოდა დევნა ექვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ. ეს გაუგებრობა კი, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა ექვმიტანილის ინსტიტუტს.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გააუქმა ექვმიტანილის ინსტიტუტი და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს მხოლოდ ბრალდებული პირის მიმართ მისი დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

დაკავების სამართლებრივი შედეგია დაკავებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და დაკავებულის მიერ ბრალდებულის სტატუსის შექმნა. დაკავებისას დევნა იწყება ავტომატურად და პროკურორის დისკრეციას ამ მომენტისათვის მნიშვნელობა არ გააჩნია. ამ ეტაპზე დევნა გამოიხატება მტკიცებულებების შეგროვებაში, ბრალდების დამტკიცებაში.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით კონკრეტულად არის განმარტებული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, ანუ მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში მას უფლება აქვს დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. პროკურორის მიერ დევნის განხორციელება არ არის სავალდებულო დანაშაულის ყველა ფაქტზე.

ამასთან, აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. როგორც დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის შემოღების დროს ქართულ საპროცესო კანონმდებლობით დადგინდა, კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა ხორციელდება სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანოებმა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

რა თქმა უნდა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას.

ამდენად, ზემოაღნიშნული ბრძანება აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე<sup>341</sup>

მნიშვნელოვანია განვიხილოთ, ამ ბრძანებიდან გამომდინარე კონკრეტულად

341 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 181, 2010 წლის 8 ოქტომბერი, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-2

თუ როდის და რა გარემოებების არსებობისას უნდა მიიღოს პროკურორმა გადაწყვეტილება დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ.

პირველ რიგში, პროკურორის მიერ გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კერძოდ, როცა:

ა) საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – მტკიცებულებითი ტესტი;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი – საჯარო ინტერესის ტესტი.

ე.ი. პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებით და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის საჯარო ინტერესით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს და მხოლოდ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, ორივე ტესტი შეფასებითია, რაც პროკურორის მხრიდან განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.

ამდენად, სრული ტესტი, რაც თავისთავში მოიცავს მტკიცებულებით და საჯარო ინტერესის ტესტებს, არის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად და განსახორციელებლად.

სრული ტესტის თითოეული ეტაპი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული საქმის გარემოებათა ანალიზისა და შეფასების გზით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება დევნის დაწყების, არდაწყების თუ გაგრძელების თაობაზე.

რაც შეეხება მტკიცებულებით ტესტს, მისი არსი იმაში გამოიხატება, რომ პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს .

კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი<sup>342</sup> ან/და თუ ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ.

გასათვალისწინებელია ასევე, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ არის აუცილებელი, პროკურორს ყველა ის მტკიცებულება ჰქონდეს ხელთ, რომელთა გამოყენებასაც სასამართლო განხილვაზე გეგმავს. საკმარისია, პროკურორი დარწმუნებული იყოს, რომ სასამართლო განხილვის სტადიაზე მას ხელთ ექნება კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება პირის ბრალეულობის დასაბუთებლად.

მტკიცებულებითი ტესტის შინაარსიდან გამომდინარე, რომელშიც ძირითადად იგულისხმება გაკვეთლ მტკიცებულებათა ერთობლიობა და რაც პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე მიუთითებს, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ის ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინ პროკურორმა აუცილებლად უნდა გაარკვიოს და გადაწყვიტოს რამდენად ემსახურება დევნის დაწყება საჯარო ინტერესს.

მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს, თუ დევნის სანინააღმდეგო

342 საქართველოს სსს კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით დასაბუთებული ვარაუდი- ანუ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა – არის ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს.

საჯარო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და გაანალიზებით, რაც არსებითია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დევნის დაწყების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ინდივიდუალური ფაქტორის შეფასებასა და დასკვნებს.

საჯარო ინტერესი — ესაა კანონით დაცული ინტერესი, რომლის უკან დგას საზოგადოება და სახელმწიფო. სისხლის სამართალწარმოებაში საჯარო ინტერესი გამოიხატება ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შეუქცევადი გარემოს შექმნაში<sup>343</sup>

იმ გარემოებათა შორის, რომელიც უნდა გაითვალისწინოს პროკურორმა საჯარო ინტერესის განსაზღვრის დროს, პირველ რიგში აღსანიშნავია:

— სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები (რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის კონკრეტული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან სახელმწიფო რესურსი ნაკლებად უნდა დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე);

- დანაშაულის ბუნება და სიმძიმე;
- სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა;
- პირის ბრალეულობის ხარისხი;
- პირის კრიმინალური წარსული;
- გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი;
- პიროვნული მახასიათებლები;
- საზოგადოებისადმი მიყენებული ეკონომიკური ზიანი და მისი ანაზღაურების ფაქტორი;

— დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;

— მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში და სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლო შედეგები.

ამავე ბრძანებაში გადმოცემულია აგრეთვე კონკრეტული გარემოებები, რომლებიც სხვა ფაქტორებთან ერთად მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობაზე და მიზანშეუწონლობაზე.

ჩვენს მიერ განხილული პრინციპები და ფაქტორები არ არის ამომწურავი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად შედის დევნის განხორციელება საჯარო ინტერესში, უნდა იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. ბრძანებაში განმარტებულია ზემოთ აღნიშნულ ცალკეულ გარემოებათა სამართლებრივი გაგება დისკრეციული დევნის დროს მათი პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მსვლელობისას შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება;
- დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა;
- უარი თქვას დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი;

— უარი თქვას დევნის დაწყებაზე ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე<sup>344</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმში მოიაზრებს სრულწლოვან პირ-

343 გ. აბაშიძე. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. თბ. 2011 წელი, გვ. 93

344 იხ. ზემოაღნიშნული ბრძანება, თავი მე-2

თა განრიდების ინსტიტუტს, რომლის თაობაზე ქართველი კანონმდებლების მიერ გაზიარებული იქნა ევროპული გამოცდილება და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დისკრეციული დევნის დამკვიდრების შემდეგ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2011 წლის ივნისიდან მიღებული იქნა ეს ახალი ნორმა, რაც ნოვაციას წარმოადგენს ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში.

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი - განრიდება მიზნად ისახვს კონფლიქტის არასისხლისსამართლებრივი გზით გადაწყვეტას, რაც პრაქტიკულად გამოიყენება საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.<sup>345</sup>

ამ ნორმის არსი გამოიხატება შესაბამისი კანონიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და თავისუფლების აღკვეთისაგან პირის განრიდებაში. შესაბამისად საქმე მთავრდება ნასამართლობისა და სისხლისსამართლებრივი სასჯელის გარეშე, ვინაიდან სასამართლო არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე და დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ არ ხდება განაჩენის გამოტანა.

ამდენად, ამ ახალი ნორმით დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე პროკურორს აქვს შესაძლებლობა ზოგიერთ დანაშაულზე დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის პირობებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას განარიდოს პირი, ისე რომ არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და დაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე.

ჩემი აზრით, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სწორად გადაწყდა საკითხი, რომ მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი განახორციელოს დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ამით გარკვეულად ამალდება პროკურორის, როგორც ბრალდების მხარის პასუხისმგებლობის საკითხი.

ამასთან, როცა პროკურორს გამოაქვს და უდგენს კონკრეტულ პიროვნებას დადგენილებას ბრალდების შესახებ, თავისთავად, ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას, რადგან პირის ბრალდებულად ცნობა, ანუ მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მიზანია ეფექტური სისხლის სამართალწარმოების განხორციელება. შესაბამისად, პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი.

სწორედ პროკურორმა უნდა დაადგინოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს მართებულად, რომ დანაშაული ნამდვილად სახეზეა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები კონკრეტული პირის მიმართ ბრალდების წარსადგენად. პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საკმაოდ შრომატევადი, რთული და პასუხსაგები საქმიანობაა. მას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი უფლებები, რომელთა რეალიზაციასაც ახდენს, ერთ შემთხვევაში, გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით და გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობით.

მნიშვნელოვანია, რომ პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული, სამართლიანი და ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. ამასთან, თავის საქმიანობაში პროკურორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი

პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, არ მთავრდება პროკურორის მხრიდან დევნის ფუნქცია. პროკურორი ვალდებულია, ბრალდების წაყენების შემ-

345 ი. აქუბარდია. განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ. პროფესორ გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 2016 წელი, გვ. 62

დეგაც განახორციელოს ყოველმხრივი და სრული დევნის ღონისძიებები, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, რათა შეაგროვოს მტკიცებულებები პირის მიმართ. დევნის მიზანი სწორედ ის არის, რომ როდესაც პირი დანაშაულის ჩადენაში იმხილება და ბრალდება წარედგინება, ამ პირის მიმართ გაგრძელდეს დევნის მწარმოებელი პირის საქმიანობა და საბოლოოდ დადგინდეს ქვეშარიტება.<sup>346</sup>

ნაშრომის ბოლოს არ შეიძლება არ შევეხოთ მეტად აქტუალურ საკითხს, კერძოდ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის მნიშვნელობას, რადგან სასამართლო კონტროლი ნამდვილად ეფექტური მექანიზმია, რათა პროკურორმა ბოროტად არ გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება.

პროკურორს საქართველოს სსს კოდექსით მინიჭებული ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია. შეუზღუდავი დისკრეცია კი აშკარად შეიცავს სუბიექტივიზმის საფრთხეს<sup>347</sup>. იმის გამო, რომ პროკურორმა ასეთი სანდო კონტროლის არარსებობის პირობებში გადაწყვეტილება სუბიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით არ მიიღოს, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზემოთ დასახელებული ბრძანება პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას რა თქმა უნდა, ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს, ზღუდავს როგორც პროკურორის განუსაზღვრელ დისკრეციას, ასევე ამ მიმართულებით მისი საქმიანობის ფარგლებს.

აღნიშნული, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს პროკურორის მიერ მისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ასევე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლის დანესება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სასამართლო კონტროლის შემოღების აუცილებლობისა და მისი მეშვეობით დაინტერესებული პირების მიერ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლების თაობაზე მოსაზრება მეცნიერთა მხრიდან ჯერ კიდევ, ამ ინსტიტუტის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში სამოქმედოდ შემოღებამდე იყო გამოთქმული<sup>348</sup>

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, მაგრამ ამ უფლებამოსილების გამოყენებით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლში განმარტებულია, რომ დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება კი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაიწყო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება.

აღნიშნული გამონაკლისი უფლება დაზარალებულს მიეცა სწორედ მეცნიერ-იურისტების მხრიდან ამ ნორმის თაობაზე ადრე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონ-

346 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, თავი მე-2

347 გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსი: რეფორმა თუ კონტრეფორმა? საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო "საქინფორმი", 17 ნოემბერი, 2010 წელი

348 იხ. .გ. მეფარიშვილი, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, გვ. 24.

მდებლობაში შეტანილი ცვლილების თანახმად.

ცვლილების მიზანი იყო დაზარალებულის ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვის რისკის მკვეთრად შემცირება და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე კონტროლის გაზრდა.

სავსებით მართებულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს მისი

დისკრეციული უფლებამოსილებით და საჯარო ინტერესებით, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ აუცილებელად მიგვაჩნია დისკრეციული დევნის პირობებში უფრო მეტად იქნას გათვალისწინებულიყო დაზარალებულის ინტერესი, რომელსაც კანონით სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების უფლება გააჩნია<sup>349</sup>

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ სასამართლოში არ საჩივრდება ასევე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს მხოლოდ დაზარალებულმა, ამასთან მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან.

როგორც ჩანს, პრაქტიკულად აღარ არსებობს როგორც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარის, ასევე პროკურორის მიერ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების დაზარალებულის მიერ პირდაპირ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. მაშინ როცა ევროპის მოწინავე ქვეყნების, კერძოდ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვათა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას — სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.<sup>350</sup>

ამ მხრივ, საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მნიშვნელოვნად გააუარესა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას - სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დაცვა. სასამართლოსთვის მიმართვის არდაშვება პროცესის მონაწილეების მხრიდან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.

ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც უნდა აიძულოს პროკურატურა ჩაჯდეს კანონის მოთხოვნებში და მიუკერძოებელი იყოს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>351</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია სასამართლო კონტროლის შემოღება, რაც გათვალისწინებულია ევროპის რიგი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სადაც დიდი ხანია არსებობს დისკრეციული დევნის ინსტიტუტი და სამართლის დარგის იქა-

349 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, თავი მე-2

350 Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 20. Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головки. М., 2000. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტორთა კოლექტივი, კრისტინე ვან დენ ვინგაერტის წინასიტყვაობით, თბ. 2002 წ

351 Gerard e. Lynch. American law and lawyer information. T. 3. Chicago: American Bar Association. 1998. P.10 შემდეგი მითითებით: გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2010 წ.

ური მეცნიერები სწორედ ასეთ მიდგომას მიიჩნევენ გამჭირვალე და სამართლიანი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

## რეზიუმე

წარმოდგენილი სტატიაში განიხილულია დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესი თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

ამ საქმეში განიხილება სისხლის სამართლებრივი დევნის სამართლებრივი ასპექტები, მისი პროცედურული რეგულირება და პრაქტიკული დანერგვა, რომელიც ძირითადად ეხება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების სახელმძღვანელო პრინციპებს და გამოძიების ეტაპზე პროკურატურის ფუნქციებს, ზოგადი დისკრეციული პროკურატურის ქართულ მოდელს .

## Resume

The presented article discusses discretionary criminal prosecution as innovation in modern Georgian criminal procedural legislation.

Legal aspects of criminal prosecution, its procedural regulation and practical implementation issues are discussed in the present work, which mainly deals with the prosecution, as the guiding principles of the prosecutor's discretionary authority and prosecution functions in the investigation stage, Georgian model of general discretionary prosecution.

## Резюме

В представленной статье обсуждается дискреционное уголовное преследование как инновация в современном грузинском уголовно-процессуальном законодательстве.

Правовые аспекты уголовного преследования, его процессуальное регулирование и вопросы практического осуществления обсуждаются в настоящей работе, которая в основном касается обвинения, поскольку руководящие принципы прокурорской дискреционной власти и функции прокуратуры на стадии расследования - грузинская модель общего дискреционного судебного преследования

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი. 2010
2. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, თბილისი, 2008
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
4. Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головки. М., 2000 г.
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181, 2010 წლის 8 ოქტომბერი, „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“
6. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / ვაჟა გურგენიძის რედაქციით. თბილისი 2004.
7. თ. ლალიაშვილი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწი-

ლი, თბ. 2015 წ

8. ბ. მეურმიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე). სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2014 წ

9. Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J., Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005

10. Gerard e. Lynch. American law and lawyer information. T. 3. Chicago: American Bar Association. 1998. P.10.

11. Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002 г.

12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2015 წ

13. გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსი: რეფორმა თუ კონტრრეფორმა? საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“, 17 ნოემბერი, 2010 წელი

14. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტორთა კოლექტივი, კრისტინე ვან დენ ვინგაერტის წინასიტყვაობით. თბ. 2002 წ.

15. გ. მეფარიშვილი, ი. ჩხეიძე. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 2010 წ.

16. გ. მეფარიშვილი. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014 წ

17. გ. აბაშიძე. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. თბ. 2011 წელი

18. ი. აქუბარდია. განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ. პროფესორ გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 2016 წელი



### 3. მარიხუანა - ჯანდაცვის სამართლის თუ სისხლის სამართლის პოლიტიკის პრობლემა?

ასისტენტ-პროფესორი  
კობა ჩიხლაძე

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე შევხებოდი ძალიან აქტუალურ თემატიკას, რაც, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენთაგანს გვანუხებს. კანაფი, იგივე მარიხუანა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და ხშირად მოხმარებად მსუბუქ ნარკოტიკს მსოფლიოს მასშტაბით. ჯერ კიდევ XX საუკუნეში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მესამე ყრილობაზე, 1948 წლის 8 ნოემბერს, ხელმოწერილი იქნა ოქმი საერთაშორისო კონტროლის შესახებ ნარკოტიკულ საშუალებებზე, რომელთა შორის უკვე ირიცხებოდა მარიხუანა<sup>352</sup>. უკანასკნელი წლების განმავლობაში, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, არაერთხელ იქნა დასმული საკითხი მარიხუანას, როგორც "მსუბუქი ნარკოტიკის" ლეგალიზაციის შესახებ. გამუდმებით ისმის კითხვა, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს მარიხუანას ლეგალიზაციამ? ეს უბრალო, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მცენარე, უკვე საუკუნეების მანძილზე არაერთხელ გამხდარა კამათისა და სკანდალის მიზეზი. მის ლეგალიზაციას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. დადებით და უარყოფით მხარეებზე ცოტა მოგვიანებით, ეხლა კი, ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივ ქრილში განვითარებულ მოვლენებზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) და მასთან დაკავშირებული საყოველთაო ხმაური. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის დანართი №2 - ის ჩამონათვალში ერთ-ერთ ადგილს იკავებდა მარიხუანა, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/855 განჩინებით<sup>353</sup> გაუქმდა და შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსით აღარ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მარიხუანამ ადამიანის ტვინზე? რასთან გვაქვს საქმე? დანაშაულთან და სისხლის სამართლის პოლიტიკის არასწორ მიდგომასთან, თუ ჯანდაცვის პრობლემასთან, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცავდეს მოქალაქეების ჯანმრთელობას. უკვე რამდენიმე წელია მთელი მსოფლიოს ირგვლივ მეცნიერები იკვლევენ და აკვირდებიან, კიდევ რაზე შეიძლება ზემოქმედებდეს ტვინისა და სხეულის გარდა მარიხუანა და უამრავ დასკვნაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის დაავადებები, რომლებზეც მოგვიანებით აუცილებლად ვისაუბრებთ. ational institute on drug abuse ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების ეროვნული ინსტიტუტის დასკვნით<sup>354</sup> THC tetrahydrocannabinol ტეტრაჰიდროკანაბინოლი - არის ნივთიერება, კრისტალური ნაერთი, რომელსაც დიდი ოდენობით შეიცავს კანაფი. იგი ინტოქსიკაციის გზით ტვინში ინვესს ნივთიერებათა ცვლას.

ინვესს თუ არა მარიხუანა მასზე დამოკიდებულებას, ანუ როგორც ამერიკელები ეძახიან, არის თუ არა ის gateway drug (მაგ: ალკოჰოლი, სიგარეტი - რომლებიც ხშირად მოხმარების შედეგად ინვესს მასზე მიჩვევას).

352 <https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/043/82/IMG/NR004382.pdf?OpenElement>

353 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/855 განჩინება

354 <https://www.drugabuse.gov/drugs-abuse/marijuana/nida-research-marijuana-cannabinoids>

მარიხუანას მოხმარებისას ის იწვევს სიგარეტის მსგავსად. გამონაბოლქვი, ანუ კვამლი შედის ორგანიზმში და ქიმიური ნაერთი THC ხვდება ფილტვებში, რომლის მეშვეობითაც იგი გადადის პირდაპირ სისხლის მიმოქცევაში, საიდანაც ნაერთი აღწევს თითქმის ყველა ორგანოში, მათ შორის, ტვინშიც. ამ დროს ქიმიური ელემენტები უკავშირდება ტვინის რეცეპტორებს - ე.წ. კანაბინოიდებს და ნერვულ სისტემებზე რეაგირების მეშვეობით ორგანიზმში იწვევს მოთენთილობას, თვალის ლორწოვანი გარსის შესიებას, სამედიცინო ენაზე რომ ვთქვათ - თვალის ანთებას, პულსის გახშირებას, ორგანიზმში ტემპერატურის ცვალებადობას, გულისცემის გაძლიერებას, შიმშილის შეგრძნებებს, ხშირ შემთხვევაში, თავბრუსხვევას და გულისრევის პროვოცირებას, მოკლევადიანი მეხსიერების, გაგების და რაიმე ამოცანის შესრულების უნარის გაუარესებას, განსაკუთრებულად დიდი დოზის მოხმარების დროს - ფსიქოზს<sup>355</sup>. რეცეპტორებზე ზემოქმედებით იგი აწვევს ფსიქომოტორულ (მოძრაობით) აქტიურობას და აუარესებს ყურადღების კონცენტრაციას, ხელს უშლის სიტუაციის ადეკვატურად შეფასების უნარს. კანაფის მოხმარების შედეგად, ანუ ტეტრაჰიდროკანაბინოლისა და კანაბინოიდური რეცეპტორების ურთიერთკავშირით მიღებული ნეიროტოქსინების მეშვეობით, ვახდენთ ტვინისა და სხეულის ინტოქსიკაციას, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

### **სამედიცინო მარიხუანა.**

THC --ს ზემოქმედება იმდენად ძლიერი და ეფექტურია, რომ ბევრმა მეცნიერმა და მკვლევარმა თავიანთი ნარკვევებიც კი ააგეს მის მოქმედებაზე სამკურნალო თვისებების ფორმატით. სამედიცინო თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი გაუცემელი შეკითხვაა მარიხუანას ირგვლივ, და არც არის აპრობირებული მეთოდი მის სამკურნალოდ, თუმცა ფაქტია, რომ ფინანსური თვალსაზრისით უპირატესობები აქვს. მეცნიერთა ნაწილი ემხრობა მის გამოყენებას მაშინ, როცა საქმე გვაქვს კიბოთი დაავადებულთა მკურნალობის პროცესს, ქიმიოთერაპიის მოხმარებისას, რათა მოხდეს გულყრის შემცირება, აგრეთვე მაშინ, როცა ადამიანი შიდსის ვირუსითაა ინფიცირებული და სჭირდება მადის ამალღება-გაუმჯობესება; აგრეთვე შესაძლებელია იგი გამოყენებული იქნას, როდესაც პაციენტი დაავადებულია პარკისონის დაავადებით.

მიუხედავად სხვადასხვა მიდგომებისა, ფაქტია, რომ მარიხუანა არის ნარკოტიკი, რომელსაც უფრო მეტი თვისება უარყოფითი და მავნებელი აქვს ჯანმრთელობისათვის, ვიდრე სამკურნალო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკი 3 კატეგორიად აქვთ გაყოფილი: ა) ნარკოტიკი, ან სხვა მინარევი, რომელსაც ძლიერი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია; ბ) ნარკოტიკი, ან სხვა ნივთიერება, რომელსაც არანაირი ნებართვა და შესაძლებლობა არ გააჩნია სამედიცინო მკურნალობისას აშშ-ში; გ) ნარკოტიკები, ან ნივთიერება, რომელიც დაშვებულია მკურნალობისას ძლიერი სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ The Controlled Substances Act (CSA) - კონტროლირებადი ნივთიერებების აქტი<sup>356</sup>. იგი ამერიკის შეერთებულ შტატების ფედერალური კანონმდებლობით რეგულირდება.

მასში ყველა ნარკოტიკული ნივთიერება თუ მინარევი ჩამოთვლილი. აღნიშნული ნივთიერებები დაყოფილია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ესენია: სამედიცინო მიმართულებით გამოსაყენებელი, ბოროტად გამოსაყენებელი და საშიში ნივთიერებები. Section 201 of the Act (21U.S.C. §811)<sup>357</sup>.

ვფიქრობ, რომ მსგავსი პროექტის განხორციელება საქართველოში რეკომენდირებული იქნება. მიმაჩნია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ინიცირებით უნდა შეიქმნას აქტი კონტროლირებადი ნივთიერებების, მათ შორის, მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების, ჩამონათვალის შესახებ, რომელზეც ზედამხედველობას განახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.

რატომ არის მარიხუანა ესე ადვილად ხელმისაწვდომი და მოსაპოვებელი ?

355 <https://www.drugabuse.gov/drugs-abuse/marijuana/nida-research-marijuana-cannabinoids>

356 The Controlled Substances Act of 19903

357 <http://www.deadiversion.usdoj.gov/21cfr/21usc/811.htm>

როგორც ნესი, მარიხუანის მომხმარებელთა რაოდენობა მოჭარბებულადაა არასლუნლოვნებში და, ზოგ შემთხვევაში, მცირეწლოვნებშიც კი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც ჩაატარა ational Survey on Drug use and Health (NSDUH)<sup>358</sup> ნარკოტიკების მოხმარებისა და ჯანმრთელობის შესახებ ეროვნული კვლევის სააგენტომ, 90 მილიონი მაცხოვრებელიდან 40%-ს მაინც აქვს ერთხელ განასინჯი მარიხუანა, მათ შორის არიან 12 წლის ბავშვებიც. აღნიშნული გამოკვლევა ჩატარდა 2003 წელს. იმავე ორგანიზაციის კვლევის ჩატარების შედეგად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2007 წელს 12 და 17 წლამდე გამოკითხულ ბავშვთა 6,7 % გახლდათ მარიხუანის მომხმარებელი. 2005 წელს ამერიკაში დაფიქსირდა 242 200 სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შემთხვევა, მარიხუანას მოხმარების გამო.<sup>359</sup>

მარიხუანას სრულებით შესაძლებელია ეწოდოს ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე გავრცელებული და აქტიურად მოხმარებადი ნარკოტიკი. მომხმარებელთა ზუსტი რაოდენობის დადგენა წლების მიხედვით და სტატისტიკის შედგენა, სამწუხაროდ, შეუძლებელია, მაგრამ თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლევებს დავეყრდნობით, საკმაოდ მაღალია მაჩვენებელი.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკა არ ასახავს რეალურ მაჩვენებლებს მოხმარების თვალსაზრისით, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე. ვგულისხმობთ სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებსა თუ ტექნოლოგიებს. მარიხუანა უფრო ხელმისაწვდომი გახდა ახალგაზრდებისთვის. ფაქტია, რომ მარიხუანის მოპოვება დღევანდელ რეალობაში პრობლემას არ წარმოადგენს. სავალალო შედეგებამდე მივყევართ სატელევიზიო შოუებისა თუ გადაცემების კინოფილმებს, სადაც მარიხუანა წარმოდგენილია, როგორც ხასიათის გამომკეთებელი, პოზიტივის შემქმნელი, უებარი საშუალება. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდებზე.

უამრავი არგუმენტი შეიძლება ჩამოვთვალოთ იმის დასადასტურებლად, რომ დრეისათვის მარიხუანა ჩვენს ქვეყანაში მარტივად მოსაპოვებელია, მაგრამ ერთი აუცილებლად უნდა გამოვყოთ. ეს არის ე. წ ნარკომოვავაჭრეები, რომლებიც განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ ახდენენ რეალიზებას. მათთვის არ არსებობს არც ასაკი, არც მორალი. ალბათ, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა გაამკაცროს კონტროლი. შესაძლებელია თუ არა მარიხუანასთან ბრძოლა? განვლილი პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მარიხუანა, ისევე როგორც ალკოჰოლი, უაღრესად რთული საკითხია და სახელმწიფოს მხრიდან მასთან ბრძოლა, ფაქტობრივად, უშედეგოდ მთავრდება. ამის ცოცხალი მაგალითი გვაქვს აშშ-ში, სადაც მსგავს ბრძოლას ქვეყნისთვის უარყოფითი შედეგის მეტი არაფერი მოუტანია .

ვეთანხმები მოსაზრებას რომ სახელმწიფოს მხრიდან ბრძოლა ისეთ მსუბუქ და გავრცელებულ ნარკოტიკთან, როგორიცაა მარიხუანა, სხვა არაფერია, თუ არა უზარმაზარი რესურსების ფლანგვა, რომლისთვისაც ჯერ ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკური თვალსაზრისით მზად არ არის. ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოსა და ფიზიკურ პირებს შორის ბრძოლა, ეს უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან თავის მოქალაქეებზე ზრუნვის მეთოდი, ჯანდაცვაზე ზრუნვის ორიენტირით. მარიხუანა არ უნდა იყოს სახელმწიფოს სისხლის სამართლის პრობლემა - ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემაა და სახელმწიფომ ეს როლი უნდა მოირგოს. მეტი ინფორმირებულებაა საჭირო მოქალაქეების, მეტი ჩართულობა და იმის შეგნება, რომ მარიხუანა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანოა.

მოქალაქეებმა უნდა გაიაზრონ, რომ მარიხუანა არ არის კრიმინალი და ის სასჯელთან არ უნდა ასოცირდებოდეს, მაგრამ ისიც უნდა იცოდნენ, რომ ის მავნებელია ჯანმრთელობისთვის, ისევე, როგორც სხვა უამრავი მომნამვლელი ნივთიერება, რომელსაც არ მოვიხმართ, რადგან ამის შესახებ ინფორმირებული ვართ საფუძვლიანად.

358 <https://nsduhweb.rti.org/respweb/homepage.cfm>

359 <http://www.drugfreeworld.org/drugfacts/marijuana/international-statistics.html>

## რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ის პრობლემები და გამოწვევები, რაც საქართველოს ნარკოტიკებთან და ზოგადად მარიხუანას წინააღმდეგ ბრძოლაში აფერხებს, ასევე დასახულია ის მიზნები და სტრატეგიები, რომლებიც ამ პრობლემების და გამოწვევების აღმოფხვრაში დაგვეხმარება, რაც ნარკომომხმარებლების რაოდენობას შემცირებს და საზოგადოებრივ ცნობიერებას აამაღლებს.

სტატია ეხება ძალიან აქტუალურ თემატიკას, რაც, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენთაგანს გვანუხებს. კანაფი, იგივე მარიხუანა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და ხშირად მოხმარებად მსუბუქ ნარკოტიკს დღესდღეისობით მსოფლიოს მასშტაბით.

ვეთანხმები მოსაზრებას რომ სახელმწიფოს მხრიდან ბრძოლა ისეთ მსუბუქ და გავრცელებულ ნარკოტიკთან, როგორცაა მარიხუანა, სხვა არაფერია, თუ არა უზარმაზარი რესურსების ფლანგვა, რომლისთვისაც ჯერ ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკური თვალსაზრისით მზად არ არის. ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოსა და ფიზიკურ პირებს შორის ბრძოლა, ეს უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან თავის მოქალაქეებზე ზრუნვის მეთოდი, ჯანდაცვაზე ზრუნვის ორიენტირით. მარიხუანა არ უნდა იყოს სახელმწიფოს სისხლის სამართლის პრობლემა - ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემაა და სახელმწიფომ ეს როლი უნდა მოირგოს. მეტი ინფორმირებულებაა საჭირო მოქალაქეების, მეტი ჩართულობა და იმის შეგნება, რომ მარიხუანა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანოა.

მოქალაქეებმა უნდა გაიაზრონ, რომ მარიხუანა არ არის კრიმინალიდაის სასჯელთან არ უნდა ასოცირდებოდეს, მაგრამ ისიც უნდა იცოდნენ, რომ ის მავნებელია ჯანმრთელობისთვის, ისევე, როგორც სხვა უამრავი მომნამვლელი ნივთიერება, რომელსაც არ მოვიხმართ, რადგანამის შესახებ ინფორმირებული ვართ საფუძვლიანად.

## Resume

Presented article is about the problems and challenges, that interrupts Georgia in fighting against drugs and especially marijuana. Also in this article are presented goals and strategies for solving this type of problems and will decrease the drug addiction and increase knowledge of society.

The article is about popular subject, which, I am sure, bothers all of us. Marijuana is most common and consumed drug nowadays worldwide. I agree with the opinion that fight against such drug as marijuana is nothing else than huge waste of governmental financial resources, for which our country is not ready for. This should not be a battle between government and citizens, it must be a method of health care from governments side for its people. Marijuana does not have to be a criminal law problem – it is a health care problem of society and government have to care about it. Citizens should be more informed and involved in this process, so that everyone understood the dangers of this drug.

Citizens should know that marijuana is not a crime and it should not be associated with punishment, but they need to know, that marijuana is bad for health as many other harmful substances, that we know they are dangerous and we are not using them, because we have an information about them.

## Резюме

В данной статье рассмотрены проблемы и вызовы, которые препятствуют Грузии в борьбе с наркотиками и, в целом в борьбе с ними. Также, установлены те цели и стратегии, которые помогут разрешить эти проблемы и вызовы, что в итоге приведет к сокращению наркопотребителей и поможет повисить общественное самосознание.

Статья касается актуальной теме что, убежден, беспокоит каждого из нас. Канаф, то же самая марихуана, одно из самых широко распространенных, лёгких наркотиков во всем мире. Согласен со мнением что борьба со стороны государства с лёгкой и распространённым наркотиком, которым является марихуана нечто другое, как пустая трата огромных государственных ресурсов, к которому наша страна с экономической стороны не готова. К тому же, это не должно вылиться в противостояние между государством и физическими лицами. Наоборот, это должно стать предметом заботы государства над своими гражданами, здравоохранением.

Марихуана не должна стать проблемой уголовного права государства – это проблема общественного здравоохранения. Необходимо большая информированность о её вреде. Граждане должны осознать что марихуана это не криминал и она не должна ассоциироваться с наказанием. Но они должны знать что она вредна для здоровья, так же как и другие ядовитые вещества которые мы не употребляем, поскольку информированны об их вреде.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია- 2018 წლის მდგომარეობით,
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/855 განჩინება,
3. <https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/043/82/IMG/NR004382.pdf?OpenElement>
4. <https://www.drugabuse.gov/drugs-abuse/marijuana/nida-research-marijuana-cannabinoids>
5. <http://www.druglibrary.org/schaffer/library/studies/nas/conclusions.htm>
6. The Controlled Substances Act of 19903
7. <http://www.deadiversion.usdoj.gov/21cfr/21usc/811.htm>
8. <https://nsduhweb.rti.org/respweb/homepage.cfm>
9. <http://www.drugfreeworld.org/drugfacts/marijuana/international-statistics.html>
10. <https://psmag.com/news/gin-and-tonic-hold-the-gin>

## ავტორთა საყურადღებოდ!

„იურისტი“ არის საერთაშორისო, რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მწერალთა კავშირის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

-სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

-ნაშრომს სათაურის წინ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი და აკადემიური თანამდებობა ;

-ნაშრომს თან უნდა დაერთოს რეზიუმე (10-12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;

-ქართულ ენაზე ნაშრომი იწყოება Sylfaen შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Time New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის-12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. : მარცხნივ და ზევიდან 2 სმ, მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ;

ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ზომის 7-9 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი 4 ზომის ქალაღზე ორ ეგზემპლარად, მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი); სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში;

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №75

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი 599 94 01 14

ელ-ფოსტა law.academy@mail.ru